

შჩა ოძროპირიძე

საქართველოს ეროვნულ-
განმათავისუფლებელი ბრძოლის
თანამედროვე პერიოდი და აჭარა
(XX საუკუნის 80-იანი წლების
ბოლოს და 90-იანი წლების
დასაწყისი)



gamomcemloba `universalis-
Tbilisi 2009

© u. oqropirile, 2009

gamomcemioba `universal~, 2009

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, თ : 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-?????

彂ინასიტყვაობა

საქართველოს უახლეს ისტორიაში ბოლო ოცწლეულის გან-
მავლობაში მომხდარი მოვლენები უდიდეს ინტერესს იწვევს, არა
მარტო როგორც ისტორიული ანალიზისათვის გამზადებული საშუ-
რი მასალა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ამ ანალიზი-
დან გამომდინარე უმნიშვნელოვანესა პერიოდის შესახებ გამოსატა-
ნი დასკვნებისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტაცია, — ფაქტები,
რომელთა სიღრმისეული წვდომის გარეშე, შეუძლებელია სამომავ-
ლოდ მართებული, ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის
უტყუარი გეზის აღება.

ამ ოცწლეულმა დაიტია არა მარტო საქართველოს ეროვ-
ნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მღელვარებით აღსავსე დრო-
ება, არამედ საბოლოოდ გაამჟღავნა ბევრისათვის ცნობილი, მაგრამ
სელოვნურად გასაიდუმლობებული, საბჭოთა ცხოვრების წესიდან
გამომდინარე წყლეულები და ტკიფილები, — ამ საზოგადოების შიგ-
ნით ჩატუდებული მასინჯე ცხოვრების ზენ-ჩვეულებანი და გააშიშ-
ვლა მგანთა საკუთარი სამშობლოსადმი თრგულობის მთელი ფი-
ზიონობია, ჰომოსოვეტიკუსის ჩამოყალიბების ურთულესი მექანიზ-
მის ნამოქმედარი და მისი მანკიერი სახე.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძო-
ლის თანამედროვე ეტაპი, ეს არ არის ბრძოლა მარტო წარსულსა
და მომავალს შორის. — ეს არის ბრძოლა რწმენასა და უღმერთო-
ბას, ათასწლოვან ტრადიციებსა და ზერელე წამხედურობას, ქარ-
თველი კაცის შინაგან ბუნებასა და მასზე თავმოზეულ სატანიზმს
შორის, რომელიც დღესაც გრძელდება. ამიტომაც ეს ბრძოლა ჩვე-
ნი სამშობლოსათვის არის უდიდესი მსხვერპლითა და ტკიფილებით
დამძიმებული აპოკალიფური შეჯახება ბოროტებასა და სიკეთეს
შორის. სადაც ერთ მხარეს დგას საუკუნო მონობით შერყვნილი
და დამძიმებული, გაპომოსოვეტიკუსებულ-გამანქურთებული ნომენ-
კლატურული კასტა (და მათ მიერ სამშობლოს ინტერესების უგუ-
ლებელყოფისათვის მიღებულ სალაფავზე დახარბებული კონდოტი-
ერთა მეხუთე კოლონა, — რომელიც თავგანწირვით იბრძვის ადგი-
ლისათვის მზის ქვეშ და მის სამსახურში შეგნებულად ჩამდგარი,
ან “უნებურად” გამოყენებული “აზნაურობის მაძიებელნი”, არაჩვე-

ულებრივი ჭურები (ადამიანები, რომელთაც თავის მოვალეობად მიაჩნიათ, რასაც ჩასძახებენ, იგივე ამოგძახონ.), – მეორებზე კი ათასწლოვანი წვითა და დაგვით მსოფლიოს უძველეს ქართულ სასულიერო ცენტრებში საუკუნეებით ნაწრობი, ძველ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, გონიერებითა და აზროვნებით გამორჩეული, უღრმესი სულიერებით განმსჭვალული, ყოველთვის ქართულად მოაზროვნე მატულიშვილები.

ამ ისტორიულ შეჯახებაში პირველთა მხარესაა ანტიეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მთელი სახელმწიფო მანქანა, მისი სრული სამოქმედო არსენალით, რომელიც ახალ პირობებში, ძალისხმევას არ იშურებს, რათა სათანადო სასათბურე პირობები შეუქმნას მის ერთგულ საშსახურში გამობრძებულ ნომენკლატურულ აგენტურას (სწორედ ეს წარმოადგენდა ე. შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების ძირითად არსეს) და “ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის” სადაცემაბთანაც ისინი მოიყვნოს, – რასაც საკუთარი რესურსების სრული გამოყენებით აღწევს კიდეც.

მეორე მხარეს კი არის ისტორიული სამართლიანობა და მის შეგნებაზე დაფუძნებული ზნეობრივი სიმრთელე და ურყობა, რომლის დამარცხებასაც პირველი ვერასოდეს შეძლებს, ამიტომაც უნდა გაანადგუროს იგი. რისკენაცაა, სწორედ, მიმართული მისი მთელი ძალისხმევა, რადგან როგორც ყველა მკვლელს, მასაც არ ესმის, რომ სწორედ ამ ზნეობრივ სიმრთელეშია მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი. მაგრამ პომოსოვეტიკურ ამორალიზმში აღზრდილთავის თითქმის შეუძლებელია ამის შესმენა. ისინი არ სჯერდებიან ნამდვილ პატრიოტთა ფიზიკურ განადგურებას და ცდილობენ იმ ზნეობრივი საყრდენის ამოძირებას, რაზედაც მომავალი, ნამდვილად ქართული სახელმწიფო ობრიობა შეიძლება დაეყრდნოს. მის მაგიერ კი, ცდას არ აკლებენ, დანერგონ მათი არსებობის გახანგრძლივებისათვის აუცილებელი ყალბი ღირებულებანი.

დღესაც, როგორც ადრე, ბევრში ირონიულ ღიმილს იწვევს სამართლიანობისა და ზნეობის ხსენებაც კი, ხოლო მისთვის თავ-გამოდება დონკიხოტურ ახირებად ითვლება. ისევ დასაცინად და თეთრი ყვავის სინდრომად არის მჩჩეული პატიოსანი და წესიერი ცხოვრების წესი; ჭკუის მასწავლებლად კი პალავ გვევლინებიან ისინი, რომლებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ცდილობდნენ რო-

გორმე შემძვრალიყვნენ და ესარგებლათ კომუნისტური ნომენკლატურისათვის ბოძებული ყველა სიკეთით და წელისუფლების ცვლათა პერიოდშიც არასდროს არ დარჩენილან ხელმოცარულნი. სწორედ ამ კასტისთვის დამახასიათებელი მიზანდასახულობითა და უტიფრობით აგრძელებენ ისინი ჭეშმარიტ მამულიშვილთა ნამოლგაწარის გაბაიბურებას, საკუთარ “საქმეთა საგმიროთა” მიჩქმალვის ცდას და თუ გაუვიდათ, ეროვნულ მოღვაწეთა მანტიის მორგებასაც ცდილობენ. ამიტომაც აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, უტყუარმა ისტორიამ საკუთარი ადგილი მოუჩინოს ყველას და ზღვარი დაუდოს იმ შეუსმენლობას, რომლის ნაყოფსაც ჩვენი სამშობლო მანამდე მოიმკის, სანამ ამ ხალხში შემორჩენილია მათ ცოდვათა გაუშელობის იმედი. ამ შეუსმენლობის საფასური, სამწუხაროდ, ბევრმა საკუთარი სიცოცხლით ზღო, — და ვინც კვლავ გააგრძელებს ამ გზით სიარულს, მათაც იგივეს უმხადეს ბედისწერა, რადგან საკუთარი გენის მოღალატეს არ აცდება ღვთის განაჩენი.

ამიტომაც მიგვაჩნია ლუსტრაცია სამოქალაქო მონანიების აქტად, რომელიც შანსს მისცემს ყველა “შე შეცდომილს” მონანიების მადლით განწმენდილი შეუდგეს ახალ ცხოვრებას და პირნათლად ემსახუროს ჩვენი სამშობლოს მარადიულ სიცოცხლეს.

ამ ნაშრომის მიზანიც სხვა არაფერია, თუ არა განვლილი გზის ცოცხალ მაგალითებზე მითითებით საკუთარ სულში ჩაღრმავება და ერთხელ და სამუდამოდ ღვთისა და ერის მსახურებისაგან მობრუნება.

**თავი I. აჰარა ეროვნულ-ბანმათავისუფლებელი მომრა-
ობის აღმაგლობიდან მრაგალპარტიულ
არჩევნებამდე (1988.X-1990.28.X)**

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანა-
მედროვე ეტაპის ჭეშმარიტი ისტორიული სურათის შესაქმნელად
აუცილებელია ყველა იმ უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის გათვა-
ლისწინება, რომლის წარმატებიც იგი ჩაისახა, აღმოცენდა და განვი-
თარდა, ჩამოყალიბდა როგორც ქართველი ერის უმთავრესი სული-
ერი მისწრაფების ფაქტორი და იქცა მისი ენერგიის იმ მიზნისკენ
წარმართვის კატალიზატორად, რომლისთვის ბრძოლასაც არაერთი
თაობა შეეწირა. ყველა არსებობაზე პრეტენზის მქონე ერის უმ-
თავრესი მიზანი კი ეროვნულ თვითმყოფადობის შენარჩუნება და
საკუთარი სუვერენობის განმტკიცებაა.

ჯერ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ხანგრძლივმა
ყოფნამ, შემდეგ კი იმავე რუსეთის მიერ ორგანიზებულმა, მოდერ-
ნიზებული საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობამ საქარ-
თველოში წარუშლებით კვალი დატოვა ქართველი ერის ფსიქო-სო-
ციალურ წყობაზე, მის ბუნებაზე, მძლავრი დარტყმა მიაყენა მის
ეროვნულ მდგრადობას, განსაკუთრებით მასზე ორი ასწლეულის
განმავლობაში გამოყენებულმა რუსული იმპერიული ძალადობის
მოქნილმა სისტემაში ძლიერ შეაფერხა, სცადა მოესპო ქართველი
ერის არსებობისა და გადარჩენის განმსაზღვრელი ის ზნეობრივი,
ისტორიულ-ტრადიციული საყრდენი, რომელზედაც თავის დროზე
ქართული სახელმწიფოებრიობა აღმოცენდა, შემდეგ კი მის ისტო-
რიულ მსვლელობაში განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია, რა-
საც მოყვა მისი დაცუმისა და კვლავ აღორძინების ციკლური პერი-
ოდები და რაც ერის სულიერ მდგომარეობაზე არაერთმნიშვნელოვ-
ნად აისახა. განსაკუთრებით, ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველო-
ში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ბოლშევიკური სოცი-
ალიზმის იდეის ქვეშ განხორციელებული ექსპერიმენტი, რომელ-
მაც თავისი ზეწოლის მექანიზმების სრულყოფილებითა და იდეო-
ლოგიური ბრძოლის დახვეწილი მეთოდების გამოყენებით უფრო
მეტი ზიანი მიაყენა ქართულ ეროვნულ ღირებულებებსა და ათას-
წლოვან საყოფაცხოვრებო ტრადიციებს, ვიდრე ქვეყნის ისტორიუ-
ლი ბედუკულმართობის დროინდელმა ასწლეულებმა. თუ რას ვგუ-

ლისხმობთ ზემოთაღნიშნულში, ამის საილუსტრაციოდ საჭიროა ვცადოთ ჩავწედეთ ბოლშევიკური სოციალიზმის (კომუნიზმის) და ტოტალიტარიზმის შინაგან არსეს, მის რაობას, მისი ენერგიის წარმმართველი ძალების მოუთოკავი და ველური ბუნების მამოძრავებელ ინსტიქტებს და მათთვის მანიპულირების ტოტალურ მექანიზმთა ურთულეს სისტემას – ე.წ. სოციალისტურ-ტოტალიტარულ სახელმწიფოს.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გიგანტურ ცვლილებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა ახლანდელ პოსტ-საბჭოურ სივრცეში დაწყებულ გარდაქმნათა შეუქცევადი პროცესი, რასაც აქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი აღმავლობა და შემდეგ კი საბჭიროა იმპერიის ასევე შეუქცევადი ნგრევა მოჰყვა. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ცნობილი ფრანგი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი მორის ალლე თავის ნაშრომში “მდელვარე ცვლილებანი აღმოსავლეთში” [1 გვ. 28-38], სადაც ნათქვამა, რომ “ის გიგანტურ ტალღათა მორევი, რომელმაც 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის გახსნის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპას ყოველგვარი ძალადობის გარეშე გადაუარა, როგორც თავისი ძლიერებით, ასევე სიდიდით... უდიდეს მოვლენას წარმოადგენს მომავლისათვის... ლიბერალური რევოლუცია, რომლის პროდრომების (პროდრომი – დაავადების მომასწავებელი რამ – უ.ო.) მოწმენი უკეთ რამდენიმე წელია ჩვენ ვართ, შეუქცევადია და განსაზღვრული დროისათვის აუეთქების ხასიათს მიიღებს, – ამიობს მორის ალლე და შემძღომ გამოთქვამს გარაუდს, რომ უახლოეს პერიოდში ამას მოჰყვება ტოტალიტარული კომუნიზმის ნგრევა. “ნამდვილად გასაკვირველი ის არის, რომ ტერორისტულმა რეჟიმმა შეძლო ასე დიდი ხნის განმავლობაში მონაბაში პყოლოდა მთელი ხალხები, მაგრამ ახლა მოხდა რაც ადრე უნდა მომხდარიყო, – აღნიშნავს იგი და იქვე განაგრძობს, რომ “მეორე რაშიც უნდა დავრწმუნდეთ, ეს არის უდიდესი მარცხი კოლექტივისტური ეკონომიკური სისტემისა კომუნისტურ ქვეჭნებში... კოლექტივიზაციის არსებობის 40 წელიწადი უფრო გამანადგურებელი იყო ეკონომიკისათვის, ვიდრე ორი მსოფლიო ომი... დღეს არსებული მდგომარეობის მიხედვით, ერთი ფაქტი ჩანს აბსოლუტურად დამარწმუნებლად, როგორც ადამიანურ სფეროში, აგრეთვე

ეკონომიკურ დარგში. – ტოტალიტარიზმის ეფექტურობა-ვარგისიანობა ნამდვილი ლეგენდა” [1, გვ. 28-29] – ასკვნის იგი.

შემდეგ მ. ალლე წერილში საუბრობს ვარშავის პაქტის მითოურობის, გერმანიის შესაძლო და აუცილებელი გაერთიანების, ომისდროინდელი საფრანგეთის ოცნების აუსრულებლობის (მის მიერ დომინირებული ევროპა – უ.ო.), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაციის, მათი სისტემისა და ეკონომიკური სტრუქტურების ტრანსფორმაციის, იქ საბაზრო ეკონომიკის შემოღებისა და კერძო საკუთრების აღდგენის აუცილებლობაზე, (რაც დღეს უკვე მომხდარი ფაქტია). იქვე მიუთითებს, რომ დღევანდელი აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა და ყოვლად ცხადია, უბრალო “მარშალის გეგმა” საქმაო ვერ იქნება [1, გვ. 29-30]. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით გადავხედოთ საქართველოში იმ პერიოდში შექმნილ ვითარებას და ვეცადოთ აქ მიმდინარე ისტორიული პროცესების რეალურ არსები გარკვევა.

სოციალისტური სისტემის ხასიათზე, მის ტოტალიტარულ ბუნებაზე ჯერ კიდევ 1901 წელს წინასწარმეტყველურად წერდა გუსტავ ლებონი თავის წიგნში “სოციალიზმის ფიქოლოგია”. [2, გვ. 49]

“სოციალიზმი იქნება უპიროვნო, მაგრამ სრულიად განუსაზღვრული დიქტატურა. იგი ადამიანებს ფარად მიიჩნევს, რომელიც უნდა ამუშაო და პარსო, ჰკვებო და არ დაუშვა ჩხუბამდე. იგი გულგრილია ყოველგვარი გონიერივი და ზნეობრივი პროგრესისადმი. იგი საერთაშორისოა – ინტერნაციონალურია, არა აქვს სამშობლო და იძრძვის მოსპოს ქვეყანაზე სამშობლოს იდეა. სიძულვილი და შური, უგერგილობა და უკიდურესი ეგოიზმი და სიძიდიდრის განსაკუთრებული კულტი; ქვეყანა გადაიქცევა ჩინოვნიკთა არმიის მიერ მხარდაჭერილ სასტიკ დისციპლინას დამორჩილებულ მონასტრად. მუშები ნაკლებად არიან დაინტერესებული თავისუფლებით... ეს იქნება ყველაზე ბნელი მონობა განთავისუფლებაზე ყოველგვარი იმედის გარეშე. ადამიანთა გამყოფი განსხვავებანი გაქრება და დარჩება მხოლოდ სამუალო ადამიანის ტიპი, უცნიბებო და უხინვო, არც ჩერჩეტი, არც ჭეკვიანი, საშუალო თვალსაზრისის, საშუალო შეხედულებების... მაპმადი ურჯულოებს მოაქცევდა

მახვილით, ინკვიზიცია – ცეცხლით, კონგრენტი – გილიოტინით, ისინი – ყოველგვარი იზოლაციით და გაჩანაგებით... გაისმის სულ უფრო ძლიერი ყვირილი, – აღნიშნავს ლებონი, – რომელიც ითხოვს უფრო და უფრო წვრილმან რეგლამენტაციას. სახელმწიფო შეუჩერებლივ გამოსცემს კანონებსა და წესებს, იძულებულია ყოველივე განაგოს, ყოველივე გაითვალისწინოს. იგი შედის მოქალაქეთა ცხოვრების ყველაზე წვრილმან დეტალებში... ყოველივე გაქვდა! უზნეობა და გამყიდველობა ღრღნის ადმინისტრაციას, სასამართლოების უფრო ეშინიათ, ვიდრე ბოროტმოქმედების. პარტიები განუწყვეტლივ იბრძვიან ძალაუფლების დაუფლებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ პქნდეს შესაძლებლობა თავის ჯერად გაყვლიფონ და გამდიდრდნენ.” [2, გვ. 49] – აცხადებს ლებონი.

თუ გავითვალისწინებთ სოციალისტური სისტემის მიერ განვლილ გზას და თუნდაც დღევანდელობამდე არსებულ მდგომარეობას, მეცნიერის შეხედულებანი მართლაც საოცრად ზუსტ წინასწარმეტყველებას შეიცავს და მისი მრავალი ასპექტი კვლავაც აქტუალურია პოსტ-სოციალისტურ თუ პოსტ-საბჭოურ სივრცეში. ამასთან მეტად ნიშანდობლივია ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურისა და მუშათა კლასისადმი დამოკიდებულების გამოხატულება, რომელსაც აბდურახმან ავტურხანოვი თავის მოგონებებში იხსენებს და რომელიც პროფესორ ბულატოვს მათვის სემნარზე: “ლენინური დიალექტიკა პარტიულ მუშაობაში” შემდეგი სახით ჩამოყალიბებია: “ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით როგორც რევოლუციური დიქტატორები და ვერდნობით უმცირესობას, ჩვენ ვრჩებით ხელისუფლებაში როგორც დიქტატორები და ვპლავ ვეყრდნობით უმცირესობას. ჩვენ მუდმივად უნდა “ვეთათბიროთ” ლენინს და არასდროს ხალხს. ხალხი უტვინონ მასაა, რომელსაც აღვირო უნდა ამოსდო, რომ მან იმუშაოს, მასზე უნდა იძალადო, რომ გააბედნიერო – როგორც ვხედავთ პრაქტიკამ სრულიად დაადასტურა თეორია” [2, გვ. 49-50] – დასძენს ავტურხანოვი. (იხ. ა. ავტურხანოვი, მოგონებათა წიგნი, გვ. 728-729). ხოლო პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკოსი პანნა არენდტი თავის ნაშორმში “ტოტალიტარიზმის წარმოშობა” (1951 წ.) საუბრობს რა ტოტალიტარული რეჟიმის შესახებ, აღნიშნავს, რომ “ტოტალიტარული მოძრაობები ჩნდება იქ, სადაც მასებს, – ამა თუ იმ მიზეზით, პოლიტიკუ-

რი ორგანიზაციის შექმნის მადა გაეღვიძათ. ეს მასები არ არიან შეკავშირებული ინტერესთა გაცნობიერებული ერთობლიობით, მათ არა აქვთ კლასობრივი განსაზღვრულობა, რომელიც გამოიხატება კონკრეტული, შემოსაზღვრული და მისაღწევი მიზნის დასახვაში. ტერმინი მასა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომელიც უბრალოდ და მრავალ-რიცხოვნების ძალით, ან გულგრილობის, ან ერთი ან მეორე მიზე-ზით, არ შეიძლება გაერთიანებული იქნენ ინტერესთა ერთობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციაში... მასები არსებობენ ყველა სახელ-მწიფოში, ქმნინ უმრავლესობას, რომელიც მოიცავს უზომო რაო-დენობის ნეიტრალურ, პოლიტიკურად გულგრილ ადამიანებს, რო-მელიც არასდროს შედიან პარტიაში და თითქმის არასდროს მონა-წილეობენ არჩევნებში... პოლიტიკურად ნეიტრალურ და გულგრილ მასას შეუძლია შეადგინოს მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრა-ტიულად მართულ სახელმწიფოში და ე.ი. დემოკრატიას შეუძლია იცხოვოს კანონებით, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს უცი-რესობა” – ამბობს ავტორი და იქვე მიუთითებს, რომ “დამცველი კლასობრივი ტიხარების მოშლაშ პოლიტიკურ პარტიათა გარეშე მყოფი პასიური უმრავლესობა გარდაქმნა გააფთრებულ ინდივიდთა ერთ უზარმაზარ, არაორგანიზებულ, უსტრუქტურო მასად... სწო-რედ ისნი წარმოადგენინ მეორე მსოფლიო ომის დროიდან მოყო-ლებული ნებისმიერი ექსტრემისტული მოძრაობის ბაზას” [2, გვ. 48-49].

პოსტ-ტოტალიტარული ქვეყნების საზოგადოებრივ აზროვნე-ბაში იყო მცდელობა გამოქანახათ სოციალიზმისა და კაპიტალიზმი-საგან განსხვავებული რაღაც “მესამე” გზა. ალექსანდრე სოლევინი-ცინის ნააზრევში აღნიშნული “მესამე გზა” არსებითად “ჯანსაღი ტოტალიტარიზმის” სახეს იძნეს. ამ მესამე გზასთან დაკავშირებუ-ლად შეიძლება მივიჩნიოთ “მესამე მდგომარეობაში” მყოფი ადამია-ნი, ე.წ. პომოსვეტიკუსი, რომლის რაობის ახსნის გარეშე მნელი იქნება პოსტ-საბჭოურ სიგრცეში, და კერძოდ, საქართველოში ეროვნული მოძრაობის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების სრულფასოვანი გააზრება და მათი ანალიზი.

“მესამე მდგომარეობაში” მყოფი ადამიანის შესახებ არის სა-უბარი ითანეს გამოცხადების ცნობილ “არც ცივი ხარ, არცა ცხე-

ლი და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრძა და შიშველ. გირჩევ იყოდო ჩემგან ოქრო, ცეცხლით გაწმენდილი, რათა გამდიდრდე, და სპეტაკი სამოსი, რათა შეიმოსო, და აღარ გამოჩნდეს შენი სიშიშვლის სირცხვილი, და საოლავი იცხო თვალზე, რათა იხილო” [3, თავი 3, 15-18]

ადამიანის “შესამე მდგომარეობის” თვალსაჩინო დოკუმენტაცია “სტალინიზმის მსხვერპლ” ტელ კომუნისტთა შვილების წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-სადმი. აღნიშვნული წერილი მხილების მაგიერ ხელს აფარებს კომუნისტებს, “ბოროტების სამეფოს” შექმნას ისევ სტალინს მიაწერს და ისევ და ისევ იმ სტალინურ მექანიზმს იყენებს პარტიის გათეთრებისა. ამ ნამდვილი კომუნისტების, ნამდვილი კომუნისტი შვილებისათვის მათი მშობლების მიერ მილიონობით ადამიანის გაწყვეტა, სოციალური ქსოვილის და სტრუქტურების რღვევასა და ნგრევაში მონაწილეობა სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე, რაღაც ზინოვიევისებურ “ისტორიულ აუცილებლობად”, ან სოლუენიცინისებურ “იზდერეჟეკი ისტორიად” წარმოიდგინება. დამოუკიდებელი რესუბლიკების დაპყობა – რუსეთის იმპერიის სამართლიან აღდგენად. ეს გასაოცარი დაბნელება ხედისა ტიპიური მახასიათებელია “შესამე მდგომარეობაში” ჩავარდნილი ცნობიერებისა. ეს კი სრულ შესატყვისობამ იმყოფება ტოტალიტარიზმის საერთო სტრატეგიასთან, – მოახდინოს მასობრივი ცნობიერების შექანება და ამოძრავება თავის სასარგებლობი. აქვე უნდა ითქვას, რომ მასობრივი ცნობიერების შექანების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგინს არასასურველი პირის ან მოვლენის დისკრედიტაცია მასათა თვალში. ეს, იმპერატორების პერიოდში ოსტატურად დამუშავებული მეთოდი, სოციალისტური ბრძოლის ტაქტიკად იქცა და დახვეწილი, რაფინირებული სახე მიიღო საბჭოთა უშიშროების, ე.წ. “კგბ”-ს ხელში. პიროვნებას უნდა გაუშრო სისხლი, თუ ვერ მოერევი, – ეს იყო ამ ტაქტიკის ლატენტური მაქსიმა.

რა თქმა უნდა “კგბ”-მ და ტოტალიტარულმა სისტემამ შესანიშნავად იცოდა ვინ იყო სინამდვილეში მისი აგენტი, მაგრამ მასა იმის მასაა, რომ იმას დაუჯეროს, ვისგანაც ლოზუნგი ესმის, (ე.ი. შეკვეთას დებულობს), რადგან საკუთარი აზრი არა აქვს და არც პიროვნულობა. ყოველივე ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ

ბიძგი მიეცეს ეწ. კუდიანებზე ნადირობის დაწყებას, სადაც ვერა-ვინ იგრძნობს თაგს დაცულად და ხელშეუტებლად. ამასთან, ძალზე დამაფიქრებელი სურათია, როდესაც ასეთ ვითარებაში კეთილშობილი ინტელიგენტების რჯახის შვილი თავის თავზე იღებს “კბ”-ს დამახასიათებელ ფუნქციებს. მართლაც, დამაფიქრებელია ამგვარი დაკარგვა კრიტერიუმებისა და ზნეობრივი პრინციპებისა. ასეთი ჩამოქვეითება და შექანება ცნობიერებისა სავსებით ტიპიური ჩანდა და სავსებით შეესატყვისებოდა “მესამე მდგომარეობაში” მყოფ, გაპომისოვეტიკუსებული ცნობიერების, დაშლილი და დააგადებული ცნობიერების ტიპს.

ამგვარი კარგად ორგანიზებული და მიზანმიმართული “გაშავება-გათეთრების” სტრატეგით “კბ”-შ და მისმა საქართველოს განყოფილებამ “პარადოქსულად” შეიძინა ქართული ინტელექტუალური რეზერვუარის სახე. მასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოთანაშრომლეთა სია იმდენად ვრცელი და იმდენად ინტელექტუალურად მწიფე აღმოჩნდა, რომ ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ საქართველოს “კბ”-სთან ამგვარი ინტელექტუალური ძალები თანამშრომლობენ, მაშინ ვინდა აკეთებს ნამდვილ ეროვნულ საქმეს, თუ არა იგივე “კბ”? [1, გვ. 56-59] – აღნიშნავს პეტრე იბერი[□]. ახლა კი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეროვნული მოძრაობის საქმიანობასთან დაკავშირებული ის უდიდესი პრობლემები იმ ქვეყანაში, რომელშიც ლოგიკურ მსჯელობაზე მიყოლას ანალოგიური კითხვის დასმამდე მივყავართ. ამიტომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ტოტალიტარიზმი იქმნება იმ ისტორიული სინამდვილიდან, რომელსაც წარმოადგენს “მესამე მდგომარეობაში” მყოფი მასა; ხოლო საბჭოთა მასა – გენერალური მდივნიდან უკანასკნელ ნაწილაბმდე ყოველთვის “მესამე მდგომარეობაში” იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა პომოსოვეტიკუსმა შეიძინა მასობრივი “მესამე მდგომარეობისათვის” დამახასიათებელი ყველა ამბივალენტური ნიშანი. ამ ურთიერთსაპირისპირო გრძნებებს აძლიერებდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული ცხოვრების წესის სტრუქტურები, რომლებიც შეგა სუბსოციალურ დონეზე გა-

[□] პეტრე იბერი ურნალ ივერიაში ზემოთ აღნიშნული „შენიშვნების“ ავტორის ფსევდონიმია.

ნაგრძობდნენ მოქმედებას და ამით მაღლავდა და აბუნდოვნებდა იმ ფუნდამენტური ცალილებების სურათს, რომელიც ქართული ცხოვრების ტრადიციულმა წესმა და ხასიათმა, თუნდაც საბჭოთა პერიოდში განიცადა. ეს ქმნიდა იმის ილუზიას, რომ თითქოს ყველაფერი რიგზეა და პომოსოვეტიკუსმა საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი, რომ ტოტალიტარიზმი აცდა საქართველოს, მაგრამ სინამდვილეში დემორალიზაციამ მართლაც ტოტალიტარული ხასიათი მიიღო. ეს განსაკუთრებით გამომჟღავნდა ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში, როდესაც ყოველგვარი ზენობრივი კრიტერიუმი მოიშალა და მლიქნებულ-მსახურობრივმა ამორალობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ამან გამოიწვია მასშტაბითაც და უზნეობითაც ის უპრეცედენტო აგრესია საკუთარი სამშრობლოს მიმართ, რომელმაც ეროვნული თვითმკვლელობის, ანუ საკუთარი ხელით მტრის წინაშე ყელის გამოჭრის ხასიათი მიიღო. კვლავ გაისმა ნიკო ლორთქითანიძის სულის შემძვრელი სიტყვები: “იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით... ჰყიდის ყველა...”. ამ მოვლენათა ერთ-ერთი შემადგენელი ასპექტია თვითგამართლების ის უაღრესად დახვეწილი ტექნოლოგია, რომლითაც თითქმის ყოველი ქართველი და მთლიანად “ერი” თავის დანაშაულს ამართლებს სხვის აგრესიულობაზე მითითებით, რითაც თავის თავს არ აძლევს საშუალებას საკუთარ წილ ცოდვაზე და ცოდვილიანობაზე დაფიქსირებისა, ანუ “მესამე მდგომარეობიდან” გამოსვლისა. [1, გვ. 49-51]

წარმოჩენილი სურათისათვის მეტი დამაჯერებლობის მიცემის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ეწ. საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა და დისიდენტთა მოძრაობის აქტივისტთა რეალური სახის გაშიშვლება. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საჯაროობის ლოზუნგს ამოფარებულმა საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს თავიანთი ნამდვილი სახე და არ მორიდებიან ეწ. პატარა ერებისადმი, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების აშკარა გამოხატვას: საქართველოს და ქართველი ერისადმი “პატარა იმპერიის” ცნების დამკვიდრებას არცთუ წარუქმატებელი ცდა განახორციელა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა და დისიდენტმა, აკადემიკოსმა ანდრეე სახაროვმა (ამ თემაზე უფრო დაწვრილებით გვაქვს საუბარი წიგ-

ნის სათანადო ადგილზე); სტალინის ეპოქის სისხლიანი ფენომენის ქართული ეროვნული თავისებურებებით გახსნა სცადა მწერალმა ჩინგიზ აიტმატოვმა ოუ სხვებმა; ხოლო ასევე ცნობილმა პროზაიკოსმა ვიქტორ ასტაფიევმა არაერთი გვერდი მიუძღვნა ქართველი ერის აშკარა გაქიქებასა და ლანძღვა-გინებას. [4, გვ. 100-141]

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კრიტიკული დამოკიდებულება გაძლიერებული ჰქონდა რუსული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს საკუთარი ერისადმიც, მაგრამ ამ საფარის ქვეშ სრულიად კარგავდა ობიექტურობის გრძნობას, როცა საქმე ე.წ. პატარა ერების, კერძოდ კი საქართველოს ინტერესებს ეხებოდა. ადგილი ჰქონდა “პატარა” ერების წარმომადგენელთა მრჩიდან საპირისპირო ქმედებასაც. მაგალითად, იგივე აღექსანდრე სოლუენიცინი თავის წერილში “როგორ მოვაწყოთ რუსეთი?”, ამბობს, რომ “...მომავალი დიდი დაპყრობებისათვის თავს ვინადურებთ უგნური მმართველობით, ჩვენ გავჩერეთ ჩვენი მდიდარი ტყეები, გავძარცვეთ ჩვენი უსაზღვრო სიმძიდრე... შეუბრალებლად გავყიდეთ ის საზღვარგარეთ. დავაძაბუნეთ ჩვენი ქალები ჯანის გამტეხი აუტანელი მუშაობით, მოვწყვიტეთ ისინი შვილებს. თვით ბავშვებზე მივუშვეთ სენი განათლების გაყალბებისა და გაველურებისა. მთლიანად მიშვებულია ჯანდაცვა... მილიონობითაა უსახლკარო და გაუსაძლის პირადი უუფლებობითაა წალეკილი მთელი ქვეყანა, – ჩვენ კი ერთი რამ გვაწუხებს, – არ წაგვართვან უგნური ლითობის საშუალება... ჩვენი მთელი უაზრობა და ლაღუპა შეგვიძლია ავიტანოთ, თუმცა მთელი ჩვენი ცხოვრება თვალწინ გვაქვს გადაშლილი – მხოლოდ თავს არ დაესხან, არ შეურაცხყონ, არ შეეხონ ჩვენს ნაციას! აქ – უკვე ვერაფერი დაგვაკავებს მარადიულ სიმშვიდეში, აქ ჩვენ აღშფოთებული სამამაცით მივწვდებით ქვებს, ჯოხებს, იარაღს და დავეცემით მეზობლებს, რათა გადავწვათ მათი სახლები და ამოვხოცოთ ისინი...” [5, გვ. 3-4] მაგრამ ეხება რა “ნაციონალურ დამოუკიდებლობას ასე მოწყურებულ საქართველოს”, მისი აზრით, იგი რუსეთს ძალით არ დაუცილებია და იგი მხოლოდ ლენინმა დაიპყრო (Sic! – უ.ო.) 1921 წელს. და დღეს, ეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველო თურმე ავიწროებს აფხაზებს, ოსებს, თავის ნამდვილ სამშობლო თურმე ავიწროებს აფხაზებს, ოსებს,

ლოში არ უშებს სტალინის მიერ გასახლებულ მესხებს, – ამის შემდეგ კი სვამს დღდაქტიკით გაზავებულ კითხვას: “ნუთუ ეს არის ასე სასურველი ეროვნული თავისუფლება?” [5, გვ. 12] – და ეს მაშინ, როდესაც თვითონ წერილში “ჯანსაღი იმპერიალიზმის” ქვეშ სტალინურ მოდელს სთავაზობს “ახალ იმპერიას” და შეგონებებიც კი აქვს “პატარა ხალხების” დასამშვიდებლად, ხოლო თავად სლავურ გაერთიანებაზე მეოცნებეს უკრაინისა და ბელორუსის დამოუკიდებლად არსებობის შანსიც არა აქვს დაშვებული. [2, გვ. 61] ასეთია, სამწუხაროდ ამ რუსი ინტელიგენტ პატრიოტის ორმაგი სახე და მისი შეხედულებანი რუს ხალხზე; ქართველი ე. შევარდნაძე კი ტყავში ძვრება, რომ როგორმე ზნეობრივი სრულყოფილების თითქმის ეტალონად წარმოგვიდგინოს იგი. “რუსი ხალხისათვის, – ამბობს ე. შევარდნაძე, – მისი სულიერი არსისათვის დამახასიათებელია სოციალური სამართლიანობის გამახვილებული გრძნობა, რუს ხალხს ეროვნული თავისუფლების, ეროვნული სამართლიანობის მეტად გამახვილებული გრძნობა აქვს... რუსი ხალხი თდითგანვე იყო მრავალრიცხოვანი, ძლიერი, გენალური და დიდბუნებოვანი...” [6, გვ. 18] მედროვეობმ და საკუთარი ცნობიერების შუდმივად “მესამე მდგომარეობაში” ყოფნამ ეს პიროვნება იქამდე მიიყვნა, რომ საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოიყვანა, რაც ყველაზე მეტყველი მაგალითია “მესამე მდგომარეობაში” მყოფი ადამიანის მიერ მარადიული მონობის აპოლოგიისა.

აქვე უნდა მოვიყვანო კიდევ ერთი მრავლისმეტყველი მაგალითი. გაზეთ “ნოვოე რუსკოე სლოვოში” (ნიუ-იორკი) დაიბეჭდა ცნობილი რუსი სამართალდამცველის, ჟურნალ “კონტინენტის” (პარიზი) მთავარი რედაქტორის, მწერალ ვლადიმერ მაქსიმოვის სტატია სათაურით “დიდი ქართული შოვინიზმის შესახებ”, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ “ქართული ეროვნული მოძრაობა სასტიკად თრგუნავს აფხაზთა და ოსთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას... ქართველი ნაციონალისტები სასტიკად წინააღმდეგნი არიან მესხებისა და თურქული მოდგმის ხალხის დაბრუნებისა მათს ისტორიულ სამშობლოში – მესხეთ-ჯავახეთში...”

რუსი სამართალდამცველი განსაკუთრებით აღუშფოთებია და ქართველთა საწინაარმდეგოდ განუწყვია ბიულეტენ “Вести из

CCCP"-ში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც მოთხოვილი ყოფილა ქართველი ნაციონალისტების მიერ სურამში, თითქოს-და ებრაელთა დარბევის ფაქტის შესახებ. მაქსიმოვი ნიშნის მოგებით აღნიშნავს, რომ “და ეს მოხდა საქართველოში, სადაც არასდროს არ ყოფილა ანტისემიტიზმი; თვით “პამიატიც” კი ჯერ არ მისულა ამ დონემდე” – და ბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს: “მნელია ქართველთა მეგობარი უცბად გადაიქცეს მის მტრად – მაგრამ მე ისევე, როგორც ანდრეი სახაროვი და ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი, ჩემი უდიდესი სურვილისდა მიუხედავად, არ შემიძლია დავრჩე მეგობარი ასეთი ერისა: მიხსენით ასეთი პატივისაგან!” [7] აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად: არავითარი ძიება, არავითარი საღი აზრი, უბრალოდ საბჭოთა ბიულეტენში ამჟათხული ყალბი ცნობის საფუძველზე შეეძლო საბჭოთა “სამართალდამცველს” ასეთი დასკვნების გამოტანა, როთაც პირნათლად ასრულებდა მისი ერთადერთი ჭეშმარიტი დამკეთისა და მოქმედებათა კოორდინატორის საბჭოთა სუკ-ის მიერ მიცემულ ინსტრუქციას, ამასთან გამოდის ცნობილი რუსი სამართალდამცველისა და დისიდენტის საფარქვეშ. და ეს ე.წ. სამართალდამცველები და დისიდენტები აკეთებდნენ რა თავიანთ შავ საქმეს, ზუსტად იმის საწინააღმდეგო აზრის ჩამოყალიბებას ემსახურებოდნენ, რაც თითქოსდა მათ უმთავრეს მოწოდებას შეადგენდა. კერძოდ, ტოტალიტარული რეჟიმის ინტერესთა დაცვასა და მისი მსოფლიო მასშტაბით გათეთრებას, რათა გაამართლონ იმავე მსოფლიოს თვალში მისგან გამოვლენილი ტოტალური აგრესია ერთგულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მიმართ და ხალხთა წინააღმდეგ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი წარმოაჩინონ როგორც აუცილებლობით გამოწვეული ნაკლები ბოროტება. აი, ცნობიერების “შესაძე მდგომარეობაში” ყოფნის ნამდვილი საბჭოური არსი, რომელიც დღემდე წამლავს არა მარტო პოსტსაბჭოურ სივრცეს.

ასე, რომ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თანამედროვე ეტაპზე მოუხდა ყველა იმ სიძნელეთა დაძლევა, რომლებიც ჩვენ შეძლებისამებრ ვცადეთ ნაშრომში წარმოგვჩინა. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური ტოტალიტარული სახელმწიფოსა და ბოლშევიკური სოციალიზმის იდეოლოგიის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ტოტალიტარული რეჟიმი,

რომელიც ადამიანებს ისე იყენებდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, როგორც უბრალო ჭანჭიგებს; რამაც გამოიწვია ამ რეჟიმის პირობებში მცხოვრები ადამიანების ერთი პულტიდან სამართავ უპიროვნო მასად გადაქცევა. აქ კომუნისტური იდეოლოგიით გამსჭვალული და მის სახელმწიფოებრივ ზედნაშენთან შერწყმული მთელი სისტემა, — საზოგადოების დაშინებისა და მისთვის სახელმწიფო თვალსაზრისთა შთაგონების, ამასთან ამავე სახელმწიფოს ინტერესთა შესაბამისად მათი მართვის უნიკალურ მექანიზმს წარმოადგენდა, — რისი თანამდევი შედეგიც ამავე საზოგადოების ტოტალურ, უპიროვნო მასად ქცევა და გამოთაყვანება იყო. ამ უპიროვნო, გამასებულ, პასუხისმგებლობის არმქონე ერთობისათვის კი ცნობიერების “შესაძე მდგომარეობაში” ყოფნა ჩვეულებრივ, ბუნებრივ მდგომარეობად უნდა გავინილოთ. ასეთ პირობებში კი ის “ცდომილებანი”, რომელიც ქართულ ეროვნულ-განმათვისუფლებელ მოძრაობას თანამედროვე ეტაპზე თან სდევდა, თავისთვად, მოვლენათა განვითარების ლოგიკაში ჩამჯდარ ახსნას პოულობს და მათი გააზრება დღევანდელ საზოგადოებასაც კარგ საშახურს გაუწევს საბოლოოდ დააღწიოს თავი საბჭოური გადმონაშობის ტყვეობას. მთავარია სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ამ გზაზე არ შევჩერდეთ. ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ სულისკვეთით არის დაწერილი და ვფიქრობ, ის თავის მიზანს მიაღწევს.

და ჩვენ დღეს იმ ზღვარს მივადექით, როცა უკვე აღარ შეგვიძლია ჩვენი გარემომცველისაგან განსხვავებული სამყარო წარმოვიდგინოთ, განვჭვროტოთ რაიმე აშკარა და უეჭველი გზა, რაც მომავალში ძირულად გააუმჯობესებს ახლანდელ წყობას, მაგრამ კეთილი უნდა ვინქოოთ და ისტორიის სასრულის შესაძლებლობაც ვივარაუდოთ [8, გვ. 64] — ამბობს ფრენსის ფუკუიამა. მაგრამ აქვე უნდა გავინილოთ, რომ როდესაც იგი ლიბერალიზმსა და დემოკრატიის ურთიერთდაკვშირებულობაზე ლაპარაკობს, მიმართავს ლორდ ბრაიანსისეულ დემოკრატიის უძირითადეს უფლებათა კლასიფიკაციას, რომელშიც გამოიყოფა სამი უმთავრესი უფლება: 1. სამოქალაქო — “მოქალაქეთა განთავისუფლება კონტროლისაგან, როცა საქმე ეხება მის პიროვნებას და საკუთრებას”, 2. რელიგიურს — “განთავისუფლება კონტროლისაგან რელიგიური შეხედულებების

გამოხატვისა და ღვთისმსახურების დროს”, და 3. პოლიტიკურს – “კონტროლისაგან განთავისუფლება ყველ იმ შემთხვევაში, როდე-საც ისე არ ზარალდება მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, რომ კონტროლი გახდეს აუცილებელი”; აქვე მოიაზრება პრესის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებაც [8, გვ. 57-58], – აღნიშ-ნავს ფუკიამა.

ფრენსის ფუკიამას მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას აქვს ის დიდი ნაკლი, რომ ისინი კაცობრიობის საზოგადოებრივი ისტო-რიისადმი უდიდესი პესიმიზმის გამოხატულებას წარმოადგენნ. მორწმუნე ადამიანი, რომელიც უფალმა შექმნა “ხატად და სახედ თვისად”, არ შეიძლება ამ პესიმიზმს იზიარებდეს და ამით უარ-ყოფდეს საკუთარ თავში დავანებულ ღვთიურ საწყისს, სამყაროს შემოქმედის ყოვლისშემძლეობასა და ამოუწურაობას. ავტორის პო-ზიცია მიუთითებს მისი გონებრივი შესაძლებლობების ზღვრულო-ბასა და უნივერსალური შემოქმედის არსებობის ურწმუნობაზე, რაც ადამიანთა ცნობიერების “მესამე მდგომარეობის” თავისებურ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, – როდესაც მისი “ხედვის” იქთ თითქოს აღარაფერი არსებობდეს უსასრულო სამყაროში. ეს გონებრივი ბინდი და სისაპყრე დამახასიათებელია იმ სამყაროსათ-ვის, რომელიც აპირებს თავად მოგვევლინოს მსოფლიოს ერთა-დერთ კანონმდებლად და სილულ “ყოვლისშემძლედ”, სინამდვილე-ში კი დედამიწისეული, მიწიერი პრობლემების სათავისოდ გადაწ-ყვეტას ცდილობს და ამიტომაც “ქადაგებს”. თავისუფლება კი უფ-ლის რწმენაა, რომელიც არავთარ კონტროლს არ შეიძლება ექ-ვემდებარებოდეს. ადამიანი რწმენაში, თავად არის თავის უფალი. და პოსტსაბჭოურ სივრცეში, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი მოძრაობის მიერ წამოწყებულმა ეროვნული სახელმწიფო-ებრიობის აღდგენისა და თავისუფლების იდეებმა უპირველესი მოთხოვნილების ხასიათი მიიღო, – მრავალწლოვანი ტანჯვა-წამე-ბისა და უღმერთობის პოლოგის შემდეგ, – ზუსტად ეს წარმო-ადგენს ყველაზე თვალზიღულ მაგალითს ადამიანის ბუნების ჭეშ-მარიტებასთან უტყუარი ზიარობისა და თავის უფლისაკენ მარადი-ული სწრაფვისა. და თუ კაცობრიობის ისტორიას დასასრული უწერია, ეს არ მოხდება მანამ, სანამ იგი არ მიაღწევს მისი ამ მა-

რადიული სწრაფვის უმთავრეს მიზანს, – საწყისთან დაბრუნებას, ანუ თავის უფლებას.

მაგრამ აქევე უნდა აღნიშნოთ, რომ ფუკიამა იქვე გვამცნობს: “რჩეული ინტელექტუალები იმ დასკვნამდეც კი მივიღნენ, რომ საერთოდ არ არსებობს რაიმე ლოგიკური თანმიმდევრობა ადამიანთა საქმიანობაში – ანუ ისეთი რამ, რასაც ჩვენ ისტორიას ვუწოდებთ”. [8, გვ. 21]

ლოგიკა, ისტორია თუ სხვა, ადამიანის მიერ შექმნილი ცნებები, მოვლენათა მისეული გააზრების მეთოდოლოგიური საშუალებებია, რომელთაც ღვთიურთან მხოლოდ იმდენად აქვთ შეხება, რამდენადაც ადამიანური აზროვნების პროდუქტს წარმოადგენერ. ამ შემთხვევაში და ამ თვალსაზრისით ეს ინტელექტუალები, შეიძლება მათდა უნებურადაც, ჰეშმარიტებასთან ახლოს არიან – რადგან რაში სჭირდება უფალს “რაიმე ლოგიკური თანმიმდევრობა ადამიანთა საქმიანობაში”, ანუ მათი ისტორია... ეს ჩვენთვის, მისგან უნებურად მოწყვეტილთათვის, არის აუცილებელი საჭიროება – ვიქინიოთ რაღაცის შესახებ მეხსიერება და გავაგეთოთ ანალიზი, ხშირ შემთხვევაში კი, საკუთარი ადამიანური უბადრუკი მოთხოვნების გამართლებას მიღესადაგოთ იგი სათანადო იდეოლოგიური საფენლის სახით. როდესაც ადამიანები ყოველივე ამას ბოლომდე გავაზრებთ, სრულიად ბუნებრივი გამოჩნდება ჰეგელისეული წინასწარმეტყველება, რომ “ჩვენ ვდგავართ მნიშვნელოვანი ეპოქის კარიბჭესთან, იწყება დუღილის დრო, როცა სული დიდი სისწავით მიპრის წინ, იშორებს ძეგლ ფორმას და ახალს იძენს. უწინდელი წარმოდგენები, შეხედულებები, ძეგლი ჯაჭვები, რომლებიც ჩვენ სამყაროს აკავშირებდნენ და აერთებდნენ, სიზმარეული ჩვენებებივთ იშლება და იმსხვრევა. სული ახალ ფაზას იმზადებს თავისთვის... ისინი, ვინც ამას უმწეოდ ეწინააღმდეგებიან, ამაოდ ებრაუჭებიან წარსულს”. [9, გვ. 352]

საბჭოთა იმპერიის გადარჩენის უკანასკნელ ცდას გარდაქმნა წარმოადგენდა, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის აღსასრული ვერ შეაჩერა პოლიტიკურმა ლიბერალიზმა და კოსმეტიკური ხასიათის სოციალ-ეკონომიკურმა რეფორმებმა. მისი შეუქცევადი ნგრევა გაგრძელდა. ასეთ პირობებში შიდა და გარეშე ანტიქართულმა ძალებმა კარგად იცოდნენ, თუ რა გაქანებითა და სიცოცხლისუნარიანო-

ბით ხასიათდებოდა ქართული ეროვნული იდეა. სწორედ ეს იდეა იყო ის კატალიზატორი, რომელიც ასწლეულების განმავლობაში ასულდგმულებდა მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზრს. აქედან გამომდინარე, თუ დაგუშვებთ, რომ მტრული ძალები ცდილობენ შეაფერხონ ქართული ეროვნული იდეის განვითარება, მივალთ დასკვნამდე, რომ აქედანვე უნდა იღებდეს სათავეს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვლილი გზის და მიღწეული შედეგების იგნორირებაც.

ამ კონტექსტში უნდა გაცნობიერდეს თანამედროვე დემოკრატიზმისა და პატრიოტული ნაციონალიზმის ურთიერთდამოკიდებულებაც. თუ მცირე ერების ეროვნული სულიერებისა და ფიზიკური გადარჩენის გზა პატრიოტული ნაციონალიზმია, იმპერიული დემოკრატიის ახალ ფორმას “ძალით მშვიდობის ღოქტრინა” წარმოადგენს, რომელიც მიმართულია მცირე ომების საშუალებით ურჩი ერების თვითმყოფადობის დათრგუნვისა და შეჩერებისაკენ. ამასთან, არის მცდელობა ნაციონალიზმი გამოცხადდეს არაცივილიზორებული ერის თვისებად, რომელიც არ არის მზად დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. აგრეთვე ზოგიერთი უშვებს იმაზე დემოგაგოურ მსჯელობასაც, რომ ადამიანური ჭეშმარიტება (ანუ საკუთარი “ჭეშმარიტება”) სამშობლოზე მაღლა დგას და საერთოდ არ არის აუცილებელი ენისა და ერის ერთად რწმენა. ე.ი. ეროვნული იდეა დაიყვანება რაღაც ტომობრივ იდეაზე, რომელიც წარსულში გვაძრუნებს და ყველანაირ პერსპექტივას უსპობს მცირე ერების თვითმყოფადობას. [10, გვ. 108-111]

აი, ასეთ ვითარებაში მოუხდათ თანამედროვე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსკეურთ თავზე აეღოთ ეროვნული თავისუფლებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის უდიდესი პასუხისმგებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების სათავეში მიხეილ გორბაჩოვისა და მისი გუნდის მოსვლას მოჰყვა მცდელობა კურსი აეღოთ სისტემის გარდაქმნასა და გაღემოკრატიულობაზე, რისი თანამდევიც იყო მონოპოლიური კონტროლის გაუქმება საბჭოთა ადამიანის აზროვნებაზე. ადამიანები საბჭოთა სივრცეში სერიოზულად დაფიქრდნენ საკუთარ ნამდვილ დანიშნულებასა და რაობაზე, და უცებ გაირკვა, რომ საბჭოთა კონსტიტუციით დეკლარირებული “ახალი ისტორი-

ული ერთობა – საბჭოთა ხალხი”, – მხოლოდ ფიქცია იყო და ყველა მისი შემადგენელი კომპონენტი არასდროს შეღევია საკუთარი ეროვნული სახელმწიფო ბრიობის აღდგენისა და სანუკვარი თავისუფლების მიღწევის ოცნებასა და იმედს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის უმთავრესი საძირკველის, – კომუნისტური იდეოლოგისა და ე.წ. სოციალისტური სისტემის სრული გაკოტრება და მისი არარაობა განსაკუთრებით მკეთრად წარმოაჩინა ტელეზიდებმა დასავლურ სამყაროსთან, რომელთა დროსაც საბჭოთა მხარეს ვეღარაფერი უშველა ვერც “სუკ”-ის შემზადებულმა სიუჟეტებმა და კონტიგენტმა, და ვერც აგიტაცია-პროპაგანდის ტყუილების კონვეირმა.

აღნიშნულ მოვლენათა თანამდევმა პროცესებმა თავისი გამო-სატულება პპოვა საქართველოშიც. აქ, თავიდან ისტორიულ ძეგლთა დაცვის საბაბით გაიშალა ანტისაბჭოთა მოძრაობა შემდეგ კი, თანდათანობით ძალთა მოკრებისა და ამ ლოკალურ ბრძოლებში გამოწროთობის კვალობაზე, იგი გადაიქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მუხტის მატარებელ მძლავრ ბირთვად, რომლის გარშემოც შემდგომში შეიკრიბა ქართული ეროვნული მოძრაობის მოწინავე ძალები.

1987 წლის 11 დეკემბერს ქ. თბილისში შედგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 41 აქტივისტმა. კრებამ განიხილა საზოგადოების პროგრამისა და წესდების პროექტები, რომელიც წარმოადგინა გიორგი ჭავჭავაძის. ცხარე კამთის შემდეგ მიღებულ პროგრამასა და წესდების პრეამბულაში ნათქვამია, რომ ი. ჭავჭავაძის საზოგადოება წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ გაერთიანებას, რომლის მიზნია: ქართველი ერის ინტერესებისა და უფლებების დაცვა, ზრუნვა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესანახად და ეროვნული ოვითშეგნების განსამტკიცებლად.

საზოგადოების სამი წმინდათაწმინდა პრინციპია: ენა, სამშობლო, სარწმუნოება. მასში აღნიშნულია, რომ ქართველის ერთა-დერთი სამშობლო საქართველოა და ამიტომაც საქართველო უნდა დარჩეს ქართველთა ქვეყნად.

ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს მომავალთან, უნდა წყდებოდეს ქართველი ხალხის უმრავლესობის

ნებითა და სურვილით. ყველა პროექტი, რომელიც ემუქრება საქართველოს ბუნებას, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, ანდა პოტენციურად შეუძლია დემოგრაფიული ცვლილებების გამოწვევა, გამოტანილი უნდა იქნას მთელი საქართველოს მასშტაბით საჯაროდ განსახილველად [12, გვ. 15-18] და ა.შ. ურნალ “გუშაგის” იმავე ნომერში აღნიშნულია, რომ საზოგადოების გამგეობის წევრები გახდნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ვანო ხუსუნაიშვილი, დავით ჯანელიძე, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია და რომ საზოგადოებას ფილიალები აქვს ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში. [იქვე]

ბათუმში აღნიშნული საზოგადოების ჩამოყალიბების სათავე-ებთან იდგა ერთის მხრივ – ბათუმის ჯგუფი რ. ნადირაძის, ჯ. ჯიჯეიშვილის, ბ. დოლიძის და სხვ. შემადგენლობით, და მეორეს მხრივ, – დ. ბერძენიშვილის, გ. ტოტოჩავასა და ბ. თევზაძის დაჯგუფება, ე.წ. კლუბ “თვალსაზრისის” წარმომადგენელთა სახით.

ამ ისტორიულ პროცესთა მიღმა რომ არ დარჩენილა აჭარა, ამის მაგალითია ის, რომ ბათუმის ჯერ კიდევ 1987 წლის ოქტომბერში ადგილი ჰქონდა ეროვნული სულისკვეთების ლიტერატურულ-მხატვრული აღმანანის “ბათუმის” გამოცემის ცდას. აღმანანის გამოცემაზე უფლების მიღების შესახებ ბათუმელ წელთა ჯგუფმა: ზურაბ გორგილაძის (პოეტი), ანზორ კუდბას (მწერალი), რობერტ ნადირაძის (აირჩიეს აღმანანის რედაქტორად), გახტანგ ლლონგის (პოეტი), ჯონი ჯოვანიშვილის (მხატვარი), თამაზ დიასამიძის (მხატვარი, ბათუმის სამხატვრო სალონის მაშინდელი დირექტორი), შემადგენლობით, თხოვნით მიმართა შესაბამის საბჭოთა ორგანოებსა და ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს, რაზედაც უარი მიიღო. [13] მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში გამოვლენილი ამგვარი ტენდენციები (თავისუფალ გამოცემათა დაარსების ცდა – უ.ო.) გამხდარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყურადღების საგანი და მასაც ჩვეული სისწრაფით მოუხდენია მასზე რეაგირება, – უმაღლ გამოუცხვია შესაბამისი დადგენილება, რომლის შესახებაც ინფორმაციას გვაწვდის განმეორებით იმავე მოთხოვნაზე (აღმანანის გამოცემის უფლება) ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის

მიერ მიღებული დადგენილება განმეორებითი უარით, რომელშიც გკითხულობთ: “...გაცნობებთ, რომ კოოპერატივის წესდების დამტკიცება შეუძლებელია, რადგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 23 ოქტომბრის №5 ოქტომბრის ბირველი პუნქტის გადაწყვეტილებით საგამომცემლო და ტიაბოგრაფიული კოოპერატივების შექმნა არ შეძლება”. [14] მიუხედავად ამისა, უურნალ “ბათუმის” ბირველი ნომერი მაინც გამოვიდა და ამის შესახებ აღნიშნა არაფორმალურმა გაზეთმა “ქართულმა ქრონიკამ” თავის 1988 წლის ივლისის ნომერში, თუმცა იქნება გამოთქვა სურვილი აღნიშნული გამოცემის სრულყოფის აუცილებლობის შესახებ. [15]

როგორც უურნალ “ბათუმის” გამოცემის ერთ-ერთმა ინიციატორმა რ. ნადირაძემ განგვიმარტა, აღნიშნული აღმანახი უნდა ყოფილიყო ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანება “ბათუმის ჯგუფის” ლიტერატურული შეხედულებების წარმოჩენის საშუალება.

რაც შეეხება “ბათუმის ჯგუფს”, იგი დაარსდა 1987 წლის 4 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში, მაჭახლის ქუჩის №5-ში. მას პეტონდა საკუთარი პოლიტიკური ორგანო, გაზეთი “ბათუმის ხმა”, რომლის პრეზენტი ნომერიც 1988 წლის 11 სექტემბერს თვითონაბეჭდის სახით გამოვიდა (მაგრამ მისი არცერთი ეგზემპლარი რედაქციაში შემონახული არ არის). ამ გაზეთის მეორე ნომერი გამოვიდა ბათუმის ცნობილი მოვლენების წინ, 1988 წლის 11 ოქტომბერს. მასში აღნიშნულია, რომ “ბათუმის ჯგუფის” წევრს აქვს დამოუკიდებელი მოქმედების სტატუსი და პოლიტიკურ გაერთიანებას გააჩნია პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და რელიგიური სექციები; [16] რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ “ბათუმის ჯგუფმა” გაზეთის საშუალებითაც დააფიქსირა თავისი არსებობა. მანამდე კი, სანამ ბათუმში მომხდარ უმნიშვნელოვანეს აქციებზე გავაგრძელებდეთ საუბარს, საჭიროდ მივიჩნიეთ საქართველოში იმ მოვლენების შესახებ მოგვეთხრო, რომლებიც წინ უძლოდა და რომელთაც ფაქტიურად ნიადაგი შეამზადეს ამ აქციებისათვის.

ეროვნული მოძრაობის გამოღვიძებას საქართველოში კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაუპირისპირა აღვირახსნილი კამპანია დისიდენტური მოძრაობის წინააღმდეგ. 1988 წლის 28 ოქტომბერ-გალს, და 5-6 მარტის გაზეთ “კომუნისტის” ნომრებში გამოქვეყნდა ზვად გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაცია,

სათაურით “შეიცან თავი შენი” (ავტორი დემურ იოსელიანი), რომელსაც “სუგ”-ის, ამ უჩინარი დირიქორის ბეჭედი აზის, [12, გვ. 22] – აღნიშნავს პარიზში გამომავალი პატრიოტული გამოცემა შურნალი “გუშაგი” და იქვე განაგრძობს, – პრესის უხეშმა თავ-დასხმებმა, რომელზედაც პასუხის გაცემის უფლებაც არ გააჩნია, პოლიციურმა დევნამ (პოლიციურატურაში გამოძახებები, მოსკოვში მგზავრობის აკრძალვა) ზვიად გამსახურდია აიძულა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. მან 11 მარტს შიძმილით გაფიცვა გამოაცხადა, – ნათელად მა პუბლიკაციაში, შემდეგ კი მისი ავტორი გაზეთ “კომუნისტის” რედაქტორზე გამოთქვამს შემდეგ შენიშვნას: თქვენი ე.წ. კორესპონდენტები ზვიად გამსახურდიას უკიდურეს იმ სისუსტეზე, რომელიც მან ათიოდე წლის წინათ გასამართლების დორს გამოიჩინა და ნაწილობრივი მონანიების განცხადება გააკეთა; ასეთი მანევრი ახლა შეცდომაში ვერავის შეიყვანს, – აგრძელებს პუბლიკისტი, – სხვები რომ დავითიშვილთ, სულ ახლახან რეაბილიტირებული ნიკოლოზ ბუხარინის და მასთან ერთად დახვრეტილი ოციოდე ბრალდებულის მონანიებათა გახსენებაც საკმარისია იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება და რა ფასი აქვს საბჭოთა სასამართლოში გაკეთებულ მონანიების განცხადებებს, [იქვე] – მართებულად შენიშნავს ავტორი.

უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამის შესახებ მერაბ კოსტავამ და თვით ზვიად გამსახურდიამაც გააკეთეს სათანადო განმარტებანი. [17, გვ. 48-50] მაგრამ ისინი, ვისაც სხვა არაფერი ეგალებათ, გარდა სუპ-ის დაგალებათა შესრულებისა, – დისკრედიტაცია მოახდინონ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, – დღემდე თვალსაც იბრმავებენ და ყურსაც იყრუებენ, და თვით არაერთგზის მხილებულნი საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალებთან აღიანსში, აგრძელებენ თავიანთ ბინძურ საქმეს, რადგან გარდა შეკვეთილი მისის შესრულებისა, მათ სხვა დანიშნულება არასდროს ჰქონიათ.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა სადავეები და ვერ ეგუება რა საზოგადოების დემოკრატიზაციას, კერძო ინიციატივას და თვითმოქმედებას, საქართველოში კრძალავს დამოუკიდებელ გამომცემლობას და იქვემდებარებს ახლადშექმნილ რუსთაველის საზოგადოებას. [12, გვ. 26] გამოცემის

თავისუფლების აკრძალვის დადგენილება მიღებულ იქნა ჯერ კი-
დევ 1987 წლის 23 ოქტომბრის სსრ კავშირის მინისტრთა საბ-
ჭოს სხდომაზე, – რაზეც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, – რომელ-
საც თვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ რიუკოვი
თაგვეკლომარეობდა. [იქვე]

გორბაჩივისული გარდაქმნის სამი წლისთავის შედეგების მეტად შთაბეჭდავ სურათს გვაძლევს ფრანგული გაზეთი “ლე მონდ”-ი, [18] რომელშიც ნათქვამია, რომ “ყველა ეს გორბაჩივისული “სიახლენი” ეკონომიკაში ცხადია, რომ აღიარებაა საბჭოთა რეალური სოციალიზმის გაკოტრების, მოასწავებს კაპიტალისტური წესისაკენ მორცხვ დაბრუნებას, თუმცა ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა იხტიბარს არ იტეხს და საწინააღმდეგოს უმტკიცებს ხალხს. ჯერჯერობით ამ რეფორმების შედეგი ნოლია. არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა მოსახლეობის ცხოვრების დონეს არც ერთ სფეროში. არც სურსათის, არც ჩაცმა-დაბურვის, არც ბინის, არც სანიტარული და არც სამედიცინო მომსახურებაში... ხელი-სუფლებაში მოსვლის სამი წლის თავზე ბატონი გორბაჩივი ვერ დაიქადნებს, რომ მის იალქნებს ზურგებრი უბერავდეს... შავი ღრუბლები გროვდება განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის შიგნითა პორიზონტებზე. ნაციონალიზმი, რომელმაც კავკასიაში იფეთქა, რეჟიმს აეწენებს საშიში და რთული კრიზისის წინაშე... სამი წლის ჭიდილის შემდეგ ეკონომიკის რეკონსტრუქცია, რომელიც ჯერ კი-დევ პროექტის მდგომარეობაშია, აწყდება პრაქტიკული განხორცი-ელების და თვით სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგობებს. საბ-ჭოთა მოქალაქენი მათ ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში, არამცუ გაუმჯობესებას ვერ ხედავთ, არამედ კიდევ ახალი საზრუნავი გა-უჩნდათ, მოსალოდნელი ცხოვრების დონის კადევ უფრო შემცირე-ბის და სამუშაოს დაკარგვის საშიშოებისაგან”. [იქვე]

ეხება რა საბჭოთა მმპერის ეროვნულ პლიტიკას უურნალი “გუშაგი” მართებულად შენიშნავს, რომ მისი – მწვავე კრიზისი აშკარა გახადა აღმა-ათაში, სუმგაითში, ბაქოში, მთიან ყარაბაღში მომხდარი გამოსვლებისადმი სისხლიანმა ანგარიშსწორებამ; – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის პატრიოტულმა მანივესტაციებმა, რომელთაც დაგმეს 1939 წლის 23 აგვისტოს რიბენტროპ-მოლოტოვის მუხანათური ხელშეკრულება, – ცხადყო და ნიღაბი

ახადა საბჭოთა სისტემის ონტერნაციონალიზმის ყალბ მითს და მისი ძლევამოსილების იღუზიებს. [12, გვ. 8-10] შემდეგ კი, რედაქტორი ეხება რა საქართველოს დაპყრობის 67-ე წლისთავს, პირდაპირ მიუთითებს, რომ “ამ ხნის განმავლობაში ქართველი კაცის კაცობა, მისი თავმოყვარეობა არა მარტო იმითაა შელახული და დამცირებული, რომ ის მასზე ძლიერმა მტერმა ბრძოლის ველზე დაამარცხა და დამორჩილება აიძულა, არამედ კიდევ უფრო მეტად იმიტომ, რომ გამარჯვებული მტერი, ეროვნული მოსახლის მუქარით, მას აიძულებს თეთრს შავი უძახოს და, პირიქით, შავს თეთრი, დაპყრობას – განთავისუფლება, განთავისუფლებას კი – დაპყრობა; მამულს შეწირულნი მამულის მტრებად გამოაცხადოს, ხოლო მართლა მტრები და ძოლალატენი – გმირებად და პატრიოტებად...

ქართველი ერის უკანასკნელი 70 წლის ისტორიას ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი აქვს: პირველია 1918 წლის 26 მაისი, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა და თვითხელმწიფებრივი გამოცხადა, ხოლო მეორე კი – 1921 წლის 25 თებერვალი, როცა საბჭოთა რუსეთმა იგი დაამზო. ქართველი ხალხისათვის მისი ისტორიის რეაბილიტაცია ნიშნავს, უპირველესად ამ ორი მთავარი თარიღის რეაბილიტაციას, ესე იგი მათ შესახებ სიმართლის აღიარებას, [იქვე] – აცხადებს ავტორი. უკვე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის მიერ გამოგონილი ყალბი კონცეფციებით ფონს გასვლა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებაშ საქმეში ჩართო ქართული საბჭოთა ონტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები და მათი მეშვეობით სცადა ახალი, ნახევარსიმართლით გაზავბული, კონცეფციის შეთავაზება ქართული საზოგადოებისათვის, – და მაშინ, როდესაც 1988 წლის 26 მაისს ქართული მოწინავე საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავ აქციებზე აქტიურად გამოვიდა, “საქართველოს პრესისა და რადიო-ტელევიზიის პუბლიკაციებს დაემატა ეწ.” “მრგვალი მაგიდა” თემაზე: “დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საქართველოს სახელმწიფო ბრიტანების აღდგენის საკითხები”, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსები გიორგი მელიქშვილი, ნიკოლოზ ჭავჭავაძე, აკაკი სურგულაძე და სხვა მეცნიერები. [ჟ. “გუშაგი”, №16,

გვ. 3-4] სწორედ ამ ფაქტზეა გამახვილებული ყურადღება, როდე-საც შურნალი აღნიშნავს, რომ ეს ოფიციალური ისტორიკოსები ზემოდან მიღებული ბრძანებების მიხედვით აღაპარაკებენ ისტორი-ულ ფაქტებს: ახლა ტყუილებზე აგებულ ისტორიის ძველ კონ-ცეფციებს გმოხენ, მაგრამ ახლა ახალ ტყუილებზე აგებულ კონ-ცეფციებს გვთავაზობენ. მაგალითად, წინათ დაწუნებულ ეროვნულ დამოუკიდებლობას, ახლა იწონებენ, მაგრამ მის დამსახურებას ქართველ ხალხს ართმევენ და რუსეთის ბოლშევიკურ რევოლუცი-ას აკუთვნებენ; კიდევ მეტი, წელებზე ფეხს იდგამენ და მიკიბულ-მოკიბული დიალექტიკით, მის დამხობას და ქვეყნის სამხედრო ოკუპაციას ამართლებენ... [იქვე] ასეთი დიალექტიკის წინააღმდეგ კი, რა თქმა უნდა, სრულიად მართებულად გაილაშქრა ქართველ პატიორტთა დაჯგუფებამ, რომელსაც “საქინფორმი” მეცნიერული პოლემიკის და ეთიკის ნორმების დარღვევაში სდებს ბრალს. [იქვე] ეს იყო ძველი ტყუილების ახლით შეცვლის წარუმატებელი მცდე-ლობა, რაშიც, სამწუხაროდ, მონაწილეობა მიიღეს ქართული მეც-ნიერების ცნობილმა წარმომადგენლებმა.

საბჭოურ სივრცეში აღნიშნულ პერიოდში მომხდარი მოვლე-ნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1988 წლის 11-12 ივნი-სის ქ. ლვოვში გამართული საბჭოთა კავშირის ხალხთა პატრიო-ტული მოძრაობის წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიც საქარ-თველოდან მერაბ კოსტავა მონაწილეობდა. აღნიშნული თათბირის მონაწილენი მათ მიერ მიღებულ საერთო განცხადებაში იძულებუ-ლი გახდნენ ერიარებინათ, რომ “...დემოკრატიულ დისიდენტობას-თან მრავალწლიანი კონფლიქტებიდან მიღებულმა ჩვენმა პირადმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ რუსული დემოკრატიული ოპო-ზოციის მოღვაწებს ჯერაც არა აქვთ გაგებული დემოკრატიის აქ-სიომა: სხვა ერის მტანჯველი ერი, არ შეიძლება იყოს ჭეშმარი-ტად თავისუფალი”, [19, გვ. 25-27] – რაც დიდად საყურადღებო განცხადებაა ყველასათვის, განსაკუთრებით, რუსული დემოკრატიზ-მის მესვეურთათვის. ამავე თათბირზე შექმნილმა საბჭოთა კავში-რის ხალხთა პატრიოტული მოძრაობის საკოორდინაციო კომიტეტ-მა, რომელშიც მერაბ კოსტავაც შედიოდა, თავის დასკანით გან-ცხადებაში აღნიშნა, რომ მათ მიერ წამოყენებული ყველა მოთხოვ-ნა “აუცილებლად არის დაკავშირებული სრულ პოლიტიკურ და

ეკონომიკურ დეცენტრალიზაციასთან საბჭოთა კავშირში, რომელიც მომავალში გვესახება როგორც ცალკეული სუვერენული სახელმწიფოების კონფედერაცია”. [19, გვ. 27-29] აღნიშნულ თათბირზე შექმნილ საკორდინაციო კომიტეტში მერაბ კოსტავას გარდა შედიოდნენ შემდეგი ეროვნულ მოძრაობათა წარმომადგენლები: ივარ შუკოვსკისი (ლატვა), ანტანას ტერლაციასი და ევგენიუს კრუკოვსკისი (ლიტვა), სტეპან ხმარა და ვიაჩესლავ ჩერნოვილი (უკრაინა), ლავლა პარეკი და მატი ვილუ (ესტონეთი). [იქვე, გვ. 27] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოთ მოცემული განცხადებიდან აიღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამებობრობის შექმნის იდეა მისმა შემოქმედებმა. მაგრამ სანამ პოსტსაბჭოურ სივრცეში ეს იდეა პატივსაცემი გახდებოდა, მანამ აქ არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს დიდი ბრძოლების გადახდა მოუხდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოსაპოვებლად და მათი სუვერენობის ასაღიარებლად. ამ ბრძოლაში კი, ქართული ეროვნული მოძრაობა ყოველთვის მოწინავე ხაზზე იდგა.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, 1987 წლის დეკემბერში შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დას. მაგრამ უურნალ “გუშაგის” 1988 წლის ოქტომბრის ნომერში ლაპარაკია საზოგადოების შიგნით უკვე ჩამოვარდნილ განხეთქილებაზე, [20, გვ. 27-29] რომელიც, სამწუხაროდ, ბოლომდე გაპყვა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ავტორი აქვე მიუთითებს, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასი იყოფა სამ ზონად: თბილისის, დასავლეთი და აღმოსავლეთი. დასავლეთის ზონაში გაერთიანებულ ფილიალებს შორის კი დასახელებულია ბათუმისა და ხულოს ფილიალები. [იქვე, გვ. 26] იქვე მოტანილია საინტერესო ინფორმაცია ამ საზოგადოების ფრაქციათა დახსინათებით. “ფრაქციამ, რომლის გამგეობაში მამულია-ჩხეიძეა, – ნათქვამია მასში, – თავი მოუყარა ქართველ პატრიოტთა იმ ნაწილს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მთავარია ხალხის გათვითცნობიერება. ეს ფრაქცია უფრო მოხერხებული ჩანს, უფრო ლოიალურია ხელისუფლებასთან და სწორედ ამიტომ მისგან ნაკლებად სალანძღავი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია მცდარია, ან, მით უფრო, მავნებელი, არა! იგი ძალიან საჭირო და სასარგებლოა...” [იქვე, გვ. 28] შემდეგ ეხება რა ზეიად გამსახურდიას, ავტორი აღნიშნავს: “ჩვენ კარგად ვიც-

ნობთ ზვიად გამსახურდიას, ვხედავთ მის სუსტ და ძლიერ მხარე-ებს და ჩვენ ვამბობთ: ესაა წყაროსავით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი ქართული ეროვნული მოძრაობისა. მას გააჩნია დისიდენტური მოქმედების უზარმაზარი გამოცდილება, უნიკალური საერთაშორისო კავშირები, და მისი ჩამოშორება ან განადგურება შეიძლება სურდეს მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ მტრებს და “კბ”-ს მეგობრებს. მე ვიცი, თუ როგორ არ უყვარს “კბ”-ს ზვიადი. შეხედეთ მხოლოდ იმ ჭუჭყის ღვარცოფს, რომელსაც მას ასხამს ოფიციალური პრესა! რატომ? პასუხი ერთია: ზვიადი ეჯექტურად მოქმედებს, ის ყელში ეჩხირებათ კომუნისტებს... როგორ მოვექცეთ მერაბს, რომელის სულიერი ძალა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსათვის? როგორ აიხსნას ის ფაქტი, რომ ზვიადი და მერაბი დღეს ერთია? როგორ აიხსნას ის ამბავი, რომ ილია ჭავჭავაძის 800 წევრი და ზვიადი ერთია? მე ამას ვხსნი ასე: ისინი, ვინც დღეს თავს ესხმიან ზვიადს, თავს ესხმიან აგრეთვე მთელს რადიკალურ ფრთას ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა”, [იქვე, გვ. 29] – ამბობს წერილის ავტორი თენგიზ გუდავა.

ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV და-სის წიაღიდან იშვა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მიზნად ისახავდა “ბრძოლას (დემოკრატიული საშუალებებით) საქართველოს დამოუკიდებლობის და ცხოვრების ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ ყოფაში პლუ-რალიზმის დასამკვიდრებლად”. როგორც დეკლარაციაშია ნათქამი, “ეს არა ახალი პარტიის შექმნა, არამედ ძველი, ისტორიული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობის განახლება, ახალ მდგომარეობასთან შეთანხმებულად”. [ქ. “გუშაგი”, №17, გვ. 4] ახალი პარტიის დეკლარაციაში პირდაპირაა გაცხადებული, რომ “ჩვენი პარტია თავის უმაღლეს ამოცანად ისახავს: იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, დემოკრატიული, პარლამენტურული და ქრისტიანული საქართველოსათვის”, [იქვე, გვ. 6] – მასში აღნიშნულია, რომ “საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იქნება ისტორიული უსამართლობის გამოსწორება; ამისათვის ლირს იცოცხლო, იბრძოლო და მოკვდე”. [იქვე, გვ. 8] ხოლო აქვე გამოქვეყნებული პარტიის პროგრამის XII სტატიაში ნათქვამია: “...აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფაქტიურად შექ-

მნილია მხოლოდ რელიგიური პრინციპების მხედველობაში მიღებით, რაც ათეისტური სახელმწიფოს პირობებში სრულ მოულოდნელობას წარმოადგენს". [იქვე, გვ. 9] მალე შეიქმნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეროვნული მოძრაობის ცნობილი ბათუმელი წარმომადგენელი მერაბ კოპლატაძე, და იგი გახდა აქ მოქმედ ეროვნულ ძალთაგან ერთ-ერთი მძღვანელი ორგანიზაცია.

ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები თავიდანვე დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდნენ აჭარასა და მის პრობლემებს. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. თვალევის სტატია “აჭარელნი ლტოლვილნი”, რომელიც თვითგამოცემაში დაიბეჭდა. მასში სასტიკად არის გაკრიტიკებული რიბაკოვის გეგმა ქართველების საქართველოდან გასახლების შესახებ და მოცემულია ცნობები აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის უმწეო მდგომარეობაზე, რის გამოც ისინი იხილებიან კრასნოდარის შესარეში და თვით შიდა რუსეთშიც, სადაც მათ უკეთეს პირობებს სთავაზობენ. [ჟ. “გუშაგი”, №16, გვ. 46]

შერაბ კოსტავა თავის წერილში “ბერლინის კედელი საქართველოში”, თუმცა გასახლებული მესხებისა და ე.წ. აწყურის შლაგბაუმის პრობლემაზე საუბრობს, [21] მაგრამ როდესაც იგი ამბობს „...სახრჩობელა უმზეო ტაროსში, ბერლინის კედელივით აღმართული აწყურთან”, – ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ საქართველოს ეროვნული გმირი, ამასვე ფიქრობდა აჭარაში ანალოგიური შლაგბაუმების არსებობის შესახებაც, (და მაღლობა ღმერთს, რომ უკვე წარსულს ჩაბარდა, ეს მართლაც სულის შემსუთავი და თავისი შემზარობით სისხლის გამყინავი, საქართველოს ქვდზე დამიზნებული გილიოტინა).

თბილისის 1988 წლის 26 მაისის, [22] 20 ივნისისა [23] და 21-22 სექტემბრის [ჟ. “გუშაგი”, №17, გვ. 48-50] ხალხმრავალი აქციები წინ უსწრებდა და ფაქტიურად მათ შეამზადეს ნიადაგი ბათუმის 1988 წლის 21 ოქტომბრის მიტინგი-მანიფესტაციისათვის. ამ აქციის შესახებ რ. ნადირაძე ივონებს, რომ “ბათუმის ოქტომბრის გამოსვლამდე გამოვუშვი გაზეთ “ბათუმის ხმის” მე-2 ნომერი, ხოლო აქციამდე 3 დღით ადრე დავიწყე სამიტინგო პროკლამაციების გავრცელება. 300-მდე პროკლამაცია დავბეჭდე

და გავავრცელე (მრავლობითის ფორმა უფრო უპრიანი და მართებული იქნებოდა, რადგან შემდგომში შეჯელობიდანაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ეს ერთი პიროვნება იყო “ბათუმის ჯგუფიც”, “ბათუმის ხმაც” და მთელი ეროვნული მოძრაობაც აჭარაში, რაც მის მიერ გაწეულ მუშაობას მხოლოდ აქნინებს – უ.ო.), იგი მოკლედ და კონკრეტულად იყო შედგენილი: “1988 წლის 21 ოქტომბერს დღის პირველ საათზე, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან შედგება მიტინგი ერის საჭირობო საკითხებზე”. ეს იყო და ეს, და ამ მოწოდებას მთელი ბათუმი გამოეხმაურა. მიტინგის თარიღი ბერ-მონაზონ ნიკოლოზის მეშვეობით გავაგებინე გამსახურდიას. იგი თბილისი-ბათუმის მატარებლით ჩამოვიდა აქციის დღეს. სადგურში მას ნიკოლოზი, ნოდარ იმნამე და მე დაგვხდით. იქედან იმნაძის სახლში წავედი, რადგან ჩემი ბინა დაგირავებული მქონდა”, [24, გვ. 184-185] – ამბობს ავტორი. აღნიშნული აქციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეწნდა უურნალ “ლაზარეს აღდგინებაშიც”. [25] უნდა აღინიშნოს, რომ რ. ნადირაძე ამ აქციის ჩატარებისათვის გაფრთხილდა სასამართლოს მიერ. [26]

შეტად შეიმუშავებული იყო 1988 წლის 20 ნოემბერს ქ. ბათუმში გამართული მიტინგი-მანიფესტაცია, რომელზედაც თბილისიდან კვლავ ჩამობრძანდნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. მიტინგზე პოლიტიკურის გარდა წამოყენებული იქნა ბათუმში არსებული კათოლიკური ტაძრის მართლმადიდებლური ეკლესიის განმგებლობაში გადაცემის მოთხოვნა. ეს აქცია იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მასზე ჩენი კუთხის ისტორიაში პირველად მოხდა საქართველოში არსებული ავტონომიური ფორმირებების არსებობის გაკრიტიკება. თუმცა ვერ დავვთანხმებით ზოგიერთ ავტორს, რომ თითქოს სწორედ ამ მიტინგზე “პირველად რობერტ ნადირაძე დასვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი”. [27, 28] ამას ადასტურებს ამავე წერილებში მათ მიერვე მოყვანილი ამონარიდი რ. ნადირაძის გამოსვლიდან, სადაც ის ამბობს: “...ამგვარი ავტონომიების შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ მიგვაჩნია. ერთია რესპუბლიკაში არაქართველი მოსახლეობის უფლებების დაცვა, და სულ სხვაა მათვის ქართული მიწების სარჯზე ავტონომიებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა”, – აღნიშნავს რ. ნადირაძე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიების

შესახებ, შემდეგ კი, ეზება რა აჭარის ავტონომიას, აგრძელებს, – “აჭარის, ამ ძირძველი ქართული კუთხის ავტონომიას რელიგიურ სარჩულს უდებენ, რაც ათეისტური სახელმწიფოსგანაც პარადოქ-სულად ჟღერს”. [იქვე]

ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ რობერტ ნადირაძეს აქ აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი არ დაუსვამს, არამედ იგი მსჯელობს და სამართლიანადაც, ათეისტური სახელმწიფოსაგან რელიგიური ნიშნით ავტონომიის შექმნის პარადოქსულობაზე, – თანაც მის სიტყვებში იგრძნობა, ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის დებულების გავლენა.

ამავე მიტინგზე თქვა ზვიად გამსახურდიამ თავისი ცნობილი სიტყვა, რომლის ფასლითიცირება და რეგიონში დაძაბულობის შესაქმნელად გამოყენება სცადა აჭარის ხელისუფლებამ. სინამდვილეში ზვიად გამსახურდიამ ბრძანა: “მმები აჭარლები ჭეშმარიტი ქართველებია! ჩვენი მტრები ცდილობენ საქართველოსაგან აჭარის ჩამოშორებას, აჭარლების არაქართველებად გამოცხადებას, მათი მაპმადიანური სარწმუნოების გამო. სირცხვილი ასეთ ხალხს! აჭარა საქართველოა”. [29, გვ. 21] და თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა აღნიშნულ მიტინგზე მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სიტყვებმა ამას ასე იგონებს ცნობილი ბათუმელი ინტერიგენტი და საზოგადო მოღვაწე ნაზი მიქელაძე: “...დაგვეუფლა ეროვნული სიამაყის გრძნობა. თითქმის ყველას, იქ დამსწრეთ თვალებში სიხარულისა და აღტუცების ცრემლები უბრწყინავდათ... ასეთი შთაბეჭდილებების მოხდენა შეეძლო მხოლოდ ეროვნულ გმირთა ცოცხალ სიტყვას, მათ პიროვნულ ღირსებას და გამბედაობას...” [30]

ასეთ ამაღლებულ გრძნობებს აღვივებს ნამდვილ პატრიოტებში ამ უშესანიშნავესი დღის გახსენება. მაშინდელმა აჭარის ხელისუფლებამ კი, მართლაც, ყველაფერი იკადრა ამ უმშვენიერეს განცდათა გასაბაიბურებლად და ერთიან ეროვნულ სულიერებაში ბზარის შესატანად, – რასაც შემდგომში უნდა უზრუნველეყო მათ მიერვა გადადგმული ანტიეროვნული ნაბიჯების გასასამართლებლად ნიადაგის შემზადება და მხარის ანტიეროვნულ ავანტიურაში ჩათრევა; რაც მან ვერ მოახერხა ეროვნული მოძრაობის ძალთა

მიერ გამოჩენილი უდიდესი ძალისხმევისა და რა თქმა უნდა, აჭარის მოსახლეობაში, დიდი მცდელობების მიუხედავად, საჭირო და-საყრდენის ვერ გამონახვის გამო.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ საფეხურზე ასკლის მომასწავებელი იყო 1988 წლის 22-29 ნოემბრის თბილისის შეუპოვარი აქციები. თბილისის ამ აქციის დროს ბათუმიდან იქ ჩავიდა დელეგაცია ნოდარ იმნაძის, რობერტ ნადი-რაძის, ბადრი თევზაძის, ბიძინა აფხაზავას, კახა მამალაძის და ზა-თუნა ხუნდაძის შემადგენლობით, რომელსაც თბილისში ვახტანგ დლონტი ელოდა. მათ თბილისის მატარებლის სადგურზე დახვდათ 70-მდე აჭარიდან იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტები გენადი თებიძის ხელმძღვანელობით, რომელთაც აღ-მართეს დიდი გასაჭირი ლოზუნგი – “შზური აჭარა თქვენთანაა, ძმებო!” – რამაც თბილისის მოსახლეობასა და მიტინგის მონაწი-ლეთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია (გ. თებიძის მოგონე-ბებიდან). ამ აქციების შესახებ 1989 წლის თებერვლის ურნალი “გუშაგი” სიამაყით აღნიშნავს: “ქართველი ხალხი რომ ეროვნული სუვერენობის მომხრე და ერთგული დარჩა, ეს აშკარად, ყოველ-გვარი ეჭვის გარეშე გამოჩნდა თუნდაც გასული ნოემბრის თვის უკანასკნელ ათდღურში, როცა სრულიად საქართველო, მისი ყვე-ლა ოფიციალური და არაოფიციალური ელემენტებით ყალყზე შედ-გა, ერთხმად უკუაგდო კრემლის ხელისუფალთა მიერ შემუშავებუ-ლი კონსტიტუციური ცვლილებების ის მუხლები (კერძოდ, 108 და 109), რომელიც სწორედ საბჭოთა კავშირში მოქარული რეს-პუბლიკებისა და, მაშასადამე საქართველოს რესპუბლიკის სუვერე-ნობას, მეტი რომ არ ვთქვათ, ემუქრებოდა... ქართველი ხალხის ასეთ შემჭიდროებულ გამოსვლას, თუნდაც ეროვნული სუვერენო-ბის ამ ფიქციის (სსრ კავშირიდან კონსტიტუციური გასვლის უფ-ლება იგულისხმება – უ.ო.) დასაცავდა, – განაგრძობს ურნალი, – ჰქონდა დიდი საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგა-ნაც იგი აშკარად, ყოველგვარი თუობის გარეშე მსოფლიოს, მტერ-სა და მოყვარეს, აჩვენებს მის, ქართველი ხალხის მუდმივ ლტოლვას ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

ნოემბრის თვის 22-დან 29-მდე თბილისში ჩატარებული უწ-ყვეტი მანიფესტაციები, მიტინგები და, რაც მთავარია ახალი,

ათასზე მეტი ახალგაზრდის შიძმილით გაფიცვა, ყოველგვარი ძალის გამოყენებისა და უხეშობის გარეშე, უდავოდ იყო ბრწყინვალე დადასტურება ქართველი ხალხის პოლიტიკური სიმწიფისა და ეროვნული გრძნობების ერთობისა”, [29, გვ. 6-7] – აღნიშნულია ურნალის მოწინავეში.

ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, შეაშფოთა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ყველა მტერი და დაიწყო “ჯვაროსნული ლაშქრობა” ამ აქციათა მიზანდასახულობისა და განსაკუთრებით მასში მონაწილე ახალგაზრდების განსაქიქებლად. მაგალითად, პროექტისორი ელიზარ ცისკარიშვილი 1989 წლის 27 იანვრის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ აქვეყნებს სტატიას – “სად გაჩერდნენ თქვენი მამები”, რომელშიც ძალასა და ენერგიას არ იშურებს სახელი გაუტეხოს, ცილი დასწამოს ამ აქციებში მონაწილე ახალგაზრდობას. [31] “ვცდილობთ და ვერ გაგვიგია ქართული პოზიციებიდნ: თუ რა დაუშავეს ერთი კვირის განმავლობაში გარეთ ყინვაში მოშინდებოდების, რომ ასე დაუზოგად ებრძვის და ამცირებს მათ, გულზე ფინითხივით ხვდება მათი ქება და მზადაა საგიურათვის გაიმეტოს ისნი?!” [29, გვ. 8] – გაკვირვებული აღნიშნავს “გუშაგის” კორესპონდენტი ცისკარიშვილის აცოფების გამო. მაგრამ ამ აქციის მონაწილეებზე სულ სხვა აზრისაა მწერალი რეგაზ ჯაფარიძე, რომელიც ამბობს: “მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ქართველი ახალგაზრდობის არნახულმა გამოღვიძებამ, ერთს ინტერესების დასაცავად დარაზმებს, ...შეუპოვრიბამ, ერთსულოვნებამ დასახული მიზნის აღსასრულებლად წარბმუხრელმა სწრაფვამ, სულის გამასპეტაკებელმა ფიქრმა და გრძნობამ, მთელს საზოგადოებას, დიდსა და მცირეს, ერთიანად რომ დაეუფლა, ჩემი გული სიხარულით და მედიოტ აღავსო. მწამს და ხეზე ფეხებითაც რომ დამკიდონ მაინც გავიმეორებ, რომ ვისაც, რომელ ერსაც თავის ფესვებზე ამოზრდილი ასეთი ახალთაობა ჰყავს, მას მომავლისა არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან ეს მომავალი საიმედო ხელს უპყრია”. [32] თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შემდგომში ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო ერთ-ერთი პირველი გასროლა მწერალ რ. ჯაფარიძის ხელითვე შესრულდა, – რაც მესამე მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დამასასიათებელი ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც მის ნამდვილ სული-

ერ აღმაფრენასა და ნალდ გრძნობებს, ისევ გამყინვარების მდგომარეობაში აპრიუნებს რეჟიმისაგან შემოჭდობილი სულის შემხუთავი სალტე.

ეროვნული მოძრაობის მძღლავრმა გაქანებამ გამოაცოცხლა და შეაღწია ისეთ კონსერვატიულ და თითქმის უძრავ მასაში, როგორსაც საბჭოთა პერიოდის ე.წ. პროლეტარული მუშათა კლასი წარმოადგენდა. ამის აშეარა დასტურია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მაგალითი, რომლის კოლექტივის მიერ 1988 წლის 11 ოქტომბერს გამართულ მიტინგზე ახალგაზრდა მუშამ მ. ოორდიამ პირდაპირ განაცხადა, რომ “...არ შეიძლება იმ ხალხს ვუწოდოთ “გამსახურდია და მისი აძქრები” – ისინი იძრვიან იმისათვის, რომ დაეწმარონ გაპარტახებულ საქართველოს. ქართველებმა არ უნდა მოვითმინოთ მარნეულში მომხდარი ფაქტი (ქართველების მიმართ ჩადენილ უხამს დანაშაულს გულისხმობდა – უ.ო.) გაუმარჯოს საქართველოს! გამსახურდიას და მის ჯგუფს ენა რომ არ ამოედოთ, დავით გარეჯს არაფერი ეშველებოდა. ყველა ასე ფიქრობს, მაგრამ არ ჰყოფნის ვაჟეკაცობა თქვას...” იმავე მიტინგზე მანანა ჩიქოვანმა თქვა: “გამსახურდიას და მის ჯგუფს არ აძლევენ თქმის საშუალებას... თუ კი საქართველო გამოეყო (რუსეთს) საბჭოთა კავშირს, ეს არ ნიშნავს, რომ სხვგბთან მტრულად უნდა ვიყოთ. ვეთანხმები გამსახურდიას – ის ნაძვილი ქართველია და საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა”. [29, გვ. 14]

ნოემბრის უკანასკნელი დეკადის თბილისის ბრწყინვალე მანიფესტაციებმა და მისმა გამოძახილმა საქართველოს რეგიონებში აშეარა გახადა ქართველი ხალხის ეროვნული სიმწიფე და შემჭიდროება, რამაც ძალზე შეაშფოთა მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მოწინააღმდეგე ძალები და ისინი დროს დაუკარგავად ამოქმედდნენ. უცერემონიოდ პენსიაში მიაბრძანეს საქართველოს სსრ-ს სუკის თავმჯდომარე, გენერალი ალექსი ინაური და მის ადგილზე დანიშნეს ახალგაზრდა და ენერგიული გიგი გუმბარიძე. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ჯუმბერ აპტიაშვილი, რომელიც კრემლში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიაზე რუსებს ერთგულებას ეფიცებოდა, (აღნიშნულ სესიაზე ჯ. პატიაშვილმა ბრძანა: “ჭეშმარიტი

სახელმწიფო ბრიობა და სუვერენიტეტი საქართველომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ აღიდგინა” – გაზეთი “კომუნისტი”, 1988, 1 დეკემბერი) სასწრაფოდ ბრუნდება თბილისში სათანადო ინსტრუქციებით, და უკვე 5 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში იწვევს “რესპუბლიკის მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის” წარმომადგენლებს, უმაღლესი სასწავლებლების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელთა თათბირს, რომლის შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში დაუფარავდ ნათქვამია, რომ “იგი მიეძღვნა მიმდინარე წლის ნოემბრის უკანასკნელი დეკადის იმ ცნობილი მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზს, რომლებიც მოხდა თბილისში”-ო. რა თქმა უნდა, თათბირს მოხსენდებოდა კრემლის პოზიცია და მისი დირექტივა, რომ აუცილებლად აღიკვეთოს ნოემბრის მსგავსი ეროვნული მანიფესტაცია-მიტინგები. საქართველოში დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები. ეროვნული ნიშნით ჩატარებული მიტინგი-მანიფესტაციები დაარბიეს ქუთაისში, ბათუმში და საქართველოს სხვა ქალაქებში. გაძლიერდა პატრიოტებისა და სამართალდამცველთა დევნაშევიწროება.

ბათუმში 1988 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს, ეროვნული მოძრაობის აქტივისტებს მორწმუნებითან ერთად მოლაპარაკება უნდა გაემართათ ხელისუფლებასთან ერთ-ერთი ექლესის შენობის მრევლისათვის გადაცემის თაობაზე. მაგრამ დანიშნული მიტინგი გადაიღო სომხეთში მომხდარი ტრაგედიის გამო, რაც ადგილობრივმა აჭარის ასესრ ხელისუფლებამ რეპრესიებისათვის გამოიყენა. ბათუმი გარშემორტყმული იქნა მილიციისა და შინაგანი ჯარის ნაწილებით, ქუჩებში გამოიყვანეს ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. 9 დეკემბერს, საღამოს კომენდანტის საათი გამოცხადდა. თბილისიდან ბათუმისაკენ მომავალი ასობით ადამიანი გზაზე შეაჩერეს და უკან დააბრუნეს. აჭარის შ/ს ორგანოს მუშაკებმა ჩაქვში დააკავეს და სასტიკად სცემეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია, ქუთაისელი სამართალდამცველი გივი რევიშვილი და სხვები. ბათუმში ანგარიშსწორება მოუწყვეს 6. იმნაძეს და ეროვ-

ნული მოძრაობის სხვა აქტივისტებს. კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა გ. ემირიძემ წინასწარ მოახდინა ხულოს, ქედის და შუახევის რაიონებში მცხოვრები მაკადიანი ქართველების დეზინფორმაცია და მოამზადა ისინი იმისთვის, რომ 10 დეკემბერს მათ ბათუმში სისხლიანი აქცია განეხორციელებინათ, — აღნიშნავს უურნალი “გუშაგი” და იქვე განაგრძნობს: — ამ მიზნით დასახელებული რაიონებიდან ბათუმში 7 ავტობუსით ჩამოიყვანეს დაახლოებით 300 კაცი. მათ, ამ სამარცხვინო აქციის ორგანიზატორებმა, მოატყუეს, რომ თითქოს ქართველ სამართალდამცველებს, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და მათ მიმდევრებს სურთ აიძულონ ქართველი მაკმადიანები, მიიღონ ქრისტიანობა, ხოლო ისინი, ვინც არ დაემორჩილებიან მათ მოთხოვნას, გაასახლონ აჭარიდან. აჭარის შ/ს და უშიშროების ორგანოები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ამ ოპერაციაში, რომელსაც პირადად გ. ემირიძე ხელმძღვანელობდა. ტელევიზიასა და პრესაში დაიწყო პროვოკაციული კამპანია ნ. იმნაძის, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და სხვა პატრიოტთა წინააღმდეგ. ხულოს საშუალო სკოლის მაცწავლებელი ანდრო გოგოლაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს ნაციონალიზმის ბრალდებით.

10 დეკემბრის დღის 10 საათზე დაახლოებით 20 კაცი მივიდა ბათუმში ნოდარ იმნაძის ბინაში, იგი ქუჩაში გაიყვანეს თითქოს სასაუბროდ, იქ კი მას ბათუმში სპეციალურად ჩამოიყვანილი 300 კაცი ელოდებოდა, რომელიც თითქოს აღაშფოთა ზვად გამსახურდის მიერ 20 ნოემბერს ბათუმში გამართულ მიტინგზე ნათებებმა სიტყვებმა: “აჭარლებიც ქართველები არიან”, [29, გვ. 19-21] — რითაც სპეცულირება თითქმის დღემდე მიმდინარეობს. ეს დაყველაფერი ზემოთ აღნიშნული კი, ამ რეგიონში უშიშროების სამსახურთა მიერ საბჭოთა პერიოდში ძალიან ღრმად გაშვებულ ფესვებზე მიუთითებს. სინამდვილეში გამსახურდიას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მსგავსი არაფერი უთქამს. მოვლენები, რომელზედაც ვსაუბრობთ ასე განვითარდა, ნოდარ იმნაძის გვერდით დადგა ბათუმელი აქტივისტი რ. ნადირაძე, მათ მოსულებს მეორე დღეს შეხვედრა შესთავაზეს, მაგრამ მომზღვდურებმა არ მიიღეს მათი ეს წინააღმდება და საცემრად გაიწიეს. იმნაძემ და ნადირაძემ მოასწრეს ბინაში დამალვა. ხელისუფლების მიერ წაქეზებულმა ფანა-

ტიკოსებმა ნამდვილი რბევა მოაწყვეს 6. იმნაძის ბინაში: დაამ-ტკრიეს ყველაფერი, ცემეს იმნაძეს და ნადირაძეს, გამოათრიეს ისინი ქუჩაში. შემდეგ იმნაძე ძალით წაათრიეს სადალაქოში წვე-რის მოსაპარსად, სადაც მის წინააღმდეგ ამზადებდნენ გაუგონარ პროვოკაციას, რის გამოც დალაქმა უარი თქვა მის გაპარსვაზე და მასაც სცემეს. ყველაფერი ეს ხდებოდა ადგილობრივი ხელისუფ-ლების და მილიციის წარმომადგენლების თვალწინ, რისთვისაც პა-სუხისმგებლობა ეკისრება ემირიძეს და საქართველოს მთავრობას, რომელიც განგებ აღივებს მტრობას სხვადასხვა სარწმუნოების ქართველებს შორის. ნოდარ იმნაძისა და რობერტ ნადირაძის სი-ცოცხლე საფრთხეშია, – ნათქვამია 1988 წლის 11 დეკემბრის მი-მართვაში, რომელსაც ხელს აწერენ მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია და სხვები (სულ 21 პიროვნება). [34]

ნოდარ იმნაძე შემდეგ დაკავეს ცივი იარაღის ტარების ბრალდებით. ანალოგიური რეპრესიები ჩატარდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ 1988 წლის დეკემბერში ქ. რუსთავში იქნა მიღებული კომპმარტიის საქალაქო კომიტეტის ცნობილი რეზოლუცია “ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ”, რომე-ლიც წარმოადგენდა პირდაპირ მოწოდებას საქართველს ეროვნულ მოძრაობასა და სამართალდამცველებთან ანგარიშსწორებისაკენ. [35]

ბათუმის 10 დეკემბრის მოვლენების შესახებ გაკეთებულ თა-ვის ინტერვიუში რ. ნადირაძე იხსენებს: “თავდასხმის წინა დღეს ხულოს რაიონის მგვილრმა დურსუნ ზოიძემ გამაფრთხილა (და ამის ბევრი მოწმე არსებობს) მოსალოდნელ თავდასხმაზე”, – და იქვე სამართლიანად მოუთითებს, რომ “ამ დარბევაში შინაგან საქ-მეთა სამინისტროს მუშაკები და მათი აგენტები მონაწილეობდნენ და არა მოსახლეობა”... [36]

აღნიშნულ ვანდალურ აქციას იმავე წლის 12 დეკემბერს მოჰყვა აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის ე.წ. აქტივის ცნობილი კრება, რომლის მიზანსაც შეადგენდა საქართველოში ეროვნული მოძრაობის ქმედებათა დაგმობა და ამასთან 10 დეკემბრის ჩაქვისა და ბათუმის დარბევათა, თითქოსდა აჭარის მოსახლეობის მიერ მოწონება. აქტივის კრებაზე ხელისუფლების მიერ შემზადებულ ამ ავანტიურას წინ აღდგნენ აჭარის ინტელიგენციის მოწინავე წარ-

მომადგენლები, რომელთაგან ერთ-ერთმა (6. ჯაფარიძე, ცნობილი მწერალი და უურნალისტი) აღნიშვნულ თავყრილობას საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად შესვლა უწინასწარმეტყველა; ხოლო მეორემ (უ. ოქონპირიძე), დაგმო რა აქტივის კრების ანტიეროვნული ხასიათი, ამხილა მისი პროვოკაციული მიზანდასახულობა და ამის შემოქმედ-ორგანიზატორები. [37, გვ. 13] მან, აჭარის ასერ საოქლო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ემირიძის თითქმის ერთსაათიანი გამოსვლის პასუხად, პირდაპირ განაცხადა, რომ “საქართველოს ტელევიზიის, პრესის, ინფორმაციის სხვა საშუალებებით მოელმა ქართულმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ნოებრის შიმშილობის მონაწილეთა მოთხოვნებს და თქვენს მიერ ამ საკითხზე გამოთქმული აზრი დემაგოგია და მთელი ქართული საზოგადოებრივი აზრის შეურაცხყოფა.

თქვენგან განსხვავებული აზრის მქონეთა “ექსტრემისტებად” მონათვლა, ეს ძველი სიმღერაა და ამას აქამდე უნდა მიმხვდარიყავით.

რაც შეეხება თქვენს მიერ მოხსენებულ 15-16 წლის “ძუძუმწოვრებს” – ეს ძალიან ძლიერია... მე კი ვუიქრობ, რომ მათ უფრო კარგად ესმით ჩვენი ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები, ვიდრე ზოგიერთი ტრიბუნის მეფეს. თორემ თქვენი ერთსაათიანი გამოსვლა იმის დადასტურება იყო, რომ რაც მინდა და როგორც მინდა ისე ვიტყვი და თქვენ უნდა დამიჯეროთ.

10 დეკემბერს აჭარაში დატრიალებული ამბები, ჩვენი აზრით, აჭარის ადგილობრივი მმართველი აპარატის მიერ შექმინილი მასობრივი ფსიქოზის შედეგი იყო და აჭარის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც მასში მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ მსხვერპლს წარმოადგენდა...

თქვენი გამოსვლიდან გამომდინარე, როგორც ჩვენ გავიგეთ, თქვენ აჭარის პარტიულ, საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ ძალებს სოხოვთ უწ. “ექსტრემისტული ჯგუფების” წინააღმდეგ შეტევისა და მათთან რეაქციული ანგარიშსწორების სანქციას, რაც ყოვლად დაუშვებელია, ჩვენი საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდებაა...

ამიტომ მოვუწოდებ საღ საზოგადოებრივ აზრს, არ აგყვეთ დემაგოგიას, პატივი ვცეთ, გავუფრთხილდეთ და დავიცვათ საჯა-

რომა და დემოკრატია, ხალხის სუვერენობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ზემოქმედების ეს მძლავრი იარაღი”. [38, გვ. 198-199] და მართლაც, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აჭარის ასსრ პარტიულ ბოსთა ყოვლისშემლეობის მითი მისივე “აქტივის” წინაშე ერთი ხელის მოსმით გაქრა და მათ ვერ მოახერხეს სასურველი რეზოლუციისთვის ჩვეული რიხით ეყარათ კენჭი (ინსტრუქციით გათვალისწინებული დაგალება ვერ შეასრულეს – უ.ო.). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბათუმის ინტელიგენციის მცდელობასაც, შეფასება მისცემოდა 1988 წლის 10 დეკემბრის ვანდალურ აქციებს და დასჯილიყვნენ მათი ორგანიზატორები, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების (ჯ. პატიაშვილი) მიერ წაყრუების გამო, შედეგი არ მოჰყოლია. [იქნე, გვ. 199]

საქართველოში გამოვლენილმა ეროვნული მოძრაობის მძლავრმა გაქანებამ მაღალი შეფასება მიიღო 1989 წლის 28-29 იანვარს ქ. ვილიოუშში გამართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა თათბირზე, რომლის განცხადების დასკვნით ნაწილში ნათქვამია: “მოძრაობამ მწვერვალს მიაღწია ნოემბრის უკანასკნელ კვირაში, რომლის დროს ქართველმა ხალხმა მიაღწია კონსტიტუციის შესწორების უარყოფას, შესწორებებისა, რომელიც საქართველოს არიმევდა ოვითგამორკვევის უფლებას. მდე დღეებში, მთავრობის სასახლის წინ შიმშილობდა 1000-მდე კაცი, საქართველოს ყველა კუთხიდან თბილისში ჩადიოდნენ დღლებული ეროვნული ღირსების დასაცავად”... [39] ამავე თავფრილობაზე მიიღეს “მსოფლიო მთავრობებისა და ხალხებისადმი საბჭოთა კავშირის დაბყორბილი ერების თავისუფლების ქარტია”.

საქართველოში მიმდინარე აღნიშნულ მოვლენათა პარალელურად აჭარაში მიმდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის გადახალისება და მისი ეროვნული მოძრაობის პრობლემებით მზარდი დაინტერესება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათუმში ადგილი ჰქონდა დამოუკიდებელი, ეროვნული სულისკვეთების მატარებელი ლიტერატურული აღმანახის “ბათუმის” დაარსების ცდას და მისი ერთი ნომერი გამოიცა კიდეც. აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ქმედებებს მიმართავს “ბათუმის ჯგუფიც” რ. ნადირაძის, ჯ. ჯოვენიშვილის, ბ. დოლიძის, ნ. იმნაძის და სხვათა მონაწილეობით. ამავე

მიმართულებით 1988 წლის ბათუმის შემოდგომა-ზამთრის აქციების პერიოდში აქტიურდება ბათუმელ ახალგაზრდა ინტელექტუალთა ჯგუფის საქმიანობაც და ისინი თავმოყრას იწყებენ ახალგაზრდულ კლუბ “თვალსაზრისის” გარშემო. მის წამყვან ბირთვს წარმოადგენდა გ. მასალკინი, მ. გიორგაძე, ნ. ინაიშვილი, გ. ტოტოჩავა, ბ. თევზაძე და სხვები (ბათუმში მათი თავშეყრის ადგილს რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მხატვრის სახლი წარმოადგენდა). პარალელურად აქტიურდებიან ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასის რ. ნადირაძისა და დ. ბერძენიშვილის ურთიერთდაპირის-პირებული დაჯგუფებანი.

უნდა ითქვას, რომ კლუბ “თვალსაზრისის” საქმიანობა უფრო განმანათლებლურ ელფერს ატარებდა, სადაც ეროვნული მოძრაობის პრობლემებზე მსჯელობა თავიდან კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩრდილში იყო მოქცეული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს იმ პირობებში ჩეცელებრივ ამბად აღიქმებოდა, მაგრამ ეროვნული მოძრაობის მზარდი გაქანების პირობებში ძირითადად ამ ალიანსის ბაზაზე, მისი წევრების აქტივობით შეიქმნა ჯერ ილია ჭავჭავაძე-IV დასის დ. ბერძენიშვილის დაჯგუფება, ხოლო შემდეგ საქართველოს სახალხო ფრონტის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა აქტივისტთა ჯგუფმა იმავე დ. ბერძენიშვილის, ბ. თევზაძის, მ. გიორგაძის, გ. ტოტოჩავას, უ. ოქროპირიძის, თ. ყურაშვილისა და სხვათა შემადგენლობით. რ. ნადირაძის ირგვლივ შემოკრებილი “ბათუმის ჯგუფი” კი, გახდა ილია მართლის საზოგადოების ბათუმის პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ბირთვი, რომელსაც შეუერთდნენ ეროვნული მოძრაობის ცნობილი აქტივისტები – ნუნუ ქაჯაა, ნიაზ მალაყმაძე, სვეტლანა და ანზორ კუდები, შოთა ბერიძე და სხვები.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტივობით აღინიშნა 1989 წლის დასაწყისიც. აღსანიშნავია თბილისში 18 იანვარს გამართული აქცია თინათინ უეტვიაშვილის გასათავისუფლებლად, რომლის მიმართ ჩადენილი უსამართლობის გარდა, იგი დაპატიმრების დროს ფეხმძიმედ იყო, მაგრამ იზოლატორში ხელოვნურად მოუშალეს მუცელი, რომ მას სასჯელი არ შემსუბუქებოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო თბილისის პოლიტექნი-

კური ინსტიტუტის წინ გამართული საპროტესტო აქცია სოხუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის ქართულ განყოფილებაზე სტუდენტთა მიღების შეწყვეტისა და აფხაზეთის განათლების სამინისტროს მიერ აფხაზურ სკოლებში აფხაზეთის ისტორიის დამახიჯებული სწავლების შემოღების ცდის წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილენი მოთხოვდნენ: ჯერ გამოეცათ მეცნიერულად სრულყოფილი სახელმძღვანელო და შემდეგ შემოეღოთ საგანი, ვინაიდან არის საშიშროება, რომ აფხაზ ახალგაზრდობას სიყრმიდანვე ჩაუნერგონ ანტიქართული სულისკვეთებათ.

მიტინგი სასტიკად დაარბის და მისი მონაწილენი დააპატიმრეს, მაგრამ ამან სავსებით ვერ შეაშინა ისინი და მათ ერთობლივი ძალისხმევით მიაღწიეს დაპატიმრებულ თანამებრძოლთა გათვასუფლებას.

25 ოქტომბერს კი პირველად მოეწყო საქართველოს დაპყრობის სამგლოვიარო მანიფესტაციები, რასაც მოჰყვა ზვიად გამსახურდიას, კოკა გაწერილიას, ირაკლი შენგელიას, თედო პაატაშვილის და მერაბ სულაქველიძის, მეორე ეტაპზე კი ედპ-ს წევრთა – მამუკა გორგაძის, გიორგი ჭავჭავაძის, იასონ ფავლენიშვილის და ჯონდო ბასაველის დაპატიმრება...

სამგლოვიარო მიტინგს უნივერსიტეტთან 20 ათასამდე კაცი ესწრებოდა. ორატორებმა ორ. წერეთელმა, მ. კოსტავამ, ნ. ნათაძემ, თ. ქორიძემ და სხვებმა ილაპარაკეს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტზე და მის შედეგებზე. მიტინგზე წაიკითხეს გაერთსა და მსოფლიოს წმიდანი ქვეყნების მთავრობებთან გასაგზავნი დეკლარაციის ტექსტი საქართველოს საერთაშორისო უფლების აღდგენის მოთხოვნით, რასაც ხელი მოაწერა 12 ათასმა კაცება... მ. კოსტავამ და თ. ჩხეიძემ წერილით მიმართეს სსრკ მეთაურს მ. გორბაჩოვს, რომელშიც საქართველოში სამი ახალი პოლიტპატიმრის – გ. კულუმბეგაშვილის, ნ. იმნაძისა და კ. დობორჯგინიძის, გაჩნის შესახებ და აქ გარდაქმნის კრახით დამთავრებას ატყობინებდნენ. [40]

1989 წლის დასაწყისი აჭარაშიც ეროვნული მოძრაობის ძალთა გარშემო საზოგადოების მოწინავე ნაწილის ახალი კონსოლიდაციით აღინიშნა. ბათუმში განსაკუთრებით რეზონანსული იყო საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოებისადმი მიძღვნილ საპროტეს-

ტო გამოსვლათა ტალღა, რომელმაც მთელს აჭარაში პპოვა გა-
მოხმაურება. მასზე აშკარად დაფიქსირდა საბჭოთა რუსეთის მიერ
1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაციისა და
ანექსიის ფაქტი, დაისვა მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის
მოთხოვნა.

არნახული ეროვნული გამოღვიძება და ეროვნულ-განმათავი-
სუფლებელი ბრძოლის სრულიად საქართველოს მასშტაბით ასევე
არნახული გამოცოცხლება მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილს თბი-
ლისში დატრიალებულ ტრაგედიას.

როგორც ცნობილია თბილისის 1989 წლის აპრილის გრან-
დიოზული გამოსვლების საბაბად იქცა აფხაზთა მიერ ცოტა ხნით
ადრე მიღებული ე.წ. ლიხნის მანიფესტი, რომლის გამოცხადებამაც
აფხაზეთში მდგომარეობა სასტიკტად გაამწვავა. აფხაზეთის პრობ-
ლემათა მოგვარების მოთხოვნით თბილისში, მთავრობის სახლის
წინ 1989 წლის 4 აპრილს დაიწყო გრანდიოზული აქციები, რო-
მელზედაც აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მოთხოვნას მალე
ჩაენაცვლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა
შიმშილობის გამოცხადებით, – რამაც მდგომარეობა საქართველოს
დედაქალაქში უკიდურესად დაძაბა. სწორედ ამის გამოძახილი იყო
1989 წლის 7 აპრილს ბათუმის გარეუბანში სოუქსუს სასაფლაოს
ეკლესიის ეზოში ეროვნული მოძრაობის აღგილობრივ აქტივისტთა
ჯგუფის მიერ გამართული თაობირი.

თაბიბიზე დაისვა თბილისში მიმდინარე აქციისადმი დამოკი-
დებულების საკითხი. რადგალურმა ფრთხო მოითხოვა აქტორი
აქციებით, შიმშილობის გამოცხადების ჩათვლით, მხარი დაეჭირათ
თბილისში მიმდინარე აქციისათვის, სადაც უკვე პრიორიტეტული
გახდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ზომიერმა ფრთხო
არ მიიღო ეს წინადადება და აირჩია პასიური ლოდინის პოლიტი-
კა.

1989 წლის 9 აპრილს ღამით თბილისში დატრიალებული
ტრაგედია ბათუმში იმავე დილით გახდა ცნობილი. – არასდროს
დამავიწყდება ბათუმის დაცლილი ქუჩები, რომელიც ჯავახიშვილის
ქუჩიდან ილია ჭავჭავაძის ძეგლამდე გავიარე. აქ თავი მოეყარა
რამდენიმე აქტივისტს ეროვნული მოძრაობიდან, რომლებიც შავი
სამკლაურებით იყვნენ და ილია მართლის ძეგლის ფასადზე ანთე-

ბულ სანთლებს ამაგრებდნენ. გადავწყვიტეთ გაშლილი ეროვნული დროშით და შავი სამკლაურებით გაგვევლო მთელი ქალაქი და ამ საპროტესტო მარშით გამოგვეხატა, რომ ქართველი ხალხის დაშინება შეუძლებელია. ოცამდე მანიფესტაციის იმედი საპროტესტო მანიფესტაციაზე მოსახლეობის შემოერთების შესახებ არ გამართლდა. შემოგვიერთდა მხოლოდ ერთადერთი პიროვნება, რეუისორი მერაბ ლებანიძე. [38, გვ. 202] სოუქსუს სასაფლაოს ეკლესიის ეზოში ასულმა მანიფესტაციის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მეორე დღეს, 10 აპრილს ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტის წინ, (რუსთაველის ქუჩის მხრიდან) მოეწყოთ ერთობლივი მიტინგი-მანიფესტაცია ქალაქში შემდგომი მსვლელობით. მიტინგის ზოგიერთი ორგანიზაციონის მიერ პოზიციის შეცვლის გამო იგი გაიმართა ინსტიტუტის შიგა ეზოში. მან სატიკად დაგმო 9 აპრილს თბილისში საბჭოთა შინაგანი ჯარების მიერ განხორციელებული ხოცვა-ულეტა და მკვეთრად დაუპირისპირდა აჭარის ასსრ-ს ადგილობრივ ხელისუფლებასაც, რომლის წარმომადგენლები, აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის 6. ნადარაიას ხელმძღვანელობით, თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამართლებასა და მომიტინგების დაშლას ცდილობდნენ, რაც მათ არ გამოუვიდათ და ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა ისინი ინსტიტუტის ეზოდან გამოვეს. [იქვე, გვ. 203] აი, როგორ იგონებს ამ ამბავს ქალბატონი ნაზი მიქელაძე: ”აჭარის საოლქო კომიტეტი 9 აპრილის სისხლიანი, ტრაგიკული დამის ალიონზე ნუგზარ ნადარაიას გზავნის ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტში და აკლებს, რომ ახალგაზრდობა არ აჰყვეს თბილისში მომხდარ ამბებს.

ჩვენ დილადრიან, მართლაც შევიკრიბეთ ინსტიტუტის ეზოში სტუდენტებთან ერთად და ვატარებდით მიტინგს. სათანადო შეფასებას ვაძლევდით მომხდარს. ნადარაია ცდილობდა სტუდენტობის ძალით შერეკვას აუდიტორიებში. ამასობაში შემოგვიერთდნენ ქალაქის მოწინავე ახალგაზრდები, ეროვნული მოძრაობის აქტივისტები – უჩა ოქროპირიძე, ბადრი თევზაძე, გოდერძი ტოტოჩავა და სხვები. ჩვენი საერთო ძალისხმევით მოხერხდა 6. ნადარაიას გაძევება. სტუდენტებთან ერთად ჩავატარეთ სამგლოვიარო მიტინგი.” [30]

იმავე დღეს ინსტიტუტის უკან, ბათუმის ბულვარში გაშენდა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სკვერი, სადაც შემდეგ დაიდგა გრანიტის ქვა წარწერით – “ცხრა აპრილის ცრემლი”.

თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის შესახებ საგულისხმოა 1990 წლის მარტში გამოქვეყნებული სტატია – “ლიგაჩოვ-შევარდნაძის უცნაური შეკამათება”, [41] რომლის კომენტარში მითითებულია რა ლიგაჩოვის მიერ გაკეთებულ მეტად საყურადღებო განცხადებაზე, ნათქვამია: “ლიგაჩოვის ამ განცხადების შემდეგ შეუმცდარად შეიძლება თქვას, რომ თბილისის მიტინგის დარბევის განკარგულება მიღებული იქნა 7 აპრილს, კრემლში, პოლიტბიუროს სხდომაზე და მასში მონაწილეობდნენ: ლიგაჩოვი, ჩებრიკოვი, რიკოვი, სლიუნკოვი, მედვედევი, ლუკიანოვი, რაზუმოვსკი, გენერალი იაზოვი, გენერალი კრისტიკოვი. გორბაჩოვი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე ჯერ კიდევ არ არიან ვიზიტიდან დაბრუნებულნი. ისინი დაბრუნდნენ მხოლოდ ვაიან სალამოს. მათ მოსკოვის აეროდრომზე ხვდება პოლიტბიუროს მთელი შემადგნლობა და იქვე, აეროდრომზე იმართება სხდომა. გენერალურ მდივანს მოხსენდება ქვეყნის მთავარი პრობლემები და ალბათ, პირველ რიგში, თბილისში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები. შეუცდომლად შეიძლება თქვას, რომ გორბაჩოვმა მოიწონა პოლიტბიუროს “ჯგუფის” მიერ უკვე გაცემული განკარგულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მას საქმარისზე მეტი დრო ჰქონდა კრიმინალური გმიკარგულების აღსაკვეთად.” [42]

ჩვენს ხელთ არსებული, აგრეთვე აღნიშნულ სტატიაში დაფიქსირებული მასალა და მისი კომენტარი სრულ საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ 9 აპრილის ტრაგედიის წარმოშობა ვითარებათა შორის ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო შევარდნაძე-პატიაშვილს შორის გამართული ფარული ბრძოლა; – და პირველი მათგანის უკიდეგანო კარიერიზმით ნასაზრდოები სურვილი, მის “შშობლიურ” რესპუბლიკაში ყველაფერი ხდებოდეს მისი ნება-სურვილის მიხედვით (პატიაშვილი, როგორც ცნობილია, არ იყო შევარდნაძის კადრი) და მეორის აგრეთვე უკიდეგანო კარიერიზმი, რამენაირად, ყველანაირი საშუალებით შენარჩუნოს საქარ-

თველოში ხელისუფლება. რით უნდა აიხსნას თუნდაც ის ფაქტი, რომ ასეთ პასუხსაგებ მომენტში პირადად მ. გორბაჩოვი ავალებს ე. შევარდნაძეს თბილისში გამგზავრებას დაძაბულობის განსამუტავად, ის კი იგნორირებას უკეთებს გენერალური მდივნის ამ დავალებას და თავის გასამართლებლად მოჰყავს უსუსური მოტივი, – “ქართველმა ამხანაგებმა თქვეს, რომ საჭირო არ არის ასეთი გამგზავრება”, რაც საბჭოთა იერარქიული სისტემისათვის ყოვლად წარმოუდგენელ ფაქტად აღიქმება. საგულისხმოა, რომ შევარდნაძემ ყველაფერი კარგად იცოდა, თუ რა უნდა დატრიალებულიყო თბილისში და საკუთარი სამშობლოს ეს ტრაგედიაც საკუთარ კარიერისტულ მიზნებს ამსახურა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა ხელისუფლების საოცრად უგნური ქმედებანი და ის ცინიზმი, რომლითაც იგი ცდილობდა თბილისის აპრილის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობისაგან თავის აცილებას და ყველაფერს კადრულობდა თავის გასამართლებლად. სწორედ ამან აიძულა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II წერილით მიემართა მ. გორბაჩოვისა და დებუტატებისადმი. წერილში ნათქვამია: “...დემონსტრაცია მშვიდობინი იყო, დემონსტრანტები არავის არავითარ საფრთხეს არ უქმნიდნენ და ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგნდა, რომ მათ წინააღმდეგ ხელკეტები, ხელბარები და მოწამლული ქიმიური გაზები გამოიყენებინათ...

ცენტრალურ პრესაში არაერთხელ დაიწერა თითქოს ჩემთვის დემონსტრანტებს შეურაცხყოფა მოეყნებინოთ და ჯარებმა ჩემი დაცვის მიზნით გამომიყვანეს – ეს სწორი არ არის, პირიქით, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკები დაიძრნენ, ჩემს წინ ახალგაზრდებმა კედელი აღმართეს, რათა ხიფათი არ შემმთხვეოდა რა. მათვე შეუერთდა ადგილობრივი მილიცია.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომელზეც ყრილობაზე ილაპარაკა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალპოლკოვნიერმა როდიონოვმა, თითოქოს დემონსტრანტებს ჩემთვის ხელიდან გამოეგლივეოთ მიკროფონი და მე სიტყვა ვერ დამემთავრებინოს, მართალი არ არის. ასეთი ფაქტი არ მომხდარა. ეს ვიდეოფირიდანაც ჩანს. მინდა ვთქვა, რომ საერთოდ გენერალ როდი-

ონოვის გამოსვლამ თავისი ტენდენციურობით და ფაქტების ცრუ გაშუქებით შეურაცხყო ქართველი ერი”... [43]

9 აპრილის შემდეგ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე კიდევ უფრო მწვავედ დაისვა საქართველოში არსებულ ავტონომიებთან ურთიერთობის საკითხი. პირველი ხალხმრავალი მიზინგი, რომელსაც 20 ათასამდე კაცი ესწრებოდა და სადაც პირდაპირ დაისვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი, თავდაპირველად უ. ოქროპირიძის, შემდეგ კი სხვათა მიერაც, გაიმართა 1989 წლის 26 მაისს ქ. ბათუმის ბულვარში მდგბარე შადრევნებთან. ამ საკითხის წინ წამოწევა განაპირობა იმან, რომ ამ დროისთვის უკვე აშკარად გამოიკვეთა აჭარის ასსრ-ს კომუნისტური მმართველობის ანტიქართული და ანტიეროვნული პოზიცია. ის, რომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მტრულად განწყობილი ძალები ავტონომიური სტრუქტურების გამოყენებას ცდილობდნენ ქართული ეროვნული სხეულის გასახლებად და საქართველოში განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთიან ფრონტში განხეთქილების შესატანად, რის გამოც აჭარის მოქმედ ეროვნული მოძრაობის ძალთა დაპირისპირებამ აჭარის ხელისუფლებასთან რადიკალური ხასიათი მიღოღ. ეს იყო ეროვნულ ძალთა მიერ მიმდინარე მომენტის შეფასებიდან გამომდინარე ბრძოლის ტაქტიკა, რაც საშუალებას აძლევდა მას აჭარის ასსრ ხელისუფლების ელიტარული ნაწილის მხილების გზით ავტორიტეტი გამოეცარა ადგილობრივი მმართველობის ისედაც სახელგატებილი ორგანოებისათვის, შეეტანა მათში დაბნეულიბა და დეზირგანზიაცია, ამით კი მიეღწია ამ სტრუქტურების ანტიეროვნულ ძალის ხმევათა უმტკივნეულოდ გაუქნებელყოფისათვის. ამიტომაც ავტონომიის წამოწევული ლოტუნგი დროის მოთხოვნად იქცა.

აჭარის ავტონომიის საკითხის ამგვარად დასმამ ადგილობრივ მმართველობაში მოკალათებული ნომენკლატურისა და მათდამი დაქვემდებარებული ინტელიგენციის ნაწილის სასტიკი გააფთრება გამოიწვია. [37, გვ. 14-15] ისინი განსაკუთრებით გააღიზიანა გაზეთ “თბილისის უნივერსიტეტში” გამოქვეყნებულმა დ. ბერძენიშვილის სტატიამ “აჭარის ავტონომიის წანამდღვრები”, სადაც ავტორი განიხილავდა რა აღნიშნულ საკითხს, მოხმობილი მასალის ანალიზის საფუძველზე აკეთებდა საბოლოო დასკვნას, რომ

“ჩვენ ვიზიარებთ ბათუმის ინტელიგენციის ნაწილში მომწიფებულ და უკვე საჯაროდ დასმულ იდეას, რომ აჭარის ასსრ გადაკეთდეს ბათუმის ოლქად”. [44] დ. ბერძენიშვილის ეს პოზიცია ზემოთაღნიშნულმა ძალებმა აჭარის “საშინაო” საქმეებში “უცხო ძალის” პირდაპირ ჩარევად აღიქვეს (ამის გამო ეროვნულ ძალთა მიერ მათი ანტიქართული ქმედებების გასანეიტრალებლად მათთან გამართული შეხვედრებისას, ისინი პირდაპირ გააფთრებამდე მიჰყავდა დ. ბერძენიშვილის სახელის უბრალო წენებასაც) და ავტონომიის გაუქმების მომსრულია საწინააღმდეგოდ ყველაფერი იღონეს, თვით ისტორიული სიმართლეც კი სამსხვერპლოზე მიიტქნეს, ოღონდ აღნიშნული ავტონომიის ურყევი მარადიულობა და უშრეტი სიკეთე დაქმტკიცებინათ. ამ მიზნით დაწერილ სტატიებში მარქსიზმ-ლენიზმის კლასიკოსთა ციტატების მათვის დამახასიათებელ სტილში, წალმა-უკუღმა ტრიალმა და ისტორიული ფაქტების ჩვეულმა გაყალბებამ, საქმეს ვერაფერი უშველა, – რადგან ქართული პატრიოტული ინტელიგენციის აჭარიდან გამოსულმა ახალგაზრდულმა ფრთად არგუმენტირებული, მეცნიერულად გამართული მაღალი დონის სტატიებით საკადრისა პასუხი გასცა ისტორიკოს-მარქსისტთა მცდელობას დაუსაბუთებინათ დაუსაბუთებელი, [45] პირდაპირი მნიშვნელობით ქვა ქვაზე არ დატოვა მათი ფსევდო-მეცნიერული დებულებებიდან და წამოაყენა სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებანი. [46] ხოლო თავის წერილში ტ. ფუტკარაძემ მთელი კატეგორიულობით განაცხადა: “თავისი აბსურდულობით ყველაზე დიდ აღმფოთებას იწვევს აჭარის ავტონომია, – ქართველთა ავტონომია საქართველოში... ავტონომიის გაუქმება აჭარის მკვიდრთა საქმეა, მათი საპატიო და ისტორიული მოვალეობაა”... [47] ამავე პრობლემაზე მსჯელობისას ისტორიკოს თამაზ ფუტკარაძესაც გამოაქვს დასკნა, რომ “აჭარის ავტონომია სასწრაფოდ გასაუქმებელია”... [48]

აჭარის ხელისუფლების ქმედებათა პარალელურად ამოქმედ-და ანტიქართული ფსიქოზით გამსჭვალული რამდენიმე კაციანი ჯგუფი. მათი განწყობილება ნათლად გამოიხატა მათი სახელით, – “გარდაქმნისათვის მებრძოლი აჭარის სახალხო ფრონტი”, – გამოქვეყნებულ წესდებაში, სადაც კითხულობთ, რომ “ავტონომიური ფორმირებების გაუქმების თაობაზე მსჯელობა და ისიც არამ-

კვიდრი მოსახლეობისა, საფუძველს მოკლებულია”, ან “ტენდენციურობის გამო ბათუმის მუშაოთა კლასისა და საერთოდ ინტელიგენციის რიგებში მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები უდიდეს უმცირესობას წარმოადგენებ”, ან კიდევ, კვლავ ცდილობები რა “მკვიდრი” მოსახლეობისათვის პრიორიტეტის დამკვიდრებას, კატეგორიულად მოითხოვთ “საზღვარგარეთ სასწავლებლებში მივლინებული იქნას ძირითადად მკვიდრი მოსახლეობიდან გამოსული ახალგაზრდობა” [49] და ა.შ. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედ-მეტია.

ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლის მათთან პიროვნული მუშაობის შედეგად აღნიშნულ დაჯგუფებას ჩამოშორდა რამდენიმე წევრი, დარჩენილებმა კი უფრო მეტი თავგამოდებით გააჩალეს თავიანთი საქმიანობა. სწორედ ამან აიძულა ბათუმის სახალხო ფრონტი უ. ოქროპირიძისა და შ. მამულაძის ხელმოწერით მათვის გაეგზავნა მიმართვა-გაფრთხილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ “...მივმართავთ და ვაფრთხილებთ გარდაქმნის ხელისშემწყობი აჭარის საზოგადოების დაჯგუფების წევრებს, რადგანაც მიგვაჩნა, რომ ისინი ბოლშევიკთა ახალი ინტრიგის, – რომელ-საც გარდაქმნის სახელით ნიღბავენ და რომლის მიზანიც ძველი, უკვე დრომოჟმული იმპერიის მოდერნიზაციაა, – მსხვერპლი არიან, დოროულად მოეგონ გონს და თავი გათიავისუფლონ საქართველოში ამ ინტრიგის იარაღის ფუნქციისაგან“ [37, გვ. 20] მაგრამ აღნიშნულმა დაჯგუფებამ მაიც გააგრძელა თავისი ანტიეროვნული და ვიწროკუთხური საქმიანობა, რამაც ერთ-ერთი სახელისუფლებო უწყების ადგილობრივ ხელმძღვანელს – აჭარის ასსრ მაშინდელ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გურამ ჩიგოგიძეს საბაბი მისცა 1989 წლის 18 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე მიეთითებინა “აჭარული სეპარატიზმის” საფრთხის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ეს სწორედ ის სესიაა, რომელმაც აღიარა საქართველოს ძალით გასაბჭოება, მისი ოკუპაცია და ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ, – რაც იმის ნიშანია, როგორ ცდილობდნენ აჭარაც შეემზადებინათ იმავე როლის შესასრულებლად, რომელიც სხვა ავტონომიურ ფორმირებებში შეძლეს. პარტიული ფუნქციონერის ამ გამოსვლას ოპერატიულად გაეცა პასუხი ჯერ აჭარის რადიოს გადაცემაში – პიკის საათი [37, გვ. 21] და შემდეგ ქართუ-

ლი პრესის ფურცლებზე. [50] ხოლო ავტორთა ჯგუფმა თავისი წერილის დასკვნით ნაწილში პირდაპირ განაცხადა, რომ “ავტონო-მიური რესპუბლიკის მმართველი აპარატი წლების განმავლობაში იქცა თანამდებობისათვის საბრძოლო პოლიგონად, რის გამოც იგი იყო და არის საქართველოს სხვა კუთხეებთან აჭარის დაპირისპი-რების საფუძველი. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ბოლოსდაბოლოს მო-ვიდა დრო ობიექტურად გადაისინვოს ამ ავტონომიური ფორმირე-ბის შექმნისა და შემდგომი მიზანშეწონილობის საკითხი”. [51]

როგორც ვხედავთ, აჭარის ავტონომიის შეცვლაზე პოლემი-კამ ფართო ხსიათი მიიღო. საჭირო იყო საკითხისათვის უფრო ფართო რეზონანსის მისაცემად მისი სამართლებრივ საფუძველზე დაყენება და იმის შემოწმება, თუ რა დონით იყო შესაძლებელი მისი განხორციელება. მაგრამ ეს უნდა მომზდარიყო ისეთი ფორ-მით, რომ აჭარის ხელისუფლების მესვეურთ ვერ მოეხერხებინათ ეროვნულ ძალიათვის ავტონომიის ერთი ხელის მოსმით გაუქმდების სურვილის ბრალდების წაყენება, რასაც ისინი ხშირად მიმართავ-დნენ მოსახლეობის გაუთვითცნობიერებელ ნაწილში მღელვარების დასათესად და მისი “რისხვის” ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ წასამართავად. ამის პარალელურად მოსახლეობაში აქტიურ დემა-გოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ „გხას“-ელებიც, რომელთაც მოელი თავისთი ინტელექტუალური პოტენციალი დააბანდეს ხალხის დე-ზინფორმირებასა და თავიანთ მხარეზე გადაბარების საქმეში. ასეთ ვითარებაში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი 1990 წლის 5 მაისს აჭარის ასსრ უძენაესი საბჭოს სესიაზე გამოვიდა საკა-ნონმდებლო ინიციატივით და დეპუტატებს მოუწოდა განეხილათ აჭარის ასსრ სტატუსის გადახედვის შესაძლებლობა. [52]

ანალოგიური მოთხოვნები ისმოდა აჭარაში ეროვნული მოძ-რაობის მიერ გამართულ თითქმის ყველა აქციაზე. ამ ვითარებაში ეროვნული მოძრაობის მძაფრი გაქანების შესასუსტებლად გააქტი-ურდნენ საკავშირო მნიშვნელობის ორგანიზაციებიც, რომელებიც რესპუბლიკაში ცდილობდნენ თავიანთი ფილიალების დაარსებას და საბჭოთა კავშირის შენარჩუნების აუცილებლობის ლოზუნგის ირ-გვლივ “მასების” დარაზმვას. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია, რო-მელმაც სცადა ბათუმში ფეხის მოკიდება, იყო საკავშირო თვით-მოქმედი საზოგადოება “Единство“, რომელსაც სათავეში ედგა გა-

დაგვარებული ქართველი, ვინმე გურამ გოგია. ბათუმში ორგანიზებულ რამდენიმე შეხვედრაში ეროვნულ ძალებთან პაქტობისას განცდილი ფიასკოს შემდეგ იგი ასპარეზიდან გაქრა. [37, გვ. 24-25]

გაძლიერდა ზეწოლა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის მიმართ ე.წ. საკავშირო დისიდენტური მოძრაობის მხრიდანაც, რის ნათელ სურათს გვიშლის თვალწინ ზვიად გამსახურდიას ღია წერილი ანდრეი სახაროვისადმი, რომელშიც ადრესატს უყენებს არაერთ ბრალდებას, ბატონი ზვიადი აღნიშნავს, რომ „...თქვენ ჩაერიეთ იმ ანტიქართულ კამპანიაში, რომელმაც საქართველო იმპერიად გამოაცხადა, რომელმაც თითქოს თავის შემადგენლობაში შეიყვანა აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები...“ [53] რაც შეეხება ავტონომიურ წარმონაქმნთა მოკავშირე რესპუბლიკებთან თანასწორუფლებიანობის თქვენულ თეორიას, თქვენ, რომელმაც მთელი თქვენი სიცოცხლე და მოღვაწეობა სტალინიზმის გამოაშკარავებას შეალიეთ, ამ თეორიით მის მომხრედ გვევლინებით და აკანონებთ სტალინიზმის დანაშაულობებს ეროვნული პოლიტიკის სფეროში იმდენად, რამდენარაც ავტონომიურ წარმონაქმნთა უმრავლესობა – მათს ახლანდელ ფორმაში, წარმოადგენს სტალინიზმის დანაშაულს საბჭოთა ხალხების წინაშე, რათა განხორციელდეს იმპერიული პრინციპი, – “გათიშე და იბატონე”, რათა გამწვავდეს ერთაშორისი ურთიერთობა და შუღლი...

„ურნალ “ოგონიკის” ფურცლებზე გამოქვეყნებული თქვენი “აქტუალური” ინტერვიუთი თქვენ, დეპუტატი, ამჟამად ოფიციალური წარმომადგენელი უწინ თქვენს მიერ არაერთგზის გაკრიტიკებული საბჭოთა ხელისუფლებისა – წარმოგვიდექით სტალინიზმის დანაშაულთა დამკანონებლად, თქვენ, მამხილებელი სტალინიზმის ეპოქის რეპრესიებისა – ცალკეულ პიროვნებებთან მიმართებაში, იწონებთ რეპრესიებს მთელი ხალხების მიმართ, რომელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ არის შექმნილი ეს უკანონ და უსამართლო ავტონომიები...“ [54] აცხადებს ავტორი. თბილისის პოლიტიკური კლუბის განცხადებაში კი საქართველოში არსებული ავტონომიების შესახებ ნათქვამია და სავსებით სამართლიანადაც, რომ “საქართველოში ამჟამად შემავალ ავტონომიურ ფორმირებათა

შექმნა არსებული სახით თავის დროზე არ ყოფილა საქართველოს შინაგანი პოლიტიკური განვითარების შედეგი, რაც არსებითად განაპირობებს ქართველთა დამოკიდებულებას ამ ფორმირებისადმი. ამ ფორმირებათა არსებობა საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დღევანდელი საქართველო სხვა არაფერია, თუ არა ავტონომიური ერთეული საკავშირო ფედერაციულ სტრუქტურაში და ცენტრისაგან დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს პოლიტიკურ კონტროლს თავის შიგნით არსებულ ავტონომიებზე...” [55]

როგორც ვხედავთ, რაც ზემოთ აღნიშნულ განცხადებაშია ნაგულისხმევი დღეს რეალობაა და აფხაზეთისა და ეწ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიები მართლაც იქნენ პრობლემად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. აჭარაში კი ეს ვერ მოხერხდა და ამაში დიდი წვლილი მოუძღვის როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე აյ მოქმედ ეროვნული მოძრაობის ძალებს, რომელთაც თავიანთი მართებული პოზიციითა და უშიშარი ქმდებებით გასაქნა არ მისცეს მოვლენების იმგვარადვე განვითარებას, რამაც ზემოთ აღნიშნული ავტონომიური ერთეულების ქრონიკი სახელმისიფოსაგან ჩამოშორების რეალური საფრთხე შექმნა. პოსტსაბჭოური სივრცისთვის დამახასიათებელი ამ დიდი პრობლემის მთავარ კატალიზატორს ტოტალიტარული რეჟიმის შემორჩენილი მემკვიდრეობა და მის მიერვე ჩამოყალიბებული სისტემა წარმოადგენს, რომელიც მანამ იარსებებს, სანამ სიცოცხლეს განაგრძობს ამ სისტემაში ამოღზღდილი მესამე ცნობიერების მქონე “საზოგადოება”. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა საქართველო განარგმობდა თავის შეუპოვარ სკლას მიზნისაკენ.

საქართველოში 1990 წლის დასაწყისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აღმავლობით აღინიშნა. 5 იანვარს, თბილისში, მთავრობის სახლის წინ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წიმნდა ილია მართლის საზოგადოების და მონარქისტული პარტიის ინიციატივით დაიწყო აქცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნით. 6 იანვარს აქციას შეუერთდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც აღნიშნუ-

ლი მოთხოვნით განცხადება გაუგზავნეს სკპ ცპ პოლიტბიუროს. [56] აქცია 20 იანვრამდე გაგრძელდა.

საქართველოს მინდონარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ გამოწვევებზე პასუხის გაცემა მოითხოვდა ეროვნული ძალების ორგანიზაციულ გაერთიანებას, მის კონსოლიდაციას ერთი საბრძოლო შტაბის გარშემო. ამ მიზნით 1990 წლის 13-15 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საგანგებო კონფერენცია, რომელმაც შექმნა ეროვნული ფორუმი, რომლის მიზანი იყო ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელიც თავის მხრივ გაუძღვებოდა საქართველოს გარდამაცალი კოალიციური ხელისუფლების საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ორგანიზაციას... მაგრამ ეროვნულ ფორუმში მალე მოხდა განხეთქილება და მისი რიგები დატოვეს პელსინგის კავშირმა, ილია მართლის საზოგადოებამ, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ, მონარქისტულმა (კონსერვატორთა) პარტიამ და მათ შექმნეს “მრგვალ მაგიდად” წოდებული პოლიტიკური გაერთიანება, რომლის სპიკერიც გახდა ზვიად გამსახურდია, — გვამცნობს უურნალი “გუშაგი”, — შემდეგ კი იქვე განაგრძობს: “დარჩენილმა ფორუმმა გააგრძელა საქმიანობა და მოიწვია ეროვნული ყრილობა, სადაც საფუძველი ჩაუყარა პარტიათა საკოორდინაციო ცენტრს, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ეროვნული კონგრესის არჩევნებისთვის ხელმძღვანელობა, რომელიც უნდა ყოფილიყო ქართველი ერის ნებისყოფის გამომხატველი ორგანო...” [57] ასე ჩამოყალიბდა ადრინდელი თანამებრძოლებისგან ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი და გადამწყვეტი ბრძოლის წინ გაერთიანების მაგიერ, მათ შორის გამართულმა პაქტრობამ თანდათანობით ძალიან არაჯანსაღი ხასიათი მიიღო. შემდგომში კი, განსაკუთრებით ეროვნული კონგრესის შემადგენლობაში დაბანდებულმა ძალებმა ეს ურთიერთობა აშკარა კონფრონტაციის ესკალაციისკენ წაიყვანეს (რაც ცალკე მსჯელობის საგანია).

იმავე მარტის თვის 9-სა და 20 რიცხვებში საქართველოს კომუნისტულმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სვლები გააკეთა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიებზე დაგმო, დაპყრობა და ანექსია უწოდა 1921 წლის 25

თებერვლის საქართველოს გასაბჭოების ფაქტს, ბათილად გამოაცხადა ყველა კანონი და დეკრეტი, მას შემდეგ მიღებული ქართველი ხალხის სახელით. [იქვე] დოკუმენტში “საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ” ნათქვამია: “...მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი შეიძლება იყოს თვით რესპუბლიკა...

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადგებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, და ესწრაფვის საქართველოსათვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული უფლებების აღდგენას. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მაისის მუშურგლებური სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს სსრ-სა და რუსეთის სფსრ-ს შორის. 1922 წლის 12 მარტს სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის სსრ ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია...” [58] ამის კვალობაზე, – აცხადებს ჟურნ. “გუშაგი”, – რიგგარეშე სესია, როგორც მას სჩვევია, ერთხმად, მორცხვად, მაგრამ არა ორაზროვნად აცხადებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას, მაგრამ მას “და-

ვიწყდა” შექმნა მექანიზმი ამ გადაწყვეტილებათა სისრულეში მოსაყვანად... [57]

ამ მომენტისათვის უკვე დანიშნულია და მიმდინარეობს სამზადის 1990 წლის 25 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის, რომლის წინააღმდეგ დაიწყო მძლავრი საპროტესტო აქციები მთელი საქართველოს მასშტაბით მისი 1990 წლის შემოღომაზე გადატანის მოთხოვნით. მასში აქტიურად ჩაერთო აჭარაც. 1990 წლის 15 მარტის გაზეთი “აჭარა” გვამცნობს, რომ “საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, IV დასის ბათუმის კომიტეტის წევრმა გ. კოპლატაძემ განაცხადა, რომ პარტია აქტიური ბოიკოტს უცხადებს უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ვინაიდან არ სცნობს მის სამართლიანობას. ამავე პოზიციაზე დგანან პელსინგის კავშირი და წმინდა იღია მართლის საზოგადოება. სახალხო ფრონტის წარმომადგენლები კი აქტიურად მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიაში. [59] საქართველოს სახალხო ფრონტის ეს პოზიცია განპირობებული იყო მისი სელმბლვანელობის იმ რწმენით, რომ “...მორჩილი და უპრინციპო უმრავლესობის ყოლა საქართველოს უძალეს საბჭოში აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საქართველო კვლავ ჩააბან უვადო კაბალურ სამოკავშირო სელშეკრულებაში და ჩვენს ქვეყანაში მიწისა და სამართლის გამყიდველი თანამდებობის პირები დანიშნონ... ცხადია, ერში უნდა იყოს ვიღაცა (რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი ან ინდივიდი) ვინც ოფიციალურ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს, როგორც უკანონის. მაგრამ მოწოდება ქართველი მოსახლეობისადმი მთლიანად, რომ “ბოიკოტი გაუწიოს მთლიანად არჩევნებს”, სახალხო ფრონტს ისეთსავე უაზრობად მიაჩნია, როგორც მოწოდება “არ იხმაროთ საბჭოთა ტყვიები”, იმ შემთხვევში, თუ საქართველოში სამოქალაქო ომი ატყდა და ჩვენი თავს დაცვა დაგვჭირდა...” [60]

აჭარის მოსახლეობის პოლიტიკურ შეგნებაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა 1990 წლის 18 მარტს მომხდარმა მოვლენებმა, როდესაც ქობულეთსა და ბათუმში დაამზეს ლენინის ძეგლები.

თბილისიდან ჩამოსულ თანამოაზრებთან და აჭარის ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ აქტივისტებთან ერთად ზვიად გამსახურდიამ ნამდვილი განკითხვის დღე მოუწყო აჭარის კომუნისტურ ნომენკლატურას. ერთი სელის დაკვრით დამსხვრია აჭარის

(და არა მარტო აჭარის) მოსახლეობის ცნობიერებაში ათწლეულების განმავლობაში ჩანარგილ-ჩაგვირისტებული კერპი. ამხილა მათი ცრუპატრიოტიზმითა და ორპირობით შეზავებული მოღვაწეობა. ეს იყო მართლაც კომუნისტური რეჟიმის “ბართლომეს ღამე” აჭარაში და იმ აქციათა დაგვირგვინება, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 მარტს დაიწყებიან არჩევნების ჩასაშლელად გაიმართა სრულიად საქართველოში. [37, გვ. 25] ამ აქციათა შედეგად აღნიშნული არჩევნები გადაიდო 1990 წლის 28 ოქტომბრისათვის. 1990 წლის 20 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე აგრეთვე ცვლილებები შეიტანეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში და მისი სათანადო მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქტციით: “საქართველოს კომუნისტური პარტიის, სხვა პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკავშირი, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მართვაში.” [61]

ამით დასრულდა ერთპარტიული დიქტატურა და შესაძლებელი გახდა მრავალპარტიული არჩევნების დაწიშვნა საქართველოში, რაც განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე ეროვნული მოძრაობის ხანგრძლივი და შეუპოვარი საქმიანობის დიდი მონაპოვარი იყო, მაგრამ მის დემოკრატიულად ჩატარებამდე, ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასაცლელი.

1990 წლის 31 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საშიმშილო გაფიცვას იწყებს 5 სტუდენტი, რომლებიც მოითხოვენ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დაუყოვნებლივ მოწვევას და მისგან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხის განხილვას. “სიკვდილი ან თავისუფლება”, “ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან!” – ნათქვამი იყო გაფიცულთა მიმართვაში. გაფიცვას დაუყოვნებლივ მხარი დაუჭირა “მრგვალი მაგიდის” ორგანიზაციამ, ხოლო ეროვნული კონგრესის საკონრდინაციო ცენტრმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა და ეს იმით გაამართლა, რომ ეროვნული კონგრესის არჩევის პერსპექტივაში შეაშფოთა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს აკეთებს

მას ჩამოაშოროს ქართული საზოგადოებრიობის ფურადღება და ის ყალბი პერსპექტივივებისაკენ მიმართოს. სტუდენტებს მხურვალე მხარდაჭერა გამოუცხადეს მწერალთა კავშირის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინ-სტიტუტმა, [57] საქართველოს მიწათმოქმედთა პარტიის მთავარმა კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარებ ბატონმა რამინ რამიშვილმა უშიშრად განაცხადა: “საქართველოს მიწათმოქმედთა პარტია და მიწათმოქმედთა ასოციაცია მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელთაც ჭეშმარიტად გული შესტკივათ ეროვნული საქმისათვის, ვისაც სურს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩიხში არ მოქცეს, დაუყოვნებლივ გაერთიანდეს 5 მოშიმშილის გარშემო, ანუ “თავგანწირულთა კავშირში” და ამით ბოლო მოუღოს იმ ბზარის გაღრმავებას, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნის ქართველი ერის მომავალს, მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. დავძლით წვრილმანი წყენა და პირადი ამბიციები! გავერთიანდეთ “თავგანწირულთა კავშირში”. ერთიანობა არის ერთადერთი გზა დადი მიზნების მისაღწევად”. [62]

ეს იყო ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაზე მართებული პიზიცია, რომელიც ქართველმა პარტიოტმა დაიდ დააფიქსირა. მაგრამ ეს სულისკვეთება გაუგებარი დარჩა საქართველოში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ საკორდინაციო საბჭოში გაერთიანებული ძალებისათვის, რომელთაც კონგრესის არჩევნების ჩატარების შემდეგაც გააგრძელეს ქართველი ერის უპირველეს სასიცოცხლო ინტერესთა იგნორირება. ხოლო რა შედეგი მოჰყვა საბოლოოდ ამგვარ პოლიტიკას, ყველასათვის ცნობილია.

ზემოთ აღნიშნული საშიმშილო გაფიცვის 10 დღის თავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია საქართველოს სსრ კომპარტიის პირველი მდიგარი გივი გუმბარიძე, რომელიც გაფიცულებს დაპირდა, რომ მათი მოთხოვნა შესრულებული იქნებოდა უმოკლეს ვადაში. მართლაც, 1990 წლის 20 ივნისს, მოწვეული იქნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია შემდეგი დღის წესრიგით:

1) საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990

წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატების შეტანა (საქ. რევკო-მის 1921 წლის 16 ოქტომბრის, 1921 წლის 24 მარტისა და საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქ-მების სხვა აქტების სამართლებრივი შეფასება) და ამ დადგენილე-ბის შემდგომი რეალიზაციის ღონისძიებანი. მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკისა და რუსეთის სფსრ-ს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკ-რულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობაზე.

2) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.

3) საქართველოს მოქალაქეობის კანონპროექტი.

4) საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საყოველთაო დე-მოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონის პროექტი.

5) მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შო-რის, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესი-ული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოე-ბების, ასოციაციების კანონის პროექტი.

6) საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კანონის პროექტი.

7) საბჭოთა არმიაში ალტერნატიული სამსახურისა და მას-თან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგლამენტაცია.

8) სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფასება საქარ-თველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძვლზე... [57, გვ. 7]

როგორც ვხედავთ, ხელისუფლება თითქოს ყველაფერს აკე-თებს, რაც სახალხო მღელვარებას დააშოშმინებს, მაგრამ ამავ-დროულად იგი იძულებულია შეასრულოს მისი “პატრონის” ბრძა-ნებები. ქვეყანაში ამოქმედდა ბნელი ძალები, რომლებიც ძირს უთ-ხრიან ეროვნულ დარაზმულობას. ასეთი ძალები ამოქმედებულია აჭარაშიც და მიუხედავად ეროვნული მოძრაობის მძლავრი გაქანე-ბისა, ის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის წინააღმდეგ მიმარ-თულ ძლიერ ფაქტორად იქცა, რომლის გასანეიტრალებლადაც მას უდიდესი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდა.

ამავე პერიოდში პრესაში ქვეყნდება საქართველოს ეროვნული მოძრაობის ორივე დაჯგუფების საქმიანობის განმსაზღვრელი ფუძემდებლური კონცეფციები, რომელშიც ეროვნულ ფორუმში დარჩენილი ძალები ასაბუთებენ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევის აუცილებლობას; “მრგვალი მაგიდის” წარმომადგენლები კი კურსს 28 ოქტომბერს დანიშნულ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებზე იღებენ.

1990 წლის 30 სექტემბერს მართლაც ჩატარდა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები, რომელიც აჭარაში ფაქტიურად რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. საქართველოს ეროვნულ კონგრესში აჭარიდან არჩეულ იქნენ: საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიიდან – კობა ხაბაზი, ტარიელ მახარაძე და ამირან გორგასლიძე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – მერაბ კოპლატაძე და ბიძინა ავხაზავა. საქართველოს რესპუბლიკური პარტიიდან – დავით ბერძენიშვილი, თამაზ დიასამიძე, ოთარ ზოიძე და კიდევ რამდენიმე პიროვნება. [63]

1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის შზადების პერიოდი აჭარაში აღინიშნა მისი ავტონომიური მმართველობის სტრუქტურების არნაზული გააქტიურებით, რომლის მიზანსაც შეადგენდა ყველა შესაძლო მეორების გამოყენებით გავლენა მოქმედია არჩევნებზე ეროვნული მოძრაობის ძალთა საზიანოდ. ისინი არ ერთდებოდნენ არავითარ პროვოკაციას, დეზინფორმაციას და მოსახლეობის პირდაპირ მოსყიდვას (მისთვის უკანონო დახმარებების, სამშენებლო მასალების მიცემისა თუ სხვა სახით).

ასეთ ვითარებაში აჭარაში (ბათუმის გარდა) საქართველოს ამ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დავით ხახუტაიშვილი აღნიშნავდა “სამწუხაროდ, სოფლის მოსახლეობამ სწორედ იმ პარტიას დაუჭირა მხარი, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე შეურაცხყოფდა მის ლირსებას”. [64] ბათუმიდან კი, საქართველოს პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს დეპუტატები გახდნენ თამაზ დიასამიძე და დავით ბერძენიშვილი, ხოლო მრგვალი მაგიდის პარტიული სიით იმავე ორგანოში მოხვდნენ ნოდარ იმნაძე და ანზორ კუდბა. მაგრამ დანარჩენ საქართვე-

ლოში ეროვნულ ძალთა გაერთიანების – “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” შთამბეჭდავმა გამარჯვებამ ძლიერ შეარყია საბჭოთა იმპერიის საყრდენები საქართველოში. ამიტომაც მისმა მესვეურებმა კიდევ უფრო გააქტიურეს სეპარატისტულ ძალთა გამოხტომები აფხაზეთისა და ეწ. “სამხრეთ ოსეთის” ავტონომიურ ფორმირებებში და აჭარაშიც მოინდომეს იმავე მექანიზმის ამოქმედება.

აჭარაში ეს ბოლომდე ვერ მოახერხეს. ამაში კი, უნდა აღინიშნოს ეროვნულ ძალებთან ერთად თავისი დადებითი როლი შეასრულა აჭარის მაშინდელი ხელისუფლების (თენგიზ ხახვა) ლოიალურმა დამოკიდებულებამ ეროვნული მოძრაობის იდეალებისადმი; იმან, რომ იგი გაგებით მოეკიდა სრულიად საქართველოში მიმდინარე პროცესებს და არ იკისრა იმ როლის ზედმიწევნით შესრულება, რასაც მას ნომენკლატურული თანამდებობა ავალებდა. მისთვის, აჭარაში გაზრდილი აფხაზი კაცისთვის, უფრო ძვირფასი აღმოჩნდა ყველაფერი ის, რისთვისაც ქართველი ხალხი თავგანწირვით იბრძოდა. ეს ჩვენ გვახსოვს და არასოდეს დავივიწყებთ (ჩვენ გვქონდა ამ საკითხებზე პირადი საუბარი მისი აჭარის ასერ საოლქო კომიტეტის პირველ მდიგარად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში და მას საჯაროდ პირველად ვახმანებ – უ.ო.). ეს ყველთვის უნდა ახსოვდეს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასაც.

განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკნა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე აჭარა გვერდით ედგა ქართულ ეროვნულ მოძრაობას და თავისი წვლილი შეჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. მისთვის დამახასიათებელი და ახლობელი იყო ყველა ის სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც ქართულ ეროვნულ მოძრაობას აღნიშნულ პერიოდში გააჩნდა. მან თავიდან ვერ აიცდია ის დაპირისპირება და შინა ბრძოლა, რამაც თავი იჩინა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს. პირიქით, ზოგჯერ აქ წინააღმდეგობებს კიდევ უფრო ამძაფრებდა ავტონომიური სტრუქტურების არსებობა და მათში მოკალათებული კომუნისტური ნომენკლატურის ანტიეროვნული პოზიცია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ბო-

ლოსდაბოლოს ისინიც არ აღმოჩნდნენ მტრული ძალების დაკვეთა-
თა უსიტყვო შემსრულებლები.

აჭარამ აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოში ეროვნუ-
ლი მოძრაობის მიერ მოწყობილ ყველა აქციას. ამ მოძრაობის ად-
გილობრივმა წარმომადგენლებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქარ-
თული ეროვნული იდეალების ირგვლივ რეგიონის მოსახლეობის
დარაზმვაში.

აჭარაში ჩატარდა, როგორც საქართველოს ეროვნული კონ-
გრესის, ისე საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები და ორივე
ორგანოში არჩეულ იქნენ აჭარის წარმომადგენლები, მათგან ორი
— თამაზ დიასამიძე და დავით ბერძენიშვილი, — იყო როგორც
კონგრესის, ასევე უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რაც, ჩვენი აზ-
რით, პოლიტიკური კურიოზების სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. შე-
იძლება ითქვას, რომ ეროვნულ მოძაობას აქაც მოუწია საბჭოთა
ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი ცნობიერების
მესამე მდგომარეობის გამო გაჰომოსოვეტიკუსებული საზოგადოე-
ბის ურთულეს პრობლემებთან ჭიდილი. ამ ჭიდილის შედეგად საკ-
მაოდ შესუსტდა აღნიშნული საზოგადოების საარსებო ბაზისი,
თუმცა მისი საბოლოოდ დაძლევა დღესაც მომავლის საქმედ რჩება.

**თავი II. პატიოლოგიური და საქართველოს
ეროვნული ხელისუფლება
(1990.28.X-1992.6.I)**

თავდაპირველად საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები დანიშნული იყო 1990 წლის 25 მარტისათვის, მაგრამ მისი ბოიკოტირებისათვის სრულიად საქართველოს მასშტაბით გამართული აქციების შედეგად, როგორც ადრე აღნიშნეთ, 1990 წლის 20 მარტის დადგენილებით იგი გადატანილი იქნა 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. ამავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ უპვე შემოლებულია მრავალპარტიულობა და საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მათი ინტერესების შესაბამისად. ამიტომაც საჭირო იყო საკმაო დრო, რათა არჩევნებისათვის მომზადებულიყვნენ სხვადასხვა პარტიები და ორგანიზაციები.

ამის შესაბამისად შეიცვალა საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი დებულება და მასში ჩაიწერა, რომ საქართველოს კომპარტია სხვა პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, თანაბარ საფუძველზე მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, რითაც გაუქმდებული იქნა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის ის დებულება, რომლითაც მხოლოდ კომპარტია იყო სახელმწიფო მართვა-გამგების ერთადერთი ბატონ-პატრონი. [65, გვ. 8] საბოლოოდ საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნების დღედ 1990 წლის 28 ოქტომბერი დაინიშნა. საარჩევნო ბატალიებში ჩაება სხვადასხვა ბლოკი და ორგანიზაცია, რომელთაგან თავიანთი პოლიტიკური წონითა და შესაძლებლობებით გამოირჩეოდა ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, აგრეთვე ბლოკი “დემოკრატიული საქართველო” და კომუნისტური პარტია. მან წინასაარჩევნოდ პირობა დადო, რომ გამოეყოფოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

მარტო სექტემბრის თვის დასაწყისამდე “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” 40 შეკრება გაიმართა, ხოლო ამავე თვის პირველ კვირაში მოეწყო მისი სამი შეხვედრა. ამ ბლოკის 3

სექტემბრის შეხვედრაზე ისაუბრეს საარჩევნო კომისიასა და მის უახლოეს ამოცანებზე. წამოაყენეს წიანდადება კომპარტიისა და ოპოზიციის წინასაარჩევნო პირობების გათანაბრების აუცილებლობის შესახებ. იმსჯელეს რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბორის ელცინისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. გუმბარიძის მიერ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულებების თაობაზე და გადაწყდა პრესაში გამოექვენებინათ მის შესახებ მრგვალი მაგიდის პოზიცია, რომ “რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უნდა მოწერიგდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, ორივე მხარისათვის მისაღები ხელშეკრულებების საფუძველზე; რადგან საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ერის ნდობის მანდატი არასდროს მიუღია და მას არა აქვს ხალხის ნების გაუთვალისწინებლად ერის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასეთი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოწესრიგება საქართველოს მომავალი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პრეროგატივაა”. [66] ასეთ მნიშვნელოვან სხვა საკითხებთან ერთად ამავე სხდომაზე განიხილეს აჭარისა და სვანეთის სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის სავალალო მდგომარეობა, ხოლო ჰელსინკის კავშირის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარებრივი ნოდარ იძნაძემ გააკეთა განცხადება, რომ “ჰელსინკის კავშირის ბათუმის ორგანიზაციის განზრახული აქტს მოაწყოს შეხვედრა მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებთან; ზემო აჭარის უხუცეს ადამიანებს სურთ შეხვედრა ოპოზიციასთან”. [იქვე]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეკრებებზე მსჯელობა მიმდინარეობდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე საკითხებზე და იგი არამარტო ამ ორგანიზაციის, არამედ მთელი ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ აქტივობას ემყარებოდა, რამაც სათანადო ფონი შეუმზადა აღნიშნულ არჩევნებში ბლოკ “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” გამარჯვებას.

აჭარაში (გარდა ქ. ბათუმისა) საქართველოს ამ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ: “სამწუ-

ხაროდ, სოფლის მოსახლეობამ სწორედ იმ პარტიას დაუჭირა მხარი, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე შეურაცხყოფ-და მის ღირსებას”. [67, გვ. 58]

მაგრამ ეროვნული ძალების გამარჯვებას სრულიად საქართველოში მისი მოსახლეობის ახალი სულიერი აღმავლობა მოჰყვა, რაც გაზეთ “სახალხო განათლების” წერილში “აღსრულდა ხალხის ნება” ასე აისახა: “28 ოქტომბერს სრული მზადყოფნა იყო გამოცხადებული – ყველას პირნათლად უნდა შეესრულებინა თავისი ფუნქცია... ისეთი როგორი არჩევანის წინაშე, როდესაც არ კმარა მხოლოდ სურვილი იქნება არჩეული – საჭიროა სურვილი ღირსეული არჩეული იყო... გუშინდედი მეტოქე არ არის მტერი, იგი მხოლოდ კონკურენტია და იმავე საქართველოს, იმავე რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც იგივე სურვილი აქვს. ჩვენ დღეს ერთ რამეში ვართ ერთიანნი – გვინდა სუვერენული სამშობლო”... [68] ამაში მართლაც ერთიანი იყო ქართული საზოგადოების უმრავლესობა, თუმცა ზემოთ აღნიშნული მექანიზმების ამოქმედებას ავტონომიურ ფორმირებებში უჟღალოდ არ ჩაუვლია. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მისი შედეგები დღემდე მოქმედებს და ისინი მტკიცედ აღნანან სეპარატიზმის გზას. აჭარაშიც საქართველოს ხელისუფლების სათავეში ეროვნულ ძალთა მოსვლიდან ერთი თვის შემდეგ ანტიქართულმა და მართლწერულმა ძალებმა (რომ-ლებმაც ფაქტიურად ერთ ფოკუსში მოიყარეს თავი), 1990 წლის 30 ნოემბერს ბათუმში გამართულ მიტინგზე მოახდინეს საკუთარი ძალების გენერალური დათვალიერება. მათ მოტყუებით (თითქოს აჭარას აუქმებდა ვინმე, მუსლიმანი ქართველები ძალად უნდა გაექრისტიანებინათ და ა.შ.) მთიანი აჭარიდან ბათუმში ჩამოიყარეს რამდენიმე ათასი კაცი და ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის უკანა მხარეს, მოედანზე გამართეს პროვოკაციული მიტინგი პროვოკაციული ლოზუნგებით და შექმნეს ისეთი ატმოსფერო, რომ მომიტინგეთა წინა რიგისში მდგარი აქ მოსული ეროვნული მოძრაობის აქტივისტები (დ. ბერძენიშვილი, თ. დიასამიძე, რ. ნადირაძე, ნ. იმნაძე და სხვ.) ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდნენ და გაფითრებული შეპყრებდნენ მათ წინაშე გადაშლილ ამაზრზენ სანახობას. მე მათთან მივეღი და ხმამაღლა ვიკითხე, – ეს რა ხდება?! მათ სცადეს ჩემი შეჩერება, მაგრამ უკან მოუხედავად გა-

ვემართე ტრიბუნაზე ამავალი კიბისაკენ (ტრიბუნად თეატრის უკანა აივანი იყო გამოყენებული); ტრიბუნაზე ჩემთან ერთად ამოსვლა (ისიც დასაშოშმინებლად) გაბედა მხოლოდ ერთ-ერთმა მათგანმა ნური ძნელაძემ, რომელსაც შემდეგ გვერდში ამოუდგა ზეპურ ავალიანიც. ნ. ძნელაძეს სასწრაფოდ ამოვატანინე ტრიბუნაზე მეგაფონი (მათ მიკროფონთან არ მიმიშვეს) და შეცდომაში შეყვანილ ხალხს მივმართე შემდეგი სიტყვით:

“თანამემამულენო! დანო და მმანო! ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს ძლიერ ელირსა და თავიდან მოიშორა ორასწლოვანი მონობის უღელი. ქართველმა ხალხმა მრავალპარტიულ არჩევნებში გამოხატა თავისი ნება და 7 ათწლეულის შემდეგ პირველად აირჩია საქაუთარი ეროვნული პარლამენტი და საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოიყვანა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული მთვარობა – ეს თქვენი არჩევანიცაა!

და დღეს, როდესაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სიყვარულით მიიღეს აჭარის მკიდრნი, გაჭირვებისას ხელი გამოგვიწოდა და გულში ჩაგვიხუტა სრულად საქართველომ, ვიღაც-ვიღაცები ცდილობენ ისარგებლონ თქვენი ნდობით, გატყუებენ, ათასნაირი პროვოკაციით გწამდლავნენ და სურთ თქვენს მღელვარებას უკან ამოაფარონ თავიანთი ბინძური ზრახვები. აჭარას ვერავინ გააუქმებს ისევე, როგორც ვერ გააუქმებენ გურიას, სამეგრელოს, ქართლს, კახეთს თუ საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეს. არც თქვენს რელიგიურ გრძნობებს ემუქრება რაიმე საფრთხე, რადგან ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნვავი სინდისისა და რწმენის თავისუფლება და მისი დაცვაა. ის პირები კი, რომლებმაც თქვენ აქ მოტყუებით ჩამოგიყვანეს, ყოველივე ამას თქვენ გიმაღლავენ და ცდილობენ განხეთქილება შეიტანონ საერთო ქართულ ეროვნულ ძალისხმევაში, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენაა მიმართული. სწორედ ასეთები იყვნენ საქართველოს ისტორიულ წარსულში, ყოველთვის უმოწყვალოდ რომ გლეჯდნენ და ფლეთდნენ ერთიანი საქართველოს მრავალტანჯულ სხეულს... ასეთები იყვნენ, რომ მოღალატურად ძირს უთხრიდნენ საქართველოს ძლიერებას და მისი სულიერი და ფიზიკური გადაგვარება-განადგურების საქმეს ემსახურებოდნენ.

აბა, სხვას ვის უნდა აძლევდეს ხელს ჩვენი სამშობლოს ძლივს გამაგრებული სამხრეთი საზღვრების ისევ მოშლა და იქ დასახლებული ჩვენი თანამემამულების უკან დაბრუნება, თუ არა, მართლაცდა, საქართველოს და ყოველივე ქართულის დაუძინებელ მტრებს, რათა კვლავ გაუხსნან გზა ამ მხარეში უცხო თესლის აქტიურ ექსპანსიას, საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის მითვისების მიზნით.

მამულიშვილნო! ქართული ეროვნული მოძრაობა გადამწყვეტ ფაზაში შედის და მოსალოდნელია მტერმა, ჩვეულებისამებრ თავის გადასარჩენად, ასპარეზზე უხმოს ყველაზე რეაქციულ, შავბნელ ძალებს. ამიტომაც გააათეცეთ სიფხიზლე და ნუ წამოეგებით გამიზნულ პროვოკაციას.

დღეს საქართველოს ჩვენი თანადგომა, სიყვარული, ვაჟაპური სიტყვა და საქმე სჭირდება. საქართველოს ყველა კუთხეში ჩა-სახლებული ჩვენი თანამომენი ჩვენგან ამ ვაჟაპურ სიტყვას და საქმეს ელიან და არ გვაქვს უფლება მათ ეს იმედი გავუცრუოთ...

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ საქართველოს!" [69, გვ. 27-28]

სიტყვის დამთავრების მომენტისათვის მიტინგის ორგანიზატორები უკვე გაქცეულნი იყვნენ ტრიბუნიდან და მასზე ამოვიდნენ ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობათა ლიდერები; შეიქმნა მეტად ტრაგი-კომიკური სიტუაცია, რადგან ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ უკვე ეროვნული მოძრაობისკენ შემობრუნებული მიტინგის გამდინალის ინიციატორობაში. მიუხედავდ ამისა, აღნიშნული მიტინგის სრულმა შემადგენლობამ დაგმო ანტიეროვნული ძალების პროვოკაციული გამოხდომა და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, აგრეთვე მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი. [70]

ეს იყო აჭარაში ეროვნული მოძრაობის მომხრეთა საერთო გამარჯვება, რასაც წინ უძღვდა ამ ძალთა მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, რეაქციულმა ძალებმა ყველაფერი იღონეს და მართლაც, ყველაფერი იკადრეს რევანშის ასაღებად და მათთვის დამახასიათებელი გაუგებარი ლოზუნგებით პროვოკაციების მთელი კასკადი მოაწყვეს. [69, გვ. 29]

მანამდე კი, ცოტა უკან დავიხიოთ და გადავხედოთ საქართველოში აღნიშნულ მრავალპარტიულ არჩევნებამდე მომხდარ მოვლენებს.

ფორუმში დარჩენილმა ორგანიზაციებმა შექმნეს ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლობითი ორგანო „საკოორდინაციო ცენტრი”, რომელმაც საბჭოური სტრუქტურების მონაწილეობის გარეშე ჩაატარა ეროვნული კონგრესის არჩევნები 1990 წლის 30 სექტემბერს, რამაც პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესედ დაძაბა. ამასთან კონგრესის არჩევნები ფაქტიურად რამდენიმე დღე მიმდინარეობდა (ზოგიერთ რაიონში კვირებიც). 20 ოქტომბერს შეიკრიბა მისი ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც, ყველაფრის მიუხდავად, შეაჯამა არჩევნების შედეგები და პრესაში გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ცნობა:

“არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 2.958.755 ამომრჩეველს, მონაწილეობა „მიიღო“ 1.505.547 ამომრჩეველმა. მონაწილეოთაგან 1.357.924 ამომრჩეველმა სწორად შეავსო საარჩევნო ბოულეტენი და მხარი დაუჭირა ერთ-ერთ საარჩევნო ბლოკს. არჩეული კონგრესის სურათი კი ასე გამოიყურებოდა:

1. ბლოკი “ეროვნულ-დემოკრატები – დემოკრატიული პარტიები” – 441.722, – 32,53%, – 65 (მოცემული ციფრებიდან, პირველი აღნიშნავს ამომრჩეველთა რაოდენობას, მეორე, – პროცენტულ მაჩვენებელს, მესამე – გაყვანილ დეპუტატთა რაოდენობას);

2. ბლოკი “დემოკრატიული საქართველო” – 249.488, – 18,37%, – 37;

3. ბლოკი “ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია – ეროვნული კავშირი” – 182,229, – 15,51% – 71;

(სიმანდვილეში ამ ბლოკმა მიიღო 483,231 ხმა, 33,52% და 71 ადგილი კონგრესში, რაც საზღვარგარეთ მიწოდებულ ცნობაში ხელოვნურად ჩანს შემცირებული – უ.ო.)

4. საქართველოს სახალხო პარტია – 59.182, – 4,36% – 9;

5. კომუნისტური პარტიის დემოკრატიული ფრაქცია – 74.881, – 5,51%, – 11;

6. საქართველოს მოქალაქეთა ლიგა – 50.422, – 3,71%, – 7;

ეროვნულ კონგრესში სულ აირჩიეს ორასი კონგრესმენი. [71, გვ.35] აჭარიდან აღნიშნულ ორგანოში აირჩიეს: საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიიდან – კობა ხაბაზი, ტარიელ მახარაძე და ამირან გორგასლიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – მერაბ კოპლატაძე და ბიძინა აფხაზავა, საქართველოს რესპუბლიკური პარტიიდან – დავით ბერძენიშვილი, თამაზ დიასამიძე და ოთარ ზოიძე, ამასთან რამდენიმე სხვა პიროვნება. [72]

ეროვნული კონგრესის სახელით მათ მიერ გამოქვეყნებულ მიმართვაში, გამოაცხადა რა თავი საქართველოს მოსახლეობაში ნდობის მანდატით აღჭურვილ ქართველი ერის უზენაესი ნებისა და მისწრაფებების გამომხატველ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოდ, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე საჭიროდ მიიჩნია შემდეგი უმთავრესი ნაბიჯების გადადგმა:

“1. საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სრული და უპირობო გაყვანა.

2. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურების სრული დემონტაჟი.

3. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დაყრდნობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა.

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად უნდა იქცეს საყოველთაო სახალხო მოძრაობად, რომელშიც საქართველოს მთელი მოსახლეობა გამოამჟღავნებს ერთსულოვნებასა და უდრეკობას, დაუპირისპირდება არსებულ არაკანონიერ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს...

ჩვენი მომავალია – თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული საქართველო! გავერთიანდეთ ჩვენს წმინდა ბრძოლაში!” [71, გვ.67-68], – ნათქვამია მიმართვაში.

ხოლო ირაკლი წერეთელმა, 1990 წლის 18 ნოემბერს მის მიერ ჩამოყალიბებულ მემორანდუმში – “ერთიანი ძალისხმევით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ”, – აღნიშნა, რომ “ამ ბოლო ხანს გამართულ ორ პარალელურ საყოველთაო დემოკრატიულ მრავალპარტიულ არჩევნებში კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაცხადდა და სამართლებრივად დადასტურდა ქართველი ერის უზენაესი ნება და მისწრაფება – აღდგეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა... გვმართებს სიტყვით და საქმით განვახორციელოთ და რეალურ სინამდვილედ გაქციოთ ჯანსაღ ზნეობრივ, პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე დაფუძნებული ეროვნული კონსოლიდაცია. და ვინაიდან საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების შედეგად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი და მთავარი მამაოძრავებელი ძალები განაწილდა ორ პარალელურ სტრუქტურაში, ეროვნულ კონგრესისა და უზენაესი საბჭოს სახით, მიგვაჩნია, რომ საბჭოთა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის წინააღმდეგ ერთიანი ძლიერი ფრონტის შექმნა ერთობლივი ძალებით უნდა უზრუნველყოს სწორედ საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა და საქართველოს უზენაესმა საბჭომ... მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით არსებობდა და დღესაც არსებობს პრინციპული დაპირისპირება. მაგრამ ეს ფაქტორი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული გადაულახავ დაბრკოლებად საერთო მიზნისათვის დაწყებული ბრძოლის გზაზე... უნდა ვეცადოთ შემუშავდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ერთიანი სტრატეგია...”

კველაფერი უნდა დაიწყოს იმით, რომ უახლოეს წარსულში არსებული შეუღლი, განხეთქილება და ანტიაღონიზმი დავიწყებას მიეცეს. ამ მხრივ მისასალმებელია საქართველოს უზენაესი საბჭოს მხრიდან წამოსული ინიციატივა ურთიერთშემწყნარებლობისა და მიმტევებლობის, თანადგომისა და პატივისცემის, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის თაობაზე...” [71, გვ.69-71] ეს იყო დროის მოთხოვნილებით ნაკარნახევი ერთადერთი მართებული პოზიცია, მოვლენათა სამომავლო განვითარების სწორად დანახული პერსპექტივა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ორ პარალელურ ორგანოს შორის წინააღმდეგობამ შეუქცევადი და კონფრონტაციული ხასიათი მიი-

ღო, რასაც დღითიდღე აღრმავებდა, ერთის მხრივ, საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენელთა ამბიციური და ყოვლად უსაფუძლო მოთხოვნები და მეორეს მხრივ, მათ მიმართ საქართველოს უზენაესი საბჭოს ხისტი და მოუქნელი პოზიცია. თანაც კონგრესმენთა ეს მოთხოვნები ატარებდა ე.წ. მცოცავ ხასიათს და ერთის დაკამაყოფილების შემთხვევაში, ისინი ეგრევე აყენებდნენ სრულიად განსხვავებულ, ახალ მოთხოვნას და ამით მათთან რაიმე კონსესუსის მიღწევას შეგნებულად, შეუძლებელს ხდიდნენ. ასე, რომ დაპირისპირებისა და კონფრონტაციის გაღრმავების ცდა, მათ მიერ, მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოვლენათა სხვაგვარად წარმართვა არც იყო მოსალოდნელი, რადგან დაპყრობილ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებულ მექანიზმთა ქმედუნარიანობა ზუსტად ახლა უნდა წარმოჩენილიყო; და ტოტალიტარულ-იმპერიულმა საბჭოთა სისტემამაც წარმატებით დაიწყო თავისი ფუნქციის განხორციელება პოსტსაბჭოურ სივრცეში და, მათ შორის საქართველოშიც, მის მიერვე შექმნილი “მექუთე კოლონის” საშუალებით და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) გეგმის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ “რუსეთის იმპერიულმა ძალებმა (აქ ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში – უ.ო.) შეიძუშავეს კავკასიის ხალხების გათიშვის კონცეფცია. მოხდა როგორც რუსი, ასევე სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერების მხრიდან იძრიულ-კავკასიური ენებისა და კულტურის დაკინება და უარყოფაც კი. “კავკასიური მემკვიდრეობა” ეჭვის ქვეშ დადგა და წინა პლანზე წმინდისა განვითარების დაბალი საფეხურის ოემბ და თითქმის უარყოფილი იქნა კავკასიის ხალხთა რენესანსის, რეფორმაციისა, თუ განმანათლებლობის ფენომენის მნიშვნელობა... საქართველო... ორი საუკუნის მანძილზე საერთაშორისო ცხოვრების მიღმა დარჩა...” [73, გვ.109]

მიუხედავად ამისა, აღმავლობის გზაზე მდგარ ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ჭეშმარიტ მესვეურო სწორად ჰქონდათ წარმოდგენილი, ნორმალური განვითარების პირობებში, კავკასიურ სივრცეში ქართველი ხალხისა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მისია. “საქართველო და ქართველები ყოველთვის კავკასიის ხალხთა გამაერთიანებელ ძალას წარმო-

ადგენდნენ. მიუხედავად გარედან ინსპირირებული კონფლიქტებისა, საქართველომ უახლოეს მომავალში კვლავ შეიძლება იყისროს ეს როლი. ამით იგი აღადგენს ქრისტიანული შემწყნარებლობის პრინციპის უნიკალურ ისტორიულ ფუნქციას და აქტიურად ჩაებმება მსიფლიო პოლიტიკურ პროცესებში.” – წერდა ზვიად გამსახურდია 1990 წელს. [იქვე]

ასეთ პირობებში 1990 წლის 14 ნოემბერს შედგა საქართველოს ახალი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელზედაც ერთ-ერთ უპირველეს საკითხად განიხილეს წერილი “სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩივს სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე” – რომელშიც აღნიშნულია, რომ “იმსჯელა რა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციაზე”, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს ერთხმად მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. კანონი ადასტურებს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით აღდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციი დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის სფსრ-ის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის მიერ იქნა წართმეული. გამომდინარე ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურებიდან, საქართველოს რესპუბლიკა ფაქტობრივად დღესაც რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ აღნიშნული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზით, ესწრაფვის სრული სახეომწიფო ორგანიზაციის დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შესაძლებლად არ თვლის ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ამით თავის თავზე აიღოს რაიმე ვალდებულება. მხოლოდ როცა მოიპოვებს ნამდვილ დამოუკიდებლობას, მხოლოდ როცა გახდება სახელმწიფო ცხოვრების პოლიტიკურ და სხვა სფეროში თავისი ბედის ბატონ-პატრონი და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ქართველმა ხალხმა შეიძლება აღჭურვოს რწმუნებით, ხელი მოაწეროს რაიმე ხელშეკრულებას ნებისმიერ

სხვა ქვეყანასთან, რომელიც დაადგენს სახელმწიფოთა კავშირის ამა თუ იმ ფორმას.

ასეთი მიდგომა არ ნიშნავს უარის თქმას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ თუ სხვა სფეროში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე, რომელთა უმრავლესობასთანაც საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს. ცხადია, რომ ახალ პოლიტიკურ პირობებში ეს თანამშრომლობა უნდა ეყრდნობოდეს ახალ სამართლებრივ ბაზისს, რომელიც ითვალისწინებს სრულ თანასწორუფლებიანობას და ურთიერთსარგებლიანობას.

უარს ამბობს რა ნებისმიერ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, რომელიც ითვალისწინებს “საკავშირო ორგანოსადმი” დაქვემდებარების მინიმალურ ვერტიკალურ სტრუქტურასაც კი, საქართველოს უზენაესი საბჭო მზად არის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის თანასწორუფლებიანი ურთიერთობის საფუძველზე, რაც ასეთი ურთიერთობის მონაწილეთა კეთილდღეობამდე მიგვიყვანს.

ყოველივე ზემოთ თქმული საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საფუძველს აძლევს ამ ეტაპზე უარი თქვას “ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის” განხილვაზე, რამდენადაც მისი ნებისმიერი ფორმა მიუღებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის, რომელიც ჯერ მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში იმყოფება.

ეს განცხადება მოწონებული და მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია”. [71, გვ.72-73]

აქ, როგორც ვხედავთ, ყველაფერი დღესავით ნათელია და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელის მოწერაზე კი არა, მისი კონცეფციის განხილვაზეც კი უარს ამბობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით. მაგრამ მის ყველაფრის მკაფიოებელ “ოპონენტებს”, მაინც ყოფნიდათ ურცხვობა, რომ იგი კრემლთან გარიგებებსა და ალიან-

სში დაედანაშაულებინათ (ალბათ, ჩემი შენ გითხარის, — პრინცი-პით მოქმედებდნენ).).

აქვე უნდა ითქვას, რომ 1990 წლის 14 ნოემბერს, უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე საქართველოს მესამე რესპუბლიკის გა-მოცხადებით ახალი ეპოქა დაიწყო ქვეყნის ისტორიაში. “...იწყებო-და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლის თავისებურება ის იყო, რომ სახელმწიფობრივი დამოუკი-დებლობისათვის ბრძოლას ეროვნული პარლამენტი უნდა ჩასდგო-მოდა სათავეში. ის იქნებოდა არა მხოლოდ უმაღლესი საკანო-მდებლო ხელისუფლება, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და კოორდინატორი,” [74, გვ.77] – ასე განსაზღვრავდა მის როლსა და ფუნქციას ზეიად გაშვანერდია.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, საქართველო სახელ-მწიფობრივი თვალსაზრისით არ იყო მდგრადი ქვეყანა. ინტელი-გენციის ერთი ჯგუფი და მდიდართა ფენა, უმთავრესად ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლები, რომელთათვი-საც უცხო არ იყო მფარველობისა და პროტექცია-მოსყიდვის სის-ტემა, დანაწილდა სხვადასხვა ჯგუფებისა და პარტიების ინტერე-სების გამომხატველ ორგანიზაციებში. [იქვე, გვ.78]

ძალთა ასეთი დაჯგუფების სამომავლო საშიშროება მხედვე-ლობიდან არ გამოპარგავა ქართულ საზოგადოებას და იგი შეეცადა ხელი შეეშალა მოვლენათა დაგეგმილი სცენარით განვითარებისათ-ვის. როდესაც დაპირისპირებამ საქართველოს უზენაეს საბჭოსა და ეროვნული კონგრესის ძალთა შორის აშენა კონფრონტაციის სა-ხე მიიღო, სადაც ურთიერთლინდღვა და პოლიტიკურ ოპონენტთა ყოვლად მიუღებელი სარკაზმებით შემციბა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილისათვის უკვე ნა-თელი იყო, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიეყვანა ყოველივე ამას ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოუბრიობის მყიფე ორგანიზმი. ამასთან, რე-განშისათვის თავის დროის დადგომას ელოდნენ კომუნისტური ნო-მენკლატურის ხელისუფლებას ჩამოშორებული ნარჩენებიც, რომ-ლებიც, მოსკოვში მყოფ ედ. შევარდნაძის ხელმძღვანელობით, სულს უბერავდნენ და კიდევ უფრო აღვივებდნენ ამ ორ დაპირის-პირებულ ძალას შორის უკვე ჩამოგდებულ მტრობის ნაღვერდალს.

ქართველი ხალხის თავისუფალ მომავალზე ჭეშმარიტად მოფიქრალმა ძალებმა სცადეს ამ პროცესის შეჩერება, მაგრამ ტოტა-ლიტარული რეჟიმიდან ახლად თავდაღწეულ ქვეყანაში, სადაც ფაქტორად არ არსებობდა ქმედუნარიანი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა. სწორედ ამ მიზნით იყო, რომ 1990 წლის 27 დეკემბერს ბათუმელ ინტელიგენტთა ჯგუფმა, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმიდან, მიმართვა გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და საქართველოს ეროვნულ კონგრესს, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

“ძლიერ გვაწუხებს ურთიერთობათა ისევ დაძაბვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და საქართველოს ეროვნულ კონგრესს შორის. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ამ ორი ძალის გაერთიანებას ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო. მაგრამ ჩვენი საერთო მოწინააღმდეგებ ჯერვერობით ახერხებს მათ ერთმანეთისადმი აქტიურ დაპირისპირებას და ამით ქართული საქმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების პარალიზებას.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ეროვნული მოძრაობის ორი ფრთის მიერ ურთიერთლანდება და აუგად ხსენება ყოვლად დაუშვებელია. ეს კიდევ უფრო ძაბავს ისედაც უკიდურესად დაჭიმულ პოლიტიკურ ატმოსფერის და ქმნის პოლიტიკური და მორალური დესტაბილიზაციისათვის ნოუერ ნიადაგს მთელ საქართველოში. უცილობლად უნდა მოვთოკოთ პირადი ამბიციები. ექსპერიმენტების ჩატარების გაგრძელების უფლება მთელ ერზე არავის არა აქს და ეროვნული მოძრაობის ლიდერთა შორის ურთიერთობის გარკვევისას დაცული უნდა იქნას, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ინეტრესების პირორიტეტი...

გახსოვდეთ, – საქართველო უპირველეს ყოვლისა! ჩვენ უნდა ვძლიოთ მტერს საკუთარ თავში და გარეშე მტრის დამარცხებაც აქედან დაიწყება. თუ ასე მოვაქცევით გამარჯვება ახლოსაა, – დამარცხების უფლება კი, ჩვენ აღარ გვაქვს.” [75]

ანალოგიურ ძალისხმევას ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც, მაგრამ ზემოთ აღნიშნული პირობების გამო გონიერების ეს ხმა დარჩა “ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა”.

1991 წლის 29 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე, [76] ხოლო იმავე წლის 4 თებერვალს დადგენილება “გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ”, რომელმაც განსაზღვრა აღნიშნულ ეტაპზე გადასვლის წესი. იგი ითვალისწინებდა რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში პრეფექტების დანიშვნასა და პრეფექტურების შექმნას. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ

“1. გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე გადასვლა განხორციელდეს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით. მხედველობაში იქნეს მიღებული ადგილობრივი მმართველობის ორი დონი: მმართველობის პირველადი დონე, რომელსაც ქმნიან სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი სტრუქტურები, და მმართველობის მეორე დონე, რომელსაც ქმნიან რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის გათვალისწინებით რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში ინიშნებიან პრეფექტები და იქმნება პრეფექტურები.

2. რაიონების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტების (პრეფექტურების) ძირითად ამოცანად დაისახოს გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის პირველ ეტაპზე თანმიმდევრულად გადასვლის უზრუნველყოფა...

3. ...პრეფექტურების ჩამოყალიბებამდე მმართველობის ფუნქციები შეასრულონ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რომელთა საქმიანობას წარმართავს პრეფექტი თავისი კომიტეტის კომიტეტის ფარგლებში... საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარები დაკავებული თანამდებობებიდან განთავისუფლდნენ... პრეფექტის დანიშნის დღიდან. სოფლის (დაბის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა და თავმჯდომარებმა მუშაობა განაგრძონ საკრებულოების არჩევნების

ჩატარებასა და შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებამდე...” [იქვე]

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით 1991 წლის 6 თებერვალს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის XI უზენაესი საბჭოს XII სესია, რომელმაც ერთხმად მიიღო კანონი “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ” და კანონი “აჭარის ა.რ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ”. სესიამ მომავალი არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად დასახა სათანადო ღონისძიებები: აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს არჩევნების ცსკ-ს შექმნა, ცსკ-ს მიერ პარტიებისა და პარტიათა საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციაში გატარება და სხვა. სესიამ მოიწონა საქართველოს უზენაესი საბჭოს წინადადება და მიიღო დადგენილება აჭარის ა.რ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნები, 1991 წლის 3 მარტის ნაცვლად, დაინიშნოს 1991 წლის 31 მარტს – საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკურებულოთა არჩევნების დღეს. [იქვე]

სულ მაღლე ამ კანონია და დადგენილებათა მიღების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში დაიწყო ცვლილებები და მისი ხელისუფლების სათავეში მოვიდა ასლობ აბაშიძე, ხოლო უკვე მარტის დასწყისში ქალაქ ბათუმსა და აჭარის რაიონებში დაინიშნენ პრეფექტები და ჩამოყალიბება დაიწყო პრეფექტურებმა. ქალაქ ბათუმის პირველი პრეფექტი გახდა ტარიელ ფუტკარაძე, ქობულეთის რაიონისა – ანზორ თხილაშვილი, ხელვაჩაურისა – ბესარიონ ბიბინეიშვილი, ქედისა – სანდრო ბერიძე, შუახევისა – შოთა ფუტკარაძე, ხოლო ხულოსი – ბექან გობაძე.

პრეფექტის ინსტიტუტების შემოღებას აჭარაში სასტიკად ეწინააღმდეგებოდა აქ მოქმედი ოპოზიციური ალიანსი – საკოორდინაციო ცენტრი, და მასში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მეთაურობით. (ე.წ. ბათუმელი კონგრესმენები).

ბათუმში მოქმედი საქართველოს რესპუბლიკური პარტია და მისი აქაური “მოკავშირებები”, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და სხვათა

სახით, საქართველოს ახალ ხელისუფლებას, ზეიად გამსახურდიათი სათავეში, თავიდანვე კრიჭაში ჩაუდგნენ და ყველა ღონეს მიმართავდნენ საქართველოს რეგიონებსა და კერძოდ, აჭარაში ამ ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების დისკრედიტაციისათვის. ასეთივე პოზიცია დაიკავეს მათ მთელ საქართველოში ახალი ხელისუფლების მიერ შემოღებული პრეფექტებისა და პრეფექტურების ინსტიტუტებისადმიც, და იმედი პქონდათ რა ბათუმსა და აჭარაში მათი გავლენის გამოყენებისა, ცდილობდნენ აღნიშნული ინსტიტუტები არ დაეშვათ ავტონომიური რეპუბლიკის ტერიტორიაზე. მაგრამ მათი ეს მცდელობა აჭარაში მოქმედ ჭეშმარიტეროვნულ ძალთა აქტივობის შედეგად მარცხით დამთავრდა. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში მოქმედ რესპუბლიკელებს და მათ მომხრე სატელიტებს პქონდათ აჭარის დაჩქმების თავისებური პრეტენზია, რაც მათ სხვა პრეტენზიებთან ერთად, ჩვენ ვფიქრობთ, წარმოადგენდა მათ მიერვე არაერთგზის დაგმობილი სეპარატისტული განწყობილების თავისებურ, პროვინციალიზმთან შეხამებულ ფორმას; რადგან ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული მათი ცდა, არ დაეშვათ პრეფექტურების ინსტიტუტი აჭარაში, მიზნად ისახავდა ამ რეგიონში მათი პოლიტიკური დომინირების წარმოჩენას. მათ ამ ამბიციას კი, უნდა შეწირეოდა აჭარის მოსახლეობის ღირსება და სრულიად საქართველოს სხვა მხარეებისაგან აჭარის ხელოვნურად გამოცალებით, გარკვეული საზოგადოებრივი ძალების ფინანსურის, აჭარის, კიდევ ერთხელ, რაღაც განსაკუთრებულ რეგიონად დაფიქსირება. ეს კი, როგორც ჩანს, აღნიშნულ ძალებს, მათი ლიდერების ხელმძღვანელობით, სრულებითაც არ აწუხებდათ.

საქართველოს ახალ ხელისუფლებასა და ეროვნულ კონგრესს შორის, ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, მდგომარეობა დღითი დღე იძაბებოდა. კონგრესის მომხრეთა ქმედებებში უკვე გამოიკვეთა საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი წინ წასწრებისა და აქედან გამომდინარე, მზარდი ავანტიურისტის ეღლებები. ამის დამადასტურებელია საქართველოს ეროვნული კონგრესის მიერ იმ პერიოდში მიღებული რეზოლუციები და დადგნილებანი. მაგალითად, „საქართველოს ეროვნული კონგრესის რეზოლუცია საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მისი საქმიანობის თაობაზე“ [72]; იმავე ორგანოს დადგენილებანი „საქართველოში განლა-

გებული სსრკ-ს საოკუპაციო ჯარების თაობაზე” [იქვე], “საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე” [იქვე], აგრეთვე “კანონმდებლობის თაობაზე ოკუპაციის პირობებში”. [იქვე]

საქართველოს ეროვნული კონგრესის ზემოთ აღნიშნულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ “საქართველოს ეროვნული კონგრესი უზენაეს საბჭოს აღიარებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეულ ორგანოდ და ამ ორგანოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.” – საქართველოს ეროვნული კონგრესი უზენაეს საბჭოს ვერ მიიჩნევს ეროვნულ პარლამენტად... როგორც პარლამენტთან, უზენაეს საბჭოსთან ეროვნულ კონგრესს თანამშრომლობა არ შეუძლია...” [იქვე] შემდეგ უზენაესი საბჭოსგან კონგრესი მოითხოვს პასუხს მის მიერ დასმულ შვიდ კითხვაზე, რომლებიც, როგორც მოტანილი შესავალი, ისეთივე ტონითაა შედგენილი და ისეთი ფორმით არის დასმული, რომ უზენაესმა საბჭომ, კიდევ რომ მოინდომოს, საკუთარი ღირსების შელახვის გარეშე, ვერ მოახერხებს ვერც ერთის სერიოზულად მიღებას; ეს სწორედ იმიტომ კეთდებოდა, რომ ყოველგვარი კომპრომისული ნაბიჯის გადადგმა თავიდანვე გამორიცხულიყო; მეორე დადგენილებაც ამავე სტილითა და მიზანდასახულობით არის შედგენილი და მასში ირიბად ხაზგასტულია, რომ ყველასთან (თვით უცხო და არაკეთილმოსურნე სახელმწიფოებთანაც) შეიძლებოდა საქმიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, საქართველოს უზენაესი საბჭოს გარდა, – აა, ასეთ “უცალი ჭეშმარიტებაზე” პრეტენზის მქონე სიბარიტებთან ჰქონდა საქმე ზვად გამსახურდიასა და მის ხელი-სუფლებას. ისინი საქართველოს ინტერესთა პრიორიტეტზე ფარისევლურად აპელირებდნენ, სინაძვილეში საკუთარ ინტერესთა გაბატონების პრიორიტეტის მეტს არაფერს ცნობდნენ და სათანადო-დაც იქცეოდნენ. მათი, ან დაუფიქრებლად და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე უნდა გერწმუნა და საქმეში უსიტყვოდ გამოსდევნებოდი, ანდა შენს მოსახრებებს მათთვის არავითარი აზრი აქ ჰქონდა და შენი მორჩილებისათვის უნდა მიეღწიათ; სწორედ ეს იყო საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი მათი ამპარტავნული და ქედ-მაღლური დამოკიდებულების მიზეზიც.

ხოლო დადგენილებაში “კანონმდებლობის თაობაზე ოკუპაციის პირობებში”, მათ საქართველოს ხელისუფლებაში მრავალპარტიული არჩევნების გზით მოსული უზენაესი საბჭო და მის მიერ მიღებული კანონები თავიდანვე კანონგარეშე გამოაცხადეს და მოუწოდეს “საქართველოს მოსახლეობას არ დაემორჩილოს საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებს...” [იქვე] მაგრამ როდესაც ქართველმა ხალხმა, მათი ეს აშკარა დემაგოგია, არ დაიჯერა, ამასთან საქართველოს სახელმწიფო უფლებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო, ისინი გადავიდნენ აშკარა პროვოკაციებზე და საქმე შევნებულად მიიყვანეს შეიარაღებულ პუტჩამდე. ეს იყო საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალების მიერ დაგეგმილ ანტიქართულ აქციებში შევნებული მონაწილეობა და, აქედან გამომდინარე, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესთა უგულებელყოფა-დალატი. მისი, თთოქმის, ყველა ორგანიზატორი და წამქეზებელი, დღეის მონაცემებით, მხილებული და გამომჟღავნებულია – ამიტომაც, მაშინვე გჩნდა მფრინავი გამოთქმა: “გამსახურდიამ მთელ საქართველოს “პრაივიტელი” (გამამულავნებელი) გადასხაო.”

აჭარასა და ქალაქ ბათუმში მათი აქტივობა საკმაოდ ორგანიზებულ და მრავალფეროვან ხასიათს ატარებდა. ბათუმში განლაგებული მათი საკორდინაციო საბჭოს შტაბი და მისი მომზრუები აჭარის მოსახლეობისათვის შეურაცხმყოფელად თვლიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს [77] (მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ეს რატომძაც ავტყვდებათ – უ.ო.), მოუწიდებდნენ აჭარის მოსახლეობას ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების ბოიკოტირებისაკენ,[78] უარს ამბობდნენ სახელისუფლებო სტრუქტურებში მონაწილეობაზე. [79] და მათი პოზიციის გამართლებას ასეთი დემაგოგიური წიაღსვლებით ცდილობდნენ: “რას ნიშნავს არჩევნების ჩატარება? ეს ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები იმპერიის მიერ შექმნილი სტრუქტურების ცნობას, უკანონობის დაკანონებას, რადგანაც იმპერიის მიერ შექმნილი ყოველი სტრუქტურა (საქართველოს მმართველობის სათავეში მრავალპარტიული არჩევნების გზით მოსული კანონიერი ხელისუფლება, მათი აზრით იმპერია ყოფილა – უ.ო.) საქართველოს ტერიტორიაზე არის უკანონო და ძალადობის შედეგი. ამდენად თუ აჭარის მოსახ-

ლეობა მიიღებს მონაწილეობას... არჩევნებში, მაშინ ისინი ფაქტიურად დააკანონებენ უკანონობას..." [78, იქვე] ან “ხელისუფლება სახელმწიფოებრიობის ატრიბუტია და არა კოლონიური ქვეყნის. ოკუპაციის პირობებში, სანამ ქვეყნა დაპყრობილია, მას შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო...” [79, იქვე] ან კიდევ – “საპარლამენტო გზა საფუძველშივე განწირულია. რადგან განმათავისუფლებელი მოძრაობა არ შეიძლება იყოს ცენტრიდან მართვადი და კანონის ფარგლებში მოქმედი” [იქვე], და მრავალი სხვა ანალოგიური აბდაუბდა. მათ ამ ნაბოლვარს თუ დაუკავერებთ, მთელი პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოური ქვეყნების განმანთავისუფლებელი მოძრაობების ლიდერები გიუები ყოფილან, რადგან ამ სივრცეში მყოფ სახელმწიფოებში, სწორედ მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების გზით მოაპოვეს ხელისფულება და შეუდეგენერაციული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას, თავი დააღწიეს რა ამ გზით მრავალწლოვან საბჭოურ მონობას (ესენი კი, რა მაჲატმა განდებიც იყვნენ, მოკლე დროში დამტკიცდა, როცა იმდენიც კი ვერ მოითმინეს, რომ შეიარაღებულ კრიმინალურ გადატრაალებამდე არ მიეყვანთ საქმე). ხოლო რა ეწოდება ქმედებას, როცა ყოველი მხრიდან არაკეთილმოსურნეთა მიერ გარშემორტყმულ ქვეყანაში 1990 წლის 30 დეკემბერს მიიღეს კანონი საქართველოს ეროვნული გვარდის შექნის შესახებ, რომ – “მოგიწოდებთ ყველას – უარი თქვათ (საქართველოს) ეროვნულ გვარდიაში სამსახურზე!” [80] – თავად მკითხველმა განსაკოსტოს.

გაზეთ “ბათუმის” იმავე ნომერში – მიმდინარე მოვლენები – სათაურის ქვეშ ვკითხულობთ, რომ “ამა წლის 7 თებერვალს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით დაიწყო საპროტესტო აქცია ბათუმის თეატრის წინამდებარე ტერიტორიაზე.

აქციას მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (სედპ) ბათუმის ორგანიზაციაში და “ბათუმის ჯგუფმა”. აქციის მოთხოვნები იყო “ძირს პრეფექტურა”, “მიენიჭოს სსრკ ჯარებს საოკუპაციო ჯარების სტატუსი”, “საოკუპაციო ჯარებმა დატოვოს საქართველოს ტერიტორია”.

აქცია დასრულდა 25 თებერვალს. [81, გაზ.”ბათუმი” №4, გვ.5]

ამ ჯგუფმა ბათუმში ანალოგიური აქცია ჩაატარა 15 თებერვალსაც, ხოლო სახელისუფლებო ბლოკ “მრგვალი მაგიდის” წარმომადგენლებმა იმავე დღეს ჩაატარეს მიტინგი, რომელზეც, იმავე გაზეთის ცნობით, – ოპოზიციურ ძალთა წარმომადგენლები ერის მოღალატეებად და კრემლის აგენტებად გამოაცხადეს... აქციის მონაწილეებს შეუერთდნენ მომიტინგები ქობულეთიდან.

ოპოზიციურმა ძალებმა 17 საათზე თეატრის წინამდებარე მოედანზე ჩაატარეს მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდნენ სედპ-ის მთავარი კომიტეტის წევრი კობა ხაბაზი, პოლიტიკური ჯგუფის “ბათუმის” თავმჯდომარე რობერტ ნადირაძე, სედპ-ის ბათუმის რაიონული ორგანიზაციის წევრი ზაზა მესხიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები გოჩა კორტავა და ელგუჯა პაიჭაძე, პოეტი ჯონი ჯიჯეიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი გოლერძი ტოტოჩავა. თოქმის ყველა გამომსვლელმა ილაპარაკა იმ დაძაბულ ურთიერთობაზე, რაც არსებობდა ეროვნულ კონგრესსა და საქართველოს უზნეას საბჭოს შორის. ხაზგასმით აღინიშნა ის აშკარა ცილიმწამებლური კამპანია, რასაც ადგილი ჰქონდა ბლოკ “მრგვალი მაგიდის” მხრიდან. [იქვე]

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, რეგიონში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო. მაგრამ ნაშრომში ზემოთ მოყვანილი ფაქტების გამო, საკითხავია, რამდენად გულწრფელი და მართებული იყო ოპოზიციურ ძალთა გაზეთში დაფიქსირებული მათი ეს პოზიცია; რადგან ამ აქციების დროს ბლოკ “მრგვალი მაგიდის” წარმომადგენელს, ეროვნული მოძრაობის ცნობილ ბათუმელ ვეტერანს, ნუნუ ქაჯაიას გამოსვლაში, რომელიც მას 1991 წლის 18 თებერვალს გაუკეთებდა, ნათქვამია: “ჩემო შვილებ! პირველად, როდესაც გავიგე თქვენი ამ აქციის ამბავი, მართალი გითხვათ, ძალიან იმოქმედა ჩემზე იმიტომ, რომ ყველანი ძალიან მიყვარხათ.

რომ არა ასეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა, ალბათ არ მოვიდოდი თქვენთან და ვერც გეტყოდით ჩემს სათხოვარს.

დედაშვილურად გთხოვთ, შვილებო, წინ დაიხედეთ, არ ჩააგდოთ საკუთარი თავი და მთლიანად ქართველი ხალხი საფრთხეში. ხომ გახსოვთ თბილისი, აგერ ახლა ვილნიუსი, ხომ უსმენთ გადაცემებს მოსკოვიდან, თუ რას ლაპარაკობენ საქართველოზე.

როგორ ფიქრობთ, დაგვინდობენ ვითომ ისინი? შერცხვებათ და გულთან მიიტანენ ჩვენს სატკიგარს?

არა, შვილებო, არ დაიჯეროთ ეს, ამიტომ კიდევ ერთხელ შემოგეხვეწებით, გაუფრთხილდით თავს, რადგან მე მჯერა დღე-ვანდელი ეროვნული ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიყვანს იმ დიდი მიზნის აღსრულებამდე, საქართველოს თავისუფლება რომ ჰქვია.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!” [82]

ანალოგიური სულისკვეთების სიტყვით მიმართა მან ბათუმში 1991 წლის 9 მარტს გამართულ მიტინგსაც, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ტევადია მის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს იმავე წლის 27 მარტს წარმოთქმული სიტყვა:

“ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

მე მოგმართავთ ჩემს წინასაარჩევნო შეხვედრაზე თქვენ იმის შესახებ, თუ რა მაიძულებს ვიღებ ეროვნული მოძრაობის ავანგარდში ახალგაზრდობის გვერდით,” – აღნიშნავს ორატორი და შემდეგ განარგძობს, – “მე ვერც კი წარმომედგინა, რომ თქვენს წინაშე წარვსდგებოდი, როგორც დეპუტატობის კანდიდატი. მე ამისათვის არასდროს მიბრძოლია. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, ამირჩევთ თუ არა დეპუტატად. მე ვიდგები იქ, სადაც დღემდე ვიბრძოდი. ჩემთვის არ არსებობს მეორე მცნება, გარდა სამშობლოსა და საამაყოა, რომ ეს ჩემი და თქვენი სამშობლო – საქართველოა. მე ვზრდი შვილებს – მე მათ ვუზრდი საქართველოს, მე თუ ვიბრძი საქართველოს თავისუფლებისათვის, ეს იგივე თქვენი მომავლისთვის ბრძოლაა.

დღეს უჭირს ქართველ ერს, თორე ამ ხნის ქალს სახლიდან გარეთ რა გამომიყენდა. მე ვიცი სიბერის უამს ფათერაკიანი და ძნელი გზა ავირჩიე, მაგრამ რა ვენათ შვილებო, ეს გზა გვარგუნა ბედუკულმართმა ისტორიამ და დამპყრობლებმა... საქართველოს ნასოფლარებს დაეპატრონა სხვა ჯურის მოსახლეობა და დღეს ბევრგან ისინი უმრავლესობას შეადგენ... გვემუქრებიან, გვებრძვიან, არ გვინდობენ... იტაცებენ მიწას, კულტურულ ძეგლებს, ეროვნულ დოკუმენტებს.

მესამე ძალამ, რომელიც მტრის სახით მოგვევლინა, დასაყრდენი სწორედ არაქართველ მოსახლეობაში ნახა და წარწყმედით

გვემუქრება. აი, ახლა გვჭირდება გაერთიანება, – ჩვენ ხომ ისე-დაც ერთად ვართ, მაგრამ ვეცადოთ ნუ დავუშვებთ კუთხურობას და საქართველოს ცალკეული კუთხის შვილების დაპირისპირებას. უნდა ვებრძოლოთ ერთა შორის შუღლს და კინკლაობას, შეტაკებას. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებთ ყოველგვარ უსიამოვნებას და მტერს არ მივცემთ დასაყრდენს ჩვენს ქვეყანაში...” [იქვე]

როგორც ვხედავთ, სიტყვაში ჩადებული ემოციური მუხტის გარდა, ქალბატონ ნუნუ ქაჯაიას ნათქვამში ჩანს მომენტის ნათელი შეგნება და ქვეყნის ინტერესებისათვის ერის დარაზმვის სურვილი, პატრიოტული შემართება. ახლა შედარებისთვის ავიღოთ იმავე პერიოდში ბათუმელ ოპოზიციონერთა ერთ-ერთი ლიდერის რობერტ ნადირაძის მიერ 1991 წლის 18 მარტს გამართულ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვა და ყველაფერი ნათელი გახდება.

“ჩვენი მოძრაობა რუბიკონს მიუახლოვდა, – აღნიშნავს რ. ნადირაძე, – იმ რუბიკონს, რომელიც 28 ოქტომბრის არჩევნების გამო კვლავ აღიმართა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე... 28 ოქტომბრის არჩევნები ჩვენ ახალ ხითათს გვიქადის, რადგან სწორედ ამ “არჩევნების” წყალობით საბჭოთა კავშირმა თავის იურისძიეციაში მოაქცია საქართველო... პარლამენტური გზა, რომელიც გიორგიესკის ტრაქტატზე (? – უ.ო.), 1920 წლის საქართველო-რუსეთის კაბალურ ხელშეკრულებაზე (? – უ.ო.) 28 ოქტომბრის არჩევნებზე გადის, ანარქიზმის ჭაობში ეფლობა”... [83] გამოიდის, რომ ორატორის აზრით, 1990 წლის 28 ოქტომბრის “არჩევნების” გზით (არჩევნებს რატომღაც ბრჭყალებში სეამს), რომლის მეშვეობითაც მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული ეროვნული მოძრაობის ძალები მოვიდნენ საქართველოს ხელისუფლებაში ზეიად გამსახურდიას მეთაურობით, რომელმაც უზენაესი საბჭოს პირველსავე სესიაზე უარყო ყოველგვარ სამოკავშირეო ხელშეკრულებებზე არა მარტო ხელის მოწერა, არამედ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის განხილვაც კი, და რომელმაც აიღო შეუქცევადი კურსი საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, რაც სინამდვილედ აქცია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების რეალიზაციით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფო ბრიობის აღდგენის აქტის გამოცხადებით – თურმე,

მანამდე “თავისუფალი” საქართველო საბჭოთა კავშირის იურის-დიქციის ქვეშ მოქცეულა და ბრძოლის ამ საპარლამენტო გზით ანაქრონიზმის ჭაობში ჩაფლულა (მართლაც, რას არ იტყვის უძვალო ენა). აღარაფერს ვამბობთ ორატორის მიერ აღნიშნული სიტყვის გაგრძელებაში, საქართველოში დროის მომენტიდან გამომდინარე, მართლაც და, ურთულესი პრობლემების გვერდის ავლით, ისეთი პირადი ამბიციებიდან გამომდინარე ამბების წინ წამოწევაზე, როგორიცაა 1988 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ბათუმის მანიუქესტაცია-მიტინგების ორგანიზატორების საკითხი (რომელთა შესახებაც ადრე უკვე ვისაუბროთ). მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ასეთ დროს გავროში ნამდვილად იტყოდა: მაშ, გავწიოთ!..მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ რ. ნადირაძე ამ დაჯგუფებას სულ მალე გაემიჯნა და შექმნა აჭარის კეთილი ნების მისია.

ზემოთ მოყვანილი რეზოლუციები, დადგენილებანი და გამოსვლები, კეთდებოდა ისეთ ფონზე, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ დაშლილი არ იყო და მისი ძალოვანი სტრუქტურები ათას-გვარ პრობლემებს უქმნიდნენ საქართველოს ახლად არჩეულ ხელისუფლებას, რის გამოც იგი იძულებული იყო მსოფლიო ხალხებისა და მთავრობებისათვის მიემართა შემდეგი მოწოდებით:

“1. დაუყოვნებლივ შექმნას კომპეტენტური საერთაშორისო კომისია გაერთისა და ევროპარლამენტის ექსპერტების მონაწილეობით, ადგილზე სინამდვილის შესასწავლად, რათა ფართო საზოგადოებამ უზყუარი ინფორმაცია მიიღოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

2. დახმარება გაეწიოს საქართველოს რესპუბლიკას ყველა იმ სამუალებით, რაც საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული სუერენული სახელმწიფოს ნებისმიერი აგრესისაგან დასაცავად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.”

[84, გვ. 32]

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად საქართველოს ეროვნულ კონგრესში გაერთიანებულ ორგანიზაციათა უმრავლესობის ასეთი დამოკიდებულებისა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომლითაც სა-

ქართველოს მოსახლეობას მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში და ერთმნიშვნელოვნად ხმა მიეცათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, [85] – რაც ადასტურებს იმას, რომ ნორმალურ პირობებში ურთიერთთანამშრომლობა, ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის, სრულიად რეალური და შესაძლებელი იყო. ხოლო რაც შეხება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნულ ამ რეფერენდუმს, მასზე დასმული იყო კითხვა: “თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?”

ამ კითხვას დადგითად უპასუხა საქართველოს არა მარტო ქართულმა, არამედ მის არაქართველ მოქალაქეთა უმრავლესობამაც.

სარეფერენდუმო კომისიის ცნობით, კენჭისყრაში მონაწილეობდა მონაწილეობის უფლების მქონეთა, ე.ი. სრულწლოვან მოქალაქეთა, რომელთა რიცხვი უდრის 3.672.403-ს, 90.79%. ამათგან დადგითად უპასუხა 99.08%-მა და უარყოფითად – 0.51%-მა [86, გვ. 5]; ეს შედეგი, დემოკრატიული რეფერენდუმის ჩატარების თვალსაზრისით საუცხოო და დამაჯერებელია, რის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 9 აპრილს, თავის საგანგებო სხდომაზე გამოაცხადა “საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი”, რომელშიც ნათქვამი იყო: “1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეწოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.” [86, გვ.7]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას უდიდესი სიხარულით შეხვდა საქართველოს მოსახლეობა და, რა თქმა უნდა, აჭარის მცხოვრებლებიც, მაგრამ მეტად ნიშანდობლივია ბათუმში მოქმედ ოპოზიციურ ძალთა დამოკიდებულება აღნიშნული აქტისადმი.

ამ დღეს მათ მიერ ბათუმში, თეატრის მოედანზე გამართულ მიტინგზე ერთი სიტყვაც არ თქმულა საქართველოს ისტორიაში ამ უღირსშესანიშნავესი მოვლენის აღსანიშნავად. მათ ფაქტიურად, ამ ისტორიული აქტის ბოიკოტირება სცადეს. [87, გვ.7] ამის და-მადასტურებლად მოვიყვანთ მასალას 1991 წლის 10 აპრილის გა-ზეთიდან “აჭარა”, რომლის სტატიაში – “მიტინგები ბათუმში”, – აღნიშნულია შემდეგი:

“9 აპრილს დილით 4 საათზე ბათუმის ღვთისმშობლის ტა-ძარში აღევლინა ამ ორი წლის წინათ თბილისში მთავრობის სახ-ლთან ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშ-ვიდი, რომელსაც უძლვებოდა ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტი მეუფე კონსტანტინე. დილის 5 საათზე კი, სანთლები აციმციმდა ბათუმის ზღვისპირა პარკში – 1989 წლის იმ ტრაგიკული დამის მსხვერპლთა მემორიალთან “9 აპრილის ცრემლი”...

12 საათზე თეატრალურ მოედაზე გაიმართა მიტინგი. გა-მოშველები გულისტკივილით ლაპარაკობდნენ იმ საბედისწერო განთიადის ამბებზე.

მიტინგი დალოცა მამა გიორგიმ.

მიკროფონთან ერთმანეთს ცვლილენენ – ბადრი თევზაძე, ვლადიმერ მახარაძე, კობა ხაბაზი, ავთანდილ ბერიძე, უუჟუნა ხა-ჯოშვილი, ნინო საკანდელიძე, ამირან კილურაძე, მურაბ კუტუბიძე, სვეტლანა კუდაბა, სიმონ შარაძე, ნორჩი ბათუმელები და სხვები. მათ გამოსვლაში იყო მწუხარებაც და სიხარულის ცრემლებიც.

შემდეგ მიტინგის მონაწილეები გაეტანავრნენ ოზურგეთსა და ჩოხატაურში, სადაც მონახულეს 9 აპრილს დაღუპულთა საფლა-ვები...” შემდეგ იქვე გრძელდება:

“გუშინ, 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საგანგებო სხდომაზე გამოაცხადა საქართველოს დამოუკი-დებლობის აქტი. ამ მოვლენას მიეძღვნა თავისუფლების მოედანზე გამართული მიტინგი-მანიფესტაცია.

- აღსრულდა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება. ხალ-ხის ნებით აღჭურვილმა საქართველოს უზენაესმა ხელისუფლებამ აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის თანახმად. ქართველმა ხალხმა დაამტკი-ცა, რომ ის ღირსია თავისუფლებისა და არაფერს დაიშურებს

ეროვნული სახელმწიფო ბრიობის აღსადგენად. ამ გადაწყვეტილებაში მთელი ქართველი ხალხი ერთიანია და ჩეკნ ღრმად გვწამს, – გოლგოთას აუცილებლად ამაღლება მოჰყვება. გილოცვათ დღე-ვანდელ დღეს და გისურვებთ ყოფილიყოთ ღირსი იმ მისისა, რა-საც დღევანდელი დღე გვაკისრებს.

ამ სიტყვებით გახსნა მიტინგი-მანიფესტაცია საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმის დირექტორმა უჩა ოქროპირიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ გურამ მონიავა, სიმონ შარაძე, თამაზ გოგიტიძე, არჩილ მამულაძე, ლევან მიქელაძე, ბადრო მელაძე, ავ-თანდილ დიასამიძე, ნუგზარ ჯაფარიძე, ბიჭიკო დიასამიძე, მალხაზ ვარშანიძე, ალექსანდრა ოსიანენკო-ლომაძე, ფირუზ ვაშავმაძე, ნინო გოგიტიძე, აკაკი სვანიძე, ვლადიმერ მახარაძე, ამირან უორდანიძე, ლაშა კიკვაძე, თამუნა გუდავა, ქეთევან ზოსიძე, სტუმარი სტამბო-ლიდან ნუგზარ ირემაძე და მრავალი სხვა.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით ჰატივი მიაგეს მერაბ კოსტავას და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

ლექსს სიმღერა ცვლის, სიმღერას – ცეკვა. მღერის და ცეკვებს დიდი და ჰატრა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა...

ეს იყო იმპროვიზირებული, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი, ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი, რომლის მსგავსიც ნამდვილად არ ახსოვს ჩვენს ბათუმს.

მიტინგ-მანიფესტაციის მონაწილეებმა მისალოცი დეპუტატ გაუგზავნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას.” [88]

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნდა აბელ და კახა სურგულაძეების მისალოცი სტატია “ნათელი მომავლის მოახლოება”, შოთა ზოიძის – “საქართველოს აღდგომა” და სხვა.

იმავე უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის შექმნის შესახებ, დააკანონა პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი, საპრეზიდენტო არჩევნების დღედ დანიშნა 1991 წლის 26 მაისი, ხოლო მანამდე პრეზიდენტის მაღალ პოსტზე აირჩია ზვიად გამსახურდია.

შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა აკაკი ასათიანი, ხოლო მის მოადგილედ ნემო ბურჭულაძე. [86, გვ. 8-9]

სულ მაღლე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან, აჭარაში ქედის, შუახევისა და ხულოს პრეფექტურებთან არსებულმა საკრებულოებმა ქ. ბათუმის მაშინდელი პრეფექტის ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივას თანადგომა გამოუცხადეს და აჭარის აღდილობრივი ხელმძღვანელობის გვერდის ავლით თბილისში საქართველოს უზენაეს საბჭოს წარუდგინეს ამ რაიონთა საკრებულოების გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. მანამდე კი, წინასაარჩევნო აგიტაციის პერიოდში აჭარის ამავე რაიონებში აქტიური პროპაგანდა ეწერდა აღნიშნულ საკითხს და მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებაც ნამდვილად არ ჩანდა მისდამი ნეგატიური. მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ასლან აბაშიძით სათავეში, მათთვის გვერდის ავლით თბილისში ამგვარი დოკუმენტის წარდგენა, ჩამოყალიბებული ნომენკლატურული სუბირდინაციის უხეშ დარღვევად და აქედან გამომდინარე, პირად შეურაცხყოფად მიიღო და ამ გადაწყვეტილებათა გაბათილების მიზნით აქტიურად ამოქმედდა.

მობილიზებული იქნა ყველა ძალა, რომელიც საკრებულოთა ამ ნაბიჯის ცხოვრებაში გატარების მცდელობას აქტიურად შეეწინააღმდეგებოდა და თბილისს კი მის სიცდარესა და ტარიელ ფუტკარაძის აგანტიურიზმში დაარწმუნებდა. ყველა ამ ძალთა ძალისხმევითა და აშკარა დემაგოგიური მექანიზმების ჩართვით, მათ შეძლეს ზემო აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ტყუილებით (თითქოს აჭარას აუქმებდა ვინმე, ან მის თავისუფლებას ემუქრებოდა რამე, ან კიდევ, თითქოსდა მათ რელიგიურ გრძნობებს უპირებდნენ შელახვას და სხვა) აღელვება და აყოლიება, [89, ოქროპირიძე უ. რა ხდება აჭარაში] და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ პროვოკაციების მთელი კასკადი მოაწყვეს.

ისმება კითხვა: ვისგან ან რისგან ემუქრებოდა საშიშროება, ან მუსლიმანურ რელიგიას, ან კიდევ აჭარის თავისუფლებას?! მაგრამ სხვანაირად ხალხს ვერ ააღელვებდნენ და ვერც აიყოლიებდნენ და ამ ორ ლოზუნგს ვერ ამოაფარებდნენ მესამეს, მათთვის

უმთავრესს – “ზელები შორს აჭარის ავტონომიისაგან”, ე.ი. მათი მომავალი გახელისუფლების შესაძლებლობისაგან. ამიტომ სავსებით გასაგებია იმ აქციის მომწყობთა ზრახვები, რომლებმაც 1991 წლის 22-23 აპრილს მოახდინეს პირველი პუტჩი, სახელისუფლებო გადატრიალების მცდელობა აჭარაში, რასაც საკმაოდ მომზადებული შეხვდა ადგილობრივი ზელისუფლება და შეძლო მისი გამოყენება საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად [იქვე]. ამ მომენტში ფაქტოურად ერთმანეთს დაუპირისპირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი უზენაესი საჭროს თავმჯდომარე ა. აბაშიძე და ქ. ბათუმის პრეფექტი ტ. ფუტკარაძე. ამ უკანასკნელმა, გადამწყეტ მომენტში, ვერ გაუძლო სამიტინგო დაბაბულობას და თბილისში გაიპარა, თავისი მომხრეები კი, ღვთის ანაბარა მიატოვა. [69, გვ. 29]

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეროვნული მოძრაობის ზეიადისტურმა ფრთამ სცადა აღნიშნული პროვოკაციული აქციისათვის, მისი განეიტრალების მიზნით, ეროვნულ ძალთა ერთიანობა დაეპირისპირებინა, მაგრამ რესპუბლიკურმა პარტიამ და მისმა მოკავშირეებმა, უარი თქვეს ერთიანი ფრონტით გამოსვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ აუზის აჭარის გარშემო შექმნილი სპეციფიკური გარემოებანი და მისი მოსალოდნელი შედეგები, აյ ასლან აბაშიძის შესაძლო ერთმანეთველობის დამყარების ჩათვლით. ზემოთ აღნიშნული ძალების ერთმანეთზე მიშვებით, როგორც ჩანს, მათ იმედი პქონდათ ურთიერთბრძოლაში ორივეს დასუსტების ხარჯზე, მათი პოზიციების რეგიონში განმტკიცებისა. მაგრამ შემდეგში ისინი, ასლან აბაშიძის მომხრეების პირისპირ მარტო დარჩენილები, სასტიკად დამარცხდნენ. ამიტომაც მათ კისერზეა პასუხისმგებლობის უდიდესი ნაწილი ყველაფერ იმაზე, რაც შემდგომში აჭარაში მოხდა. [იქვე, გვ. 29-30] არც გაზეთ “მსგეფსის” ამ შეფასებაშია, ჩვენი აზრით, რაიმე გადაჭარბებული, რომ “1991 წლის ზაფხულში (გაზაფხულზე – უ.ო.) დაიწყო ბათუმში ეროვნული ზელისუფლების მარცხი...” [90, გვ. 2 და 6] ჩვენ კი, მის შესახებ აღვნიშნავთ შემდეგს:

მოვლენები, რომელიც 1991 წლის 22-23 აპრილს ბათუმში გათამაშდა დრამატული იყო არა მარტო საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, არამედ ქართული სულის განვითარების თვალ-

საზრისითაც ამ რეგიონში. ამ მოვლენებმა ცხადყო, რომ მიუხედავად აქ მომხდარი დიდი ძვრებისა, 70 წლიანი ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის მიერ შექმნილი მექანიზმი ამ რეგიონში, კვლავაც დიდი წარმატებით შეიძლებოდა ამოქმედებულიყო იმ ხალხის სახელით, რომლის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგაც იყო მიმართული ყოველივე ის, რაც კეთდებოდა, რატომაც კეთდებოდა და რისთვისაც გაკეთდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასში ამ მომენტისათვის შეიტანეს “სიახლეც” რელიგიური შირმის გამოყენების სახით. ამასთან უნდა თქვას, რომ სამუსლიმანო საზოგადოების ადგილობრივ მესვეურთა პიზიცია, რომლის ეგიდითაც აღნიშნული აქცია მხოლოდ დაიწყო, თავის შინაარსში არ შეიცავდა იმ საშიშროებას, რადაც იგი ადგილობრივი მნიშვნელობის სამთავრობო ფუნქციონერებმა, თავიანთი წამქეზებლური საქმიანობით აქციეს, როგორც მიტინგამდე, რამდენიმე დღით ადრე, ისე მიტინგზე. მათ, როგორც ლეგალურად (ტელევიზიისა და ინფორმაციის კველა საშუალებით), ისე არალეგალურად (თავიანთი ფასიანი აგენტურის საშუალებით) ყველაფერი გააკეთეს თავიანთი მიზნის მისაღწევად. ამჯერადაც არავინ დაფიქრებულა და არც არავის ხელი არ აპკან-კალებია იმაზე, რომ სასწორზე შეაგდეს ქართველი ხალხის საუკუნობით ნალოლიავები ოცნება და ნაკეთები საქმე, გაწეული ამ რეგიონში ქართული სულის ასალორიძინებლად. როგორც ჩანს, ამ აქციის ორანიზატორთა თვალსაწიერი იმდენად დაბინდული და ვიწრო იყო, რომ მათ შეეძლოთ დროებითი, წარმავალი წარმატების მისაღწევად გაეწირათ სამშობლოს ერთგულ შვილთა საუკუნეობით ნამოღვაწარი ამ კუთხეში. და ამ შემთხვევაშიც, იარაღად გამოყენებული იქნა უბრალო ხალხი, მშრომელი გლეხკაცი, თავის კუთხეზე უზომოდ შეევარებული, დეზინფორმირებული და წაქეზებული იმით, რომ თითიქოსდა აჭარას გაუქმებას უპირებდა ვინმე, ან მათ რელიგიურ მრწამსს რაიმე საშიშროება ემუქრებოდა. აჭარას კი ფაქტიურად “აუქმებდა” და თავს ლაფს ასხამდა ის, ვინც ასეთი აშკარა დემაგოგითა და პროვოკაციებით ცდილობდა ხალხში ქულების დაგროვებას და ქვეყნის საწინააღმდეგო ავანტიურებში მის ჩაბმას; ვისაც სრულებითაც არ ენაღვლებოდა აჭარის ბეჭი და აჭარის მოსახლეობის ქართული თვითშეგნების, მტრისა თუ მოყვრის თვალში დისკრედიტაცია იყო მისი ერთ-ერთი მიზანი.

რაც შეეხება სხვა მიზნებს, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, შეენარჩუნებინათ პრესტიული ნომერკლატურული სავარძლები და აქედან გამომდინარე, აჭარის მოსახლეობის განუკითხავი ძარცვის უფლება. ეს რომ არა, მათ კარგად იცოდნენ, თუ რა განსხვავებაა აჭარის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, და აჭარის ავტონომიური რესუბლიკის, როგორც ბოლშევიკების მიერ შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურის, გაუქმებას შორის. მაგრამ აჭარის გაუქმებაზე, ზოგიერთს, სიტყვის ჩამოგდება სწორედ იმიტომ დასჭირდა, რომ უბირი, მმრომელი გლეხკაცის გულში რისხვა და მღელვარება გამოეწვია, შემდეგ კი, ყველაფერი ეს თავისი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინა.

რაც შეეხება რელიგიურ მომენტს, – თითქოსდა ავტონომის გაუქმებისთანავე დაკეტავდნენ სალოცავებს და მუსლიმანებს დევნას დაუწყებდნენ, – ესეც მორწმუნე ხალხის ასაღელვებლად ზემოთ აღნიშნული კატეგორიის პიროვნებათა მიერ მოგონილი ჭორი და ტყუილი იყო. რადგანაც ყველამ კარგად იცოდა, რომ მომავალი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ერთერთი ძირითადი პრინციპი სინდისისა და რწმენის თავისუფლება იყო, და სწორედ ისინი ცდილობდნენ ყოველივე ამის მიჩქმალვას, ვინც ადრე ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ყველა სარწმუნოებას, – ვინც ხელში ბლოკიტითა და კალმით იყო ჩასაფრებული სალოცავთან, რომ თავისი თანამომე სწორედ რწმენის სამსახურისათვის დაებეჭდებინა.

აი ასეთი მრავალმხრივი და მრავალმყრალი იყო ამ მხარეში ბოლშევიკთა უბადრუკი მემკვიდრეების ფიზიონომია, რომელმაც თავისი სიცოცხლისუნარიანობა თითქოს დღევანდელამდე შეინარჩუნა.

არაფერია იმაშიც საკვირველი, თუცი ქართულ ისტორიაში ამ შავი ფურცლის ჩამწერთა (ვკულისხმობ მხოლოდ ორგანიზატორებს – უ.ო.) მიერ აგიტაცია გაწეული უბრალო მშრომელი რაიმეში, როგორც საჭირო იყო ვერ გაერკეთ და შეცდა. მითუმეტეს, როდესაც მას „ნამდვილი ისტორიკოს-პროფესორები“ ატყუებდნენ, დემაგოგით სწამლავდნენ, ხოლო ზოგიერთ სულმოკლეს ალკოჰოლითაც უმასპინძლდებოდნენ (არც სხვაგან ვყოფილვართ დაზღვეული უარესი შეცოდებებისაგან).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ დროს თავისი უარყოფითი როლი ითამამა ეროვნული მოძრაობის ძალთა შორის მაშინ უკვე არსებულმა განხეთქილებამ, აქედან გამომდინარე ძალთა დაქსაქსულობამ, ურთიერთ გადასწრების სურვილით გამოწვეულმა აჩქარებამ, ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლის ზედმეტმა თავდაჯერებულობამ, გადამწყვეტ მოქნებში შიშის სინდრომით ნასაზრდოებმა აშკარა შეცდომებმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხალხის უკმაყოფილებას მაშინ ბიძგი მისცა აჭარაში საკადრო პოლიტიკში დაშვებულმა ზოგიერთმა შეცდომამ (ადგილობრივი კადრებისადმი უნდობლობის გამოხატულება – უ.ო.), რაც დიდი ხნის წინათ ჩასაფრებულმა ძალებმა თავისი მიზნებისათვის გამოიყენეს: მათ ზელოვნურად, ყველაფრის კადრების ფასად, მიაღწიეს რა სიტუაციის უკიდურეს დაბაგავას, ხალხის მღელვარებას ამოაფარეს თავიანთი ბინძური ზრახვანი და არც თუ უანგარო მიზნები.

ასე რომ კიდევ ერთხელ მოახერხეს მოეტყებინათ ამ კუთხის უბრალო, პატიოსანი მშრომელი და გამოეყენებინათ ისეთი საქმისათვის რაც ჩვენი ქვეყნის მტრის გარდა, არავის ხელს არ აძლევდა. მითუმეტეს, რომ აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წასული ახალმოსახლეებისათვის, ეს იყო, მართლაც, ზურგში მახვილის ჩაცემა და აქედან გამომდინარე, ქართული შორისგამიზნული ეროვნული პოლიტიკის დალატი. სწორედ აქედან იწყება ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაცემისაკენ მიმავალი გზა, მისი მეთოდური და შეუქცევადი დასუსტება. [89, იქვე]

აჭარაში მიმდინარე ამ მოვლენების პარალელურად მიმდინარეობდა ეროვნული მოძრაობის ავანგარდში მდგარი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურ ბლოკში შემავალ ადგილობრივ სუბიექტთა გაძლიერება-გამტკიცება. მარტო სრულიად საქართველოს ილია მართლის საზოგადოების აჭარის ოეგიონალურმა ორგანიზაციამ 1990 წლის 17 ოქტომბრიდან 1991 წლის 3 ივნისმდე ჩაატარა ათეულობით კრება, რომლებზეც სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად განიხილებოდა ახალი წევრების მიღების საკითხი ორგანიზაციაში. სწორედ ამ პერიოდში გახდნენ სრულიად საქართველოს ილია მართლის საზოგადოების აჭარის ოეგიონალური ორგანიზაციის წევრები აღექმდნენ ტაკიძე, ფატიმა ზოიძე, ზურაბ სურმანიძე, თამაზ კალანდარიშვილი, ნოდარ

ფუტკარაძე, ირაკლი დიხამიძე, სულხან სუთიძე, ჯემალ მალაყმაძე, ნარგიზ ლორთქიფანიძე, ფირუზ ვაშაყმაძე, არჩილ მამულაძე, ვლადიმერ მახარაძე, მიხეილ ბერიძე, გენადი მალაყმაძე და სხვები. [91] ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში, ხოლო ქ. ბათუმის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატებად სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაციიდან დასახელდნენ ნუნუ ქაჯაია, ნიაზ მალაყმაძე, ვაჟა ცინცაძე, თამაზ კალანდარიშვილი, ნოდარ ფუტკარაძე, სულხან სუთიძე, ირაკლი დიხამიძე და ანზორ გოჩაძე.

ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტიდან რ. ნადირაძის წასვლის შემდეგ გადარჩეული იქნა მისი გამგეობაც და 1991 წლის 7 თებერვლის კრების ოქმის თანახმად სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრებად აირჩიეს: ვ. ცინცაძე, ვ. მახარაძე, ა. მამულაძე, ნ. ფუტკარაძე და მ. ბერიძე; ხოლო იმავე წლის 3 ივნისის ორგანიზაციის საერთო კრების ოქმის თანახმად ქ. ბათუმის წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ნიაზ მალაყმაძე. ამავე კრებაზე მოხდა გამგეობის წევრთა გადახალისება და სრულიად საქართველოს ცენტრალურ მრგვალ მაგიდაში ახალი წევრების წარდგენა, რაც წილად ერგოთ ნ. მალაყმაძეს, ა. მამულაძეს, ვ. ცინცაძესა და ნ. ფუტკარაძეს. [91, 1991 წ. 3 ივნისის ოქმი №5] ამსათან აქტუალური გახდა მრგვალი მაგიდის ორგანიზაციათა ფილიალების დაარსება აჭარის რაიონებში. ხელვაჩაურის რაიონში ამ საქმის ორგანიზება დაევალათ ვლ. მახარაძესა და ა. მამულაძეს, ქედის რაიონში – ვ. ცინცაძეს, შუახევისა და ხულოს რაიონებში – ნ. ფუტკარაძეს, ა. მამულაძესა და მ. ბერიძეს, ქობულეთის რაიონში – თ. კალანდარიშვილსა და დ. ქანთარიას, ხოლო დაბა ჩაქვში ეს საქმე დაუვალათ ს. სუთიძესა და ლ. გათენაძეს. [92]

საერთოდ, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის იმდროინდელი საქმიანობის წარმოსაჩენად მეტად შთამბეჭდავ სურათს გვაძლევს 1991 წლის 28 აგვისტოს ქ. ბათუმში გამართული ამ ორგანიზაციაში შემავა-

ლი პარტიების – წმ. ილია მართლის საზოგადოებისა და ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება, ადგილობრივი აღიანსის ერთობლივი კონფერენციის მასალები (კონფერენციას ესწრებოდა ამ ორგანიზაციების 150-ზე მეტი წევრი). კონფერენციის დღის წესრიგი მოიცავდა:

ა. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება და მისი გამომწვევი მიზეზები, და ჩევნი სამოქმედო გეგმები სტაბილიზაციის მისაღწევად (აზრთა გაზიარება).

ბ. აჭარის რეგიონალური ორგანიზაციაში წევრთა მიღება და დათხოვნა.

გ. აჭარის ა.რ-ის რეგიონალური ჰელსინკის კავშირისა და წმ. ილია მართლის საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა და სამოქმედო გეგმის შედგენა (აზრთა გაზიარება).

დ. სხვადასხვა კომისიათა მოქმედების შეჩერება და მათი ზელახალი არჩევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა წმ. ილია მართლის საზოგადოების ბათუმის ფილიალის თავმჯდომარებ ნ. მალაყმაძემ. მან ისაუბრა საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე ვითარებასა და მის გამომწვევ მიზეზებზე, მრგვალი მაგიდის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ამოცანებსა და სამომავლო გეგმებზე რეგიონში სტაბილიზაციის მისაღწევად. მანვე განაცხადა, რომ „დღევანდელ რთულსა და წინააღმდეგობით აღსავსე საზოგადოებრივ-პილიტიკურ ცხოვრებაში... განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ერის, მთელი რესპუბლიკის მისახლეობის ერთსულოვნება... სულიერი მთლიანობის შენარჩუნება-განმტკიცება ეროვნულ ცხოვრებაში. მიმდინარე ინტენსიური, პოზიტიური ცვლილებების პროცესში ნებისმიერი შეცდომა, გადახრა, უაღრესად საზიანო და დასაგმობია. როგორც თქვენ იცით, აჭარის ა.რ მოსახლეობის აბსოლიტურმა უმრავლესობამ უყოფმანოდ დაუჭირა მხარი ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. ზვიად გამსახურდიას ასეთი პოპულარობა, როგორც აჭარის ა.რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარებ ბატონმა ასლან აბაშიძემ აღნიშნა, გამოწვეულია იმით, რომ იგი ძალ-დონეს არ იშურებს ახალი საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში. ამის ნათელი დადასტურებაა თავისუფლების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯების სიმტკიცე, ზემოქ-

მედების ის ძალა, რაც მან ზალხის დასარაზმავად გამოიჩინა. ამიტომაც არის, რომ დღეს საქართველო და ზეიად გამსახურდია ერთ ცნებად გადაიქცა“...

ამავე საკითხის გარშემო სიტყვით გამოვიდა საქართველოს ჰელსინკის კავშირის ბათუმის ორგანიზაციის წევრი ო. ცანავა, რომელმაც თქვა: „ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება გახლავთ ის დღიდ ძალა, რომელიც დღეს აგრძერიგად აკავშირებს ქართველ ზალხს და მხნეობას გვმატებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უთანასწორო ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, გთხოვთ ყოველი წევრის ნათქვამი და გადადგმული ნაბიჯი იყოს აწონდაწონილი... ყოველივე იყოს შეთანხმებული გამგეობასთან“...

აჭარის ა.რ-ის რევიზნალური ჰელსინკის კავშირისა და წმ. ილია მართლის საზოგადოებათა წესდებაში დამატებების შეტანა და ბლოკში „მრგვალ მაგიდა – თავისუფალ საქართველო“ შემავალ ამ ორგანიზაციათა ერთობლივ გენერალური სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრა ანზორ თხილაიშვილმა, რომელმაც ზაზი გაუსვა ამ ორგანიზაციების პოლიტიკური პროგრამისა და წესდების დაცვის აუცილებლობას და აღნიშნა: “ჩვენი პარტიების სახელზე მოდის მრავალი საინტერესო წინადადება და მოსაზრებანი საქართველოს აღირდინებისა და განმტკიცების მომავალი მოდელის შესაქმნელად, რომლებიც შევქრიბეთ და გადავცით საქართველოს მრგვალი მაგიდის ხელმძღვანელობას...” ორატორმა აგრეთვე ისაუბრა მრგვალ მაგიდაში შემავალი ორგანიზაციების საერთო იდეური პლატფორმის და მათი სრული იურიდიული და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ, წამოაყენა წინადადებანი პირებულადი ორგანიზაციების ფინანსური ბაზის განმტკიცების მოთხოვნით და ბოლოს თავის მოხსენებაში შეეხო კადრების საკითხს: “წლების მანძილზე განმტკიცებულმა, ანკეტური მონაცემების მიხედვით კადრების შერჩევის მანკიერმა პრაქტიკამ ძალადან ბევრი ისეთი აზალგაზრდა, კარგი სპეციალისტი დაგვაკარგინა, რომლებიც დღეს ბევრ სასარგებლო და საჭირო საქმეს გააკეთებდნენ” – აღნიშნა ორატორმა.

გაწეული მუშაობის შეჯამება გააკეთა წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრმა, ქალბატონმა ნარგიზ ლორთქიფანიძემ. მან თქვა: “ჩემი მოღვაწეობის უპირველესი მიზანია, ამბობს

ბატონი ა. აბაშიძე – ეკონომიკის, სახალხო მუზეუმების ყველა დარგის განვითარება, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგრა-მარეობის სტაბილიზაცია, სამოქალაქო მშვიდობა და თანხმობა, ეროვნული აღორძინება და ბრძოლა თავისუფალი, დემოკრატიული, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს წინსვლისა და განმტკიცებისათვის. ეს ოცნება კი არ არის, არამედ რეალური, მთავარი საბრძოლო მიზანია. მე ჯერა ხვალინდელი დღისა... ხვალინდელი დღის მესაჭები ჩვენ ვართ ყველანი, ამიტომ საჭიროა გონიერებას დავუმორჩილოთ ემოციები...” ორატორმა ისაუბრა აგრეთვე, აჭარა-ში, ისევე როგორც ცივილიზაციულ მსოფლიოშია, პროგნოზირების ცენტრის შექმნის აუცილებლობასა და სხვა საჭიროობროტო საკითხებზე (მათ შორის საქართველოს გვარდიაში შექმნილ ატმოსფეროზე), აღნიშნა ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობის ფორმების გამონახვის, მათთან დიალოგისა და საერთო ინტერესების ირგვლივ გაერთიანების აუცილებლობის შესახებ.

ამავე კონფერენციაზე ნ. ლორთქიფანიძის წინადადებით ეროვნულ მოძრაობაში გამოვლენილი აქტიურობისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის წმ. ილია მართლის საზოგადოების უხუცეს ბათუმელ წევრს, ცნობილ ეროვნულ მოღვაწეს ქალბატონ ნუნუ ქაჯაიას, მისმა სრულმა შემადგენლობამ ერთხმად მიანიჭა “აჭარის ეროვნული მოძრაობის დედის” საპატიო წოდება და იგი აირჩია საქართველოს “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” საპატიო წევრად.

ქალბატონმა ნ. ქაჯაიამ კონფერენციის დასასრულს მის წევრებს მოუწოდა:

“ჩემო შვილებ! ყველას ერთიანად გიხუტებთ გულში... სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომელიც ესწრაფვიან ვითარების გართულებას, წყლის ამღვრევას, – რიგით მოქალაქეებს სულს უფორიაქებენ, იყენებენ რა ცრუ ინფორმაციებს. იარაღით ზეწოლის ქვეშ ცდილობენ თავიანი მიზნების განხორციელებას. ჩვენთვის ცნობილია ასეთი ძალები... ჩემო დაბნეულო შვილებო, მე თქვენთან ვარ, მოთმინებით ველოდები, თუ როდის ამომიდგებით გვერდში, თუ როდის მოეგებით გონს.

დარწმუნებული ვარ მომხდარი ფაქტები, ჩემო შვილებო, და-გაფიქტებთ და მე, თქვენი დედა, გთხოვთ ამომიდგეთ გვერდში ერ-თანი საქართველოს გადასარჩენად.” [93]

აღნიშნული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ნათ-ლად წარმოვიდგინოთ ამ ორგანიზაციათა სამომავლო თვალსაწიე-რი და მათ ინტერესთა ფართო ეროვნული საექტრი, მათი საქმია-ნობის წარმმართველ ძალთა მიერ საქართველოში მიმდინარე მოვ-ლენათა წედვის სიღრმე და აქედან გამომდინარე, საკმაოდ ნათელი სამოქმედო გეგმა, არსებულ პრობლემათა დაძლევისა და სტაბილი-ზაციის მისაღწევად.

მაგრამ სანამ საქართველოში და კერძოდ, აჭარაში იმ დროს განვითარებულ სხვა მოვლენებს შევეხებოდეთ, მანამ ცოტა უკან დავიხიოთ და გადავხედოთ აჭარაში ასლან აბაშიძის ხელისუფლე-ბაში მოსვლის შემდეგ მომხდარ იმ ამბებს, რომელთაც საკმაო გავლენა მოახდინეს აქ მიმდინარე პროცესებზე.

როდესაც ასლან აბაშიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლი-კის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დაინიშნა (შემდეგ აირჩიეს), მისი პირველი მოადგილე გახდა საქართველოს პელსინკის კავში-რის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნოდარ იმნაბე. უნდა აღინიშნოს, რომ ა. აბაშიძე ამ პოსტზე, ფაქტიურად მისი პროტექციით მოვიდა. მაგრამ შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით კი 22-23 აპრილის აქციასთან დაკავ-შირებულმა ცნობილმა ამბებმა, მათ შორის მდგომარეობა უკიდუ-რესად დაბაბა; და თუ მანამდე ნ. იმნაბე ა. აბაშიძეს აჭარაში, მისი აზრით, აქ გასატარებელი პოლიტიკის საყრდენად მიიჩნევდა, ამ მოვლენებმა მას დაანახა, რომ მისი ყოფილი პროტექტორი არც თუ ისე ადვილი სამართავი აღმოჩნდა, — ამასთან, მან მოახერხა ამავე აქციების წყალობით საკუთარი ძალაუფლების არა მარტო გან-მტკიცება, არამედ აჭარაში მიმდინარე პროცესებზე თითქმის სრუ-ლი კონტროლის დაწესება. მანამდე თუ კი იმნაბის მიერ აბაშიძის მიმართ გამოთქმულ სიტყვებში, მისადმი დიდი იმედები ჩანდა (პი-რადად მომისმენია თბილისში საქართველოს უზენაესი საბჭოს სე-სიის სხდომათა შორის შესვენებაზე ნ. იმნაბესთან საუბარში), ამ აქციების შემდეგ მისი დამოკიდებულება აღნიშნული პიროვნები-

სადმი რადიკალურად შეიცვალა და შემდეგ სიტყვებში გამოიხატა: “სადამ ხუსეინს პურს ნუ ვაჭმევთ...”

დაპირისპირება გამწვავდა თვით მრგვალი მაგიდის ორგანიზაციის ადგილობრივ წევრებსა და ნ. იმნაძეს შორისაც, რისი სავალალო შედეგების შესახებ, პირადად შემხვდნენ და მესაუბრნენ, ამასთან ნ. იმნაძესთან მედიატორობა მთხოვეს ეროვნული მოძრაობის ცნობილმა ბათუმელმა წარმომადგენლებმა სეეტლანა კუდბამ და ნიაზ მალაქმაძემ. მაგრამ ცდა, ნ. იმნაძესთან შეხვედრისა და მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით მასთან საქმიანი საუბრისა, უშედეგოდ დამთავრდა. მდგომარეობა დღითიდღე იძაბებოდა და ბოლოს ყველაფერი 1991 წლის 30 აპრილის დამის სისხლიანი ტრაგედიით დასრულდა. ზოგიერთების მიერ წაქეზბული, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი და თავშე კონტროლდაკარგული ნოდარ იმნაძე ასლან აბაშიძის ბათუმის სამთავრობო რეზიდენციაში იარაღის სროლით შეიჭრა, იქ კი, ასლან აბაშიძის კაბინეტსა და მისაღებში გათამაშებული დრამის შედეგად იგი დაიღუპა, რამდენიმე კაცმა კი სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

ბოლო დღეს (29 აპრილი) ნ. იმნაძის მიერ საკუთარ კაბინეტში, კედლებზე გაკეთებულმა წარწერებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მან შეგნებულად ჩაიდინა ეს თვითშეწირვის აქტი, რადგან თავს ვერ აპატია მის მიერ ჩადენილი ისეთი შეცდომა, რადაც ასლან აბაშიძის აჭარის ხელისუფლებაში მისი დახმარებით მოსვლა ჩათვალა. აღნიშნული კედლის წარწერაში იგი მიმართავს გაუსს სიტყვებს: “რაც უნდა ჭირი მამერძონ, ბილწო არ შევაპრი ზავითა”-ო. საკმაოდ კარგად ვიცნობ რა ამ ამბებთან დაკავშირებულ საქმის არსეს, მიგვაჩნია, რომ ნოდარ იმნაძე თავისსავე გარემოცვაში ჩასაფრებული სულმდაბლობისა და ღალატის მსხვერპლი გახდა, რასაც მოჰყვა მის გარშემო შემოკრებილი პოლიტიკური თანამორაზრებებისა და გვარდიის ბათუმის დაჯვაფების აჭარიდან გაძევება და პოლიტიკური დაბატულობის უკიდურესი გამწვავება, აქედან გამომდინარე, სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმება მთელს რეგიონში. თუმცა, როგორც ზემოთ ნ. მალაქმაძის სიტყვაშია მითითებული, საქართველოს პრეზიდენტისა და ადგილობრივი მმართველობის არჩევნები აჭარაში ეროვნული მოძრაობის ძალთა წარმატებით აღინიშნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურმა ძალებმა საქართველოში ადრეგვ დაიწყეს საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის იდეოლოგიური ბაზისის შემზადება, რამაც ასახვა ჰქოვა ქართული პრესის ფურცლებზე. აჭარაში ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა არაერთი წერილი მისი პოზიციების დასაბუთებისა და მათი გამართლების მიზნით. მათგან ერთ-ერთი საყურადღებო სტატიას წარმოადგენდა 1991 წლის 28 მაისის გაზეთ “Аджария”-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია – “единство, согласие, сплоченность”, [94] რომელშიც ავტორი ცდილობს ოპოზიციური ორგანიზაციების ქმედებათვის იდეოლოგიური საყრდენების შექმნას და საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის ოპოზიციური თვალსაზრისით გაკრიტიკებას, მთელ თავის ნააზრევს კი ამთავრებს შემდეგი დასკვნით: “...და მთავარია – შინაგანი ერთიანობა, თანხმობა და შემჭიდროება ყველა მოქალაქეთა, რომელნიც საქართველოში ცხოვრობენ...” [იქვე] იმავე წლის 26 ივნისის გაზეთ “Аджария”-ში გაეცა მას პასუხი სტატიით – “письмо другу”, [95] რომელშიც ავტორი აკრიტიკებს ზემოთ აღნიშნულ წერილში მოყვანილი ზოგიერთ უმართებულო დებულებას და მის ავტორს ბოლოს მოუთითებს: “სტატიის სათაურზე აღვნიშნავ იმას, რომ იგი ძველმოდურ, დაუანგებულ, კომუნისტურ ლოზუნგს გვაგონებს და მასზე სიტყვას აღარ გავარგებული, თუმცა ბევრის თქმა შეიძლებოდა. და ბოლოს, თქვენი სტატიის სათაურში მოტანილი სიტყვების გამოყენებით დავამთავრებთ, რომ ჩვენ ნადვილად გვჭირდება ისეთი ერთობა, რომელიც ერთმანეთს არ გვაშორებს, თანხმობა, რომლის საძირკველშივე არ ჩავდებთ უთანხმოებასა და სხვისი გამტყუნების სურვილს, და ისე-თივე შეკავშირება, რომელიც უფრო არ დაგვესაქსავს – და არა პროკომუნისტური ლოზუნგებით მანიპულირება.” [იქვე]

საპასუხო წერილს “Истина рождается в споре”, [96] პასუხად მოჰყევა სტატია, “на разных языках”. [97] აღნიშნულმა პოლემიკამ სრულიად წარმოაჩინა პოზიციათა საფუძვლიანი განსხვავება და პრობლემისადმი რადიკალურად ურთიერთსაწინააღმდეგო მიღვომა დაპირისპირებულ მხარეთა შორის. ამის დადასტურებაა ბოლო სტატიის სათაურიც “სხვადასხვა ენაზე?...”, რომელშიც უკვე ყოველგვარი მორიდების გარეშე მხილებულია ოპონენტის წინა წერილებში გამოთქმული ყველა მცდარი დებულება. [იქვე]

მიუხედავად ყველაფრისა, თბილისთან შედარებით ზაფხულის თვეები აჭარაში სიმშეიდოთ აღინიშნა. მაგრამ 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური პროცესები კიდევ უფრო დაიძაბა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ მოსკოვის პუტინის დროს საქართველოს ხელისუფლებამ, მისი უსაფრთხოების მიზნით, საქართველოს გვარდია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაიყვანა, რასაც გვარდის ქუჩური ტრადიციების პატივისმცემელ ნაწილში უკაყოფილება და მისი ნაწილების თბილისიდან რკონის ბაზაზე გაყვანა მოჰყვა.

მოსკოვის აღნიშნული პუტინის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით საზღვარგარეთ გამომაყალ ქართულ უკრნალში “გუშაგი”, რომელშიც აღნიშნულია, რომ “ორშაბათს დიღლით მსოფლიო იღვიძებს სენსაციური ამბებით: “სახელმწიფო გადატრიალება სსრკ-ში”, გორბაჩოვი ჩამოგდებული უნდა იყოს”, “მოსკოვის ქუჩებს ტანკები დარაჯობება...”

საგანგებო მდგომარეობის კომიტეტის განცხადება...

პრეზიდენტი გორბაჩოვი მიმე ავადმყოფია. იგულისხმება, რომ ლაპარაკი არ შეუძლია. საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით მას ცვლის მისი ყოფილი თანაშემწე გენადი იანაევი. მას გარდა აჯანყების კომიტეტი დასახელებული არიან: მთავრობის თავმჯდომარე ვალენტინ პავლოვი, კერის თავმჯდომარე ვლადიმერ კრისტიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის პუგო, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოლეგ ბაკლანოვი, თავდაცვის მინისტრი მარშალი იაზოვი... ერთი სიტყვით ყველა მიხეილ გორბაჩოვის მიერ დანიშნული მისი ახლო თანამშრომელი... კომიტეტი 6 თვით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას მთელ ქვეყნაში. დეკლარაციაში მთავარი ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა კავშირის ერთიანობის დაშლის საფრთხისადმი.

დასავლეთის პოლიტიკური სამყარო თანდათან გონის მოდის, საბჭოთა კავშირის სპეციალისტები ცდილობენ ახსნან კრემლის გამოცანა. დამალული არავისთვის არაა, რომ საბჭოთა კავშირში უკვე დიდი ხანია რაც მომწიფებულია სამხედრო გადატრიალების პირობები. მთავარი გამოსარკვევი ისაა, გორბაჩოვი შეთქმულების

მსხვერპლია თუ, პირიქით, მისი თანამგრძნობი და, მაშ, ორგანიზატორიც.

ტელევიზორით მოწმე ვხდებით უჩვეულო ამბებისა მოსკოვში. მოსკოველები წინ ელობებიან ტანკებს, რომლებიც აჯანყებულთა დასახმარებლად მიემართებიან...” [98, გვ. 27-28]

როდესაც პარვარდის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესიონელის, პრეზიდენტი რეიგანის ეროვნული უმიშროობის საბჭოს სსრკ სექციის დირექტორს, რიჩარდ პარს გაზემა “ფიგარომ” მიმართა კითხვით: — სახელმწიფო გადატრიალებამ გაგაკირვათ? — მან უპასუხა: “სამხედრო აჯანყება მე ვიწინასწარმეტყველე ჯერ კიდევ 1990 წლის ნოემბერში. მე, რა თქმა უნდა, აჯანყების თარიღი არ ვიცოდი, მაგრამ ნიშნები გროვდებოდა. გენერლები და თვით პოლკოვნიკებიც კი, თავისუფლად აკრიტიკებდნენ გორბაჩოვს. ეს უპრეცედენტო იყო საბჭოთა არმიის ისტორიაში, ეს ნიშნავდა, რომ ჯარმა გაწყვიტა მასთან კავშირი და მზად იყო მის გადასაგდებად.” [98, გვ. 30-31]

შემდეგ იგივე უურნალი აღნიშნავს, რომ “კრემლის ყბადაღებული სახელმწიფო გადატრიალების ბუშტი, როგორც მოულოდნელად და სწრაფად გაიძირა, ისევე დაიჩუტა...” [98, გვ. 41] ხელისუფლებაში დაბრუნებულმა და ძალამოცემულმა გორბაჩოვმა “ვითომ არაფერიც არ მომხდარა, ბრძანება გასცა ვასალ პრეზიდენტებზე: დაუყოვნებლივ შემოკრბით ჩემს ირგვლივო! ხომ ხედავთ მსოფლიომ უპირობო ნდობა გამომიცხადა, თქვენ ხომ ნაკლები არა ხართ. მოაწერეთ აგრე ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მუხლები კი შემდეგში დავაზუსტოთ, უჩვენა თეთრი ქაღალდი და სათითაოდ მიიწვია.

სულ ახლახან დასრულებული პუტინის შიშით ჯიქურად უარის თქმა ვერავინ გაბედა, გარდა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. — რასაკვირველია, გორბაჩოვი განრისხდა, დაემუქრა მას” [იქვე] — აღნიშნავს უურნალი და იქვე განაგრძობს — “მართლაც ამ უკანასკნელ დღეებში მოსკოვიდან მომავალი ინფორმაციები საეჭვოდ დიდ ადგილს უთმობენ საქართველოს ამბებს. თურმე დიდი მღელვარებაა საქართველოში, მანიფესტანტები გარშემორტყმიან მთავრობის სასახლეს და მოითხოვნ ზვიად გამსახურდიას გადადგომას. ერთი წერენ, რომ მათ ცეცხლი გაუხსნეს

და დაჭრილია 9 დემონსტრანტი, მეორის მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღით კი არავინ დაჭრილა, არამედ ხელკეტებითაა დაბეგვილი ორი თუ სამი კაცი. არც ერთი ამ ამბის ავტორი თვით-მხილველი არ არის... ჩანს, რომ მათ წარმოდგენა არა აქვთ, რაზე-დაც ლაპარაკობენ. გულისამრევია მათი ვითომცდა ცოცხალი საუბრები გამსახურდიას მომხსრებთან თუ მტრებთან. ყველა ისეა შერჩეული, რომ საქართველოს პრეზიდენტზე მკითხველს შეუქმნას უკეთურობის, გმობის, მტრობის განწყობილება.

ასეთი მიღობმა გასაგებია კრემლის იმპერიალისტ ხელისუფალთაგან, მაგრამ როგორ ავხსნათ საერთაშორისო ინფორმაციის მსახურთა ხმაშეწყობილი ლიტანიობა ეროვნული დამოკიდებლობის ჩემპიონის წინააღმდეგ?... რად სტყუიან ასე უსაშველოდ და რად ატყუებენ ქვეყანას? ნუთუ სინდის-ნამუსისაგან სულ მთლად გაირეცხნე?

გუშაგი. პარიზი. 31/VIII/1991” [98, გვ. 41-42]

უერნალში აღნიშნული წერილის გამოქვეყნების თარიღი სპეციალურად მივუთითეთ. ეს არის 2 სექტემბრის თითქმის წინადღე, მსოფლიოს უსამართლო დამოკიდებულება კი, სამართლიანობის აღდგენისათვის მებრძოლი საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი, უკვე გამოკვეთილია, რაგდაც უსამართლობას არა აქვს არც სახელმწიფო საზღვრები და არც ეროვნება. და თუ საქართველო იჩარებოდა, ამ ჩაგვრაში რუსული თუ საბჭოთა იმპერიალიზმი მარტო არ ყოფილა და მას გვერდში ედგა ყველა ის სახელმწიფო და მსოფლიოს დიდმატყუიბელური ძალები, რომელებმაც თავის დროზე ხმა არ ამოიღეს საქართველოს კანონიერი უფლებების დასაცავად არც ერთა ლიგაში და არც თანამედროვე გაეროში. ამ უსამართლობაზე ამგვარი გაჩუქრებით, ისინი მათ მიერ ჩადენილი უსამართლობების მიჩქმალვას ცდილობენ და ყველა ახალი სახელმწიფოსა, თუ მისი რამდენადმე დამოკიდებული, სხვათა გავლენისავან თავისუფალი ხელისუფალი (ისეთი, როგორიც ზვიად გამსახურდია იყო) წარმოადგენს მათ მამხილებელ საშიშ ფაქტორს (მათოვის).

ზვიად გამსახურდიამ, ჯერ კიდევ 1977 წელს დაწერილ წინასწარმეტყველურ ეპისტოლეში, “დილემა კაცობრიობის წინაშე” – ამხილა ეს ძალები და დღეს მსოფლიო სიკეთესა და კაცობრიო-

ბის პროგრესსზე მოქადაგე ეს ძალები მზად არ აღმოჩნდენ ამ დიდი სიმართლის მოსასმენად და გასაგებად, რაც ზვიად გამსახურდიას მიერ ეპისტოლეში წარმოჩენილი მამხილებელი პოზიციის მსოფლიო რანგზე მიუთითებს (ქართველებს გვაქვს ფიგურალური გამოთქმა: “სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს”, რომელშიც ორი სხვადასხვა, სრულიად განსხვავებული აზრი შეიძლება ვიგულისხმოთ. პირველი – სიმართლის მთქმელი გასაქცევად მზად უნდა იყოს, და მეორე – ცხენი, ეს მოძღვრებაა ცხოვრების ხეზე და მისი ყოველთვის შეკაზმული ყოლა, ღვთის სახლში დაბრუნებისათვის მუდმივი მზადყოფნის მაჩვენებელია, რაც, ამ შემთხვევაში, სიმართლის თქმის გზით, ღვთიურთან ზიარების ტოლფასია). ხოლო რაც შეეხება 1991 წლის 2 სექტემბრის თბილისის ოპოზიციურ ძალთა აქციას, მის შესახებ უკრნალი “გუშაგი” იტყობინება:

“ყველაფერი დაიწყო 2 სექტემბრის საპროტესტო მიტინგით, რომელიც მოეწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თაოსნობით... თვითმმაღლველთა მოწმობით 2 სექტემბრის მიტინგი თავიდან იყო მშვიდობიანი, მაგრამ წესრიგის დამცველმა საქართველოს რესპუბლიკის მილიციამ თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა, მოინდომა რა მისი ძალით დაშლა-გაფანტვა. მომიტინგთა დარბევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული მილიციელები. ეს უკანასკნელები, იგივეთა მოწმობით, პაერში ისროდნენ, მაგრამ პირდაპირი მსროლელის მოწმე არავინაა. მანიფესტაციის დარბევის შედეგად ცეცლისარიგი იარაღით დაჭრილი აღმოჩნდა სამი: ორი ფეხებში და მესამე – გულის არეში, კეტებითა და ქვების სროლით დაშავდა რამდენიმე კაცი, როგორც წესრიგის დამცველი, ისე მოქალაქე.

ხელისუფლების განცხადებით, 2 სექტემბრის მიტინგი იყო პროვეციული ხასიათის, ის მიზნად ისახავდა შფოთისა და მღელვარების ჩამოგდებას, და სწორედ იმ დროს, როცა მოსკოვში გამოცხადდა, რომ დამოუკიდებლობას მიღებდნენ მხოლოდ ის რესპუბლიკები, სადაც წესრიგი და მშვიდობა სუფესო. ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს მის პასუხისმგებლობას ცეცხლსასროლი იარაღის ხმარების ბრძანებაში, – საქმის გამოსაძიებლად შეიქმნა კომისია...” [99, გვ. 9-10]

თვით პრეზიდენტი გამსახურდია 2 სექტემბრის მოვლენებს ასე აფასებს 1992 წლის 18 ოქტომბრის მემორანდუმში “მიმართვა ქართველი ერისადმი”.

“2 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოქმედმა აგნტურამ და მტრებმა, რომელნიც ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდიდან ინარჩუნებდნენ იქ მტკიცე პოზიციებს, მიტინგზე მიყვანეს შეიარაღებული მილიცია და დაარბიეს მიტინგი ჩემთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე (რისთვისაც შემდგომში გავათავისუფლე ქალაქის მილიციის უფროსი ა. მიქაბერიძე, ერთ-ერთი თანამშრომელი დავაპატიმრებინე). შევაქმნევინე სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელმაც შეგნებულად არ იმუშავა, რათა არ გარკვეულიყო სიმართლე. მიუხედავად ამისა, დღემდე ამ ინციდენტს ჩემი მტრები უშუალოდ მე მიკავშირებენ და უცხოეთშიც ისე წარმოსახავენ საქმეს, თითიქოს ჩემი ბრძანებით დაარბიეს მიტინგი. იგივე ეწ. “დემოკრატები” დღეს სდუმან სიგუას, იოსელიანის და კიტოვანის ბანდების მიერ მიტინგების მრავალგზის დარბევაზე თბილისში და სხვა ქალაქებში და არავითარ შეფასებას არ აძლევენ ყოველივე ამა.” [100]

საქართველოს პრეზიდენტის ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს ისიც, რომ 2 სექტემბერს თბილისში ოპოზიციის მიერ ჩატარებული აქციის დროს მომხდარ ინციდენტს ბათუმში მოქმედ ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს შტაბში ცნობილი ქალბატონი ირინა სარიშვილი ტელეფონით ასეთი სიტყვებით გადმოსცემდა: “გასრილინეთ, გასროლინეთ... დამთავრდა მაგათა აღიარება და ყველაფერი...ვასროლინეთ, ხალხიცაა დაჭრილი...” და სხვა. (ყურმილი ჯერ, თუ კარგად მახსოვეს, დ. ბერძენიშვილმა აიღო, მაგრამ სარიშვილმა მისი პარტიის ბათუმელი ლიდერის, ლევან ქანთარიას მისვლა მოითხოვა ტელეფონთან, რათა მისი მეშვეობით ეხარებინა ეს “სასიხარულო” ამბავი ბათუმის აღნიშნული საბჭოს შემაღენწლობისათვის), რასაც ბათუმელ მსმენელთა აღტაცებული ოვაცია-შეძახილები ფარავდა.

ვინმე ნუთუ ფიქრობს, რომ ვერ ხვდებოდა ეს ხალხი, რას აკეთებდა? ნუთუ საკუთარი სამშობლოს დაქცევა-განადგურება იყო მათი მიზანი?! მაშ, რა ახარებდათ, რა ეოგაციებოდათ? – აქ მხოლოდ ერთადერთი ფსიქოლოგიური მომენტია: – მათ, ბოლოსდაბო-

ლოს მოახერხეს თავიანთი პატრონის (ე. შევარდნაძის) დავალების შესრულება და ემოცია ვერ დამალეს, რადგან ყველა დავალების შესრულება თავისებურ თვითქმაყოფილებას იწვევს (ისინი რომ უკვე შევარდნაძესთან ალიანსში იყვნენ და აქედან გამომდინარე, მის დავალებებსაც შეასრულებდნენ, 1991 წლის ოქტომბერში ჩემთან საუბარში აღიარა ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრმა თამაზ დასამიძემ).

2 სექტემბრის ამბების შემდეგ საქართველოში ეწ. ოპოზიციურმა ძალებმა თავის მიზანს მიაღწიეს და ქართველობა ორ მოწინააღმდეგებ ბანაკად გახსნისეს. ერთი ზოდად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან გადადგომისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის სრულებით გაუქმებას მოითხოვდა, მეორე კი, პირიქით, მას თავგამოდებით იცავდა, როგორც ხალხის მიერ კანონიერად არჩეულს.

ოპოზიციის იდეოლოგიურმა ტრუბადურმა, სახალხო ფრონტის გაზეთმა “საქართველო”-მ 3 სექტემბერს უკვე ხელმოწერილი “საბრალდებო დასკვნა” გამოაქვეყნა, რომელშიც მოითხოვდა:

“1. უნდა გადადგეს რესპუბლიკის პრეზიდენტი

2. რესპუბლიკის უზენაესმა საბჭოო უნდა დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით...” [99, გვ. 10] ხელს აწერენ:

რევაზ შავიშვილი (“დას”), გურამ ბერიშვილი (თავისუფალი დემოკრატიული კავშირი), მიხეილ ნანეაშვილი (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია), ვახტანგ ძაბირაძე (რესპუბლიკური პარტია), ნოდარ ნათაძე (სახალხო ფრონტი), ირაკლი შენგალია (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი). ამავე ინციდენტის შესახებ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, გვარდიის ყოფილმა მთავრსარდალმა თ. კიტოვანმა, მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ თ. სიგუამ და სხვებმა. [იქვე, გვ. 11-17]

მიაღწიეს რა საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის ხელოვნურად უკიდურეს დაძაბვას, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მონარქისტული პარტიები მართავენ პერმანენტულ აქციებს, რომლებიც 7 სექტემბრიდან მთავარ მონაწილეთა შტაბინების წით მწოდარე გაფიცებში გადაიზარდა, 10 სექტემბერს კი ეროვნული დამოუკიდებლობის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები მათ-მათი შტაბინების წინ

ბარიკადებს მართავენ, რითაც იკეტება რუსთაველის გამზირი. 16 სექტემბერს მოსკოვისკენ მიმავალ თვითმფრინავს უკან აპრუნებენ და აპატიმრებენ გ. ჭანტურიასა და გ. ხაინდრავას. ამ დღეებში თბილისში სუფეს ნამდვილი აჯანყების წინა ატმოსფერო – იტყობინება უურნალი “გუშაგი” – წესრიგის დაცვის ოფიციალური ორგანო იუწყება, რომ ოპოზიციის შეარაღებული რაზმები თავს ესხმიან მიღიცაის ქვეგანყოფილებებს და იტაცებენ იარაღს, აგრეთვე სხვადსხვა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს... უდავოა ფაქტი, რომ აჯანყებულმა გვარდიამ კიტოვანის სარდლობით, შავნაბადადან გადმოინაცვლა, ჯერ გარს შემოირტყა და შემდეგ დაიკავა საქართველოს ტელევიზიის შენობა. იქვე ბინა დაიდო მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ. პოლიტიკური სიტუაციის უკიდურესი გამწვავების გამო თბილისში 25 სექტემბრიდან ცხადდება საგანგებო წესები. [იქვე]

თბილისის 2 სექტემბრის ამბებმა, რა თქმა უნდა, გამოიხმაურება და ასახვა პპოვა აჭარაშიც (ერთი მხარის პოზიციაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ). 1991 წლის 10 სექტემბერს გაზეთ “აჭარაში” გამოქვეყნდა სტატიები – “ყველა ჩვენთაგანი ვალდებულია” [101] და – “სულიც და სხეულიც ქართული”. [102]

პირველ წერილში იმუამად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა რამაზ სურმანიძექ, დაგმო 2 სექტემბრის აქციისადმი რუსეთის სატელევიზიო არხების ტენდენციური დამოკიდებულება – “როგორც ჩანს... ამ ორგანოში კვლავ არიან მოკალათებული ველიკორუსული შოგინიზმით მოწმოლული დერუფორდები, რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ კვლავ შეხამსა და სამსალას ანთხევები” – აღნიშნავს ავტორი და იქვე განაგრძობს – “...მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი უკანონობისა და ძალმოძრეობისა, წინააღმდეგი ვარ ნებადაურთველი მიტინგებისა, მითუმეტეს, ამასთან დაკავშირებული სისხლისლვრისა, განსაკუთრებით, თუ იგი მიმართულია კანონიერი მთავრობისა და ხელისუფლების დისკრედიტაციისაკენ... ყველა ჩვენგანი ვალდებულია უკუაგდოს პირადი სიმპატია-ანტიპატიები, დაირაზმოს ხალხის მიერ არჩეული საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის, ასევე აჭარის კანონიერი მთავრობისა და ხელმძღვანელობის (SIC! – აქ, რა შეაშია აჭარის მთავრობა და ხელმძღვანელობა – უ.ო.) ირ-

გვლივ...” [101, იქვე] ხოლო მეორე წერილის დასასრულს ავტორი ქართულ საზოგადოებას მოუწოდებს, რომ “...ყველამ გავიგოთ, დადგა დრო, საქართველოში ყველაფერი ისე ვაკეთოთ, სულიც და სხეულიც ქართული იყოს...” [102, იქვე]

საერთოდ, საქართველოში იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენების მართებული გაგებისათვის აუცილებელია შევეხოთ ზოგიერთ საკითხს...

მსოფლიოში ცნობილი პოლიტოლოგი, ევროპის ყოფილი წამყვანი სოკეტოლოგი, მიხეილ ვოსლენისკი თავის მონოგრაფიაში “ნომენკლატურა”, წერს: “...ნომენკლატურა სტალინისა და მისი აპარატის მიერ შექმნილი ის “რაზმია”, რომელმაც ისწავლა ბატონიბა, უფროშინის წლებში კი, ყელი გამოღადრა ლენინურ გვარდიას.

ნომენკლატურაში მთავარია ძალაუფლება... ცკ-ის სექტორის გამგე შშვიდად ეგუება იმას, რომ აკადემიკოსს, ან ცნობილ მწერალს მასზე მეტი ქონება და ფული აქვს, მაგრამ არ დაუშვებს მათ მიერ მისი ბრძანებების შეუსრულებლობას (სწორედ ამ მექანიზმის მრავალწლიანი მოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა ნომენკლატურის მონა-მორჩილი ქეკლასი – ე.წ. “პრივილეგირებული ინტელიგენცია”, რომელსაც ხშირად “წითელ ინტელიგენციასაც” უწოდებენ). სხვადასხვა პრივილეგიებით, სპეცომსახურებით, აგრძელების მექანიზმების წყალობით, ინტელიგენციის ეს ფენა აღმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის “ერთგულ ფინიად” იქცა... ადგილად იცვლება სპეციალიტები, კაბინეტები, პერსონალური მანქანები – უცვლელი რჩება მხოლოდ ნომენკლატურისადმი კუთვნილება, ეს აუცილებლობა განპირობებულია თავად ნომენკლატურის ფორმირების წესით” – აღნიშნავს ავტორი – “ნომენკლატურული თანამდებობის პიროვნებას ათავისუფლებს ის ორგანო, რომელმაც თავის დროზე დანიშნა. მაგრამ წესი ასეთია: ერთი თანამდებობიდან განთავისუფლებისთანავე ნიშნავნ სხვა თანამდებობაზე (ან “გადიან” პენსიაზე)...

ჩვენ ვახსენთ პენსიაზე “გასვლა” – შენიშნავს მ. ვოხლენსკი და იქვე მიუთითებს, რომ “იცვლება მხოლოდ სახელწოდება: ნომენკლატურული მუშაკის ნაცვლად ამჯერად ადამიანი იწოდება ადგილობრივი, რესპუბლიკური ან საკავშირო მნიშვნელობის პერ-

სონალურ პენსიონერად... ამგვარი პენსია არის არა იმდენად პერ-სონალური, რამდენადაც ნომენკლატურული.” [103, გვ. 7]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნომენკლატურა და საერთოდ ეს კატეგორია, წარმოადგენდა კრემლის, ანუ საბჭოთა მეტროპოლიის აგენტურას მოკავშირე რესპუბლიკებში და მათი სამსახურებითა და პერსონალური პენსიებით უზრუნველყოფა, მათ მიერ ადგილებზე გაწეული საქმიანობის აღეკვატური იყო. გამოდის, რომ ესენი იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკებში საბჭოთა სპეც-სამსახურების მიერ ჩანარგილი “მეხუთე კოლონა”, რომლის ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგები არაერთხელ იწვნია თანამედროვე, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის მებრძოლმა საქართველომაც.

თითქმის იმავე პრობლემას ეხება პროფესორ გურამ ყორანაშვილის სტატია – ისევ რევოლუციისა და კონტრრევოლუციის თაობაზე, [104] რომელშიც იგი აღნიშნავს: “...საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია სიტყვების თამაშით თითქოს მომხრე იყოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და რადიკალური ეკონომიკური და სოციალური (სოციალურ-კლასობრივი) ცვლილებებისა, მაგრამ ასეთი მეტამორფოზის შესაძლებლობა ერთობ საეჭვო იყო. ამ “პარტიაში” ხომ გადამწყვეტი ძალა ბიუროკრატია და განა იგი ასე იოლად დათმობდა სოციალურ პრივილეგიებს? კალ-სობრივი ინტერესები ხომ მათოვის მთავარი დარჩა, ეს კარგად გამოჩნდა ეწ. 19-21 აგვისტოს პუტინის მიმართ საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის რეაქციაში... ბიუროკრატიისათვის კომუნისტური იდეოლოგია მხოლოდ იმით იყო ფასეული, რომ იგი ემსახურებოდა მის სოციალურ და პოლიტიკურ ბატონობას... აღნიშნული კლასი მზად არის დათმოს კომუნისტური იდეოლოგია, მაგრამ ახლა ჩაებდაუჭება რელიგიასა და ეროვნულ ლოზუნგებს...” [იქვე]

შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერის ეს მოსაზრება სრულებით გაამართლა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის წლებმა, როცა კომუნიზმის ერთგულად შენებელმა ბიუროკრატიამ, ახლა, ფაქტიურად საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ავანგარდში გადმოინაცვლა – ორბირიანი მოსასხამივით გადაბრუნებულმა მხოლოდ ფერი შეიცვალა,

შიგნიდან კი იგივე, თავისი თავის ერთგული დარჩა. ეს არის ჩვენი ქვეყნის უახლოესი მომავლის უბედურება და წარსული უბედურების მიზეზიც. ამავე რიგის უბედურებათა მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს ჩვენი დროის საქართველოში ინტელექტუალურ ძალთა ისეთი არნახული მოქნილობა, როდესაც ყველაფრის გამართლების დაუოკებელ წადილს უკან ამოეფარება ხოლმე, ასევე ყველაფრის კადრების უნარი... მაგალითად, ედპ-ის ლიდერი გ. ჭანტურია წერილში პრეზიდენტ ბუშისადმი (უფროსი) აღნიშნავს: “...ჯერ კიდევ ანტონიო მაჩადო აღნიშნავდა, რომ “არ შეიძლება პოლიტიკა იყოს ნაყოფიერი ხალხის სიყვარულის გარეშე და, აქედან გამომდინარე, სულიერ ფასულობათა პატივისცემის გარეშე. საქართველოს დემოკრატიული ოპოზიცია სწორედ შეგავსი ნაყოფიერი პოლიტიკისადმი მიიღოვის, რაც უნდა გამოიხატოს არა მხოლოდ ზოგადად ერის სიყვარულსა და სიტყვიერად დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულებაში, არამედ თითოეული ადამიანის ქრისტიანული სიყვარულით, თითოეული ადამიანის უფლებათა დაცვითა და პატივისცემით.

ჩვენთვის დამოუკიდებლობა და დემოკრატია განუყოფელია...” [105] და ამას ამბობს პიროვნება, რომელმაც ყველაფერი მოიმოქმედა საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შესამზადებლად, შემდეგ კი ხმა არ ამოუღია თბილისის ქუჩებში ასი ათასიანი მიტინგების დახვრეტის გამო. და ვის “დაბოლებას” ცდილობს ასე უტიფრად? – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის. ამასთან, იგივე პიროვნება თავის პოლიტიკურ ოპონენტებს აპრალებს ათას სისაძაგლესა და ანტიქართულ ძალებთან ალიანსს, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ 1985 წლის 18 აპრილს დაწერილ მიმართვაში თავად აღიარებს: “1979 წლის 14 მარტს შედგა ჩემი პირველი ნაცნობობა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან... მე ბრძა არ ვარ, ვვრძნობ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი დაინტერესებულია ჩემი განთავისუფლებით... ჩემი შემდგომი მოქმედებანი არ გადალახავენ საბჭოთა იურიდიული სამართლით დადგენილ ნორმებს და არც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს არასოდეს არ გაუზდება სანაწებლად ჩემი განთავისუფლება...” [106, გვ. 4] და ა.შ. და ა.შ.

ანალოგიური სულისკვეთების მატარებელია პუბლიცისტი რა-მაზ კლიმაშვილის სტატიებიც, რომელთაგან ერთ-ერთში – “ნაცი-ონალიზმი მეოცე საუკუნის ბოლოს” – ავითარებს მოსაზრებას, რომ მეცხრამეტე საუკუნეში როცა ნაციონალიზმი პროგრესული მოვლენა იყო, ქართველებმა მას მარქსიზმი ამჯობინეს. ის აქვე ამ-ბობს: “მარქსიზმი თავისუფალი არჩევნების გზით დამკვიდრდა და-მოუკიდებელ საქართველოში, ე.ი. “ზალხის ნება” დემოკრატიას შეუჩვეველ ერში, მხოლოდ გაბატონებული ტოტალიტარული აზ-როვნების ტრიუმფს ნიშნავს” [105] – ა. კლიმაშვილისნაირთა ლოგიკა. მას წარმოდგენაც არა აქვს, რომ როდესაც “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” ავტორი ამბობს, რომ “ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების”-ო...., ამით ხაზს უსვამს ქართველთა ნაციო-ნალურ იდენტურობას. მერედა სად იყო მაშინ გაბატონებული მარ-ქსიზმი საქართველოში?! იგი ხომ კლიმაშვილისნაირებმა ილიას მოკვლითა და ქართველი ზალხის გონიერაზე ძალადობით მოახვიეს მას თავს. საერთოდ, კლიმაშვილის მთელი მსჯელობის ნიმუშია აზროვნების “მესამე მდგომარეობისათვის” დამახასიათებელი ტო-ტალიტარული სიცრუის ტრიუმფისა.

“დასავლეთში ყველა პოლიტიკოსმა იცის, რომ ნაციონალიზ-მი და დემოკრატია შეთავსებელია. ნაციონალიზმს სჭირდება ტო-ტალიტარული წყობილება და დესპოტური მართვა – დემოკრატი-ის პირობებში იგი უბრალოდ ვერ იარსებებს” [იქვე] – გვმოძ-ღვრავს კლიმაშვილი. მაგრამ მას უნდა შევატსენოთ, რომ განა შევიცარის კანტონებში რამდენიმე ენის სახელმწიფო სტატუსი ნაციონალიზმის სიცოცხლისუნარიანობის და მისი დემოკრატიუ-ლობის მაგალითი არ არის?..

“XX საუკუნის ბოლოს, – განავრძობს იგივე ავტორი – კომუნისტურ წყობაში შობილი ნაციონალიზმი ანტიინტელექტუა-ლური მოძრაობაა, ინტელიგენციისადმი სიძულვილით გაუდენი-ლი....” [იქვე] ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმი არას-დროს ყოფილა ანტიინტელექტუალური მოძრაობა, თუნდაც კომუ-ნისტურ საზოგადოებაში; აქ იგი, სწორედ,, ანტიკომუნისტურ ხა-სიათს ატარებდა, და რადგან “წითელი ინტელიგენცია” კომუნის-ტური ტოტალისტური სიყალის ყურმოჭრილი მონა და მსახური იყო, ამიტომაც აქედან იღებდა სათავეს ნაციონალიზმის მომხრეთა

მათდამი სიძულვილი... და ბატონი კლიმიაშვილიც, როგორც გა-
მოცდილი, ნამდვილი “წითელი დემაგოგი”, ნემსის ყუნწმი ძვრება
იმისათვის, რომ როგორმე ეროვნულ მოძრაობათა უსარგებლობაზე
მიგვანიშნოს... მაშ, რა ქნან ამ მოძრაობის წარმომადგენლებმა... რა
თქმა უნდა, ისინი მას თვალებში სიყვარულით ვერ მიაჩერდებიან...
მათგან სიძულვილი კლიმიაშვილისნაირთა ხვედრია.

ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს აზრით კი, “მოღალატის”
ცნება თანამედროვე გადასახედიდან განსხვავებულ მიღვომას და
ახსნას საჭიროებს. “ეს ფერმენტი ფრიად დასაფასებელია”, რომ
ასეთი “მოღალატეები” სამშობლოს ღალატს საქართველოს გადა-
სარჩენად იყენებდნენ, ეს პოლიტიკური საშუალება იყო, მტრის
მხარეზე დასადგომად და იმ დროის მოსაცდელად, როდესაც შე-
საძლებელი იქნებოდა მოწინააღმდეგის განადგურება,” – “ცხადია
აღნიშნული თეზა დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების
გამართლების მცდელობას წარმოადგენს” [107, გვ. 120] – აღნიშ-
ნავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვე-
სელავა, მაგრამ სწორედ ეს იყო “წითელი ინტელიგენციის” და-
ნიშნულება და აქ იგი წარმომდგენილია თავისი პირდაპირი მოვა-
ლეობის შესრულებისას. მსოფლიოში მათ გარდა, თავშიც არავის
მოუვა ასეთი რამ, რომ ამგვარად სცადოს ისეთი შეუწყნარებელი
დანაშაულის გამართლება, როგორიც სამშობლოს ღალატია. ის კი,
თითქოსდა მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ დადებით მოვ-
ლენაზე საუბრობდეს, ისე ამართლებს ადამიანური ნაძირლობის ამ
გამოხატულებას. ასეთი “ინტელექტუალებისაგან” აგიტაციაგაწეულ
ხალხში კი, რაც არ უნდა მოხდეს, არაფერი არ არის საკვირვე-
ლი.

მიუხედავად ნაშრომში მოცემული ამგვარი ფონისა აჭარაში
1991 წლის აპრილში ისევ მკვეთრად გამოიკვეთა აჭარის ავტონო-
მის გაუქმების პრობლემა. 14 აპრილს ბათუმის წმ. ილია მარ-
თლისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების ლიდერების ნ. მალაყ-
მაძისა და ს. კუდბას თაოსნობით დაიწყო ამ საკითხზე აქცია ბა-
თუმში თავისუფლების მოედნის მიმდებარე სკვერში. აქციის მონა-
წილები მოითხოვდნენ არჩევნების მაგივრად ჩატარებულიყო რე-
ფერენციუმი შემდეგ საკითხზე: გსურთ თუ არა ავტონომიური
მმართველობა აჭარაში, – რასაც მხარი არ დაუჭირა უკვე გახე-

ლისუფლებულმა მრგვალი მაგიდის ადგილობრივმა წარმომადგენლობამ, რის გამოც აქცია დაარბის. [108] ნიაზ მაღაყმაძე თავის წერილში აღნიშნავს, რომ “ჩვენ, ეროვნული მოძრაობის მონაწილეები, ავტონომიის თემას ვიყენებთ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მეთოდით ვებრძოდით კომუნისტურ დიქტატის, რომელიც ყოველთვის პოულობდა დასაყრდენს ავტონომიებში და იყენებდა მას საქართველოს ერთანხობის წინააღმდეგ. როცა ჩვენი საზოგადოება ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის იბრძოდა, ერთი მიზანი ამოძრავებდა – ავტონომიის გაუქმება, რათა აჭარა უფრო მჭიდროდ შეერწყას დედა საქართველოს და მომავალში დაბრკოლებად არ გადაიქცეს ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს განვითარებისათვის.” [იქცე]

იგივე ავტორი აღნიშნულ პერიოდში აჭარაში მიმდინარე მოვლენებს ასეთ შეფასებას აძლევს: “იმზანად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ეროვნული პოლიტიკის გატარებას, რადგან ავტონომიაში ძალიან ძლიერი იყო პროკომუნისტური ძალები და პარალელურად ჩამოყალიბდა “ზენის კომიტეტი”, რომლის მოქმედებანი პირდაპირ მოსკოვიდან იგეგმებოდა. აჭარის “ზენის კომეტეტში” გაერთიანებული იყენებ ძირითადად ყოფილი პარტიული ფუნქციონერები. თუმცა მას გვერდს “უმშვენებლნებ” ლიტერატორებიც და მეცნიერ-მუშაკებიც”... [109]

ბათუმში ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა და 1991 წლის 26 მაისს საქართველოს თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე თავისი პირველი გამოფენა-ექსპოზიცია მოაწყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმმა. მუზეუმის სამომავლო სამუშაო კონცეფციაში, რომელიც 1991 წლის 9 სექტემბერს გაზეთში “დღევაი” გამოქვენდა, აღნიშნულია, რომ „მუზეუმის უპირველესი მოვალეობაა ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესწავლა, აქტიური პოპულარიზაცია და თანამედროვე ეტაპზე მისი მიზნებისა და ამოცანების სწორი და მიზანდასახული პროპაგანდა... მუზეუმი საზოგადოებას გააცნობს იმ ადამიანების სახელებს თუ დამსახურებას, რომელიც უსამართლოდ იყვნენ მივიწყებულნი. საარქივო, დოკუმენტური მასალის მოშველიებით სწორ შეფასებას მისცემს ცალკეული პიროვნებების, ჯგუფების საქმიანობას... მისი ფუნქციონირების ქვაკუთხედად უნდა იქცეს

ზოგადკავკასიურ პოლიტიკურ გარემოში საქართველოს როლზე მართებული გაგების ჩამოყალიბება და ამისათვის ისტორიულ ანალიზზე დაყრდნობით დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება". [110]

ზემოთ აღნიშნული გამოფენის მოწყობისა და საერთოდ მუზეუმის ფუნქციონირებაში, მის დირექციასთან ერთად, დიდ როლს ასრულებდნენ მეცნიერ-თანამშრომლები – რუსუდან გოგიძერიძე, ნინელი გაბისიანი, ოთარ გოგოლიშვილი და სხვები. მსგავსი ეროვნულ-პარტიოტული კერის შექმნა, მართლაც საშური საქმე იყო და იმდროინდელ ატმოსფეროში, გარკვეული დადებითი ფუნქციის შესრულებაც შეძლო რეგიონში.

ნაშრომის გააზრებისას ვინმემ ტენდენციურობა, რომ არ დაგვწამოს აქვე მოვიყვანთ ოპოზიციური პრესის ერთ-ერთი ლიდერის გაზეთიდან "ქართული ქრონიკა" მონაცემებს, დანარჩენი კი თავად მკითხველმა განსაჯოს.

ჯერ კიდევ 1991 წლის მარტის ნომერში, როცა გამსახურდიას ხელისუფლება სულ 4-ოდე თვის მოსული იყო, გაზეთში "ქართული ქრონიკა", უკვე ვხვდებით ასეთ შეფასებებს: "დიდი დრო არ გასულა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევიდან, მაგრამ დღესვე შეიძლება იმის თქმა, რომ (მან) კარგი ვერაფერი "მოასწრო" ახალმა უზენაესმა საბჭომ, ცუდი კი მრავალი, ნათელი გახდა, რომ უზენაესი საბჭო მხოლოდ სახელების გადარქმევით კმაყოფილდება და ძველი, კომუნისტური სტრუქტურების მოშლას არ აპირებს..." [111] და ა.შ. და ა.შ. ნუთუ ამსა, დღეს მაინც, დაიჯერებს ვინმე?! ან ოთხ თვეში რა ქვეყნა უნდა დაექცია საქართველოს უზენაეს საბჭოს, რომ ოპოზიციის რუპორის ასეთი შეფასება დაქმასახურებინა... მაგრამ ვიფიქროთ, რომ ოპოზიციური გაზეთი ამ შემთხვევაში აჭარბებს და ახლა მის ლიდერს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ჭანტურიას მოვუსმინოთ:

"...არც ისე დიდ სირთულეს წარმოადგენდა კეთილშობილი იდეებითა და მაცდური ლოზუნგებით (ეროვნული მოძრაობის ლოზუნგები მაცდური ყოფილა... ამისთანა რამის მოგონება არ გინდა?!? – უ.ო.) ხალხის გაბრუება. ეს პოლიტიკოსს არ უნდა ეკადრა, თორებ პოლიტიკურ კულტურას მოკლებული და დემოკრატი-

ული გზიდან გადახვეული ზალხის ლოზუნგებით გაბრუება, გასაკვირი არ იყო...

ამაოდ ცდილობენ დღეს დიქტატორის მეხოტებენი, დაამტკიცონ, რომ თითქოს ეროვნული მოძრაობა ეწ. პარლამენტურ გზასთან დამოკიდებულების გამო გაიყო ორად... ეს სიცრუეა..." – აბარა არის სიმართლე? მათ პრესასა და სამიტინგო გამოსვლებში სულ ამაზე იყო საუბარი...

"ეროვნული მოძრაობის გახლეჩა, – განაგრძნობს ჭანტურია, – მოხდა გამსახურდიას მიერ ფორუმის დატოვების შემდეგ, რისი ნამდვილი მიზეზიც ფორუმის დემოკრატიულობა და მასში გაბატონებული ატმოსფერო იყო..." თუ რა დემოკრატებიც იყვნენ ფორუმში, ეს კარგად გამოჩნდა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ჯერ მათი სახელმწიფო საბჭოში და შემდეგ საქართველოს "პარლამენტში" მოღვაწეობისას, როცა საქართველოში ნამდვილი ძალადობის კულტი დამყარდა.

"...გამსახურდიას "სადამისეულ" საქართველოს დამოუკიდებლობას დასავლეთი არ სცნობდა... რუსეთში არსებულ იმპერიულ ძალებსაც, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა გამსახურდიას დიქტატურის არსებობის ფაქტი საქართველოში, მათ გამსახურდიათი დასავლეთი დააშინეს..."

"დემოკრატიულ ოპოზიციას უნდა ეჩქარა, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციით ესარგებლა, გადაეყენებინა დიქტატორი, ხელი შეეწყო ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული, ცენტრისტული ძალების მოსვლისათვის, რის შემდგაც განხორციელდებოდა დემოკრატიული რეფორმები..."

"ოპოზიციას უნდა ეჩქარა, საკუთარი ზალხის შევნებამდე დაეყვანა დიქტატორის გადადგომისა და ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ძალების მოსვლის აუცილებლობა..."

საქართველოს დიქტატორი იმ ზომამდე მივიდა (საყოველთა-ოდ ცნობილი ფაქტი, რომ გამსახურდია ვაჟკაცობით არასოდეს გამოირჩეოდა), რომ ერთ-ერთ მიტინგზე ოპოზიციას ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა და ხალხს ოპოზიციის განადგურებისაკენ მოუწოდა... თუ არ ჩავთვლით, მთავრობის მიერ უკვე გადაკეტილ რუსთაველის პროსპექტზე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ნახევრად სიმბოლურ და ეროვნულ-დემოკრატიული პარ-

ტიის სიმბოლურ ბარიკადებს...” – საკუთარი ლოგიკით, რუსთაველის გამზირის ნაგვის ბარიკადებით გადაკეტგა ნორმალურ მოვლენად მიაჩნია, ხოლო პრეზიდენტ გამსახურდიას მიტინგზე განცხადებული “მაგათ ტყვიები გვესროლონ, ჩვენ ვარდები ვესროლოთ”, – მიაჩნია, ოპოზიციის განადგურების მოწოდებად (ვია აბესაძის მოწამეობრივმა თვითშეწირვამაც ამ ბარიკადებთან, ვერ მიახვდია “ოპოზიცია”, თუ რას სჩადიოდნენ – უ.ო.)

“პრეზიდენტმა ჩამოიყვანა დაქირავებული ინგუში მკვლელები ოპოზიციის ზოგიერთი სხვა ლიდერის ფიზიკური განადგურების მიზნით...” (ეს ისეთი მორიგი ტყვეილებია, რის გამოც ეროვნული მოძრაობის ცნობილმა ბათუმელმა წარმომადგენელმა ბადრი თევზაბეჭა ამ მიმდინარეობას “პროჭანტურიზმი”, ხოლო მის მოშხრებს “პროჭანტურისტები” უწოდა – უ.ო.)

“ახლა ვნახოთ, ხალხის რა ნაწილი უჭერდა მხარს ამ ბანაკს, ანუ ხელისუფლებას. ეს არის რაიონების ჩამორჩენილი ბოლშევიზმიდური ნაწილი (და არა მთელი “რაიონები” და “მთელი საქართველო”, როგორც ზოგიერთებს უვარს თქმა), ასევე ფსიქიკომოშლილი და ეგზალტირებულ ადამიანთა ფანატიკური მასა (არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანებიც, რომლებსაც 30 კილოგრამი შაქრითა და 10 კილოგრამი ხორცით ყიდულობდნენ)...

“...შეურიგებელი ოპოზიცია მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას და დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოსთვის იბრძვის, ანექსიის შედეგების ლიკვიდაციამდე არ აპირებს ხელისუფლების სათავეში მოსვლას...” (გამოდის, რომ კომუნისტური რეჟიმი საქართველოში შეიძლება დღევანდლამდე შენარჩუნებულიყო, რაც მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ანაქრონიზმი იქნებოდა – უ.ო.).

და ბოლოს, თვით ამ აზროვნების მარგალიტები; პირველი, – “რუსეთის იმპერიულ ძალებსაც “უხერხულ” მდგომარეობაში ჩავაგდებთ და გამსახურდიას ფაქტორით აღარ გავამართლებინებთ საქართველოს იმპერიის შემადგენლობაში შენარჩუნებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს...” – როცა პუტინისტებმა და შევარდნამემ საქართველოში ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს, იმდენად და იმდენჯერ “უხერხულ” მდგომარეობაში ჩააყენეს რუსეთი, რომ მას გამსახურდიასეული უზენაესი საბჭოს მიერ მინიჭებული ოკუპან-

ტის სტატუსი მოუხსნეს და მის მიერვე წარომეულ ტერიტორიებზე სამშეიდობო ძალების მანდატი ჩააბარეს, რის შედეგებსაც ჩვენი ქვეყანა დღემდე იმკის...

მეორე, — “იმ ფაქტმა, — ამბობს გ. ჭანტურია, — რომ პო-კულარულმა პარტიებმა (ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ) ოფიციალურ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა... განაპირობა “მრგვალი მაგიდისა” და მისი ოდიოზური ლიდერის ტრიუმფალური გამარჯვება ოფიციალურ არჩევნებში. თავი და თავი ამ ტრიუმფისა კი მაინც ხალხის დაბალი პოლიტიკური დონე იყო, რომელმაც ისე, რომ ბოლომდე არც გაუცნობიერებია, დიქტატურის ერთი ფორმა — ბოლშევიზმი, გამსახურდიასეული ნაციონალ-ბოლშევიზმით შეცვალა...” რა შეიძლება აქ ითქვას, — თუკი ოპოზიციის ლიდერებს კველაფერი ეს, ასე ესმოდათ, თავად რაღას ატარებდნენ კონგრესის შეუძლებარ არჩევნებს, თუ ვინც კონგრესის არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას, უცებ მაღალი პოლიტიკური დონის განდებოდა?! ან საკუთარ ხალხზე ასეთი წარმოდგენების მქონე პიროვნებას, რა უფლება აქვს მისი შესარდაჭერის მიღების იმედი ჰქონდეს. საერთოდ, ამ წერილში გამომჟღავნებული ქართველი ხალხისადმი უპატივცემულობა და ცინიზმი, განსაკუთრებული მსჯელობის საგანია, მაგრამ აქ მოვიტანთ ამავე წერილში წარმოჩნდილ ერთ მნიშვნელოვან ნიუანსს.

“გამსახურდიამ მმა დაუპირისპირა ძმას, გაყო ოჯახები, ოპოზიციის გენერალი მდგარ თბილის წინ დაუყენა პროვინციელები... უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე კი პრეზიდენტის ავადმყოფური ფანტაზია იქამდე მივიდა, რომ საქართველოს დალუპვაც კი “აწინასწარმეტყველებინა” დიქტატორს მისი გადაყენების შემთხვევაში, სადაც ოპოზიციის გამარჯვებას ქვეყნის ლიბანიზაცია და დანაწევრება მოჰყებაო...” დღეს მაინც, ვერავინ შეგვეკამათება, რომ ზვიად გამსახურდიას ყველა ეს წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, ხალასი სიმართლე აღმოჩნდა, და თუ ვის აწუხებდა ავადმყოფური ფანტაზიები, ეს წერილიც ამის ნათელი დადასტურებაა, [112] — ხოლო პროცესებს, რომლებიც ეროვნულ-განმათავსუფლებელი ბრძოლის თანამდევია ყოველთვის, ზვიად გამსახურდია ვერ

აღკვეთავდა, მითუმეტეს “ოპოზიციონერთა” ასეთი მონდომების პირობებში.

სურათმა რომ სრული სახე მიიღოს აქვე მოვიტანთ საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გამოსვლებს, მაშინდელი უზენაესი საბჭოსა და ე.წ. მოუკერძოებელი ოპოზიციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს, რომლებიც სწორედ ამავე პერიოდს ეხება.

ამ მხრივ განსჯისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა 1991 წლის 25 სექტემბრის მიტინგზე წარმოთქმული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიტყვა:

“ძვირფასო მეგობრებო, უმძიმესი დღეა დღეს. ჩვენი ერის სამარცხვინო შვილებმა შავი დილა გაგვითხნეს... ქართველმა ქართველზე აღმართა ხელი, ქართველმა ქართველის სისხლი დაღვარა...

ძვირფასო მეგობრებო, ყველა ხედავს ვისგან მოდის ეს ყოველივე, ვის სურს ქართველის სისხლის დაღვრა ისევ ქართველის ხელით. ეს იმათ სურს მეგობრებო, ვინც დაინახა, რომ უცხო ჯარით, უცხო ტომით ვერ დაამარცხებ ქართველ ერს. ქართველი ქართველით უნდა დაამარცხო... აი, ეს არ უნდა დაუუშვათ მეგობრებო... ის ხალხი, ვინც დაპანაკდა იქ, არც თუ ისე შორს აქედან, გამოდის თბილისის დროშით, მეგობრებო, ქალაქის დროშით. როგორ ჩვენ ქალაქელები არ ვართ? იქნება ჩვენ რაიონებიდან ჩამოვედით და ვართმევთ მათ სამკვიდრებელს? ვის აძლევს ხელს დაჰყოს საქართველო რაიონებად და თბილისად? შეიძლება ასე დაბრმავება?

მე მინდა პირველ რიგში თბილისელებს მივმართო. ძვირფასო თბილისელებო, მარტო აქ მდგომნო კი არა, იქ მდგომნოც. თქვენც ჩემები ხართ, თქვენზეც გული მტკიცა, თქვენზეც ცრემლს ვღვრი მე, რომ ასე დაგინელდათ გონება, რომ მომმის სისხლი დაღვარეთ დღეს. დიახ, თქვენ ხართ, თქვენ ხართ ჩვენი საზრუნავი, თქვენ გვებრალებით ყველაზე მეტად, გზაბნეულებო!.. რატომ ვერ ხედავთ უბედურნო, დაბრმავებულნო, ქაოსის მეტს რომ ვერაფერს მოიტანს ეს. ჩემი ერის სიყვარულით, მშვიდობის დამყარების წყურვილით, მე მართლაც გადავდგებოდი, რომ ვიცოდე, რომ ეს არ დაღუპავს ჩემს ერს; მაგრამ ვაი, რომ ამ დაბრმავებულ და გონებადაბნეულ ადამიანებს ეს არ ესმით და პგონიათ,

რომ ჩემდამი სიძულვილით, ჩემდამი ღვარძლიანი კამპანიის გაჩა-ლებით მიაღწევენ თავიანთ საწადელს. ვერ მიაღწევენ, ვერ მიაღწე-ვენ ვერაფერს, გარდა კატასტროფისა!..

თბილისელის სახელით არათბილისელს შუბლი გაუხვრიტო – ეს არის მათი ადამიანობა? ეს არის მათი დემოკრატია?! განა ეს არის დემოკრატია, რომ გამოასალმეს სიცოცხლეს ჩვენი შესა-ნიშნავი ბიჭები გუშინ იქ – უდანაშაულო ბიჭები?! ეს არის დე-მოკრატებო, ჰუმანისტებო, ოქვენი ადამიანობა? ეს არის ოქვენი მაღალი იდეალები? ქართველი ერი გაგცემთ პასუხს ამისათვის!.. მაგრამ, მეგობრებო, მოღი ვეძებოთ გზები ყოველივე ამისაგან თა-ვის დაღწევისა... კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ – დაყარეთ ია-რალი, დაშალეთ ეს ხუნტა, დაშალეთ ეს უკანონო სამხედრო ფორმირება. ხელს არ გახლებთ, წაბრძანდით სახლებში, იშრომეთ, იმუშავეთ, იყავით ქართველები... არ უნდა დაიღვაროს არცერთი წვეოთ სისხლი არც ქართველისა და არც არავისი, არც არაქარ-თველისა...

საქართველო უნდა იყოს მშვიდობის, ჰარმონიის, სიყვარუ-ლის ქვეყანა... გაუმარჯოს მშვიდობას, კაცომოყვარეობას, გაუმარ-ჯოს შერიგებას! და თუ არ გასჭრის არაფერი, მაშინ გაუმარჯოს ბრძოლას მამულის გადასარჩენად.” [99, გვ. 20-22]

1991 წლის 26 სექტემბრის სამთავრობო ჯარების მიერ შავნაბადას დაკავების შემდეგ გავრცელებულ სახელისუფლებო განცხადებაში კი ნათქვამია: “ამ დროს რაიმე ექსცესს ადგილი არ ჰქონია, რაღაც იქ იმყოფებოდა მხოლოდ სამი გვარდიელი და ყო-ველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაკავებული იქნება ისინი.

როგორც ქალაქის კომენდანტის შტაბისთვის გახდა ცნობი-ლი, 27 სექტემბრის დღილის საათებში ქალაქში ავტომანქანებით დაძრწოდნენ საეჭვო პირები, პანიკის გამოწვევის მიზნით, ახდენ-დნენ გასროლებს და აკრცელებდნენ ჭორებს, თითქოს ორ დაპი-რისპირებულ ძალას შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც კიტოვანის ფორმირების მხრიდან დაიღუპა სამოცამდე ახალგაზ-რდა.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არის წინას-წარგანზრახული პროვოკაციული დეზინფორმაცია, რომლის მიზა-ნია მოსახლეობაში გამოიწვიოს მთავრობისადმი უნდობლობა, შექ-

მნას პანიკა, შიშის ატმოსფერო და კიდევ უფრო დაძაბოს ისედაც გამწვავებული მდგომარეობა.

როგორც გახსოვთ, ანალოგიურ ცილისწამებას ეწ. ოპოზიციის ლიდერები ავრცელებდნენ რუსთაველის გამზირზე ბარიკადების აღების შემდეგ, მაგრამ, როგორც ყველას მოგეხსენებათ, ესეც ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული.

ასეთი, პროვოკაციული ჭორები ხელს აძლევს მხოლოდ მათ, ვინც ამ ბოლო დროს ყველა საშუალებით ცდილობს უკიდურესად დაძაბოს მდგომარეობა, ვინც საკუთარი ამბიციებისათვის მზად არის დაღვაროს ძმათა სისხლი. ყველაფერ ამას შეიძლება მოჰყვეს საბედისწერო შედეგები, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება ეწ. ოპოზიციასა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ლიდერებს.” [99, გვ. 22-23]

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 28 სექტემბრის განცხადება.

“საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სამი დღის განმავლობაში აწარმოებდა პირდაპირ მოლაპარაკებას ოპოზიციის ლიდერებთან. საქართველოს პატრიარქი ილია II წარმოადგენდა შუამავალს ორ მხარეს შორის.

მოლაპარაკების დაწყების შემდეგ არ ჰქონია ადგილი ძალადობის ფაქტებს, სისხლისლვრას, მოუხდავად პარტიებს შორის არსებული უთანხმოებისა, იმედი გვაქს, რომ მოლაპარაკებები სასურველ შედეგს გამოიღებს. საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლება მომზრეა მოლაპარაკებების მაგიდის ორივე მხარეს მსხდომთა თანამშრომლობისა.

იმედი გვაქს არსებული უთანხმოებანი გადაწყვეტილი იქნება, ერთი რამ კი საერთო გვაქს, ორივეს სურს საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენ წინ ვივლით.” [99, გვ. 23-24] მაგრამ ოპოზიციურმა ძალებმა შეგნებულად ჩაშლამდე მიიყვანეს აღნიშნული მოლაპარაკება და როგორც პრეზიდენტის პრეს-ცენტრის 29 სექტემბრის განცხადებაშია ნათქვამია, “მოლაპარაკების მეორე დღეს მთავრობისადმი დაპირისპირებული ძალების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს “ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება”, რომელშიც ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოთხოვნები სცილდებოდა მოლაპარაკების საგანს, სახელდობრ, საკით-

ხი ეხებოდა პრეზიდენტის გადადგომას, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას და სხვა. ამასთანავე მათ კატეგორიულად უარი განაცხადეს განიარაღების საკითხის პირველ რიგში განხილვაზე, ხოლო შემდეგ დამატებით განაცხადეს, რომ საერთოდ არ აპირებენ განიარაღებასა და მოლაპარაკების გაგრძელებას.

პრეს-ცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ დედაქალაქში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის დაწყებული მოლაპარაკების ჩაშლისა და მისგან გამომდინარე ყველა შედეგისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირებულ, უკანონოდ მოქმედ მხარეს. ამ ფაქტმა კადევ ერთხელ დაადასტურა, რომ დესტრუქციული ძალები მიზნად ისახავენ კანონიერი ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებას, რაც ანტიკონსტიტუციურ, სისხლის სამართლის წესით დასასჯელ მოქმედებად არის მიჩნეული ყველა ქვეყანაში!” [99, გვ. 24-25]

ზემოთ გამოქვეყნებულ ოპოზიციურ მასალებს თუ გავითვალისწინებთ, ხელისუფლების ქმედებანი და მისა მცდელობა შშვილობიანი გზით მოაგვაროს პრობლემა, სავსებით გასაგებია. იგი ცდილობს როგორმე პოლიტიკური კრიზისიდან გამოიყვანოს ქვეყანა, ესმის რა მოსალოდნელი შედეგები, მაგრამ მისი ეს ცდა, როგორც ვხედავთ, უშედეგოდ დამთავრდა და იგი მოწინააღმდეგისათვის ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობისა და კანონისადმი პატივისცემის აუცილებლობის შეხსენებას ცდილობს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ “მოწინააღმდეგეს” საქმე შეგნებულად მიჰყავს ჩიხისა და დაძაბულობის უკიდურესად გამწვავებისაკენ.

უკრანის ამავე ნომერში მოცემულია საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ნ. ნათაძის ხელიდან გამოსული “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი”, რომელიც თითქოსდა სიმართლის თქმის პრეტენზით ცეცხლზე ნავთის დასხმას და მდგომარეობის განმუხტვის მაგიერ მისი უკიდურესი დაძაბვისა და საქართველოს მოსახლეობის ორ რადიკალურად საპირისპირო ბანაკად გაყოფის ცდას წარმოადგენს. ამის დადასტურებაა ამ მიმართვის დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ნათქვამია: ”თანამემამულებო,

მოგმართავთ, თხოვნით, ვიდრე ყველაფერ ამას არ ნახავთ და არ წაიკითხავთ, ვიდრე არ მოუსმენთ ქართველ ჟურნალისტებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებმაც ამ დღეებში ყველაფერი საკუთარი თვალით იხილეს, მანამდე პოზიციას ნუ გამოვკვეთავთ. პიროვნებასთან დგომა სიმართლის გარკვევით უნდა ხდებოდეს და არა პათეტიკური მოწოდებების მიხედვით. თუ ჩვენ ყველანი საქართველოსთვის ამ კრიტიკულ სიტუაციაში ასე არ მოვიქცევით, მომავალი მწარედ გაგვასამართლებს... პრეზიდენტის მოწოდებას: ოპოზიცია უნდა ჩაიქოლოს და განადგურდეს, მქუსარე ოვაციებით ხვდებიან მთავრობის სასახლესთან. 15 სექტემბერს, როცა დეპუტატთა რამდენიმე ჯგუფმა დატოვა სესია, დარჩენილი დეპუტატები ტაშით შეხვდნენ ქუთასელი დეპუტატების ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ქუთასში ვანდალურად დაარბიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიტინგი. 27 სექტემბერს კი მიტინგზე, რომელიც ტელევიზით გადაიცა, პრეზიდენტმა განაცხადა: ვინც საქართველოს თავისუფლებას დაუდგება წინ, გავანადგურებთ. ადვილია, მეგობრებო, შენს მოწინააღმდეგეს დააბრალო, თითქოს იგი საქართველოს თავისუფლების მოწინააღდეგეა, და ასეთი ტყუილებით ხალხი დაიყენო გვერდით, განადგურო ოპოზიცია, ანუ იგივე ქართველი ადამიანებით.

დაյ, მომავალმა განსაჯოს, ჩვენ უფრო მართლები ვართ თუ ისინი, ბატონ ზევად გამსახურდიას ბელადს, მესიას, ქრისტეს, მოსეს, წმინდა გიორგის რომ ეძახიან, საქართველოსთან რომ აიგივებენ. ქართველი ერია მრავალსაუკუნოვანი და დიდი ცივილიზაციის მქონე, მას არ სჭირდება ბელადები, ჩვენ ტომი არ ვართ, ჩვენ ვითხოვთ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას საქართველოში, ვებრძეთ ავანტიურიზმს, დიქტატურას, კუპთაფვამისცემლობას.

თანამემამულენო! დებო და მმებო! ჩვენ კარგად გვესმის, რომ შესაძლოა ბევრმა თქვენთაგანმა არ გაიზაროს ჩვენი პოზიცია, აგრესიულად განეწყოს ჩვენს მიმართ. ისიც ვიცით, ხელისუფლება, პრეზიდენტი და მისი პრესსამსახური როგორ უარყოფენ ჩვენს ყველა ფაქტს, წინადადებასა და მოსაზრებას... ხელისუფლება ავანტიურაზე წავიდა. ზამთრისთვის მზადების, ხალხის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის თავისი ცუდი პოლიტიკის შედეგებსაც კი ოპოზიციას აბრალებს, საკუთარ თავს იცავს და ხალხის

უკმაყოფილებას ჩვენსკენ მომართავს. ჩვენ როგორც ხელისუფლების ნაწილი, არ ვიხსნით გარკვეულ პასუხისმგებლობას. ყველაფერი გაცნობიერებული გვაქვს და ამ ნაბიჯებზე მივდივართ შევნებულად... ამ ნაბიჯის გადადგმის ძალა გარკვეულწილად ჩვენ მოგვცა თბილისელთა დიდმა მხარდაჭერამ, რომელსაც ამ დღეებში ვიღებთ, უკვე ათი დღეა, უურნალისტებთან ერთად დამეს ათევს 3-4 ათასი მოქალაქე. ეს არის დემოკრატიული მოძრაობის დიდი გამარჯვება, იმის იმედი, რომ გასაჭიროში მარტონი არ დავრჩებით.”

აღნიშნულ მიმართვას ხელს აწერს საქართველოს უზენაესი საბჭოს 50-მდე დეპუტატი და მათ შორის აჭარიდან თამაზ დასამიძე და დავით ბერძენიშვილი. [113; 99, გვ. 25-28]

გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს ინტელიგენციის ერთი ჯგუფის განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ: გურამ თევზაძე (ფილოსოფიის დოქტორი), ნაირა გელაშვილი (მწერალი), ზურაბ კიქნაძე (თსუ პროფესორი), ელდარ შენგელაია (კინორეჟისორი), ლაშა თაბუკაშვილი (მწერალი), გივი ნახუცრიშვილი (აკადემიკოსი), ლანა ღოლობერიძე (კინორეჟისორი), ჯუმბერ თითმერია (მწერალი), რეზო ჩხეიძე (კინორეჟისორი), ჯანსულ ჩარგვანი (პოეტი), გოგი ხარაბაძე (მსახიობი), ალექსანდრე ბასილაია (კომპოზიტორი), ჭაბუა ამირევიძი (მწერალი), ლევან ღვინჯილია (ფილოლოგ-კავკასიოლოგი), გიორგი გეგეშეგორი (მსახიობი), გურამ ფანჯიკიძე (მწერალი), თამაზ წივწივაძე (მწერალი-კრიტიკოსი), ვახტანგ გოგუაძე (ფილოსოფოსი), — რომელიც დეპუტატთა ზემოთ აღნიშნულ ჯგუფთან ერთად ყველაფერში ხელისუფლებას ადანაშაულებენ და რომელთა უმრავლესობა შემდგომში საქართველოში მომზდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების იდეოლოგთა ავანგარდში აღმოჩნდნენ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნულ პროცესებში წითელი ინტელიგენციის წარმომადგენელთა წამქეზებლური როლის შესახებ გამოთქმული ეჭვები არც თუ უსაფუძლო იყო.

იქვე უურნალი “გუშაგი: აღნიშნავს, რომ 1991 წლის 1 ოქტომბერს გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკა”-ში გამოქვეყნდა დეპუტატ ნ. ნათაძის ლია წერილი ბაზონი პრეზიდენტისადმი. თავისი ფორმით ხსნებული წერილი, ლახავს პრეზიდენტის ლირსებას, ხოლო შინაარსით საქართველოში მიმდინარე პროცესების და მომ-

ხდარი მოვლენების ყალბ ინტერპრეტაციას წარმოადგენს”, – ნათელი მასში და იქვე დაფიქსირებულია ჟურნალის რედაქციის პოზიცია ამ პუბლიკაციისადმი.

“შიდა ქართლში შექმნილი მმიმე მდგომარეობა დეპუტატის აზრით, – აღნიშნულია ჟურნალში, – პრეზიდენტის მიერ წარმოებული “სუსტი და კაპიტულანტური” პოლიტიკის შედეგია. თითქოს პრეზიდენტმა და მისმა “მორჩილმა საპარლამენტო უმრავლესობაში” დააკანონეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ამ რეგიონში მოქმედების უფლება. სინამდვილეში სამაჩაბლოში იმუშავდ უკვე მოქმედებდა საბჭოთა შინაგანი ჯარი, რომელიც დეპუტატთა უმრავლესობის აზრით ვერ იქნებოდა ძალით გაძევებული და ამიტომ უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს იურისდიქციას... ცნობილია, თუ რამდენჯერ მიმართა პრეზიდენტმა და უზენაესმა საბჭომ პროტესტით საბჭოთა ხელისუფლებას, მსოფლიო საზოგადოებრიობას, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული აგრესის გამო. მთავრობამ ძალა და ღონე არ დაიშურა შეიარაღებული წინააღმდეგობისთვისაც. პრეზიდენტის ინიციატივით გამოცხადდა პოლიტიკური გაფიცვა სრულიად საქართველოში, რომელმაც ფაქტიურად ჩაშალა სსრ კავშირის მიერ საგანგებო მდგომარეობის შემოღება შიდა ქართლში იმ დროს, როდესაც გორბაჩივმა ამაზე რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოების დასტური მიიღო. როგორც ჩანს, დეპუტატი საქართველოს მმართველი წრების მიერ სამშობლოს დასაცავად წარმოებულ პოლიტიკას სუსტად და კაპიტულანტურად მიიჩნევს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მორიგმა სესიამ არ მიიღო მისი “მკაცრი” კურსი, გამოგვეცხადებინა საქართველო საბჭოთა კავშირთან საომარ მდგომარეობაში, რაც ფაქტობრივად ომის გამოცხადებას და საქართველოს დაღუპვას ნიშნავდა. ხსენებულ სხდომაზე პრეზიდენტის “მომხრე მორჩილმა უმრავლესობაში” კიდევაც გამოთქვა ეჭვი, დეპუტატ 6. ნათაძის გონიერების თაობაზე.

დეპუტატი... ისევ ბრალად დებს ხელისუფლებას, რომ მისი ბრძანებით ცეცხლი დაუშინეს 2 სექტემბრის მომიტინგებს, თუმცა ცნობილია, რომ მთავრობას ეს ბრძანება არ გაუცია, ისევე როგორც არ გაუცია ბრძანება არც ამ მიტინგამდე და მის შემდეგ გამართული ათობით მიტინგის ძალით დაშლის შესახებ. რა ღმერთი

უნდა გაგვწყომოდა, რომ ასეთი ბრძანება გაგვეცა ამერიკელი კონგრესმენების ჩამოსვლის დღეს, იმ დღეს, როდესაც მოსკოვში ჩვენი დელგაცია საქართველოს ოფიციალური ცნობის საკითხს დასვამდა.

დეპუტატის განცხადებები, თითქოს პრეზიდენტი მოუწოდებს მოქალაქეთა ერთ ნაწილს “ძალადობა იხმარონ მოქალაქეთა ნაწილის წინააღმდეგ”, ანდა მოუწოდებს მათ, რომ თბილისში ჩამოვიდნენ, რათა მისი პერსონა დაიცვან” – მტკნარი სიცრუეა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დეპუტატი არ უსმენს პრეზიდენტის გამოსვლებს ან არ კითხულობს რესპუბლიკურ პრესას. რადგან თავის ყველა გამოსვლაში პრეზიდენტი მოუწოდებს ქართველ ერს კანონიერი ხელისუფლების და სამშობლოს დასაცავად. დეპუტატის ღია ბარათს, ვერ ჩავთვლით გულუბრყვილო კაცის მიმართვად, რომელსაც არ გაეგება, რომ სახელმწიფო დაწესებულების დაკავება შეიარაღებული ძალებით – სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა”, – აღნიშნავს პარიზში გამომავალი უურნალი და განაგრძობს, – “რომ ამ იარაღზე დაყრდნობით, თავად დეპუტატის მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის თაობაზე და საერთოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, მას პუტჩის თანამონაწილედ ხდის. მითუმეტეს, რომ ამ პუტჩში მონაწილეობს მისი საკუთარი შეიარაღებული ფორმირება “იმედი”. თუ ბატონი დეპუტატის ღია წერილის გარდა, გავიხსნებთ მის “შვენებარე” სიტყვებს, რომელიც მან პარლამენტის შენობის მიღმა წარმოოქმნა პუტჩისტების გასამხნევებლად თუ წასაქმებლად, სრულიად აშკარა მიზნით, რომ საქართველოს ავგედობის უამს პოლიტიკური დივიდენდები მოქადგას, ბატონი დეპუტატი წარმოგვიდგება როგორც ხსენებული პუტჩის იდეოლოგი და ერთ-ერთი მთავარი ინსპირატორი”, [99, გვ. 39-40] – დასძენს უურნალის რედაქცია.

აქ ყველაფერის საკუთარი სახელი აქვს დარქმული და საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი თანამემამულები, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იცნობდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მაგრამ რაც ასე ნათელი და გასაგები აღმოჩნდა ჩვენი უცხოეთში მცხოვრები მომეუბისათვის, ვერაფრით ნორმალურად ვერ გაიაზრა საბჭოთა დემაგოგის ტრადიციებზე გამოზრდილმა “წითელმა ინტელიგენციამ” და მისმა უნებურმა თანამგზავრმა, – ქართველმა

პომოსოვეტიკუსმა, რომლის ტვინის გამორეცხვას ზემოთ მოყვანილი დემაგოგური პროპაგანდით ეს “ინტელიგენცია” და ე.წ. ოპოზიცია აქტიურად განაგრძობდა. ამასთან ამოქმედებული იყო ყველა ბერკეტი, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხში ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილების გაღვივებას (გამოიყენეს მთელი საბჭოური გამოცდილება). ხელო ვინც ხელოვნურად არ ამუქებდა ფერებს და მართლა გული შესტკოდა საქართველოს სახელმწიფოს მომავალზე, ამ ე.წ. ინტელიგენციის მიმართ დამოკიდებულებასაც ასევე შეუფერადებლად გამოხატავდა და მათ ასეთი სიტყვებით მიმართავდა: “...ეი მაგრამ რაზე ვჩხუბობთ, ვკამათობთ იქამდე, რომ ზღვარს გადავაბიჯეთ და პუტჩამდე მივედით? ნუთუ ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობითა და პრივილეგიებით განისაზღვრება? ნუთუ წარსული მდგომარეობის შენარჩუნებას ვუპირისპირებთ საქართველოს თავისუფლების იდეას?! ძალიან ვთხოვ ყველა იმ სახელგანთქმულ ხელოვანს, რომელიც დღეს გვაყვედრის თავის ქმნილებებს და შრომას, მიეჩიოს აზრს, რომ “ჩინ-მედლებს” აღარავინ ჩამოჰკიდებს. იქმაროს ის, რაც კომუნისტურ ხელისუფლებას გამოსცინცლეს: იფიქრონ იმაზე, რომ ქართველ ერს მათი სახელები უნდა ახსოვდეს და არა მათი წოდებები...” – აღნიშნავს წერილში მაია თომაძე. [114]

პუბლიცისტი ციური გოგიჩაშვილი კი სტატიაში “შურნალისტები ბარიკადების ორივე მხარეს უნდა იდგნენ”, – ამხელს რა ოპოზიციის მომხრე შურნალისტების ორპირულ დამოკიდებულებას საქართველოში იმ დროს მიმდინარე პროცესების განხილვისას, აღნიშნავს: “მაკვირვებს სტატიის ავტორთა პოზიცია, რომელნიც პატარ-პატარა ეპიზოდური მომენტებით ცდილობენ დაფარონ ის მთავარი, რაც არსებითია. ეს კი ის არის, რომ ორგანიზებული იყოს სახელმწიფო გადატრიალება მცოცავი პოლიტიკური მეთოდებით, ხოლო ამას თუ ვერ მიაღწევდნენ, განევითარებინათ შეიარაღებული აჯანყებაც, – და იქვე მიუთითებს ტენდენციური სტატიების და ყველაფრის მკადრებელ ავტორებს (აგთანდილ გაჩერილაძეს, რუსუდან ნიკურაძეს, თამაზ წივწივაძეს, რომან მიმინოშვილს და სხვებს), რომ “თუ ქართველი შურნალისტები დგანან ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის პოზიციაზე, მაშინ ისინი ყველა არსებული საშუალებით წინ უნდა აღუდგნენ ამგვარ ქმედებებს... ნუ

დადგებიან ბარიკადების მხოლოდ ერთ მხარეს როგორც აჯანყებული უურნალისტები” და აქვე ყველა მათგანისაგან მოითხოვს პასუხს კითხვაზე: “...რა ჰქვია ამ ქმედებას, როდესაც საქართველოს ისტორიაში დგება მომენტი, როცა საბჭოთა იმპერიის ცენტრში მიმდინარე ყრილობაზე უპევ გადაწყდა ბალტიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა და ამავე დროს ბატონების აკაკი ასათიანის და ონგიზ ბუაჩიძის მიერ ისმება საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, პარალელურად ამისა ის ქვეყნები, რომელმაც 1920-1921 წლებში სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მზად არიან აღადგინონ იგი; იმ დროს, როდესაც თბილისში პრეზიდენტი იღებს ამერიკელ კონგრესმენებს ამავე საკითხზე, სწორედ ამ დროს თბილისის ცენტრში ხდება არეულობა, რასაც მოჰყვება სროლები და ჩვენი “სახალხო” ინტელიგენციის მხარდაჭერით იქმნება დესტაბილიზაცია მთელს საქართველოში, რომელიც გვირგვინდება საქართველოს ხელისუფლებაზე და მის ქართველ ხალხზე შეიარაღებული თავდასხმით, რასაც მოჰყვა მსხვერპლი ცალმხრივად ხელისუფლების დამცველთა შორის. რა პქვია ამას? ნუთუ თითოეულ თქვენთაგანს ზოგს კალამი, ზოგს იარაღი აგაღლებინათ ხელში ბ-ნ ზვიად გამსახურდიას და მასთან ერთად ქართველი ერის სანუკვარი ოცნების – საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ”, – შენიშნავს ავტორი და აქვე იხსენებს რ. მიმინოშვილის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ “საბჭოთა იმპერია თავისუფლების ჯაჭვის მიუშვებს იქმდე, სანამ ეს მას უნდაო” და იქვე განავრძობს: “აი, ზუსტად ჯაჭვის ამ სიგრძეზე მთავრდება თქვენი ბრძოლაც დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის. სწორედ ამიტომაც არის კარგაზენილი საბჭოთა და საზღვარგარეთის “დემოკრატიული” საინფორმაციო საშუალებები თქვენთვის საბჭოთა გადემოკრატებულო ინტელიგენტებო, ხოლო იმათოვის ვინც საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძვის იგი დაკეტილია. აი, ჩემი აზრით, სად არის ძალლის თავი დამარხული” – შენიშნავს ავტორი და აკეთებს შემდეგ დასკვნას: “წერილის დაწერის შემდეგ გავეცანი თქვენი გაზეთის მომდევნონ ნომრებს და გაოცებული ვარ რაოდენ თვალნათელია ყოფილი დემაგოგიური კომუნისტური პრესის გადასვლა ოპოზიციაში.” [115]

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე პუბლიკაციის ავტორები არაპროფესიონალი უურნალისტები არიან, ამიტომაც მათ ნააზრევში არეკლილია საქართველოში მიმდინარე პროცესების შეუფერადებელი ტრაგიზმი, რაც მათ საკუთარი თვალით იხილეს და თავზე გამოსცადეს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, აღვსილი იყვნენ სამშობლოს წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, და აქედან გამომდინარე სამართლიანობის უტყუარი განცდით. ამასთან გასულმა პერიოდმა სრულიად დაადასტურა მათი სიმართლე და შინაგანი პატრიოტული ხმის კარნახით გაჟღერებული აზრების ჭეშმარიტება.

ხოლო ზემოთ მოტანილმა პლანეტარული მასშტაბით წარმოებულმა უაღრესად მზაკვრულმა დეზინფორმაციამ, რომელშიც მხარდამხარ აღმოჩნდა როგორც რუსული იმპერიალიზმი, ისე დასავლური “დემოკრატია”, შეცდომაში შეიყვანა თითქმის მთელი შსოფლიო და საქართველოს ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა მოახერხეს მისი იზოლაციაში მოქცევა; – რის შემდეგაც 1991 წლის 21 დეკემბერს აღმა-ატაში საბჭოთა კავშირის ლიდერთა შეხვედრაზე საქართველოს მაშინდელი ეროვნული ხელისუფლების უარი შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კავშირში, გახდა 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების საბაბი. [116, გვ. 56] ეწ. ოპოზიციამ და მისმა მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა უცხოეთის სპეცსამსახურების მითითებით, 1991 წლის 22 დეკემბერს პირდაპირი იერიში მიიტანეს საქართველოს მთავრობის რეზიდენციაზე ქალაქ თბილისში. მათ ამ საქმეში მხარში ედგნენ რუსეთის სპეცსამსახურები და სამხედროები, რომლებთან ორკვირიანი დაპირისპირების შემდეგ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისი დატოვეს, თავი გაარიდეს რა უცხო ძალის მიერ ინსპირირებულ თანამომმეუბოთან ფართომასშტაბიან სისხლისღვრას. მაგრამ ზემოთ მითითებული დეზინფორმაციის გამო მსოფლიო მიიჩნევდა, რომ “თითქოს საქართველოში ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომს... ვითომ ქართველები მსხვერპლი არიან თავისუფლების: საბჭოთა წყობილების დამხობის შემდეგ თავისთავად დარჩენილმა ქართველმა ხალხმა, რომელსაც დემოკრატიული გამოცდილება არ გააჩნია, ძალაუფლება ჩააბარა საშიშ დიქტა-

ტორსა და რასისტ ზვიად გამსახურდიას, რომელიც არა მარტო მშვიდობიან ოპოზიციას ანადგურებს ფიზიკურად, არამედ ის აგრეთვე ვითომც უმოწყალოდ ქლეტს მშვიდობიან ოს ხალხს, არ ინდობს აგრეთვე ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცებულებს, საერთოდ კი იგი აღვივებს შელლსა და მტრობას საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებსა და ქართველებს შორის და სხვა”, — აღნიშნავს ჟურნალი “გუშაგი” და მიუთითებს, რომ, თითქოს “საქართველოში ადგილი პქონდა შინაურ რევოლუციას: ვითომც დემოკრატიული ძალები ებრძოდნენ ტირანულ რეჟიმს, პირველებმა გაიმარჯვეს, ამით დემოკრატიამ ვითომც გაიმარჯვა ფაშიზმსა და რასიზმზე, რომელიც ემუქრებოდა მეზობელ ხალხებს და საერთოდ მსოფლიო მშვიდობას... ჩვენდა საგალალოდ, — შენიშნავს ჟურნალი, — ამ აზრს იზიარებს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ხელისუფალნი, ეს ფაქტი კი გვკარნახობს: გავიორეცოთ ძალისხმევა, რათა შევიძლოთ, უწმინდური მაცდური ძალების მიერ დაბრიყებული სიმართლის აღდგენა.” [117, გვ. 1]

უცხოეთში გამომავალ ჟურნალში წარმოჩენილი ეს პოზიცია ეყრდნობოდა საქართველოში მიმდინარე პროცესების მართვისულ გააზრებას და სწორად ასახავდა იმ მოვლენათა არსს, რომელიც საქართველოში ხდებოდა. სწორედ ამიტომ ამავე ჟურნალის რედაქციის “პირად შთაბეჭდილებებში” მართებულადაა მითითებული, რომ “ოპოზიციის მყაცრი კრიტიკული განცხადებებიც გადმობეჭდილია მთავრობის გაზეთებიდან (იგულისხმება საქართველოში გამომავალი სამთავრობო გაზეთები) ამიტომაც ცენზურაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ქალალდის დეფიციტი საერთოდ აბრკოლებდა წიგნებისა და პრესის გამოცემას, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი სრულებითაც არ ყოფილა პირაკრული, როგორც ამას უპასუხისმგებლო ხმები ავრცელებდნენ და ავრცელებენ. აქვე რედაქტორი აღნიშნავს, რომ “ჩემთვის ისიც ცხადია, რომ შევარდნამე ადრევე მონაწილეობდა შეთქმულებაში და მან დიდი როლი ითამაშა ამერიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდიგნის განწყობილებაზე ზვიად გამსახურდიას რეჟიმის საწინააღმდეგოდ.” [99, გვ. 52-53]

ასე, რომ გასახურდიასა და მისი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი ყველა და ყველაფერი, რადგან იგი არ აღმოჩნდა უცხო ძალების ხელით ადვილად სამართავი მარიონეტი.

ამასთან საქართველოს მისიასა და კავკასიის რეგიონის სამომავლო განვითარებაზე მას ჰქონდა მყარად ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულებანი (კავკასიური სახლის იდეა), რომლის განხოცრიელების შემთხვევაში კავკასია დამოუკიდებელ გეოსტრატეგიულ სივრცედ შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო, რაც მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც “აღმოსავლელი იმპერიალისტების”, ისე “დასავლელი დემოკრატებისათვის”. ამასთან თანამედროვე მსოფლიოს ზნეობრივი ხარისხის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მიუხედავად იმისა, ასევე ყველამ იცოდა რა პრეზიდენტი გამსახურდიას წინააღმდეგ წაყენებული თითოდან გამოწოვილი ბრალდების უმრავლესობის აბსურდულობა და სიყალბე, ის და მისი ხელისუფლება მაინც განწირული აღმოჩნდა. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ რედაქტორის იმავე პირად შთაბეჭდილებაში ნათქვამია: “კრიზისიდან გამოსასვლელად მაშინ მე აუცილებლად მიმაჩნდა, რომ დემოკრატიის სრული დაცვით მომზღარიყო ხელისუფლების განახლება; მაგრამ 22 დეკემბრის შემდეგ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა დამარწმუნა, რომ გამსახურდიას მტრები, რომელთაც გადაწყვეტილი პქონდათ მისი გადაყენება, ნებას არ მისცემდნენ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა, რადგან მათ იცოდნენ, რომ ქართველი ხალხი ისევ გამსახურდიას აირჩევდა.” [99, გვ. 58] აი, სწორედ ეს იყო ე.წ. ოპოზიციის მთავარი სატკივარი და თუ არა ძალადობით, მას საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის (იმ მომენტში მაინც) არავთარი შანსი არ გააჩნდა. ამის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პრიფესორი იგორ კეჩელავა თავის ნაშრომში “ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური პორტრეტი”, – ამბობს: “1991 წლის 2 სექტემბერს ოპოზიციამ და ხელისუფლებაში მყოფმა ერთმა მოლალატე ჯგუფმა შეძლო აქციის მოწყობა, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ სახელდაზელოდ დაგეგმილი, აქტი იყო, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა.

2 სექტემბრის მოტინგის პროვოკაციული ხასიათი აშკარაა. ამას ადასტურებენ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსი აღეკო მიქაბერიძე, მწერალი და პოლიტოლოგი გიორგი გაჩეჩილაძე, იმქამინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი...

2 სექტემბრით დაიწყო კანონიერი ხელისუფლების დამხობა საქართველოში... როგორც ირ. ბათიაშვილი აღნიშნავს: ინტელიგენციამ აიტაცა “ანტიზვიალიზმის დროშა” და გვერდით დაუდგა გა-დატრიალებას. 1991 წლის სექტემბრიდან (უფრო ადრეც – უ.ო.) ოპოზიციის და ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები მოსკოვში ხვდებოდნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოწანააღმდეგებს, მათ შორის ე. შევარდნაძეს და მისი დახმარების იმედით ბრუნდებოდნენ უკან, რათა კიდევ უფრო მეტი შემართებით ებრძოლათ ზვიად გამსახურდის წინააღმდეგ.

სავარაუდოდ თბილისში ჩამოყალიბდა ჯგუფი, – აღნიშნავს ავტორი, – სახელწოდებით “შ”, რომელშიც შევარდნაძის მხარ-დამჭერები ერთიანდებოდნენ, გროვდებოდა ყოველგვარი მასალა შე-ვარდნაძის შესახებ. ადგენდნენ მის მომხრეთა და მის მოწინააღ-მდეგეთა სიებს, კავშირს ამყარებდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელებთან, შემოჰქონდათ იარაღი რუსეთიდან და სომხეთიდან, ძირგამომხსრელ საქმიანობას ეწეოდნენ სახელისუფ-ლებო სტრუქტურებში, ხდებოდა სახელმწიფო მოხელეების, უშიშ-როების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, ეკლესიის და ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენელთა მოსყიდვა და გა-დაბირება.

ზვიად გამსახურდია შეეცადა პოლიტიკური დიალიგით განე-მუხტა ვითარება... მაგრამ ოპოზიციას არ სურდა ჰეშმარიტი დია-ლოგის წარმომართვა. დამამხობელი ძალები, რომელსაც ზურგს მოს-კოვში მყოფი შევარდნაძე უმაგრებდა, ჩქარობდნენ, რადგან იწყებო-და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს დამოუკი-დებელ სახელმწიფოდ აღიარების უწყვეტი პროცესი...

შემოდგომაზე ოპოზიციის მიერ უკვე მიღებული იყო გადაწ-ყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის დამხობის შესახებ. სა-ხელმწიფო გადატრიალების მხარდამჭერმა ძალებმა ამ ქმედებით სამშობლოსა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე უფრო მაღლა პირა-დი ინტერესები დააყენეს. “ცოფიანი შურის” სინდრომმა და პი-როვნულმა ცნობიერებამ გაიმარჯვა ზეპიროვნულ ეროვნულ ცნობი-ერებაზე... ზვიად გამსახურდიამ ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით იარაღი არ გამოიყენა და ქართველს არ ესროლა, მაშინ, როდესაც სხვა ქართველმა ხელისუფლების სათავეში მოსასვლე-

ლად არაფერზე უკან არ დაიხია და ქართველის სისხლის დაღვრას არ მოერიდა.

გარეშე ძალებმა ადგილობრივი ოპოზიციის გამოყენებით შეძლეს დაემზოთ კანონიერად არჩეული ხელისუფლება და პრეზიდენტი ზვად გამსახურდია.” [74, გვ. 79-80] ხოლო ამ დაკვეთის ავტორი, ქართველი ნომენკლატურა ე. შევარდნაძით სათავეში, თავიდანვე გრძნობდა რა, თუ როგორ შეფასებას მისცემდა ისტორია მათ მიერ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში ჩადენილ დალატს, რაში სჭირდებოდათ მათ რამაზ საყვარელიმისთანა ე.წ. ექსპერტები, თუ მათ არამზადულ ნაბიჯს გამართლებას არ მოუძებნიდნენ. და ძალიან სამწუხაროა, რომ დღესაც მსგავსი “ექსპერტები” ხშირად გამოიდან პოლიტიკური პროცესების შემფასებლებად, რაც იმის ნიშანია, რომ ქართულ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ მიუღწევია ელექტროარული ზნეობრივი დემოკრატიის იმ დონემდეც კი, ამგვარი “ექსპერტების” აზროვნების ისეთი “უნიკალური შედევრები”, როგორიც ზემოთ მოვიყვანეთ აღარ სჭირდებოდეს და მათ საბოლოოდ მიუჩინოს კუთვნილი ადგილი ისტორიის სანაგვეზე.

ამ ე.წ. დამაგვირგვინებელ პროცესებში აჭარის მონაწილეობა საკმაოდ შეზღუდული და არაეფექტური იყო, თუ არ ჩავთვლით ამ რეგიონიდან გამოსულ ზოგიერთ პოლიტიკაზე პრეტენზის მქონე პიროვნებების განსაკუთრებულ აქტიურობას საქართველოს ისტორიაში ამ უშავბნელესი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების იდეოლოგიურ შემზადებაში, რასაც თან სდევდა სამხედრო პუტჩის პერიოდში მათი ასევე განსაკუთრებული “თავგანწირვა” თავის გამოჩენის მიზნით. იმაში კი, რომ საქართველოს ისტორიის ამ სამწუხაროდ მოსავონარ მოვლენებში აჭარის წვლილი შექარებით უმნიშვნელო იყო, დიდი როლი შეასრულა აქ მოქმედმა, ჭეშმარიტად ეროვნულ პოზიციებზე მდგარმა ძალებმა, რომელთაც ძალის არ დაიშურეს ადგილობრივ მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების შესახებ მართებული პოზიციის ჩამოსაყალიბებლად და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად.

მოცემულ პერიოდში საქართველოში მომხდარ მოვლენებს თუ გავაანალიზებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ ერვონულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინა ეტაპზე ქართველი ხალხის მიერ გა-

მოვლენილი პოლიტიკური სიმწიფე და უდიდესი სიმტკიცე მართლაც გასაოცარია, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც უკვე ამ მოძრაობამ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ხასიათი შეიძინა, თანდათან გამოიკვეთა არაჯანსაღი ამბიციები და ერთმანეთზე გადასწრების დაუკეპელი სურვილი, რასაც მოჰყვა ამ ბრძოლაში წარმოშობილი უთანხმოების ასევე თანდათანობით გაღრმავება და ბოლოს იგი ფიზიოლოგიური ზიზიდით აღსაგეს ურთიერთდაპირისპირებად გადაიქცა. შურმა და მტრობამ წალეკა ყველაფერი და მოქმედების მთავარ ლოზუნგად იქცა “მიზანი ამართლებს საშუალებას.” მაგრამ თუ გავაკეთებთ ყოველივე ამის ღრმა და ობიექტურ ანალიზს, მივაღთ დასკვნამდე, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან მეოთხები და არსენალი, რომელთაც ურთიერთდაპირისპირებული მხარეები იყენებდნენ, ჩვენი უახლოესი წარსულის ნოენირ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. პოლიტიკური ძალები კი, რომლებიც მათ იყენებდნენ, ცდილობდნენ ბოლომდე ამოეწურათ ქართველი “ჰომოსოციეტიკუსის” ფიზიკური და სულიერი საგანძური, – საკუთარი მიზნების მისაღწევათ გამოეყენებინათ მისი პოლიტიკური უმწიფრობა და აქტივ გამომდინარე რადიკალური ავანტიურიზმი. ამ ძალებმა თავიანთი მოქმედების მთელი სტრატეგია და ტაქტიკა ზუსტად ამ მომენტის გათვალისწინებით ააგეს. მათ კარგად ესმოდათ, თუ რას აკეთებდნენ, მაგრამ შეგნებულად მიქეონდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები თავიანთი პოლიტიკური მიზნების სამსხვერპლოზე.

რეგანშისტულ ამბიციებზე ხელი არ ჰქონდა აღიტული საქართველოს კომუნისტური სტრუქტურის ნარჩენებსაც, რომელსაც მოსკოვიდან ოსტატურად მართავდა მათი იმედი ე. შევარდნაძე, რომელმაც მოახერხა და “ოპოზიციური ძალების” მეშვეობით აქტიური ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩადა საქართველოში. რევანშისტული ნომენკლატურისა და ამ ე.წ. ოპოზიციური ძალების მოქმედებათა კოორდინაციის შედეგად (საკოორდინაციო საბჭო ტყუილად არ დაერქვა “ოპოზიციურ ძალთა” აღიანსს – უ.ო.)” საქართველოს ხელისუფლება დღითიდღე კარგავდა პოზიციებს, როგორც საშინაო ფრონტზე, ისე საერთაშორისო ასაპრეზზე (ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურად და ამასთან ეფექტურად მოქმედებდა ე. შევარდნაძე). და ბოლოს, როცა მან აღმა-ატაში

ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, ეს გახდა ნიშანი, რომ შეიარაღებულ ბანდებს უცხოეთის სპეცსამსახურებისა და სამხედროთა დახმარებით, იერიში მიეტანათ მთავრობის სასახლეზე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის მიზნით.

საქართველოს ხელისუფლებაში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ეროვნულ ძალთა მოსვლის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი ელიტა, მასთან აღიანსში მყოფ ანტიეროვნულ მოღვაწეთა მცირე ჯგუფთან ერთად თავიდან შეეცადა თავისი მდგომარეობის შენარჩუნებას, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ძალთა აქტიური ზეწოლის შედეგად იგი იძულებული გახდა ჯერ უკან დაეხსა, შემდეგ კი სრულიად დაეთმო მისთვის ასპარეზი. მაგრამ ეროვნულ მოძრაობაზე პრეტენზიის მქონე ძალთა შორის აჭარაშიც, როგორც მთელ საქართველოში, არ იყო ერთანობა და მათ შორის დაპირისპირება ზოგჯერ აშკარა კონფრონტაციის სახეს იღებდა. აჭარაში ჩამოყალიბებული “საკორდინაციო საბჭო” და მასში გაერთიანებული ძალები, ცდილობდნენ წინ აღდგომიდნენ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ღონისძიებებს რეგიონში და ამით დაემტკიცებინათ თავიანთი გავლენის სიმტკიცე აჭარაში, მაგრამ მათი ეს მცდელობა ჩაიშალა. აჭარაში მოქმედ მრგვალი მაგიდის ორგანიზაციებიც საქართველოს ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლის შემდეგ საქმაოდ მომძლავრდნენ, გაიზარდა მათი აქტივობა საზოგადოებრივ ასპარეზზეც, მაგრამ მათ შორისაც არ იყო სრული თანხმობა, ხოლო განსილული დროის ბოლო პერიოდში უთანხმოება კიდევ უფრო გაიზარდა და მასში აისახა ყველაფერი ის, რაც საქართველოს ცენტრალურ მრგვალი მაგიდის ორგანიზაციებსა და ხელისუფლებაში ხდებოდა.

ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურობაზე პრეტენზიის მქონე ე.წ. ოპოზიციურმა ძალებმა ვერ მოახერხეს რა ქართველი ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება, ადრევე გამოუცხადეს მას უნდობლობა და დაიწყეს შეიარაღება თავიანთი პოლიტიკური ამბიციების შესამაგრებლად. ამასთან ხალხში პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად გაჩაღებული ბრძოლა მოვლენათა ფორსირების კვალდაკვალ გადაიქცა ბრძოლად

ხელისუფლებისათვის და როდესაც ამ ბრძოლაში ოპოზიცია და-
მარცხდა, მან იგი აქცია ძალაუფლებისათვის ომად, შეასრულა რა
საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი მტრუ-
ლად განწყობილი ყველა ძალის ოცნება, ისე წარემართად საქმე,
რომ ქართული სახელმწიფოებრიობა ქართველების ხელითვე გაე-
ნადგურებინათ. ამ ომის იდეოლოგიურად შესამზადებლად ოპოზი-
ციური ძალები უხვად იყენებდნენ დემოკრატიისა და თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლის ღოზუნგებს და მიმართავდნენ ე.წ. ბარაკული
ტუპის დემოკრატიას – თუ მათ ინეტერესებში შედიოდა და მათ
მიზნებს ემსახურებოდა ამჩნევდნენ და ამხელდნენ ყველაფერს, ხო-
ლო სიმართლე თუ ხელს არ აძლევდათ, საწინააღმდეგოს დამტკი-
ცებასაც ყველა საშუალებით ცდილობდნენ. ეს იყო უპრინციპობისა
და პოლიტიკური დემაგოგიის კლასიკური ნაზავი, რამაც ქართული
ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ყველა მონაპოვარი კით-
ხვის ქვეშ დააყენა და საქართველოში ზვიად გამსახურდიას ხელი-
სუფლების წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო-კრიმინალუ-
რი პუტჩის შედეგად იგი დაამხეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც,
რომ ამ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიაში აჭარას წვლილი თითქმის
არ უძევს, თუ არ ჩავთვლით აჭარიდან გამოსულ რამდენიმე პი-
როვნებას, რომლებიც საკმაოდ აქტიურობდნენ ამ სამხედრო-კრიმი-
ნალური გადატრიალების იდეოლოგიურად შემზადებაში.

თავი III. აჭარა საქართველოში სამხედრო- პრიმიტური ბაზატრიალების პერიოდში (1991.XII.22 – 1992.11X)

საქართველოში 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებულ სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაში აჭარას, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი მისი მკვიდრის აქტიურობას, მის იდეოლოგიურ შემხადებაში, მონაცილეობა თითქმის არ მიუღია. მაგრამ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭრადც აჭარის მმართველთა მხრიდანაც რამე განსაკუთრებულ აქტივობას, თუ არ ჩავთვლით პოზიციის განცხადებით დაფიქსირებას, ადგილი არ ჰქონია (უმნიშვნელო რაზმა, ბადრი მელაძის ხელმძღვანელობით, თბილისში ჩასვლისთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას შეაფარა თავი და მოვლენათა განვითარებას იქ, თითქმის ბოლომდე ელოდა).

1992 წლის 6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს მთავრობის სასახლე და თბილისიდან გასულებმა ჯერ სომხეთს შეაფარეს თავი, შემდეგ კი ჩეჩენეთში გადავიდნენ.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ამ ძალადობრივი ჩამოვლებით დაიწყო უშავბნელესი ეპოქა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელსაც შეეწირა ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე და რაც მთავარია, ქართველი ხალხის ღირსება და სამომავლო ინტერესები. საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულმა სამხედრო-კრიმინალურმა ბანდებმა ქვეყანაში დაამყარეს ძალადობის ძალაუფლება – ძალადობის პირდაპირი კულტი საზოგადოებრივი ცხოვრების ცველა სფეროში.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ გაატარა სასწრაფო ღონისძიებები თბილისში განხორციელებული ძალადობის აქტის რეგიონზე გავრცელების აღსაკვეთად, რაშიც მას თანადგომა განუცხადა ამ კუთხეში მოქმედმა ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის ძალებმა. თავის მხრივ აჭარის ხელისუფლებამ 1991 წლის 25 დეკემბერს ქალაქ ბათუმში შექმნა აღორძინების კავშირის საინიციატივო ჯგუფი (68 კაცი), რომელმაც მოისმინა ასლან აბაშიძის ანალიტიკური მიმოხილვა

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ, სადაც მომხენებელმა აღნიშნა, რომ ძველი სტრუქტურების რღვევამ და საზოგადოების საყოველთაო პოლიტიზირებამ გამოიწვია გარკვეული დაპირისპირება სოციალურ ფენებს შორის. ეკონომიკა გაჩანაგების პირასაა მისული, მოსახლეობა დაუცველია... ამიტომ ასეთ ვითარებაში აუცილებელია ყველა ჰეშმარიტი მამულიშვილის გაერთიანება – ვინც მხადაა დაუზოგავად და პრაქტიკულად მოახმაროს თავისი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია აჭარის აღმშენებლობა-აღორმინებას. წამოაყენა წინადადება აჭარის აღორმინების კავშირის შექმნის შესახებ. [118]

საინიციატივო ჯგუფმა მხარი დაუჭირა ა. აბაშიძის წინადადებას და აირჩია საინიციატივო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით მისივე თავმჯდომარეობით. 1992 წლის 28 იანვარს ჩატარდა აჭარის აღორმინების კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელმაც მოისმინა ა. აბაშიძის მოხსენება აჭარის აღორმინების კავშირის შემქნის აუცილებლობისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. შემდეგ განიხილა აჭარის აღორმინების კავშირის საპროგრამო დოკუმენტები და დაადგინა მისი პირველი კონფერენციის მოწვევის თარიღი, ამასთან გადაწყვიტა სხვა მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.

დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდა 1992 წლის 24 აპრილს ბათუმში, რომელსაც დაესწრო 509 დელევატი. კავშირის სახელის დაზუსტების შემდეგ მას ეწოდა “აჭარის აღორმინების სრულიად საქართველოს კავშირი”. [119]

კონფერენციამ მოსმინა ინფორმაცია კავშირის პირველადი ორგანიზაციების შექმნისა და აღორმინების კავშირისადმი აჭარის მოსახლეობის მასიური მხარდაჭერის შესახებ, მიიღო “აჭარის აღორმინების სრულიად საქართველოს კავშირის” პროგრამა, რომლის დევიზს წარმოადგენდა – “საქართველო უპირველეს ყოვლისა”. კონფერენციის დასასრულ თავის შემაჯამებელ სიტყვაში ბატონმა ა. აბაშიძემ აღნიშნა: “აჭარაში შეიქმნა აღორმინების კავშირი, რომლის ზრუნვის საგანია მთელი საქართველო და არა მისი რომელიმე კუთხე. კავშირის შექმნა არის შედეგი აჭარაში მუდამ ცოცხალი ოცნებისა და ფიქრისა ერთან, ძლიერ საქართველოზე.” [120]

მაშინ, როდესაც მთელ საქართველოში ძალადობის ძალაუფლების გავრცელებას შეეწირა მისი ისტორიული კუთხეების ღრუსება და თავმოყვარეობა, აჭარაში ასეთი სულისკვეთების ორგანიზაციის ჩამოყალიბება დროით იყო ნაკარნახევი და მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა. აჭარის ხელისუფლებამ, მიუხედავად ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლოთ პოზიციისა, რომლებიც პირდაპირ ეპატიუებოდნენ აჭარაში საქართველოს დამაქცევარ კრიმინალურ ბანდებს, [121; 122] შეძლო აჭარის მოსახლეობის თავის გარშემო კონსოლიდაცია და ამ კუთხეს თავიდან ააცილა ის უდიდესი კატაკლიზმები, რამაც ფაქტიურად დანაწევრებამდე მიიყვანა ქართული სახელმწიფო. სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას არაფერი სასიკეთო რომ არ მოუტანია საქართველოსთვის, ამ საკითხში, დღევანდელი გადასახელიდან მაინც, ერთიანია ქართული საქმის ყველა გულშემატკივარი.

მის შეფასებასა და აქედან გამომდინარე მართებული დასკვნების გამოტანაში დაგვეხმარება მასალა, რომელსაც ნაშრომში საკმაო ადგილს ვუთმობთ.

1991 წლის 22 დეკემბერი – ამ დღეს საქართველოს დედაქალაქში დაიწყო ჩვენი სამშობლოს ისტორიაში კიდევ ერთი უბედურება – სამხედრო გადატრიალება, – აღნიშნავს გაზეთი “იბერია-სპექტრი”, – იგი დასრულდა 1992 წლის 6 იანვარს კანონიერი ხელისუფლების დამხობით. რა მოუტანა ჩვენს ქვეყანას ამ გადატრიალებამ? – კითხვას სკამს გაზეთი. “...სამხედრო გადატრიალებამ და ძმათამკვლელმა კონფლიქტმა დამანგრეველი გავლენა მოახდინა ერის ფსიქოლოგიაზე და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, – ქართველ ახალგაზრდობაზე”, – პასუხობს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ივლიანე ხაინდრავა, და იქვე განაგრძობს, – “ქვეყანაში დამკვიდრდა ძალის, უფრო სწორად კი ძალადობის კულტი. ჯერ კიდევ გადატრიალების წინაპერიოდში პირველ პლანზე გამოვიდა თოფიანი კაცი და დღემდე ეს თოფიანი კაცი გადამწყვეტ როლს ასრულებს საქართველოს ცხოვრებაში...” [123]

ამავე კითხვაზე პროფესორი თენგიზ კიკჩეიშვილი ამგვარად პასუხობს: “ნგრევა და განადგურება ცხოვრების ყველა ასპექტში.”

[იქვე] ხოლო იღია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თა-მარ ჩხეიძე აღნიშნავს: “1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვ-ლენებს საქართველოსთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია. ხელი-სუფლების იარაღით დამხობა თავისთავად მოუღებელი იყო ჩვენ-თვის. მთავარია ის, რომ ეს პროცესი, ისევე როგორც სხვა პრო-ცესები საქართველოში, ქართველი პოლიტიკოსების წყალობით, რუსეთიდან იმართებოდა. თავიდანვე გათვალისწინებული იყო, რომ ამ მოვლენებს უნდა მოჰყოლოდა შევარდნაძის ხელისუფლებაში მოყვანა... რუსეთმა არაჩეულებრივად გამოიყენა ამ “ავტორიტეტი-სადმი” ჩვენი საზოგადოებრიობის პროვინციული დამოკიდებულება. შევარდნაძემ ეჯექტურად შეძლო წარემართა რუსეთის მიერ გათვა-ლისწინებული პროცესები საქართველოში. ეს არის: სახელშეც-ვლილი იმპერიის შეკორწიწების მცდელობა, ჩვენი ქვეყნის ტერი-ტორიული მთლიანობის გეგმაზომიერი რღვევა, საბაზრო ეკონომი-კის ბლოკირება, კაპიტულანტური ხელშექრულებების დადგა, სა-ქართველოს გადაქცევა რუსეთის სამხედრო პოლიგონად. 1991-1992 წლების შეიარაღებული გადატრიალება სასიკეთოს ვერა-ფერს მოიტანდა, რადგან თავად ფორმა იარაღით ხელისუფლების ჩამოგდებისა თავის თავში შეიცავს უარყოფით მუხტს და ყოვლად მიუღებელია ნორმალური საზოგადოებისათვის.” [იქვე]

თითქმის იგივე აზრისანი არიან საქართველოში 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შესახებ საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე ცნობილი პოლიტიკური ფიგურები; მითუმე-ტეს, დღევანდელი გადასახვდიდან, არავის ეჭვი აღარ ეპარება ას მოვლენათა სამხედრო-კრიმინალურ ხასიათში და მისი წარმმარ-თველი ძალების უცხოეთის სპეცსამსახურებთან ალიანსში საქარ-თველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით. მაგრამ მა-ინც მოვუხმოთ ფაქტებს და ისინი ვალაპარაკოთ, მათზე ხომ უამ-რავი მასალაა გამოქვეყნებული.

საქართველოს განდევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მთავრობა 1992 წლის შობას სომხეთის საკურორტო ქალაქ ივევანში შეხვდნენ. იმ ღამეს პრეზიდენტმა ლექსი – “შობა” და-წერა. მისი თანამებრძოლების თქმით პრეზიდენტი საოცრად მშვი-დი იყო და ღვთისმშობლის ხატთან ლოცულობდა. თბილისში კი შობის დღეს ხელისუფლების სათავეში გადატრიალების ორგანიზა-

ტორები მოვიდნენ. [124; გვ. 8] თუ როგორი იყო ამ ძალთა პაბიტუსი ამის საილუსტრაციოდ იმპერიოდინდელ მათივე განცხადებებსა და ქმედებებს მივმართავთ. ჯერ კიდევ 1992 წლის 3 იანვარს, შეიარაღებული პუტჩის ერთ-ერთი მთავარი ტრუბადური ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აკეთებს განცხადებას: “საქართველოში უკიდურესად დაძაბულმა ვითარებამ საფრთხე შეუქმნა თვით ქვეყნის ფიზიკურ არსებობას.

1992 წლის 2 იანვარს შექმნილმა სამხედრო საბჭომ მიზნად დაისახა ვითარების განმუხტვა, რაც აუცილებელია ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის დამყარებისათვის.

სამხედრო რეჟიმის პირობებში გარკვეულწილად ფერხდება და იზღუდება პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩვეული ფუნქციონირება, რაც ნორმალური ცხოვრების დროს მიუღებელი და არაკანონიერია. მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც მთავრობის სახლის ბუნკერიდან კვლავ გაისმის მოწოდებები შეიარაღებისა და სამოქალაქო ომის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებისაკენ, ეს დროებით ნაბიჯი იძულებითი და ამდენად გამართლებულია.

ამასთან ედპ გამოთქვამს მტკიცე იმედს, რომ სიტუაციის განმუხტვისთანავე მოხდება ყველა კანონიერი სტრუქტურის აღდენა და ნორმალური ფუნქციონირება. [125] თუ რას გულის-ხმობდნენ სიტუაციის განმუხტვასა და კანონიერი სტრუქტურების აღდენაში ეს გამოჩნდა მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა გამსახურდამ ზედმეტი სისხლისღრის თავიდან ასაცილებლად 1992 წლის 6 იანვრის ღამით დატოვა მთავრობის სასახლე და სცადა გასცლოდა შეიარაღებული დაპირისპირებას. აი როგორ იგონებენ იმ ღამეს პრეზიდენტ გამსახურდიას თანამებრძოლები ნემო ბურჭულადე, როპერტ პეტრიაშვილი და ირინა ტალიაშვილი.

“მთავრობის სასახლიდან ჩვენ ფეხით გამოვედით (რობერტ პეტრიაშვილი და მისი ძმა გურამ პეტრიაშვილი – უ.ო.) თავიდან ითქვა, რომ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით უნდა წავსულიყავით. შემდეგ პუტჩისტები ზვიადის მისამართით საყვედურს ამბობდნენ: დასავლეთში უნდა წავიდეო და სინამდვილეში აღმსავლეთის მიმართულებით წავიდა, მოიტყუაო...

სასაცილოა არა?! კაცს მოსაკლავად მისდევდნენ და თან ბრაზობდნენ – წინასწარ რატომ არ გვითხრა, სად მიდიოდაო...” [124, იქვე] და საქართველოს პირველ პრეზიდენტს რომ ნამდვილად მოსაკლავად მისდევდნენ სამხედრო-კრიმინალური ბანდები, აქ საეჭვო არაფერია.

“მთავრობის სახლიდან რომ გამოვედით, – იგონებს ნემო ბურჭულაძე, – ჯერ გათენებული არ იყო, ისევ ბნელოდა. ავტობუსში ჩავსხედით, რომელიც ხალხით ისე იყო გაჭედილი, რომ გაქანებაც არ შეიძლებოდა. ჩემს გვერდით იჯდა დეპუტატი ირინე ტალიაშვილი. სოლოლაკიდან მეტების ხიდთან ჩავედით. იქ ჩასაფრებულნი იყვნენ და რამდენიმე მხრიდან ერთდროულად გაიხსნა ცეცხლი, ავტობუსი გაჩერდა ნათურის ქვეშ. წარმოიდგინეთ წითელი ფერის “იკარუსი” ნათურის ქვეშ დგას. ჯერ კიდევ ბნელა და სამი მხრიდან ტყვიამფრქვევს და ავტომატს გვესვრიან... ხალხი ნელნელა იხოცებოდა, იჭრებოდა, ისმოდა კვნესა, ყველაფერი სისხლით გაივსო...” [იქვე] ამ შემზარავ სურათს ირინე ტალიაშვილის მოგონება შემდეგი შტრიხებით ავსებს: “6 იანვარს დაცხრილულ ავტობუსში ცოცხლად გადარჩენილებმა ახლომახლო სარდაფს შევაფარეთ თავი. სადღაც ექვსი თუ შვიდის ნახევარი იქნებოდა, როცა შეიარაღებული ახალგაზრდები შემოიჭრნენ. მე, ნემო ბურჭულაძე, ტარიელ გელანტია და ბორის კალანდია დაგვაპატიმრეს და წაგვიყვანეს მეცნიერებათა აკადემიის შტაბში, სადაც პუტჩის მოთავენი იყვნენ...” [იქვე]

ზოლო მავე 6 იანვარს მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის მონაწილეობით, სამხედრო ფორმირებების შესაძლო გაერთიანების შესახებ გავეთდა ცინიკური განცხადება, რომ “...ჩვენ უკვე გავერთიანდით იმდენად, რამდენადაც ერთად დავლვარეთ სისხლი...” [იქვე] ამავე პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა: “5 იანვარს იაპონურ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია იმის, შესახებ, რომ ედუარდ შევარდნაძე მზად არის დაბრუნდეს საქართველოში და ითანამშრომლოს ახალ მთავრობასთან. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ? – რომელსაც გაეცა შემდეგი პასუხი: “მას, რა თქმა უნდა, შეუძლია სამშობლოში დაბრუნება, ეს პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით თანამშრომლობის რა

პირობებს შემოგვთავაზებს იგი.” [იქვე] იქვე წამოყენებულია ცილისმწამებური ბრალდებანი ზვად გამსახურდიასა და მისი მომხრების მიმართ, რომელთა დამტკიცება შემდგომში ვერავინ შეძლო.

ნიშანდობლივია გაზეთ “ქართული ქრონიკის” ამავე ნომერში გამოქვეყნებული ედპ-ის ლიდერის გ. ჭანტურიასა და საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის გ. ხაინდრავას საახალწლო მიმართვა, რომელშიც აშკარად ისახება უხამს ტყეულებთან შეხამებული დემაგოგიური პროვინციალიზმი.

აი, ამონარიდები აღნიშნული “შედევრიდან”: “...პრივატიზაციისა და ეკონომიკისათვის ვის სცალია, საქართველოს განა იმიტომ ჰყიდიან, რომ ხალხი დააძღონ (Sic, – როგორ ძოგწონთ ხალხი-სადმი პატივისცემის ამგვარი გამოხატვა?! – უ.ო.) ეს რომ იყოს მიზანი, საერთოდ არ გაყიდღნენ სამშობლოს, ეკონომიკურ რეფორმებს განახორციელებდნენ და ხალხიც კმაყოფილი ეყოლებოდათ. მაგრამ არა, საქართველო უნდა გაიყიდოს, უნდა გაიყიდოს რამეთუ საათმა ჩამოჰკრა, უამი არს აღსასრულისა და მოსასწრებია” (ან მაგრად დაბოლილები იყვნენ, ანდა საკუთარ სამომავლო გეგმას ამგვარი ფორმით ახმიანებდნენ; თორემ რა შეიძლება ეწოდოს ამ აბდაუბდას?! – უ.ო.).

“სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი შავთვალწარბა ქალიშვილივით, რომელსაც ტანსაცმელი შემოახია მეპატრონებმ, რათა მისი მაღალი მკერდით მუშტარი მიიზიდოს (ან კიდევ, ეტყობა ციხის საკანძი სექსუალური ფანტაზიები მოეძალათ – უ.ო.) დგას გაძარცვული საქართველო თავისმომჭრელ კარვების წინ მთავრობის სასახლესთან და ამაოდ ცდილობს სასირცხო ადგილების ხელებით დაფარვას...”

ჩართავ ტელევიზორს და აზრი – უნიჭო ტვინიდან მოწყდარი... აახმიანებ რადიოს და აქაც იგივე. გადაშლი უურნალ-გაზე-თებს და გული შეგიწუხდება, ისეთ სურათს დაინახავ. არა მხოლოდ ჰყიდიან საქართველოს, არამედ დაფლავებისა და ნაღარის ხმით ამაყად მიაცილებენ მას უფსკრულისაკენ და თან ჯიუტად უმეორებენ – ეს უფსკრული ჩვენი სანუკვარი მიზანიაო!

თავისუფალი სამყარო ჩვენს დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მსოფლიოს არც ერთი ქვეყნა ჩვენს დახმარებას არ აპი-

რებს ჩვენივე მიზეზით და საქართველოს გაყიდვის დამასრულებელი აკორდი “თანამეგობრობად” მონათლული ახალი სლავურ-შუსულმანური სახელმწიფო იქნება, რომელიც შეიწოვს და შეისრუტავს “მრგვალების” მიერ გაყიდულ ჩვენს სამშობლოს და სიტუაციის მთელი ტრაგიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ “ზვიადიზმით” დაღლილი, დაქანცული, და გატანჯული ხალხი ამას ხსნად ჩათვლის. იყიდება საქართველო!“ [იქვე] – გაჰკივიან საქართველოს ეროვნული კონგრესისა და სახელმწიფო პუტჩის ეს იდეოლოგები 1991 წლის 21 დეკემბერს, ხოლო როცა საქართველოს პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, უკვე 22 დეკემბერს იწყებენ მის წინააღმდეგ სამხედრო აბბონებას, თან აღნიშნულ საახალწლო მიმართვას, ცინიკურად ილიას ცნობილი, – “რა გითხრა, რით გაგახაროთ?” – ამთავრებენ. თუმცა ჩვენ ამ ძალთა ფიზიონომიის წარმოსახენად სხვა მასალებსაც მოვიხმობთ, მაგრამ ამჯერად იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მოვლენებთან პქონდა საქმე ახალფეხადგმულ ქართულ სახელმწიფოს და სინამდვილეში ვინ ჰყიდიდა საქართველოს, ეს მიმართვაც საკმარისა.

მიმდინარე პროცესების და მომენტის უდიდესი გავლენითაა აღბეჭდილი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიმართვა, – “თანამემაბულენო!”, რომელიც გაზითის იმავე ნომერში გამოქვეყნდა და დაწერილია 1991 წლის 31 დეკემბერს, [იქვე] თუმცა ამავე საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე შემდგომში დიდი ობიექტურისთვის მიუთითებს საქართველოსათვის სამხედრო გადატრიალების დამანგრეველ შედეგებზე.

ქართველი ხალხისადმი ცრუ ბრალდებებითაა სავსე გაზეთ “ქართული ქრონიკის” 1992 წლის 5 თებერვლის ნომერიც, რომელშიც სხვასთან ერთად ვკითხულობთ: “წელიწადნახევარზე მეტი (აპრილი, 1990 – იანვარი, 1992) თითქმის უქმად დაიკარგა. ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა იძულებული იყო ებრძოლა არა უშეალოდ იმპერიასთან, არამედ იმპერიის იმ იარაღის გასაუვნებელყოფად, რომლითაც იგი ქართველმა ხალხმა აღჭურვა”, [126] – აი, ასეთ ოპუსს გვთავაზობს პუტჩისტთა ქვევრი, – და დანარჩენი მკვითხველის ფანტაზიამ გადახარშოს, რა იარაღსა და მის გაუვნებელყოფაზეა საუბარი, ან ვინ და რატომ აღჭურვა ქარ-

თველმა ხალხმა ამ იარაღით?! მაგრამ უფრო ნიშანდობლივია უცხოეთის პრესის დარაზმულობა პუტჩისტთა თვალსაზრისის გახმოვანებაში. ჯანრი კაშიას მიერ მომზადებულ ფრანგული პრესის მიმოხილვაში ვკითხულობთ: “უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა გაზეთმა აღნიშნა... გამსახურდია გაიქცა და გაიტაცა მნიშვნელოვანი თანხა სახელმწიფო სალაროდან, ხოლო შეძლება მალულად დაბრუნდა ზუგდიდში, გამოაცხადა არარსებული მეგრულ-აფხაზური რესპუბლიკა და მოუწოდა სამმო ომისკენ...” [იქვე] რა შეიძლება, კერძოდ ამაზე და მსგავსი სისულეელების შესახებ ითქვას, რომელთაც გაზეთებში – “ფიგარო”, “ლემონდი”, “ლიბერასიონი” სხვა, აქვეყნებდნენ ლორ მანდევილი, ბრიუზი ბრეიაკი, უაკ ამალრიკი, უორე ალენ ფრალონი და სხვები და რომელთა ცილისმწამებლური შინაარსის გამო შეურაცხყოფილი ქართველი ხალხისა და მისი პირველი პრეზიდენტისათვის, დღევანდლამდე ბოდიშიც კი არავის მოუწდია.

მეტად საინტერესოა, თუ როგორ შეხვდნენ თბილისში მომხდარ სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას აჭარაში მოქმედ საკოორდინაციო საბჭოში გაერთიანებული მალები და რა პოზიცია გამოავლინეს მათ მის მიმართ. მათი დამოკიდებულება აღნიშნული მოვლენისადმი 1992 წლის გაზეთ “მაჭახელას” პირველ ნომერში აისახა უპასუხისმგებლო სათაურშივე – “ნუ განიკითხავ...” [127] ამასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯაუფის განცხადებაში, რომელშიც აღნიშნულია: “რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა... მოითხოვს უზნაესი საბჭოს სესიის მიერ ვითარების დროულად შეფასებას, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების განსაზღვრას...” მოითხოვს უახლოეს პერიოდში უზენაესი საბჭოს სესიის დანიშვნას და მისი დღის წესრიგში – “საქართველოში მომხდარი მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას, საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ” – საკითხის შეტანას. [იქვე] მაგრამ ამ მოვლენათა შეფასება სესიის მიერ, მათი აზრით, აუცილებლად დადებითი უნდა ყოფილიყო.

გაზეთის ამავე ნომერში მოცემულია მიმართვა “საქართველოს სახალხო ფრონტისაგან”, რომელშიც იგი ცდილობს მოიხსნას პასუხისმგებლობა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და

თან აქვე გაპეტებულია ცილისმწამებლური განცხადება, რომ თითქოს “ზელისუფლებას ქირით მოწვეული ჰყავს არაქართველი მეომრები, მათ შორის სნაიპერები, რომლებიც თბილისის შენობათა სახურავებზე სხვდან და მოქალაქეებს ესვრიან. ამ შეიარაღებულ უცხოელთა წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს სახალხო ფრონტს თავის წმინდათაწმინდა ამოცანად მიაჩნია” – აცხადებს ნ. ნათაძე 1991 წლის 30 დეკემბერს. [იქვე] თავისი ლოგიკით ამ განცხადებას ეხმიანება ო. ზოიძის მოსაზრებანი გ, ხანძღრავასა და გ. ჭანტურიას ქმედებათა გასამართლებლად, რომელთაგან პირველმა ტელევიზიის პიკეტირება მოაწყო, მეორემ კი რუსთაველის პროსპექტი გადაკეტა. “ზელისუფლების სათავეში მოსვლამდე ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით არაერთხელ გადაუკეტავთ ქუჩა, მოუწყვიათ არათუ ტელევიზიის, არამედ სუკის პიკეტიც კი” [იქვე] – აღნიშნავს ავტორი. მას, როგორც იურისტს, კარგად უნდა ესმოდეს, რომ გამსახურდიასა და მის თანამებრძოლებს მოქმედება სულ სხვა დროსა და სივრცეში უწევდათ და ისინი ამით საბჭოთა იმპერიას ებრძოდნენ, ხოლო საკუთარი ქვეყნის კანონიერი ზელისუფლების წინააღმდეგ იგივე მეთოდებით ბრძოლის ასეთი დემაგოგით გამართლებას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია.

ამავე რიგისაა აქვე მოცემული საქართველოს პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს განცხადება, რომელიც 1992 წლის 3 იანვრითაა დათარიღებული. [იქვე]

უფრო სრულად რომ წარმოვიდგინოთ აღნიშნული საკოორდინაციო საბჭოს პოლიტიკური ფიზიონომია, საჭიროდ მივიწნიეთ საქართველოში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს მათ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების შედარებით სრული სახით წარმოჩენა. მაგალითად:

“თანამემამულენო!

1991 წლის 1 მარტს აჭარაში მოქმედმა ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა შექმნეს საკოორდინაციო საბჭო”, – სიამაყით აცხადებენ ისინი და შემდეგ, თითქოს ეშინიათ სხვებმაც არ მოინდომონ ამ ისტორიული მიმართვის თანამონაწილედ თავის წარმოჩენა, ჩამოთვლიან მასში შემაგალ ორგანიზაციებს, – “რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანი-

ზაცია, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ბათუმის ორგანიზაცია, “ბათუმის ჯგუფი”, საქართველოს ელპ-ის ბათუმის ორგანიზაცია, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის აჭარის სადროშო, საქართველოს სახალხო ფრონტის ხელვაჩაურის რეგიონალური ორგანიზაცია, ბათუმის სახალხო ფრონტი... აჭარაში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების საკონდინაციო საბჭო მიესალმება დროებითი მთავრობის მისწრაფებას სიტუაციის ნორმალიზაციისა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას... საკონდინაციო საბჭო სათანამშრომლოდ იწვევს აჭარაში მოქმედ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც იზიარებს ამ განცხადების სულისკვეთებას.

საკონდინაციო საბჭო. 17.01.92 – ქ. ბათუმი”. [128] ეს იყო ფაქტიურად მისალმება პუტჩისადმი საქართველოში. ხოლო თუ რა სულისკვეთებაზე არის ლაპარაკი ეს ნათლადაა გადმოცემული წერილში – “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს აჭარაში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საკონდინაციო საბჭოს მიმართვა”. მასში ნათებამია:

“1992 წლის 6 იანვარს დაემხო გამსახურდიას ავტორიტარული რეჟიმი. ძალაუფლება ხელში აიღო ახალმა ხელისუფლებამ, რომლის რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისაკენ აღებულმა კურსმა მხარდაჭერა პპოვა საზღვარგარეთის პროგრესულ ქვეყნებში. საქართველოში ჯერ კიდევ არ სუფეს სრული სამოქალაქო სიმშვიდე. გამსახურდიას რეჟიმის მომხრეებმა თავიანთი ძალების კონცენტრაცია მოახდინეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, რაც კუთხური საომარი დაპირისპირების, სამოქალაქო ომის საშიშროებას ქმნის. აჭარა თავისი სტატუსით საქართველოში პოლიტიკურად ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონია და მისი უზენაესი საბჭოს მიერ გამოხატული სწორი პოზიცია უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტყნდა მთელ საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის აღდგენაში... მოგიწოდებთ დაძლიოთ შინაგანი წინააღმდეგობანი. მოვიწვიოთ უახლოეს დღეებში უზენაესი საბჭოს სესია და მივიღოთ დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილებანი და კანონები” [იქვე] – რაშიც ისინი საქართველოში

მომხდარი პუტჩის შეარდაჭერასა და მისი ქმედებების მოწონებას გულისხმობდნენ. ეს იყო მათ მიერ ჩადენილი ეროვნული საქმის ღალატში რეგიონის ჩათრევის მორიგი ცდა. და თუ რა დონის ტყეულით ცდილობდნენ ისინი ამ ღალატის გამართლებას, ამას გვიდასტურებს იქვე მოცემული ამ ორგანიზაციის განცხადება, რომელსაც აქ სრულად მოვიყვანთ, რათა თავად განსაჯოთ რასთან გვაქვს საქმე.

“საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია იმყოფება ქ. ზუგდიდში (განცხადება დათარიღებულია 1992 წლის 17 იანვრით, როდესაც ზ. გამსახურდია უკვე გროზნოშია და საიდანაც საქართველოში მხოლოდ 1993 წლის 24 სექტემბერს ჩამოვიდა – უ.ო.) და მშვიდობიან მოსახლეობას მოუწოდებს სამოქალაქო ომისაკენ. ეს კი ქართველებს თვითგენოციდს უქადის. სამწუხაროდ, ყოფილი პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკური შეარდამჭერების დანაშაულებრივ მოქმედებას აჰყვნენ პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებული მოქალაქეები, რაც ისტორიული ბოროტმოქმედების ტოლფასია. მართალია, ეს გზა საბოლოოდ დაასრულებს მისი იდეურ-პოლიტიკური გაკოორების პროცესს, მაგრამ იმავე დროს მას შეუძლია შეიწიროს ათასობით ადამიანის სიცოცხლე. გარდა ამისა, პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ყოფნა სამეგრელოს რეგიონში ქმნის საქართველოში კუთხეთა დაპირისპირების საშიშროებას, რაც კატასტროფით ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ქართველი ხალხის, როგორც ერთიანი ერის არსებობას.

მოქალაქენო: ნუ აჰყვებით ზ. გამსახურდიას მიერ წამოწყებულ საქართველოსთვის დამტუპველ, უდღეურ ავანტიურას! ხელი შეუწყვეთ რესპუბლიკაში სიტუაციის სტაბილიზაციას და აქტიური მონაწილეობა მიიღეთ დემოკრატიის დაფუძნებაში.” [იქვე] აღნიშული განცხადება ბინბური ცილისწამების გარდა შეიცავს შეფარულ მოწოდებასაც, რომ აჭარის მოსახლეობაც დაემორჩილოს ხუნტის ძალმომრეობას; და თუ რა დემოკრატია დააფუძნეს მათ საქართველოში დღეს ეს ყველასათვის ცნობილია და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მაგრამ აღვნიშნავ, რომ 1992 წლის თებერვალ-მარტში აჭარაში პუტჩისტური იდეოლოგიის განსამტკიცებლად დიდ მუშაობას ეწეოდნენ თ. დიასამიძე, ო. ზოიძე, კ. ხაბაზი, მ.

მახარაძე და სხვები. პირველი სამი თუ აქტიურობდა ადგილზე, ქ. ბათუმსა და აჭარის რაიონებში შეხვედრების ჩატარებით მიეღწიათ მიზნისთვის, [129] პროფესორი მიხეილ მახარაძე თავისი სტატიებით, – “პრეზიდენტი და აჭარა”, [130, გვ. 3] “კუპუმალობანას თამაშის დრო აღარაა” [129, გვ. 4-6] და სხვა, ცდილობს აჭარაში პუტჩისტური განწყობილებებისათვის მირის გამარებას, ხოლო გახტანგ აბულაძის სტატიაში, – “საით ბატონო ამღორმინებელო?!” [129, გვ. 3-6] – ლიტერატორი სჭარბობს პატრიოტს. ამასთან ისინი, ისევ დაშინებით ცდილობენ პუტჩისტური ხელი-სუფლების აჭარაში დამკვიდრებისათვის იდეოლოგიური ფონის შექმნას და მარტში, როცა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში დაღვრილია 100 ათასიან მანიფესტაცია-მიტინგებში მონაწილეობა სისხლი, ბანდფორმირებების თარეშის შედეგად დირსებააყრილი და დათრგუნულია თითქმის მთელი საქართველო, ისინი ისევ დემაგოგობენ და ხალხს თვალში ნაცარს აყრიან, აცხადებენ რა, რომ “როცა საქართველოში მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით, მიმდინარეობს სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენები, ბუნებრივია ამ პროცესის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს, მთავრობის წილ მხარდაჭერა სჭირდება, მაგრამ აჭარაში სიმშვიდეა, სხვა რაღა გინდათო, – ამ არგუმენტს იშველიერს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, როცა საკითხი საქართველოს დროებითი მთავრობისადმი პოზიციის გარკვევას ეხება”, [იქვე, გვ. 2] – აღნიშნავს გაზეთი და იქვე საუბრობს საკრებულოსთან სახალხო რაზების შექმნასა და ამ ხალხისათვის ავტომატური იარაღის დარიგებაზე. აჭარის უზენაესი საბჭოს მაშინდელი დეპუტატი გ. მასალეინი აღნიშნავს, რომ “ბატონმა ა. აბაშიძემ განგვიცხადა, რომ მან ყველაფერი იცის, რომ ეს ყველაფერი კეთდება მისი უშუალო ხელმძღვანელობით, რომ მას სჭირდება ამ იარაღის დარიგება... არის ხმები, რომ უნდა შემოვიდეს “შედრიონი”, “გვარდია”... მე ძალას დავუპირისპირებ ძალასო (!!) და ამას არც მალავს... რომც შემოვიდეს გვარდია ან მხედრიონი, ეს როგორ უნდა ავტომალოთ, ეს ხომ რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრეზიდენტივაა. განა აჭარა საქართველოს ნაწილი არ არის. ქართულ სამხედრო შენაერთს ვინ და რატომ უნდა შეუშალოს ხელი, ვთქვათ, შევიდეს მისი ქვეყნის რომელიმე ნაწილ-

ში”, [იქვე, გვ. 5] – ამბობს დეპუტატი. მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ამ შემთხვევაში აფიქსირებს მთელი საკოორდინაციო საბჭოს პოზიციას, რომლის შესახებ პირადად არაერთგზის მომისმენია და მათთან ამაზე კიდეც მისაუბრია. საკოორდინაციო საბჭოს ასეთი განწყობილების საპირისპიროდ აჭარის ა.რ-ის მაშინდელი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ილია წულუკიძე იძულებული გახდა პირდაპირ განცხადებინა: “ლაპარაკია კანონიერების დაცვაზე და კანონის პატივისცემაზე... დღეს არც ერთი კანონი არ მოქმედებს... ყველა უფროებთ და ხედავთ რას სჩადიან ისინი. მე, როგორც უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე წინააღმდეგი ვარ არა კიტოვანის, არა იოსელიანის, არამედ მათი ხალხის შემოსვლის, იმიტომ რომ აქ რას გააკეთებენ და რას ჩაიდენენ არ ვიცით. მე მორალური უფლება არ მაქვს, სანამ ყაჩაღს არ წავართმევ იარაღს, პატიოსან კაცს წავართვა. მე ვმუშაობ პრინციპით, როცა მე მექნება საშუალება, რომ ყაჩაღებს წავართვა იარაღი, მერე ამ სიით მიცემულ იარაღსაც ჩამოვართმევა...” მანვე იქვე განმარტა, რომ თუ გარედან არ ჩაერეოდნენ, აჭარაში სიმშვიდე შენარჩუნდებოდა და აქ საშიშროება არავის მოელოდა. [იქვე] რაც ასე კარგად ესმოდა ბატონ ილია წულუკიძეს, რატომ დარჩა გაუგებარი და მიუწვდომელი დემოკრატიის სახელით მოლაპარაკე საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენელთათვის და რატომ ცდილობდნენ ისინი საქართველოში მოპარპაშე შეიარაღებული ბანდების წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის განიარაღებას?! საქმე იმშია, რომ თუ შევარდნამე კრიმინალური გადატრიალების ორგანიზებისათვის ძალაუფლება საქართველოზე მოიპოვა, მის აჭარიდან გამოსულ მომხრეთა ნაწილს, აჭარაში სურდა იგივე ჯილდოს მიღება. ამასთან თუ ყველაფერს ღრმად გავანალიზებთ, უცხოთის საინფორმაციო საშუალებებით დაწყებული საქართველოში პუტინისტური ძალების მომხრეთა პოზიციით დამთავრებული, აშენარად ჩანს, რომ ყველა თითქმის ერთ ენაზე საუბრობს, რაც გვაფიქრებინებს მათი ერთი პულტიდან მართული სისტემის არსებობის შესახებ. ასეთი ბერკეტები კი მხოლოდ უძლიერეს სახელმწიფოთა უშიშროების სამსახურებს გააჩნიათ... ამიტომაც მათ პოზიციათა არაერთგზის განმეორება [122; 131; 132] და ერთი მიზნისკენ ასე ორგანიზებული სწრაფვა, შეიძლება ამით აიხსნას. მითუმეტეს,

ცნობილია, რომ ზოგიერთი დღემდე ცდილობს საქართველოში მოშხდარი ამ კრიმინალური გადატრიალების როგორმე გამართლებას და თუ ადრე მას სახალხო, დემოკრატიულ აჯანყებად ასაღებდა, ახლა სხვა ილუზორული არგუმენტებით ცდილობს მისი აუცილებლობის დასაბუთებას. და ეს მაშინ, როდესაც მისი ერთ-ერთი ავტორი თ. კიტოვანი პირდაპირ აღიარებს: “ახლა ზოგიერთები ამბობენ, რომ ეს იყო სახალხო აჯანყება მიმართული დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ეს არ არის სიმართლე – მე უკვე ვთქვი და კვლავაც ვადასტურებ: 1991-1992 წლების დეკემბერიანვარში განხორციელდა სამხედრო გადატრიალება, რომელიც მიზნად ისახავდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდის მმართველობის დამხობას... იგი სუფთად ქართულ პოლიტიკას ადგა, და ეს იყო მაღალი, ძლიერი ეროვნული პოლიტიკა...” [133] ხოლო თუ რა მოვლენასთან გვქონდა საქმე 1991-1992 წლის დეკემბერიანვარის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა და მისგან გამომდინარე პროცესების დროს, ამის ზუსტ შეფასებას გვაძლევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გორგი მრევლიშვილი, როდესაც ამბობს: “...მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებას ხმა-კრინტიც არ დაუძრავს პროცესტის ნიშნად ამ ვანდალური და ბარბაროსული აქციების გამო.

ქართველი ერისათვის ამ ტრაგიკულ პერიოდში ცხადად გამჟღავნდა, თუ რა საბედისწერო შედეგებამდე შეუძლია მიიყვანოს სახოგადოება ორი ბოროტი ძალის გაერთიანებამ: ბოლშევიკ-კომუნისტური იდეოლოგის მატარებელი, რევოლუციულ ნომენკალტურლ კასტასა და საბჭოთა იმპერიის სპეცსამსახურების აღიანვება.” [134, გვ. 3]

თუ რა ძღვომარეობა შეიქმნა საქართველოში უშუალოდ სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგ, ამის შესახებ მეტად ტევადი და ობიექტური ინფორმაციებია 1992 წლის იანვართებრვლის გაზეთ “ქართული აზრის” ნომრებში, [135; 136; 137; 138; 139] აგრეთვე პარიზში გამოცემული უურნალ “გუშაგის” 1992 წლის გამოცემებსა [151; 152] თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებში. საქართველოში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას ერთ-ერთმა პირველმა მისცა შეფასება თბილისის ქალაქისა და რაიონების საკრებულოების დეპუტატთა ჯგუფმა და საქართველოს

ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციამ. დეპუტატთა აღნიშნული ჯგუფის მიმართვაში ნათქვამია: "...1991 წლის დეკემბრის და 1992 წლის იანვრის თვეში შეიარაღებულმა ხუნტამ ძალადური აქტით ჩამოაცილა ხელისუფლება ქვეყნის მმართველობას და მითვისა ხელისუფლება... საქართველოში საყოველთაო შშვიდობისა და კანონიერების აღდგენისათვის ქ. თბილისის რაიონის საკრებულოს დეპუტატთა ჯგუფი მოითხოვს:

1. აღდგენილ იქნას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

2. გაუქმებულ იქნას 1992 წლის 2 იანვარს შექმნილი სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა, როგორც უკანონო.

3. მთელი ძალაუფლება დაუბრუნდეს კანონიერ ხელისუფლებას..." [137]

ხოლო საქართველოს ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციის მიმართვაში გაეროსა და შსოფლის დემოკრატიულ სახელმწიფოთა მთავრობებისადმი აღნიშნულია: "საქართველოში 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში განვითარდა ცივილიზებული შსოფლიოსათვის აღმაშფოთებელი მოვლენები.

საბჭოთა იმპერიასთან ალიანსში მყოფმა საქართველოს რეაქციულმა ძალებმა მოაწყო პუტჩი. ჯერ კიდევ 1991 წლის ოქტომბრის თვეში ანტიდემოკრატიულმა რეაქციულმა ძალებმა სცადეს კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სესიამ მისცა პოლიტიკური შეფასება – პუტჩის მცდელობა... შეიარაღებულმა ხუნტამ ძალადური აქტით ჩამოაცილა ქვეყნის მმართველობას მოსახლეობის მიერ კანონიერად, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება.

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წევრებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს დედაქალაქი თბილისი შემდგომი სისხლისღვის თავიდან ასაცილებლად. დაიღვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, ხელისუფლების სათავეში მოსულმა ხუნტამ კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა აშკარა ანტიდემოკრატიული, ანტიდადამიანური დანაშაული...

სამხედრო ხუნტა სისტემატურად არბევს მშვიდობიან, უიარაღო მომიტინგებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ქ.

თბილისში – მეტრო დიდუბესთან (3 იანვარს), მეტრო დელისთან (ქრისტეშობას – 7 იანვარს), ქ. ქუთაისში. ქ. სამტრედიაში, ქ. სენაკში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში.

მოკლული და დაჭრილია ათობით მშვიდობიანი, უიარაღო მომიტინგე და მანიფესტანტი... ამჟამად საქართველოში არიან პოლიტატიმერები... პრესა და ტელევიზია აწარმოებს ფაქტების გაყალბებასა და მოსახლეობის დეზინფორმირებას, ადგილი აქვს უდანაშაულობის პრეზუმუციის დარღვევის ფაქტებს... უხეშად ირდევება საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

თბილისში მოხდა ხელისუფლებისა და პრეზიდენტის განდევნა და ხელისუფლების უზურპაცია სამხედრო ხუნტის მიერ. პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ფიზიკურ განადგურებას, ანტი-სალხური, ანტიდემოკრატიული, დანაშაულებრივი პოლიტიკაა. საქართველოში გრძელდება იმპერიული ძალების მიერ ორგანიზებული პუტჩი, კომუნისტური კონტრრევოლუცია.

საქართველოს ჰელისინკის კავშირი გმობს კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგებისა და მანიფესტაციების წინასწარდაგეგმილ სისხლის დარბევებს. მკრეხელობად თვლის ხელისუფლების უზურპატორთა მიერ ამომრჩეველთა ფიქიურად დაავადებულად გამოცხადებას.

ეს არის ომი კანონიერების დამცველი უიარაღო ხალხის წინააღმდეგ, ულტრაფაშიზმი დემოკრატიის ნიღბით, ქართველი ერის გენოციდი იმპერიულ ძალებთან აღიანსში...

საქართველოს ჰელისინკის კავშირის თბილისის ორგანიზაცია. 1992 წლის 10 იანვარი.” [137]

საქართველოს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ მიმართვა გაუზავნა მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელშიც ნათქვამია:

მე, ზვიად გამსახურდია, ხალხის მიერ არჩეული კანონიერი პრეზიდენტი, მოგმართავთ ყველას, ვისოცისაც ძვირფასია იდეალები დემოკრატიისა, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისა, ვიც არ არის გულგრილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მთელი ერის მიმართ.

საქართველოში 1992 წლის იანვარში პოლიტიკური ავანტი-ურისტებისა და ადგილობრივი მაფიის მიერ შექმნილმა სამხედრო ხუნტამ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება ქალაქ თბილისში. ძალადობის გზით მათ შეძლეს ძალაუფლების უზურპირება და დაიწყეს ომი კონსტიტუციურად არჩეული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაიღუპა ასობით ადამიანი, ნაწილობრივ დაწიგვა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. მთავარ პროსპექტზე განადგურდა ისტორიული ძეგლები. რაკი არ მსურდა სისხლისღვრის გაგრძელება, მე, საქართველოს პრეზიდენტმა, ოჯახთან ერთად, რომელსაც აგრეთვე ემუქრებოდა ანგარიშტორება, დავტოვე თბილისი. ხუნტამ დაწიგვა პარლამენტის შენობა, დაარბია და გაძარცვა ჩემი სახლი, რომელიც ამავე დროს იყო მამაჩემის, ცნობილი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი. ხუნტამ შექმნა თვითმარქვია “მთავრობა”, რომელიც დემოკრატიის ლოზუნგით გაუგონარ დანაშაულობებს სჩადის, უკანონობისა და თვითნებობის წინააღმდეგ აღმდგარი ხალხის მიმართ.

ისინი სისტემატიურად ხვრეტენ მშვიდობიან მიტინგებსა და დემონსტრაციებს, აპატიმრებენ უდანაშაულო ხალხს, მათ შორის პარლამენტის წევრებს. მათი შეიარაღებული ბანდები ძარცვავნ და ატერორებენ მოსახლეობას. ხალხმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ხუნტას. იფიცება საწარმოები, რეინიგზა, საზღვაო პორტები. ენერგეტიკისა და სასურსათო კრიზისმა ზღვარს მიაღწია საქართველოში.

მე მივმართავ გაეროს, მსოფლიო ხალხებს და მთავრობებს ამშილონ ხუნტის მიერ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები საქართველოში, მოითხოვონ კონსტიტუციურად არჩეული ხელისუფლების აღდგენა, აგრეთვე ყველა საშუალებით დაქმარონ ქართველ ხალხს თავი დააღწიოს იმ მძიმე განსაცდელს, რაც მას თავს დაატყედა სამხედრო ხუნტის ავანტიურისტული მოქმედების წყალობით.

ზეიად გამსახურდია. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1992 წელი, 27 იანვარი.” [138]

საქართველოს პრეზიდენტმა უმოკლეს დროში გამოაქვეყნა მიმართვები ქართველი ერისადმი, [139] ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინისადმი, [140] მიმართვა საქართველოს

მოსახლეობისადმი, [141] წერილი გაუგზავნა აშშ სახელმწიფო მდიგანს ჯეიმს ბეიკერს, [142] და სხვა რომელშიც მოახდინა საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების სამხედრო-კრიმინალური სასიათის სრული გაშიშვლება და მხილება. ამასთან აშშ სახელმწიფო მდიგანი გააფრთხილა, რომ “ხუნტასთან და მის ორგანიზატორებთან ურთიერთობით აშშ უგულებელყოფს ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ საქართველოს ხელისუფლებას და შედის საეჭვო აღიანსში დამნაშავეებსა და მაფიასთან.

ამგვარი მოქმედება ხელს უწყობს საქართველოში ტოტალიტარიზმისა და სახელმწიფო ტერორიზმის განვითარებას, რასაც ყოველთვის გძობდა ამერიკის ოფიციალური პოლიტიკა...” [იქვე]

მაგრამ, ჩვენი აზრით, საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ყველაზე მართებული შეფასება გააკეთა პარიზში გამომავალი ჟურნალ გუშაგის რედაქტორმა გიორგი წერეთელმა, რომელმაც ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ამ მოვლენებს დაარქვა ზუსტად ის, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდა – “ის, რაც გასულ დეკემბერს თბილისში მოხდა, იყო არა სამოქალაქო ომი, როგორც ამას ყველაპარაკობს, არამედ შენიდბული იმპერიალისტური ომი დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა-ანექსიის მიზნით”, [143, გვ. 1-4] – აღნიშნავს ბატონი გიორგი და ბოლოს იქვე აკეთებს შეუმცდარ დასკვნასაც:

“მართალია, რომ ამ ომში ქართველები ხოცავდნენ ერთმანეთს, მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსულად გვეჩვინოს, ის არ ყოფილა მათი შინაური, სამოქალაქო ომი; ისინი, როგორც მთელი მსოფლიო, შეცდომაში შეიყვანა რუსულმა ცრუ, მაკიაველურმა პროპაგანდამ. ომის ნამდვილი გამომწვევი, გამჩაღებელი და სარგებლობის მომლოდინე იყო რუსული იმპერიალიზმი, რომელსაც თავი კრემლში ჰქონდა. მოვლენების ხასიათი და მასშტაბი, მათი ობიექტური ანალიზი უეჭველად მეტყველებს ამ განცხადების სასარგებლოდ:

1. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეეძლო მსოფლიო მასშტაბით განეხორციელებინა ფარული შეთქმულება საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. მხოლოდ მის საპროპაგანდო საშუალებებს შესწევდა ძალა, რომ მსოფლიო საზოგა-

დოება განეწყო მის წინააღმდეგ ისე, რომ მის დასაცავად კაცი არ აღმოჩნდა ჩვენს პლანეტაზე.

2. მხოლოდ კრემლს შეეძლო, რომ სატელეფონო და საფოსტო ურთიერთობა შეეწყვიტა საქართველოსა და მსოფლიოს შორის.

3. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეეძლო, რომ საქართველოსთვის არა მარტო საარსებო საკვები პროდუქტები, არამედ საწვავი ენერგიაც აღეპვეთა ხანგრძლივად და ამით ქვეყნის სრული ეკონომიკური ასფიქსია გამოიწვია.

და ბოლოს, 4. მხოლოდ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით შეეძლო წითელი არმიის სამხედრო შტაბს, რომ საომარი იარაღი დაერიგებინა აჯანყებულთათვის და მოშსახურე სპეციალისტებით მოემარავებინა აჯანყება. ამ ფაქტის დამალვა აღარ შეიძლებოდა და იძულებული იყვნენ ცალყბად ელიარებინათ.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, ან მთლად ბრმა, ან სიმართლისა და სინამდვილის აღქმის აღერგია უნდა გჭირდეს, რომ რუსული იმპერიალიზმის ხელი ვერ დაინახო საქართველოს ტრაგედიაში.

საქართველოს პირუთვნელი ისტორია, “ქართლის ცხოვრების” გაგრძელება კი იტყვის, რომ ეს ომი იყო ისეთივე შენიდბული იმპერიალისტური ომი, როგორი შენიდბული იმპერიალისტური სახელმწიფოც იყო საბჭოთა კავშირი”, [144, გვ. 7-13] – შენიშნავს ავტორი და სრულიად მართებულადაც. ჩვენ აქვე დავამატებდით, რომ საქართველოში ზეიად გამსახურდის ხელისუფლება დამშო საბჭოთა ნომენკლატურის (შევარდნაძით სათავეში) და მასთან კავშირში მყოფი დანაშაულებრივ-მაფიოზური კლანის აღიანსმა, საქართველოში ჩანარგილ “შეხუთე კოლონასთან” ერთად, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა სისტემის მიერ საქართველოს ცოცხალ სხეულზე გაპარაზიტებულ ქმედუნარიან ორგანიზმს იმდორონდელი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. და თუ ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ ის პიროვნებანი, რომლებიც მათ ემსახურებოდა, ეს დღეს მაინც საესებით ნათელია. ეს ხალხი საქართველოში დღემდე ინარჩუნებს პოლიტიკურ ასპარეზსა და მასზე ზემოქმედების ბერკეტებსაც. აი, ამიტომაც დღემდე ვერ მოხერხდა საქართველოში ლუსტრაციის კანონის გატარება. ამასთან უნდა აღი-

ნიშნოს, რომ ორივე თითქოსდა მსოფლიოს ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკის ინტერესები საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, თუმცა ირიბად, მაგრამ ერთმანეთს დაემთხვა – ერთი იმავე სივრცეში გვიპირებდა ისევ დაბრუნებას, საიდანაც ის იყო თავი დავაღწიეთ, მეორე კი სჯიდა, მისი აზრით, დინების საწინააღმდეგოდ წასულს, რომელიც ნამეტან სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებდა და თანაც თავიც დამოუკიდებლად ეჭირა. ასეთია, სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოს ნამდვილი სახე.

1992 წლის 7 მარტს საქართველოში ჩამოვიდა ე. შევარდნაძე. საქართველოში დაბრუნებამდე 1992 წლის 28 თებერვლიდან 1 მარტამდე, ერთი კვირით ადრე, სანამ თბილისში ჩამოფრინდებოდა, იგი იმყოფებოდა აშშ-ში, კერძოდ ფლორიდაში “სადაც მან მოსკოვის კაბ-გრუ-ს ძალების მიერ მოპოვებული პოლიტიკური “მემკვიდრეობა” ჩაიბარა.” [145, გვ. 5] 1993 წელს სვეტლანა ჩერვონნაიას მიერ გამოცემულ წიგნში, რომელსაც “აფხაზეთი – 1992” ჰქვია, ვკითხულობთ: ცოტა წნით ადრე, სანამ საქართველოში დაბრუნდებოდა, შევარდნაძემ ამერიკაში ვიზიტის დროს “ბრუკ გრუპ ლიმიტედ” კომპანიასთან ერთად ხელი მოაწერა სტრატეგიული კონცეფციის პროტოკოლს საქართველოს აღორძინების შესახებ, რომელიც შეიცავდა ფორთისა და ბათუმის პორტების რეკონსტრუქციას, საპურო ტრანსპორტის გაზრდას ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, ნავთობის რეზერვუარების ქსელის გაფართოებას და ა.შ. [იქვე] ამავე წერილში მოტანილი მასალის ანალიზის საფუძვლზე გაეთქმულია დასკნა, რომ შევარდნაძემ 1991 მაისში უკვე იცოდა, თუ რას გააკეთებდა იგი მომავალ წელს საქართველოში, [იქვე] რაც იმაზე მიანიშნებს, რომ დიდი წნის განმავლობაში ემზადებოდა აქ დასაბრუნებლად.

1992 წლის 7 მარტით თარიღდება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას “მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი”, რომელშიც ნათქვამია: “საქართველოს უმძიმესი განსაკუდელის ჟამს მოგვართავთ ჩვენი ქვეყნის ძირძველი კუთხის მკვიდრებს. როგორც ხედავთ, იმპერიის მიერ ინსპირირებულმა პუტჩმა და სამხედრო გადატრიალებამ დაღუპვის პირას მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. პარტოკრატია და მაფია გაერთიანდა, რათა საბოლოოდ ხაზი გადაუსვან

ჩვენს ყველა მონაპოვარს, რათა აღგავონ ჩვენი ერის სახსენებელი პირისაგან მიწისა.

საქართველოს მოსახლეობამ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ხუნტას და მის მიერ შეკოწიწებულ უკანონო მთავრობას. ამჟამად მათ საქართველოში ჩამოიყვანეს პუტინის მთავარი ინსპირატორი და სულის ჩამდგმელი, რენეგატი შევარდნაძე, რათა საბოლოოდ გაუსწორდნენ ეროვნულ ძალებს და საქართველო სამუდამოდ დატოვონ იმპერიის შემადგენლობაში... მათ სურთ უკანონო ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარება, მოგიწოდებთ ყოველგვარი არჩევნების ბოიკოტისაკენ.

საქართველოს პყავს კანონიერი ხელისუფლება და პრეზიდენტი, რომელთაც ვერავინ გადაუყენებს, ვერავინ გააუქმებს. მხარი დაუჭირეთ თქვენს მიერ არჩეულ ხელისუფლებას.

ვიბრძოლოთ ერთად საქართველოს გადარჩენისათვის! გფარავდეთ ღმერთი ამ წმინდა ბრძოლაში!

“ზოიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, 1992 წლის 7 მარტი.” [146, გვ. 7]

საქართველოში ჩამოსულმა ე. შევარდნაძემ უერნალისტებთან საუბარში ფარისევლურად განაცხადა, რომ არავითარი როლი არ მიუძღვის საქართველოში მომხდარ ამბებში, არ ფიქრობს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად საკუთარი თავის წამოყენებას და სამშობლოში იმიტომ დაბრუნდა, რომ მას ემსახუროს თუ რაიმეში გამოადგება, სამი დღის შემდეგ კი, “სამხედრო საბჭო” (თენგიზ ქატოვიშვილი, თენგიზ სიგურა, ჯაბა იოსელიანი) შეიცვალა “სახელმწიფო საბჭოთა”, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ე. შევარდნაძე. მაგრამ როგორც უერნალი “გუშაგი” მართვულად შენიშნავს, ამ ორგანოს თავისი არალეგიტიმურობის გამო, ქართველის ხალხის სახელით ლაპარაკისა და მოქმედების უფლება არ ჰქონდა. [144, გვ. 12] მიუხედავად ამისა, ე. შევარდნაძემ გააჩაღა აქტიური საქმიანობა თავისი ხელისუფლების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად. ამ მიზნით იგი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს რეგიონებში. 1992 წლის 19 აპრილს ე. შევარდნაძე ჩამოვიდა და იმოგზაურა ზემო აჭარაში, ხოლო 20 აპრილს მოაწყო შეხვედრები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სააქტორ დარბაზში

შეკრებილი საზოგადოებისა და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. [132] ამ ბოლო შეხვედრაზე დადგმული ყველა მიკროფონი, გარდა სამთავრობოსი, გამორთული აღმოჩნდა, რამაც შეხვედრას მონოლოგის სახე მისცა, დაუკარგა ყოველგვარი პოზიტიური აზრი და საზოგადოებაში დიდი გულგატებილობა გამოიწვია, რადგან მან კარგად დაინახა, თუ რას წარმოადგენდა ხელისუფლების უზურპატორთა მიერ ნაქადაგები დემოკრატიული ფასეულობანი, რის შესახებაც გაუგზავნეს წერილი “საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ე. შევარდნაძეს”, რომლის დასკვნით ნაწილში პირდაპირაა ნათქვამი: “ბატონო ედუარდ! თქვენ საქართველოში დაბრუნდით, მაგრამ ეს დაბრუნება, არ იფიქროთ ერთი წამთაც, რომ ნიშნავს საქართველოს დაბრუნებას შავბელ წარსულში. და თუ რაც თქვენი აქ არყოფნის დროს აღორძინდა და სასიცოცხლო ძალა შეიძინა, თქვენს მიერ აბუჩად არის აგდებული, მშობელი ერი არასოდეს გაპატიებთ საკუთარი თავის მასზე მაღლა დაყენებას. თქვენ აღარ გაქვთ უფლება საქართველო კიდევ ერთხელ გამოიყენოთ პირადი მიზნების მიღწევის საშუალებად, და თუ აკეთებთ, უნდა აკეთოთ მხოლოდ საქართველოს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ იქნებით ყველაზე უღირსი ქართველი, რომელიც XX საუკუნის საქართველოში დაიბადა...” [გაზ. “შამთააღმწერელი”, №2, 2005, გვ. 7-8]

ბათუმიდან შევარდნაძის მიერ შექმნილ “სახელმწიფო საბჭოში” თავიდანვე გაწევრიანებული იყო საქართველოს რესპუბლიკური პარტიიდან დავით ბერძნიშვილი, 1992 წლის მაისის ბოლოდან მასში შეიყვანეს თამაზ დიასამიძე. [131] აჭარიდან სახელმწიფო საბჭოს წევრები გახდნენ აგრეთვე აჭარის ა.რ. მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქ. ბათუმში თწნვიზ ასანიძე, აჭარის უზენაესი საბჭოს მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე თემურ ჩოგაძე და ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკის მაშინდელი დირექტორი თამაზ ტუნაძე. [147]

ძირითადად აჭარის რეგიონში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს გარშემო თავმოყრილმა ძალებმა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გააჩადეს აქტიური აგიტაციაპროპაგანდა აჭარაში. პუტნისტური განწყობილებების განმტკიცებისა და მასზე ხუნტის ხელისუფლების გავრცელების მიზნით. ამის

შესახებ გაზეთი “მაჭახელა” იტყობინება: “25 თებერვალს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარდა ბლოკ “აჭარის” წარმომადგენლებისა – თ. დიასამიძე და გ. მასალკინისა მონაწილეობინენ დეპუტატი რ. დოლიძე და აჭარაში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კ. ხაბაზი.

26-27 თებერვალს ხულოსა და შუახევის კულტურის სახლებში შეხვედრები ჩატარა თ. დიასამიძემ.

29 თებერვალს – ქობულეთის კინოთეატრ “რუსთაველში” გამართულ შეხვედრაში მონაწილებდნენ თ. დიასამიძე, ო. ზოიძე, რ. დოლიძე და კ. ხაბაზი.

2, 3, 4, 5, 6 მარტს – დეპუტატებმა ბლოკიდან “აჭარა” თ. დიასამიძემ და ო. ზოიძემ შეხვედრები გამართეს ბათუმში – ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმში, სუბტროპიკული ნაყოფის გადამუშავების კვლევით ინსტიტუტში, რკინიგზის საავადმყოფოში, საზღვაო ნავსადგურში (კ. ხაბაზთან ერთად), სამუსიკო სასწავლებელში.

9 მარტს – ბლოკ “აჭარის” წარმომადგენლები თ. დიასამიძე, ო. ზოიძე, ა. ბერიძე და ნ. ზოიძე ამომრჩევლებს ქვედის პრეზენტურის დარბაზში შეხვდნენ.

შეხვედრებმა ფართო აუდიტორიის დიდი დაინტერესება გამოიწვია”, [129] – აღნიშნავს გაზეთი, – და მამინ, როდესაც თითქმის მთელი საქართველო სამხედრო ხუნტის მიერ ჩადენილმა ძალადობამ წალეკა, დაარბიეს და დახვრიტეს ასეულ ათასიანი მანიფესტაცია-მიზიდები თბილისსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა პუტჩისტურად განწყობილ ჯგუფს მხოლოდ ის აწუხებს, რომ აჭარის “უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აჭარბებს თავის უფლებებს და არ თვლის თავს ანგარიშვალდებულად აჭარის ა.რ-ის უზენაესი საბჭოს წინაშე;” – ამასთან ამ საყოველთაო ძალადობის პირობებში მათ აჭარის ხელისუფლების დანაშაულად მიაჩნიათ, “რომ იქმნება უკნონო შეიარაღებული ფორმირებები, ხდება დიდძალი იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შეძენა, უფრო მეტიც, იარაღის მოსახლეობის ნაწილზე ყოველგვარი კანონისა და ნორმების დარღვევით გაცემა მიუღებლად მიღებნია, – აცხადებს ისინი, – რომ ამას ამართლებენ გარეშე ძალების, მათ შორის ეროვნული გვარდის ნაწილების

ავტონომიურ რესპუბლიკაში შემოსვლის საშიშროებით... შეწუხებულია რა შექმნილი ვითარებით, გრძნობს რა უდიდეს პასუხისმგებლობას ერისა და მოქალაქეების წინაშე, დეპუტატთა ჯგუფი მოითხოვს: შეწყდეს უკანონო ფორმირებების შექმნა და მოსახლეობის შეიარაღება, ერთი კვირის ვადაში ამოღებულ იქნეს იარაღი და გადაეცეს თავდაცვის სამინისტროს..." [იქვე] – ე.ი. ხუნტას.

იმავე გატეტში საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ “აჭარის ა.რ-ის ოფიციალური ხელისუფლება, აღმინისტრაციული ორგანოები ხსნებულ ფაქტს ხსნიან ყბადაღებული “გარე ძალების” თავდასხმისა და მათ შორის საქართველოს ეროვნული გვარდისა და “მხედრიონის” შემოსვლის საშიშროებით” და იქვე აქვეყნებს მის მიერვე მიღებულ მიმართვას: თითქოს „...საქართველოს ყველა რეგიონში ავტორიტარიზმა მარცხი განიცადა. დემოკრატიზაცია მართალია, გარკვეული სიძნელეებით, მაგრამ მეოთხეურად მკვიდრდება საქართველოში...” [იქვე] ამის განმცხადებელს რა უდიდესი პასუხისმგებლობა გააჩნდა ერისა და მოქალაქეების (მოქალაქეთა კავშირის სამომავლოდ ჩამოყალიბებას თუ გულისხმობდნენ, სხვა საკითხია – უ.ო.) წინაშე, რომელსაც ხუნტის შეიარაღებულმა ბანდებმა სულში ჩააფურთხეს და მიწასთან გაასწორეს, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდვია, ძვირფასო მკითხველო. თუმცა იყვნენ ისეთიბიც, რომლებიც ბრძად აცხადებდნენ, რომ “ის, რაც მოხდა თბილისში, მთლიანად აწევს ტვირთად ყოფილ ხელისუფლებას,” – და შემდეგ გვთავაზობენ ისეთი თბუსების ნაზაკეს, რომლისაც, როგორც გაირკვა, თვითონაც არ სჯეროდათ. “მან (გამსახურდიას ხელისუფლებამ – უ.ო.) ყველა პირობა შექმნა იმისათვის,” – აცხადებს კ. ხაბაზი, – “რომ ეს კოშმარი დატრიალებულიყო საქართველოში. მმა – მმას დაუპირისპირა, შვილი – მშობელს, ქუჩა – ქუჩას, უბანი – უბანს, დაამახინვა ადამიანის ცნობიერება, ერი ორად გაიხლიჩა. და მაინც მიმაჩნია, რომ ყველაფერს უნდა შევხვდეთ ღირსეულად... ვეწინააღმდეგები გავრცელებულ აზრს, რომ თითქოს უნდა გვრცგნოდეს იმის, რაც მოხდა; პირიქით, მეამაყება, რომ ქართველმა ერმა შეძლო როგორც კომუნისტური უდლისგან განთავისუფლება, ისე იმ რეჟიმისაგანაც, რომლის დამყარებას ლამობდა წინა ხელისუფლება...” [148] – როგორც ამბობენ, “ნეტარ არიან მორწმუნები”

(მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ 2002 წელს ჩემთან საუბრისას იგივე პიროვნებამ აღიარა – “ჩვენ თუ სინდისი გვაქვს პოლიტიკას არ უნდა გავეკაროთ, რადგან ჩვენი ახალგაზრდული, დაუდუღებლი ამბიციების გამო საქართველო კინაღამ შევიწირეთო“).

მაშინდელი აჭარის სინამდვილეში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1992 წლის 8 მაისის აჭარის ავტონომიური ოსპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, რომელზედაც დეპუტატთა ჯგუფმა მოითხოვა სხდომაზე უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა, მაგრამ დეპუტატთა უმრავლესობის მიერ ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანის უარყოფისა და ა. აბაშიძის მიერ ანგარიშის წარმოდგენაზე უარის თქმის შემდეგ რესპუბლიკური პარტიის წევრმა ო. ზოიძემ და პელასინკის კავშირის ყოფილმა წევრმა ბ. გობაძემ დღის წესრიგში დააყენეს ასლან აბაშიძის გადაყენების მოთხოვნა, რაზეც მხოლოდ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებმა, მშებმა ასანიძეებმა სცადეს შეწინააღმდეგება. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ “სიტუაციის განმუხტვისა და გამოსავლის მოქმედნის მიზნით საარჩევნო ბლოკ „აჭარის“ ხელმძღვნელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი თმაზ დიასამიძე სხდომის მსვლელობის დროს მივიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან და პრეზიდიუმში მათ შორის საუბარი გაიმართა. ბატონმა ასლანმა, – ნათქვამია წერილში, – ეტყობა გაითვალისწინა სიტუაციის მთელი სირთულე და იგი ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე დათანხმდა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ და თამაზ დიასამიძემ დროებით შეთანხმებას მიღწიეს, რის საფუძველზეც სესიის სხდომა 20 მაისამდე შეწყდა.” [149] შეთანხმების თანახმად ასლან აბაშიძე გაითვალისწინებდა ოპოზიციის მოთხოვნებს და გაატარებდა სათანადო ღონისძიებებს. მაგრამ სულ მაღლ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობამ უარი თქვა თავის უფლებამოსილებაზე და იგი გადასცა პრეზიდიუმს – იმავე ასლან აბაშიძით სათავეში. ამ მანევრით ა. აბაშიძემ, როგორც იტყვიან, პოლიტიკურ მეჩეჩზე გარიყა “ოპოზიციონერები” და მოუსპო მათ ამ კანონიერი ორგანოთი ხუნტას სასარგებლოდ დემაგოგიური მანიპულირების საშუალება. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ თმაზ დიასამიძე გრძნობდა რა მდგომარეობის მთელ სირთულეს, რომელიც საქართველოში შეიქმნა,

როგორც ჩანს, ცდილობდა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გა-დაეწყიტა აჭარაში ხელისუფლების გარშემო წარმოჭრილი პრობ-ლები. მაგრამ იგი მოტყეუბული დარჩა და შემდეგ ასლან აბაში-ძეს ადარ გასჭირვებია მათი განუიტრალება. მითუმეტეს, როდესაც ეს ეწ. ოპოზიციონერები მიმართავდნენ სხვაგვარად მოაზროვნეთა და პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა აზრის დატერორების უნიკალურ მეთოდებს, — აქციებში მონაწილე ხალხისა და პიროვ-ნებების გაუგონარ ლანდგა-გინებასა და დამცირებას, მათი აზრე-ბის უსამართლო განქიქება-დაცინგას. [150] ისინი ხალხს ისე ელა-პარაკებოდნენ, როგორც ზეციდან მოვლენილი ერთადერთი ჭეშმა-რიტების მფლობელი მესიები და არაფრად დაგიდევდნენ სიმარ-თლეს.

როცა თვითონ ყველაფერს კადრულობ და ამგვარი უკიდუ-რესი მეთოდებით თავს ესხმი საპირისპირო პოზიციის წარმომად-გენლებს, მიმართავ ფსიქოლოგიური დატერორების ყველანარ მე-თოდს, ნუ გაგიკვიდრება თუ შენც დაგესხმებიან თავს მათ ხელთ არსებული საშუალებით, რადგან პოლიტიკური დებატები და ოპო-ზიციური აზრის წარმოჩენა არ შეიძლება იქცეს ლანდგა-გინებისა და პიროვნების მორალური განადგურების საბაბად, რაც ტერორის ნაირსახეობას წარმოადგენს. ამგვარი დამოკიდებულების ნათელი სურათია წარმოდგენილი გაზეთ “შაჟახელა”-ს 1992 წლის მეთერ-თმეტე ნომერში, სადაც გვერდიგვერდაა დაბეჭდილი სტატიიბი “ვწებათაღლვანი თეატრალურ მოედანზე”, და “კვლავ ტერორი”. რომელთაგან პირველში სიტყვით ცდილობენ პიროვნებათა განად-გურებას, მეორეში იარაღის მუქარით, — ორივეს კი შეიძლება ერ-თი ავტორი ჰყავდეს, რომელიც ცდილობს პირველთა წინააღმდეგ მიმართული ქმედების გამართლებას, მეორეს კი ამტყუნებს. [იქვე, გვ. 1; 2; 3]

თუ რა მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში სამხედრო-ერი-მინალური გადატრიალების შემდეგ ამის შესახებ აი, რა ინფორმა-ციას გვაწვდის უურნალი “გუშაგი”, რომელშიც ნათქვამია: “ჩვენში მიტინგებზე დახვრეტილთა რიცხვი დაახლოებით (ზოგი დამალუ-ლია — ოჯახებს აშინებენ) 50 ადამიანია, დაჭრილია ოთხასზე მე-ტი, დაპატიმრებულია ორი ათასამდე. აპატიმრებენ სასამართლოს

განაჩენის გარეშე – მხოლოდ სამხედრო კომუნდანტის ზელმოწერით.

პუტჩის პირველ დღეებში დაპატიმრებული იყვნენ: დეპუტატები მერაბ კიქნაძე, ირინე ტალიაშვილი, ნემო ბურჟულაძე, ტარიელ გელანტია, ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე... 23 დეკემბერს მოკლეს დეპუტატი აკაკი მარკოზია... დეპუტატები დალი ფიროსმანიშვილი, დავით ტაბიძე, შუქრი აბზიანიძე, გივი თაქთაქიშვილი... ბიძინა დანგაძე დაპატიმრეს...

გაზეთ “საგაბონაია გრუზიას” რედაქტორის, ქ-ნ ია მუხრანელის შვილი – მამუკა ამირეჯიბი მოკლეს პარლამენტის შენობის ეზოში, როდესაც მისი დედა ქ-ნი ია იმყოფებოდა ბუნკერში პრეზიდენტთან და დეპუტატებთან ერთად.

მოკლეს გაზეთ “იბერია-სპექტრის” რედაქტორის ირაკლი გოცირიძის შვილი – გიორგი”... იმიტომ რომ “ბ-ნ ირაკლი გოცირიძეს პუტჩისტებმა მოსთხოვეს ტელევიზით გამოსვლა პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ, რაზედაც მან უარი განაცხადა... დაპატიმრებული იყო გაზეთ “თავისუფალი საქართველოს” რედაქტორი თამარ ებრალიძე...” და სხვა.

“ზუგდიდში გაძარცვულია ყველა ბანკი, მაღაზია, მოსახლეობას წართვეს 300 ავტომობილი, „შენდრიონის წევრები სასტიკად არბევენ მოსახლეობას და არის ძალადობის შემზარავი ფაქტები. მხოლოდ ზუგდიდში მოკლულია ასამდე ადამიანი – არაუგვიანეს 10 აპრილი, 1992 წელი.” [151, გვ. 33-35]

ასეთი ვითარების ფონზე დემოკრატისა და ადამიანის უფლებების დაცინვად გამოიყურებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისა და კანცლერის მოადგილის გენშერის განცხადება, რომ “რაც ახლა ხდება საქართველოში მე და შევარდნაძემ, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მოვილაპარაკეთ შევარდნაძის გერმანიაში ყოფნისას”-ო. [იქვე] ამ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს მომავალს გაზეთ “მაჭახელა”-ში 1992 წლის ივლისში ზემოთ გამომჟღავნებული პოზიცია სასიკეთოს არაფერს მოუტანდა. მთუმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე თავისი მიუკერძოებელი პოზიცია ჩამოყალიბებულია 1992 წლის მაისში პარიზში გამოქვეყნებულ ქართული ეროვნული საბჭოს მიმართვაში საქართველოს პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს სახემ-

წითო საბჭოს თავმჯდომარის ბატონი ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელშიც ნათქვამია:

“ეს მიმართვა უკვე ნათელჰყოფს, თუ როგორ რთულ მდგო-
მარეობაში იმყოფება დღეს საქართველო, ქართველი ხალხი: თქვენ
ბ-ნო ზვიად, ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი, უკვე ფაქტიურად
ხართ გადაეყნებული და ლტოლვილობაში იმყოფებით, თუმცა იუ-
რიდიულად საქართველოს პრეზიდენტი რჩებით, სანამ ქართველი
ხალხი, ისევ არჩევნების გზით, არ შეცვლის მის 1991 წლის 26
მაისის გადაწყვეტილებას, ან თვითონ არ გადადგებით.

თქვენ კი ბ-ნო ედუარდ, სათავეში ჩაუდექით საქართველოს
რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, რომელიც მემკვიდრეა საქარ-
თველოს ე.წ. “სამხედრი საბჭოსი”, რომელიც არაკანონიერად...
გახდა საქართველოს სახელმწიფოს ძალაუფლების ბატონ-პატრო-
ნი... “შეიარაღებული ოპოზიციის” მეშვეობით, და ამ უკანონობის
ლეგიტიმურად გსურთ მოხდეს 1992 წ. ოქტომბერში, საპარლამენ-
ტო არჩევნების გზით.

ამგვარ რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავს ის ფაქ-
ტი, რომ თქვენ გახდით ქართველი ხალხის ორ ბანაკად გაყოფის
სიმბოლო...” აღნიშნულია მიმართვაში და მდგომარეობიდან გამო-
სასვლელად ეროვნული შერიგება და ახალი მრავალპარტიული სა-
ყოველთაო არჩევნების ჩატარება არის მიჩნეული, გაეროს მეთვალ-
ყურეობის ქვეშ.

“...შევიგნოთ არსებული ისტორიული რთული მდგომარეობა
საქართველოში და ეროვნული მორიგების გზით თავი აგრიდოთ
ქართველთა დაყოფას “მტრებად” და “მოყვრებად”, როგორც ეს
იყო საქართველოში ბოლშევკიური რევიმის დროს...”

გავიხსენოთ: ძალა ერთობაშია, და ამის მიღწევა შესაძლებე-
ლი უნდა გახდეს ეროვნული მორიგების გზით” [იქვე, გვ. 52-55]
– აღნიშნულია მიმართვაში.

არჩევნები “სახელმწიფო საბჭომ” დანიშნა 1992 წლის 11
ოქტომბრისთვის, მაგრამ მისი დემოკრატიულად ჩატარების საკით-
ხი თავიდანვე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვა, რადგან გამარ-
ჯვებულ მეომბოხეთა ხელისუფლებამ სხვა დარღვევებთან ერთად
არჩევნებისათვის წამოაყენა ზვიად გამსახურდის მომსრეებისათვის
დისკრიმინაციული ლოზუნგი: “ყველა მინუს ერთი.” აი, ასეთი სა-

ხე მიიღო საბოლოოდ ამ დემოკრატიისათვის თავგადაკლულ მებრძოლთა “დემოკრატიულმა სულისკვეთებაში” (მაგრამ, რას იზამ, როცა ძალას ამგვარად ახნევინებენ აღმართს) და ამგვარად უპასუხეს საქართველოში გაბატონებულმა “დემოკრატიის მამებმა” ქართველ ემიგრანტ მწერალთა და უურნალისტთა საზოგადოების 1992 წლის 25 ივნისის მიმართვაში გამოხატულ მოწოდებას, რომ “გთხოვთ უმორჩილესად, გადადგათ ერთმანეთისაკენ ნაბიჯი...” [152, გვ. 5]

უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წლის მაისში ისევ განახლდა სისხლისღვრა ცხინვალის რეგიონში და საკმაოდ გამწვავდა კითარება აფხაზეთის ხელისუფლებასთან. ხოლო 24 ივნისს თბილისში მოწყობილი სისხლიანი პროვოკაციის დროს, ედუარდ შევარდნაძე, დაგომისში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს და მასთან ერთად ხელი მოაწერა სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ძალის შექმნას, რომელშიც შევიდოდნენ რუსების, ოსებისა და ქართველების ოფიციალური სამხედრო ფორმირებები და რომელსაც კონტროლი უნდა გაეწია ყოფილ სამხრეთ ოსეთის მთელი ტერიტორიისათვის, 15 კილომეტრით დაეშორიშორებია მეომარი შხარები, ცეცხლის შეწყვეტის დადგენილების დარღვევის შემთხვევაში უნდა მოეხდინა ერთობლივი რეაგირება და სხვა... [იქვე, გვ. 19-21] “ყოფილ სამხრეთ ოსეთში დაბანაკებული რუსი მხედრობა თუ წინათ დამალულად მოქმედებდა, ახლა, დაგომისის ხელშექრულების შედეგად მათ მიენიჭათ “სამშვიდობოების” სტატუსი და აშკარად მოქმედებენ არა საქართველოს ინტერესების მიხედვით, არამედ რუსეთისა... დაგომისის ხელშექრულებით ბატონმა შევარდნაძემ ფაქტიურად ცნო რუსეთის სახელმწიფოს უფლებები საქართველოს ამ ნაწილზე, “[იქვე] – აღნიშნულია უურნალ “გუშაგში”. იქვე სათაურის ქვეშ “მეგრული გაკვეთილები შევარდნაძეს” მოთხრობილია შემდეგი: “როგორც ჩანს ბ-ნ შევარდნაძეს ეჩქარებოდა მისი შეიარაღებული ძალების ცხინვალის ფრონტიდან განთავისუფლება და მათი სამეგრელოს ფრონტზე გადასროლა, მაგრამ აქ ბ-ნ ჯაბა იოსელიანის “მხედრიონის” ბოროტმოქმედებამ ხალხი ერთთავად წამოშალა და ააჯანყა არა მარტო მეგრულობა, არამედ ყველა ღირსეული ქართველი აღელდა, ბოროტი მხედრიონელების სამეგრელოდან გამოყვანა და სამაგალითოდ დასვა მოითხოვა”, – ამ-

ბობს კორესპონდენტი და იქვე აღნიშნავს, რომ შევარდნაძემ მის-თვის ჩვეული უქმეხობა გამოიჩინა და მეგრელების მოსახიბლად გაეშურა... “ქ. წალენჯიხის სტადიონზე, სადაც დაეშვა შევარდნაძის ვერტმფრენი, ზვიადისტების ცდა სროლა აეტესათ, სწრაფად იქნა ლიკვიდირებული შევარდნაძის პირადი დაცვის მიერ. სტადიონზე შეკრებილი წალენჯიხელები შევარდნაძეს არ უსმენდნენ და მოითხოვდნენ გაძევებული ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად აღდგენას.

ქ. ზუგდიდის მისადგომებთან სამთავრობო ავტომობილების კორტეჟს გზა გადაუღობა შავებში გამოწყობილმა ქალებმა და ბავშვებმა. მოპირებული აქაც მოითხოვდნენ ყოფილი პრეზიდენტის ხელისუფლების აღდგენას. ზუგდიდში მოგზაურობა ჩაიშალა. ქ. სენაკში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს შევარდნაძეს დაუშინეს ქვები და დამპალი ვაშლები (დამპალი კერცხებიც – უ.ო.).

24 ივლისს თბილისში დაბრუნებული შევარდნაძე გამოვიდა ტელევიზიაში და თქვა: “არც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი არ მივიდოდა ასეთ რევიონში. მე მივედი დასავლეთ საქართველოში, რათა არ დამტვა საქართველოს დაშლა და შემტწყვიტა სამოქალაქო მოი. მე არასოდეს მოოცნებია არარსებული სახელმწიფოს “სახ. საბჭოს” თავმჯდომარეობაზე. მნელია ჩემი გამოყვანა წონასწორობიდან, მაგრამ მე ის კაცი არ ვარ, ვისაც შეიძლება მიაფურთხო” – გადმოგვცემს უურნალი, შემდეგ კი აკეთებს დასკვნას, რომ “როგორც ჩანს, სამეცნიეროს საოცარი “მიღებიდან” ბ-ნმა შევარდნაძემ სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა: ხომ არ შეიძლება, მთელ ხალხს, საქართველოს ყველაზე დასახლებულ მთელ კუთხეს ბრალი დაედგას იმისათვის, რომ ის ერთგულია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მის მიერ რეგულარულად არჩეულის, რომელიც ძალადობით გააძვევს ხელისუფლებიდან.

საქართველოში რომ დემოკრატიის ნასახი ყოფილიყო, ბ-ნ შევარდნაძეს, როგორც მის მენტორს, სამართალი უნდა გაეჩინა და სასამართლოს წესიერების სამეთვალყურეოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მეთვალყურენი მოქწვია. ამის მაგივრად მან დამწვარზე აღუდებული წყალი დაასხა” [იქვე, გვ. 22-23] – შენიშნავს კორესპონდენტი, – და დაიწყო ახალი ესკალაცია ერის მთლიანობაზე და ერთიანობაზე 1992 წლის 14 აგვისტოს, ბრძანე-

ბა გასცა რა ქართული შეიარაღებული ფორმირებების აფხაზეთში შეტრაზე, რის გამოც რუსეთის ანტიქართულ პროპაგანდას არ გა-ჭირვებია არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიოს საზოგადო-ებრივი აზრის ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ, რომლებიც ვითომც “აწარმოებენ პატარა აფხაზი ხალხის გენოციდს”. აფხაზ სეპარატისტებს რუსების გარდა მხარში ამოუდგნენ ჩრდილოკავკა-სიელები, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სახით და ამან თვით თურქეთში ოდესლაც გადახვეწილი მოხაჯირთა ნაშიერებიც აა-ლელვა. ამას კი განსაკუთრებით შეუწყო ხელი საქართველოს ჯა-რების მთავარსარდალ თენგიზ კიტოვანის შემცვლელ 25 წლის პილკოვნიკ გია ყარყარაშვილის ულიტიმატუმმა ვლადისლავ არ-ძინბასადმი, რომელშიც ის უპასუხისმგებლოდ აცხადებდა, რომ თუ 24 საათში არ გადადგებოდა იგი, შეტევაზე გადავიდოდა და გაა-ნადგურებდა მას. და თუ ამ ბრძოლაში ასი ათასი ქართველი დაი-ღუპება, 97 ათასი აფხაზიც, ე.ი. მთელი აფხაზი მოსახლეობაც გაწყდებაო. ასეთ ვითარებაში 3 სექტემბერს მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ბ. ელცინსა და ე. შევარდანის შეხვედრისას დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ვლ. არძინბა დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტაზე და შეიქმნა საზაგო კომისია რუსეთის, საქართველოს და აფხაზეთის წარმომადგენლებისაგან. კომისიის სამხედრო ძალა შედგებოდა იგივე რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის სამ-ხედრო შენაერთებისაგან. ამ ხელშეკრულებით რუსებმა ოფიცია-ლურად მიიღეს უფლება აფხაზეთზე. [იქვე, გვ. 23-25] აი, ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა მზადება საქართველოში 1992 წლის 11 ოქტომბრის ე.წ. “იმედის” არჩევნების ჩასატარებლად. მაგრამ სურათს რომ საბოლოო სახე მიცეცს, თუ რა ძალები მოვიდნენ საქართველოს ხელისუფლებაში კრიმინალური გადატრიალების შე-დეგად, მოვიყვანთ მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბ-ჭოს მიმართვას რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს, პრეზი-დენტ ბ. ელცინისა და მსოფლიო ოანამეგობრობის სახელმწიფო-ბის მთავრობებისა და მეთაურებისადმი საქართველოში ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვა-მია:

“პატივცემულო ბატონებო!

სახალხო დეპუტატთა მოსკოვის საქალაქო საბჭო, გაეცნო, რა საქართველოში მოსახლეობისა და სახალხო დეპუტატების უკანონო დაპატიმრებების, ძალადობის, მკვლელობისა და სხვა ფაქტებს, მოგმართავთ შემდეგით: 1992 წლის იანვარში მომხდარი შეიარაღებული ამბოხების შედეგად, ქართველი ხალხის მიერ საყველთაოდ არჩეული პრეზიდენტის გადაეყენების შემდეგ, საქართველოში გაბატონდა ე. შევარდნაძის, ჯ. იოსელიანის, თ. კიტოვანისა და თ. სიგუას რეჟიმი, რომლის ძალისმიერი აქციების შედეგად ლიკვიდირებულია კონსტიტუციური ხელისუფლების ინსტიტუტი, განდევნილია პარლამენტი, არ მოქმედებს კანონები. ასობით ადამიანი ნაცემი, დაპატიმრებული ან მოკლულია, დამნაშავეთ კი პასუხს არავინ მოჰკითხავთ. ხალხის დაკავება ხდება ყოველგვარი მიზეზებისა და პროცესუალური გაფორმების გარეშე: უკანონო შეიარაღებული ფორმირება “შედრიონი” ეწევა ძარცვას, ბანდიტიზმსა და ძალადობას მოსახლეობის მიმართ; თვითნებურად, – ყოველგვარი სასამართლო განაჩენის გარეშე დახურულია ყველა ოპოზიციური გაზეთი.

ზემოთქმულის გამო, მოსკოვის საბჭო აუცილებლად მიიჩნევს მიმართოს რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს, პრეზიდენტი ბორის ელცინს, მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებსა და მთავრობებს მსარი დაუჭირონ შეძლევ მოთხოვნებს:

- მოეთხოვოს შევარდნაძეს უკანონოდ დაკავებულ დეპუტატთა და სხვათა დაუყოვნებელი გათავისუფლება.

- გამოეცხადოს შევარდნაძის უკანონო რეჟიმს პოლიტიკური ბლოკადა და შეწყვეტილი იქნას მასთან ყოველგვარი კონტაქტი.

- მოეთხოვოს შევარდნაძის უკანონო რეჟიმს გადადგეს და აღდგენილ იქნას საქართველოს კონსტიტუცია, რესპუბლიკის კანონმდებლობა და წარმომადგენლობითი ხელისუფლება უზენაესი საბჭოსა და პრეზიდენტ გამსახურდიას მეთაურობით.

- გაიხსნას საქართველოში ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობა, და სხვა.

მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. გონჩარი.” [იქვე, გვ. 25-26] აღნიშნულ ორგანოს, ვერავინ დასწამებს საქართველოში 1992 წელს მომხდარი მოვლენების შეფასებისას ტენდენციურობას საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სასარგებლოდ, მაგრამ

თვით რუსეთშიც აღმოჩნდნენ ძალები, რომელთაც ობიექტურად შეაფასეს საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და მისი შედეგები. ამ, საკმაოდ დიდი ფაქტობრივი, მასალის მოტანა საჭიროდ დავინახეთ იმისათვის, რომ სხვასთან ერთად სრულად წარმოგვეჩინა გამსახურდიას ოპონენტთა საარჩევნო ლოზუნგის – “ყველა მინუს ერთი” – ასურდულობა; როგორც ჩანს, მათ ის უფრო აშინებდათ, რომ მათ მიერვე დანიშნული არჩევნებიც არ წაეგოთ ზვიად გამსახურდიასთან. აქედან ნათელია საქართველოში მათ პოლიტიკურ წონასთან ერთად, მათივე “დემოკრატიული” იერ-სახეც. თუ რა ძალების საქმეს აკეთებდა, ვისი დაკვეთა შეასრულა ამ ე.წ. “ოპოზიციაში” საქართველოში, ამის შესახებ შეიძლება დაგვაგალიანოს ცნობილი ქართველთმოქულის, ქალბატონი ელენე ბონერის მოსახრებამ, რომელსაც იგი საქართველოში მომხდარ სამხედრო გადატრიალებამდე ერთი წლით ადრე ახმიანებდა: “ზვიად გამსახურდიას არსებობა კავკასიაში ნიშნავს იმას, რომ რუსეთი კარგავს კავკასიას, რომლის მნიშვნელობა რუსეთისათვის ერმილოვს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ესმოდათ.“ [იქვე, გვ. 43]

შეუხდავად საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად შექმნილი ასეთი უმძიმესი, სავალალო ვთარებისა საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას ყოფნიდა თავზედობა გაეკეთებინა ასეთი განცხადებები: “შეოფლიომ ირწმუნა საქართველოში დემოკრატიული აღმშნებლობის კურსი, მისი ხელისუფლების ერთგულება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საცოცხლის, ღირსებისა და პატივის როგორც უზენაში ღირებულებებისადმი... ხელისუფლებამ ქმდითი ღონისძიებები გაატარა ცხინვალის რევინში ეთნოკონფლიქტების მოსაგვარებლად... უმაღლითო ნაბიჯები გადადგა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც დიქტატურული რეჟიმის პირობებში და მისი დამხობის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური, სახელმწიფობრივი ძლიერების წინააღმდეგ მძმე დანაშაული ჩაიდონეს... სამწუხაროდ, პოლიტიკური დიალოგი შეუძლებელი ხდება ადამიანებთან, რომლებმაც საზოგადოებაზე ზემოქმედების ცივილიზებული საშუალებების არსენალი ამოწურეს... ბანდიტებთან, მკვლელებთან, ყაჩადებთან ურთიერთობაში, დათმობისა და მიმტევებლობის დრო ამოიწურა. ახლა მათ უნდა ველაპარაკოთ კანონის ენით”, [153] – ამ განცხადების ავტორია

ყოველგვარი კანონიერებისა და სამართლიანობის იარაღის ძალით ფეხშეუტები გამოხდავი და ხელისუფლებაში დამკვიდრებული ხუნტა. ამავე განწყობილებით ჩატარებული 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში მისი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალებიც. იმავე ძალებმა აქტიური საარჩევნო კამპანია გააჩარიშიც, რომელთაც უმთავრესად თავი მოიყარეს საარჩევნო ბლოკში “11 ოქტომბერი” (თ. დიასამიძე, ო. ზოიძე, ს. კვაჭაძე, ა. ბერიძე და სხვები).

“11 ოქტომბრის არჩევნები – ვკითხულობთ მათ მიმართვაში, – საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. იგი განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების მაგისტრალურ ხაზს. ახლად არჩეული პარლამენტი ჩვენს სახელმწიფოს წაიყვანს ან რეფორმისტულ-აღშენებლობითი გზით, ან საქართველოს გასწირავს დაუსრულებელი ქაოსის, ეკონომიკური კრიზისის, დამნაშავეთა პარპაშის, კორუფციის ლუქმად... რისი მოუცილებელი ნიშანი... არის პერიოდული სახელმწიფო გადატრიალებანი, შიმშილობა და სხვა სოციალური კატასტროფანი... ბლოკ “11 ოქტომბერში” არ არიან ყოფილი კორუმპირებული პარტიული ბიუროკრატები, ახლადგამოჩეკილი კარიერისტები, სანაცვლოდ არიან ახალი თაობის პოლიტიკოსები, რომლებსაც თავი არ შეურცხვენიათ არც კომუნისტური, არც მრგვალმაგიდური მმართველობისას”, – სიამაყით აცხადებენ ისინი და შემდეგ ასე ამთავრებენ – “ხოლო დღეს სახელმწიფო საბჭოში ატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას, უძლვებიან რეფორმის საკითხს საქართველოში.” [154]

საქართველოს ისტორიის თუ რა უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები ამის დასტურია ის, რომ მისი მეშვეობით საქართველოს “სახელმწიფო საბჭოს” თითქმის მოელი შემადგენლობა საქართველოს პარლამენტში გადაბარგდა (პარლამენტად გადაინათლა); ხოლო რა გზით წაიყვანა მან საქართველო, ამას მოწმობს ის დაუსრულებელი ქაოსი, ეკონომიკური კრიზისი, დამნაშავეთა პარპაში, კორუფცია, სახელმწიფო გადატრიალებანი თუ მისი მცდელობანი, შიმშილობა და სხვა სოციალური კატასტროფანი, რომელშიც არჩევნების შემდეგ საქართველო აღმოჩნდა და რომლისთვისაც იგი ამ უპასუხისმგებლო, პუტინისტურად განწყობილმა ძალებმა გასწირეს. აღარაფერს ვამზობ ამ “ახალი თაობის პოლიტიკოსთა” იმ ცოდვაზე, რომ მათ მართლაც

“არ შეურცხვენიათ თავი” საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლით და 1991 წლის 9 აპრილს ეს ღირსშესანიშნავი აქტი მათ აჭარაში არც კი უზეიმიათ, პირიქით, მისი ბოიკოტირება სცადეს, [155] – ხოლო 1992 წლს წინასაარჩევნოდ მათი ზრუნვის საგანს შეადგენდა პუტინსტური ეწ. ეროვნული გვარდიის ფონდში აჭარიდან თანხის გადარიცხვა. [156] რაც შეეხება არჩევნებს, მის შესახებ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ქეთრინ ბენჯესი, რომელიც საქართველოში 1992 წლის 11 ოქტომბერს არჩევნებს აკვირდებოდა, მის მიერ დაფიქსირებულ უამრავ სერიოზულ დარღვევებთან ერთად, შენიშნავს, რომ “ხელისუფლების მხრიდან ძალდატანება და ფაქტობრივი საომარი მდგომარეობა გამორიცხავდა არჩევნების დემოკრატიულობას და ამომრჩეველთა არჩევანის თავისუფლებას. ამ არადემოკრატიულობას განაპირობებდა ისიც, რომ არჩევნები ფაქტობრივად საგანგებო მდგომარეობის პირობებში მიმდინარეობდა... აშკარა იყო ძალადობა იარაღის გამოყენების გზითაც კი, რაც განსაკუთრებით პერიფერიებში იგრძნობოდა.

ამერიკელმა სწავლულმა მთეთითა რომ მსგავსი და და სხვა სახის მრავალრიცხოვანი დარღვევები დაფიქსირებულია ფონელი, ინგლისელი და ჰოლანდიელი დამკვირვებლების მიერ... საბოლოო ჯამში დავრწმუნდი, რომ არჩევნებისას ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი და ყველაფერი გაკეთდა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის რესტავრაციისათვის” [157, გვ. 8] – აღნიშნავს ამერიკელი დამგერივებელი. სწორედ ეს იყო ამ არჩევნების უშუალო შედეგი და შეიძლება ითქვას, მთავარი მიზანიც.

საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების ერთ-ერთი იდეოლოგი და აქტიური მხარდამჭერი ირაკლი ბათიაშვილი, (რომელსაც იმაზეც არ აკანკალებდა ხელი, რომ მის მიერვე შეთითხნილ – “ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა ჩრდილო კავკასიის საბრძოლო რაზმებისა და შენაერთებისადმი!”) – გულისამრევ ცილისწამებაში, უსაზიზლრესი ფორმით ბრალი დაედო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასათვის საქართველოს მცირე იმპერიად გამოცხადებასა და მისი დანაწევრების აუცილებლობის ქადაგებაში; ამასთან, თითქოს მასვე ქართველთათვის მოეწოდებინოს კავკასიის კონფედერაციის ძალებთან ერთად “თეთრ მელად”

წოდებული შევარდნაძის ხუნტასთან საბრძოლველად და თან კონფედერაციებისათვის განეცხადებინოს, რომ “ჩემი მხრივ, მზად ვარ თქვენს რიგებში ჩავდგე უბრალო მებრძოლად, თუ ამის ნებას მომცემთ და უზენაესის ნებაც იქნება,” [158, გვ. 5] – აი, ამისთანა სიბინძურის ავტორიც კი (ისე რესპუბლიკელებს მივულოცავ ამ დიდ შენაძენს, – ამისთანა კაცს მათ გარდა ვერავინ “აითვისებდა”) ეხება რა დეკემბერ-იანვრის შემდგომ პერიოდს, აღიარებს: “დღეს საქართველოში ეროვნული სულის დასამარების პროცესი მიმდინარეობს. იგი, სამწუხაორი, ამჟამინდელი სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესებში შედის, რასაც ხმამაღლა... ვერ გაამჟღავნებენ და... ამაში საკუთარ თავსაც არ გამოუტყდებიან... ოფიციალური პროპაგანდა პირდაპირი თუ ირიბი გზით მიმართულია იქთქენ, რომ მიაძინოს, გააყუჩოს და სრულებითაც გადაგვავიწყოს ნაციონალური იდეა. ამასვე ემსახურება ეროვნული მოძრაობის ლაფში ამოსვრის გაშლილი კამპანია,” [159, გვ. 119-135; 160] – ნათქვა-მია კორესპონდენციაში.

“ირაკლი ბათიაშვილს მთავარ უბედურებად მიაჩნდა კრიმინალურ-მაფიოზური პროსოციალისტურად მოაზროვნე და არაეროვნული ძალების მიერ საქართველოს სახელმწიფოს მართვა. იგი გამოყოფდა სამ პიროვნებას,” – აღნიშნულია სტატიაში, – “რომლებსაც ფაქტობრივად ხელთ ეპყრათ ქვეყნის სადაცები. ესენი იყვნენ: ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე...”

ე. შევარდნაძეს იგი ბრალს სდებდა, რომ ძველი სოციალისტური აზროვნების ტყვეობაში აღმოჩნდა და მისოვის რეალურად მეტად უცხო იყო რეფორმისტული პოლიტიკის წარმოება...”

რაც შეეხება ჯ. იოსელიანს, იგი კრიმინალურ-მაფიოზური ძალა იყო და სახელმწიფოს მეთაურის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. მას მეტასტაზივით ჰქონდა გადგმული ფესვები ქვეყნის მთელ სხეულზე და ფაქტობრივად შიდა სახელმწიფო ბრივი სიტუაციის მართვის ბერკეტები ეპყრა ხელთ.

სახელმწიფო მეთურს ერთგულად ედგა მხარში მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეური, რომლის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო იქთქენ, რომ საქართველოსთვის ამ განსაცდელის

ქამს ეკლესია ყოფილიყო მიყუჩებული, მიძინებული და არავითარი მონაწილეობა არ მიეღო ქვეყნის გადარჩენის საქმეში...” [იქვე]

სამწუხაროდ, ქართული ეკლესიის მართვადობა გარკვეული წრების მიერ სახეზე იყო; იგი ჯერ კიდევ დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების პერიოდში გამომჟღავნდა, როდესაც მან გაურკვეველი, ფაქტობრივად მომლოდინე, მეტწილად კი ეროვნული ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა და ხელი შეუწყო კანონიერი ხელისუფლების დამსობას... მაფიას ლამის ოფიციალური, ლეგალური ხასიათი ჰქონდა და მეტად მყარად ფლობდა მმართველობის ბერკეტებს. ბათიაშვილისვე აღიარებით, იგი და მისი მსგავსი სხვა პოლიტიკოსები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის წიაღიძან მოდიოდნენ, თანამშრომლობდნენ ზემოთ აღნიშნულ ძალებთან და მათთან ერთად სურდათ სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმართვა; ეს კი უდავოდ დიდი შეცდომა იყო,” [159, გვ. 124-126] – შენიშვნავს ავტორი. ამან კი საბოლოოდ მომაკვდინებელი დარტყმის ქვეშ დააყენა არა მარტო ქართული ეროვნული მოძრაობა, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობაც და შეიძლება თქვას, რომ ამ თანამშრომლობის შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი.

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების წლისთავზე მისი შედეგების გაშუქებას თითქმის მთელი ნომერი მოუძღვნა გაზეთისა “იბერია-სპექტრი”, რომელშიც დაიბეჭდა პროფესორების თამარ კუკავას [161] და გიორგი მრევლიშვილის, [162] მეცნიერ-თანამშრომლების ალექსანდრე ქორელისა და დოლორეს დავითულიანის, [163] პედაგოგ მიხეილ მჭედლიშვილისა [164] და სხვათა წერილები, რომელთა შესახებ იქვე აღნიშნულია, რომ – “ყველა ავტორი უარყოფით შეფასებას აძლევს სახელმწიფო გადატრიალების ფაქტს და განვლილ წელიწადს,” – და გაზეთის რედაქცია მიანიშნებს, – “რაშია საქმე? რატომ არ არის დადგებითი შეფასებები? ჩვნი რედაქცია, ფრიად გაკვირვებულია: რა, არავინ თვლის, რომ გადატრიალებამ სარგებლობა მოუტანა საქართველოს? ჩვენ მოვუწოდებთ მწერალ აკაკი ბაქრაძეს, პროფესორ ნოდარ ლომოურს, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს, პროფესორ როინ მეტრეველს, რეჟისორ ელდარ შენგელაიას, პროფესორ ლევან ალექსიძეს, ეკონომისტ რომან გოცირიძეს, ყველა განათლებულ და ხალხში ავ-

ტორიტეტულ მოღვაწეს, გამოთქვან თავისი აზრი, დაუსაბუთონ ერს, თუ რა კონკრეტული პოზიტიური შედეგები მოიტანა გადატრიალებამ.” [165]

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნება საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მომხრესა და მის იდეურ მოკავშირეს წარმოადგენდა. მაგრამ მიუხდავად გაზეთის ამგვარი მიმართვისა ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო თავისი დადებითი პოზიციის დაფიქსირება.

საქართველოდან კანონიერი ხელისუფლების ძალადობით განდევნის შემდეგაც არ შეწყვეტილა ეროვნული მოძრაობის ძალთა აქტივობა აჭარაში და ის ამ პერიოდშიც ყველა ეროვნული საქმის თანამონაწილე იყო. აქ 1992 წელსვე ჩაძოფალიბდა ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი... ამავდროულად ტარდებოდა კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი საკმაოდ სოლიდური ღონისძიებები – მიტინგები, მანიფესტაციები და სხვა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სამხედრო გადატრიალებამდე და მის შემდეგაც აჭარაშიც, რა თქმა უნდა, იყვნენ ძალები, რომლებმაც საქმაო წვლილი შეიტანეს სამხედრო პუტჩის იდეოლოგიურ მოშზადებაში, მისი განხორციელების შემდეგ ამას დიდი სიამაყის გრძნობითაც უწევდნენ აგიტაციას. მათი თავხედობა და უგნურება იქამდეც კი მიგიდა, რომ აჭარის ხელისუფლებისაგან დაუინტიო მოითხოვდნენ ამ საქართველოს დამაქცევარი აქტის დადებითად შეფასებას, თვითონ კი ამ დროს დიდი სიამოვნებით ისხდნენ ე.წ. სახელმწიფო საბჭოში და კრიინტსაც არ სძრავდნენ საქართველოში მრავალათა-სიანი მიტიგების დახვრეტის, გამეცებული საყოველთაო ტერორისა და ჩვენს თავს დამტყვდარი ათასი უბედურების გამო. შემდეგ კი ასევე დიდი სიამოვნებით ე.წ. იმედის არჩევნების გზით სახელმწიფო საბჭოდან “პარლამენტშიც” გადაინაცვლეს... [166] მაგრამ ამით მათ დაიკმაყოფილეს მხოლოდ თავიანთი პირადი პოლიტიკური ამბიციები და საქართველოსთვის მათ ამ “რევოლუციურ” ძალისხმევას რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, კოდევ უფრო გაღრმავდა სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქაოსი, საძირკველი ჩაეყარა ქვეყნის დანაწევრებას, რამაც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა თითქმის დაღუპვამდე მიიყვანა.

**თავი IV. აჭარა “იმპერის” არჩევნებიდან შიმოდო
არჩევნები**
(1992.11.X – 1994.1.III)

აჭარაში არც თუ ცოტა გაკეთდა ანტისახლმწიფოებრივი და პუტჩისტური ძალების მხილებისა და მათი სიკეთის გზაზე დაბრუნების მიზნით, მაგრამ აღნიშნული ძალები ყრუნი დარჩნინ გონიერების ხმისადმი, ისინი ისევ მისტიროდნენ ხუნტის ხელი-სუფლების აჭარაში გაუვრცელებლობას. თამაზ დიასამიძე ამის შესახებ შემდეგნაირად მოსთქმაში: “საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ვერ ახორციელებს კონტროლს აჭარაში, რომლის მთავრობაც ბევრ უკანონო დადგენილებას იღებს, რაც საქართველოს ინტერესებს არ შეუსაბამება... სასიცოცხლო არტერიაა აჭარა, სადაც ვიმეორებ, საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს კონტროლს საზღვაო სივრცეზე, საბაჟოზე... ელუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი, სახელი, ენერგიულობა აშკარად გამოჩნდება ამ საკითხის მოგვარებაში, მაგრამ მე ჯერ ვერ ვხედავ აჭარის მიმართ რაიმე პროგრესს. აქ სრული მიშვებულობა და უკონტროლობაა. მე ვწედავ პრიორიტეტული მიმართულებებია სამაჩაბლოში და გნებავთ აფხაზეთში, მაგრამ არ შეიძლება რომელიმე რეგიონის მიტოვება, იმის მოტოვება, ვინც საქართველოში მიმდინარე პროცესები-საგან განზე დგომით ბანანების სახელმწიფოს ქმნის ფეოდალური ურჩობით, ამას ამტკიცებს აჭარის დღევანდელი ხელისუფლება...” [167] აი, ისტორიული პროცესების მათეული ხედვა – ხელოვნურად ცეცხლში გახვეულ აფხაზეთში და უკვე დაგომისის გარიგებით გასხვისებულ სამაჩაბლოში პრიორიტეტებს რომ დაინახავს კაცი და მათ ბედს რომ მისტირის აჭარისათვის, რა შეიძლება ამას ეწოდოს?! ალბათ პოლიტიკური სიბრძავე და სიბარიტიზმი ამაზე შორს ვერ წავა, რადგან თურმე, ყველაფერი შეიძლება გამოიყნო შენი უდღეური ამბიციების გასამართლებლად. ამის გამო მათ სამართლიან შეფასებებსაც ეკარგება ქმედითობა, რადგანაც ისინი საქართველოში 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებზე საუბრისას ძირითადად ისევ მხოლოდ აჭარაში მათ მიერ დაფიქსირებულ დარღვევებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. [168, გვ. 1] მაგ-

რამ აჭარაში იყვნენ ძალები, რომლებიც ობიექტურად აფასებდნენ საქართველოში შექმნილ ურთულეს ვითარებას და აქტიურად მოქმედებდნენ საერთო ქართული ინტერესების შესაბამისად.

საქმაოდ მიზანმიმართული იყო აჭარაში მოქმედ ეროვნულ პოზიციებზე მდგარი ძალების მუშაობა საქართველოში მომხდარი სამშედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ შექმნილი მდგომარეობის ანალიზისა და ძალადობით მოსული უკანონო ხელისუფლების ანტიეროვნული საქმიანობის მხილების თვალსაზრისით. ბევრი რამ კეთდებოდა რათა ადგილობრივ მოსახლეობაში დროულად გავრცელებულიყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მხარდამჭერთა იდეები. სისტემატიურ ხასიათს ატარებდა ამ იდეოლოგიის გამტარებელი პრესისა და ინფორმაციის გავრცელება. აქ ჯერ კიდევ 1992 წლის ზაფხულსა და შემდგომაზე აქტიურად ხდებოდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის პროცესი და ამაგდროულად ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული სხნისა და დაუმორჩილებლობის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული მოძრაობის ცნობილმა აქტივისტებმა ნინო ნოღაიდელმ, ნიაზ მალაყმაძემ, ნოღარ შარაძემ, ლამარა კერვალიშვილმა, გიორგი ჯიჯავაძემ, ლევან დუმბაძემ, ნუნუ ქაჯაიძ და სხვებმა. აღნიშნულმა ჯგუფმა მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან (მათგან ნინო ნოღაიდელი, ნიაზ მალაყმაძე, დალი ხიდაშელი, ბადრი სარჯველაძის თანხლებით ჩავიდნენ ვროზნოში პრეზიდენტ გამსახურდიასთან) და აჭარაში გააჩინეს აქტიური მუშაობა ეროვნული მოძრაობის ძალთა გაძლიერება-განმტკიცებისა და აქ, ადგილზე კანონიერი ხელისუფლების მომხრე ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის. აღსანიშნავია, რომ აჭარის ხელისუფლების ელიტაშიც იყვნენ ძალები, რომლებიც აშკარად თანაუგრძნობდნენ ეროვნულ ძალთა ამ ძალისხმევას. სწორედ ერთ-ერთი მათგანის (აჭარის მაშინდელი უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე) ცისანა ანთაძის დამსახურებაა ის, რომ 1992 წლის 10 დეკემბერს აჭარის რადიოში გავიდა საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ყველა დანაშაულთა მამხილებელი გადაცემა, რაც იმ დროისათვის უპრეცედენტო მოვლენა იყო საქართველოს საინფორმაციო სივრცეში, და რისთვისაც აჭარის რადიო-ტელევიზიის ორმა თა-

ნამშრომელმა რუბენ ბურჭულაძემ და ზეინაბ ფილიპოვამ მიიღეს დისციპლინარული სასჯელები (შ. ფილიპოვა კიდეც დაითხოვეს სამსახურიდან). მოხსენებას, რომელიც გადაცემაში გავიდა ერქვა – “თქვენდამი სიყვარულის სახელით”, და იგი შემდეგ გაზეოთმა “აღ-დგომა” გამოაქვეყნა სათაურით – “მძევლები”. [169] მასში ნათქვა-მა: “შეგარდნაბის ფარულ თუ აშკარა მიზნებში... უპირველეს ყოვ-ლისა შედიოდა და შედის ქართული ეროვნული მოძრაობის იდეისა და მისწრაფების საბოლოო დევალვაცია-ჩაკვლა, ქართველი ხალ-ხის კვლავ დამონება და მისი დარწმუნება იმაში, რომ მას დამოუ-კიდებლად არსებობა, ჯერჯერობით მაინც, არ შეუძლია (აბა დააკ-ვირდით რა მიზანსწრაფულად კეთდებოდა და კეთდება ყველაფერი ამისათვის). მან ჩვეული ოსტატობითა და მზაკვრობით მოახერხა ამ საქმეში ყოფილი ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ფრთის ჩათრევა ისე, რომ მათ უკან დასახევი გზა თითქმის აღარა აქვთ და ისინი გახდნენ კიდეც მისი ნების ყურმოჭრილი აღმსრულებლე-ბი ნებობოლშევიზმის ლეგიტიმური რეანიმაციის საქმეში... მაგრამ იგი არ ენდობოდა და არც ენდობა “ეროვნულ ძალებს” და ყველა-ფერი გააკეთა იმსათვის, რომ შემზადებინა დასყრდენი საჭიროე-ბის შემთხვევაში საქართველოში მისი საბოლოო გაბატონებისათ-ვის. სხვათა შორის მეტად ნიშანდობლივივა ის, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობისთვავე რესის ჯარს ოკუპან-ტის სტატუსი მოუხსნეს და ეს ნურავის აკვირვებს, რადგან სამ-ხედრო პუტჩის დროს ფაქტიური მოკავშირისა და თანამებრძოლე-ბის ოკუპანტის სტატუსში დატოვება თავისი იმავე სტა-ტუსში აღიარების ტოლფასი იქნებოდა... ამასთან... როცა სისხლი-საგან ცლიან ქართულ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს, ამხანაგი ედუარდი ათასგარ ტრიუქს მიმართავს, რომ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულ შემცდარ თუ აშკარა მტერს ეს პროცესი გაუადვი-ლოს. ეტყობა ბატონ ედუარდს გათვალისწინებული აქვს რა, რომ ეროვნული შეიარაღებული ძალები თავისი საბოლოო მიზნის მი-საღწევად შეიძლება არ გამოადგეს, იმზადებს ახალ ძალებს ხელი-სუფლების ძალით შენარჩუნების შემთხვევისათვის. მერე კი 1921 წლის ამბებივით 70 წელი არკვიე რა მოხდა. აღარაფერს ვამბობთ ფაქტიურად დაკარგულ სამასაბლოოზე და ომის ცეცხლში ხელოვ-ნურად გახვეულ აფხაზეთზე, რაც მას ზუსტად ქართველებისათვის

მათი უსუსურობისა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის შეუძლებლობის ფიქტიზის განვითარებისათვის სჭირდებოდა, რადგან იგი ღონების და სასოწარკვეთილი, ბედს დამორჩილებული ფარასავით შედენოს ე.წ. “სხვ”-ში...“, – აღნიშნულია მიმართვაში, – (რაც სამწუხაროდ, ზუსტად ამგვარად იქნა რეალიზებული – უ.ო.) და ბოლოს, მათი ჭეშმარიტების გზისკენ მოსაბრუნებლად გაკეთებულია შემდეგი მოწოდება, – “...თქვენდამი სიყვარულის სახელით, ყველას ერთად უნდა შეგახსენოთ, რომ არ არსებობს შეცოდება, რომელიც მდერთისა და თავის წინაშე გულწრფელი მონაიებით არ მიეტევება მოკვდავს. ხოლო თუ კიდევ ამ გზით გააგრძელებთ გზას, თავად განსაჯეთ სად მიგიყვანათ ასეთ შემთხვევაში საკუთარი სინდისის კარნახის წინააღმდეგ სვლა. თქვენ ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ პირველ რიგში ქართველები, საქართველოს მსახურებისათვის გაჩენილი სულები ხართ. დასმლიერ ამბიციები და დაუბრუნდით დედის წიაღს, აკეთეთ მხოლოდ საქართველოს საქმე...” [იქვე, გვ. 4, 6]

1993 წლის დასაწყისში გააქტიურდა აქციები ბათუმში, რის შესახებაც გაზეთ “საქართველოს სამრეკლოს” 1993 წლის 2 ოქტემბერგლის პირველ გვერდზე იტყობინებიან, რომ “სამწუხარო ცნობა მოვიდა ბათუმიდან – დაარბიეს სტუდენტთა მჯდომარე აქცია და დააპატიმრეს აქციის 6 მონაწილე.” [170, გვ. 1]

1993 წლის დასაწყისშივე გაკეთებულ გამოსვლაში პრეზიდენტმა გამსახურდიამ გააკეთა განცხადება, რომ “ყოველი ერი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც მას ჰყავს. ამიტომაც უნდა დავიმსახუროთ უკეთესი... ასე, რომ ბრძოლის გარდა სხვა გზა არ დაგვრჩენია... მე პიროვნულ ხელისუფლებას არ ვეჭიდები. თქვენ კარგად იცით, რომ მე საპრეზიდენტო სკამს არ ვეჭიდები. ჩემი მთავარი მიზანია საქართველოს სსნა. მჯერა, რომ უფალი იხსნის საქართველოს.

საქართველოს იხსნიან მისი ჭეშმარიტი შვილები, თავდადებული და თავგანწირული შვილები.

საქართველოს იხსნის მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, გროვნო, 1993 წლის 15 იანვარი.” [171]

იმავე გაზეთის საიუბილეო წერილში (გაზეთის “ქართული აზრი” პირველი ნომერი გამოვიდა 1992 წლის 26 იანვარს) დას-მულია კითხვა: “...რაში ვეძიოთ საქართველოზე თავსდატებილი უბედურების სულიერი მიზეზები?” – და იქვეა პასუხიც; რომ “გა-მოვიჩინოთ უმაღლესი ვაჟაცოლბა, ვიყოთ პირუთვნელნი და ოვალი გავუსწოროთ ჭეშმარიტებას – უმთავრესი მიზეზი ჩვენში ძევს!” – მართებულად შენიშნავს გაზეთის რედაქცია და განაგრძობს, – “თითოეულმა ჩვენგანმა ვკითხოთ საკუთარ თავს – ყველაფერი გა-ვიღეთ საქართველოს თავისუფლებისათვის? სრულად ავიღეთ ის პასუხისმგებლობა, რისი ზიდვის უნარიც შეგვწევდა? ვიყავით მაქ-სიმალურად მომთხოვნი ჩვენივე თავის, ჩვენი მეგობრების, ჩვენი თანამოზრების მიმართ? თუ ერთ ადამიანს გადავბარეთ თითოეუ-ლი ჩვენგანის საკეთებელი საქმე, გული დავიმშვიდეთ და არხეინო-ბა მოგვეძალა?..

დღევანდველი ხუნტა ოდენ იარაღია განგების ხელში. ესენი გაცამტვერდებიან და გაქრებიან, მაგრამ ჩვენ თუ არ დავრჩით ღირსეულნი, განვლილმა თუ არაფერი გვასწავლა, ისევ სხვას თუ გადავაბარეთ ჩვენი საკეთებელი და რაც მთავრია, ისევ ოდენ სხვის სიგლახეს თუ დავაბრალეთ ჩვენი უბედურება და საკუთარ ცოდვათა განცდა არ გვეწა, ხუნტას სხვა ავაზაკები შეცვლიან... “[იქვე] ამასთან პრეზიდენტი გამსახურდია გაზეთ “საქართველოს რესპუბილიკის” მთავარ რედაქტორთან ინტერვიუში პირდაპირ მი-უთითებს, რომ “საჭიროა ვამსილოთ და დოკუმენტურად დავასაბუ-თოთ, რომ დღეს საქართველოში არის არა მხოლოდ ანარქია, უკა-ნონობა, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, არამედ ავაზაკე-ბის მმართველობა, ავაზაკების დიქტატურა. უნდა გაირღვეს საინ-ფორმაციო ბლოკადა, რომელშიც მოგვაციეს ბუშებმა, ბეიკერებმა, გენშერებმა და სხვებმა... ახლა საჭიროა ერთიანი შეტევა საყო-ველთაო მხილების გზით. ამის გარეშე ვერასოდეს აღდგება კანო-ნიერი ხელისუფლება...” [იქვე, გვ. 2] 1993 წლის 23 იანვარს ინ-გლისმი ჩატარდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადო-ების ინგლისის სექციის მიერ ორგანიზებული კონფერენცია “და-სავლეთი აჯილდოებს რეპრესიულ რეჟიმებს”, რომლის მთავარი თემა იყო ადამიანის უფლებები საქართველოში. მის შესახებ გაკე-თებულ მოხსენებაში ბატონმა მარკ ალმონდმა აღნიშნა, რომ “სა-

ქართველოში იანვრის გადატრიალებას და შეგარდნაძის მოსვლას ხელისუფლების სათავეში მოჰყვა უსასტიკესი ტერორი და რეპრესიები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მიესალმა საქართველოს ახალ რეჟიმს, რითაც უგულებელყო საკუთარი დებულებანი და წესები, რომლებიც ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსაგან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ელემენტარული სტანდარტების დაცვას მოითხოვს.” [170, გვ. 1] ხოლო ფინელ დამკვირვებელთა მოხსენებაში საქართველოში 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარებული ე.წ. არჩევნები, შეფასდა როგორ დემოკრატიული არჩევნების პრინციპების დაცვა, [იქვე, გვ. 6, 12] იგივე მოსაზრება გამოთქვეს, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, სხვებმაც. ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოსაყავანად კიდევ უფრო დაირაზმა ქართველი ხალხი და გაიზარდა მისი აქტიურობა მის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყისულებად. სულ ახალახალი ძალები ებმებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში.

ამ ამოცანათა გადასაჭრელად გააქტიურდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის და მასში ახალი ძალების ჩართვისათვის ბრძოლა აჭარაშიც. 1993 წლის დასაწყისიდან იწყება აქ ნიადაგის შემხადება საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებისა და სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჰყონდიდელის” შესაქმნელად. 1993 წლის მარტის პირველ ნახევარში შეიქმნა საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების აჭარის სამხარეო ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეც გახდა რევაზ ნაკაშიძე, მისი მოადგილე ნოდარ შარაძე, ხოლო გამგეობაში შევიდნენ ნინო ნოღაიძელი, ნუგზარ ჩხაიძე, ოთარ გოგოლიშვილი, ზურაბ ცეცხლაძე და სხვები.

1993 წლის 21 მარტს ჩატარდა სრულიად საქართველოს ეროვნულ პოლიტიკური მოძრაობა “ჰყონდიდელის” აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელმაც ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია მაშინ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის დირექტორი უჩა ოქროპირიძე; ორგანიზაციის გამგეობაში შევიდნენ ნინო ნოღაიძელი, ლამარა კერვალიშვილი, ბეჟან მელუა, ვილენ სხილაძე, გიორგი ჯიჯავაძე, ლევან დუმბაძე და ეროვნული მოძრაობის სხვა აქტივისტები. აღ-

ნიშნულ ორგანიზაციებს ირგვლივ უნდა შემოეკრიბა ეროვნული მოძრაობის ძალები აჭარაში და ერთად ემოქმედათ ამ კუთხეში თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, რაშიც უმთავრესად საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღსაღენად წარმოებული ბრძოლისათვის ხელის შეწყობა იგულისხმებოდა. მათ დაიწყეს მოქმედება აჭარაში თავიანთი სარაიონო ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად, ამასთან აქტიურად მონაწილეობდნენ კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად გამართულ ყველა ღონისძიებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ ბათუმში ჩატარებული რამდენიმე წარმატებული აქციის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა საკმაოდ დაიძაბა და კონფრონტაციისაკენ მიდრეკილება დაეტყო. მანამდე კი, 1993 წლის 24 მარტს, მოხდა აჭარის ჭყონდიდელური მოძრაობის პირველი სამიტინგო ნათლობა ქ. ზუგდიდში, სადაც სიტყვით გამოვიდნენ ნინო ნოღაიდელი და უჩა ოქროპირიძე.

სიტყვაში აღვნიშნე, რომ ქართველი ხალხის ნებისა და ღირსების შელახვას ვერავინ შეძლებდა, თუ არა ზოგიერთი ჩვენთაგანის ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და სამშობლოს ბედისადმი. ჩვენ რომ დროზე ერთად დავმდგარიყვათ მისი ინტერესების დასაცავად ისე, როგორც დღეს ვდგავართ, ჩვენს დამარცხებას ვერავინ შეძლებდა.

ამიტომაც დღეს მაინც უნდა შევიგნოთ ყველაფერი ეს და კანონიერების აღდგენა გამოვაცხადოთ ქართველი ერის ღირსების საქმედ... და სხვა. განვაცხადე, რომ ფაქტიური ხელისუფლება ცდილობს ქართული ცნობიერების დანაწევრებას და ეს არ უნდა დავუშვათ. საქართველოს ბედი დღეს სამეგრელოში წყდება და აქ უნდა შეიკრიბოს ყველა ჭეშმარიტი ეროვნული ძალა (ხელისუფლება ცდილობდა სამეგრელოს ხელოვნურ გამოცალკევებას საერთო ქართული საქმიდან – უ.ო.).

1993 წლის 27 მარტს აჭარის დელეგაციამ უჩა ოქროპირიძის, ნინო ნოღაიდელის, ლამარა კერვალიშვილის, ბეჟან მელუას და სხვათა წარმომადგენლობით მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს ეპ.მ. “ჭყონდიდელის” პირველი კონფერენციის მუშაობაში.

კონფერენციისადმი მიძღვნილ საგაზეთო ანგარიშში ვკითხულობთ: “1993 წლის 27 მარტს ზუგდიდში შ. დადიანის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჭყონდიდელის” პირველი კონფერენცია... გაწული მუშაობის და მომავალი გეგმების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მოძრაობა “ჭყონდიდელის” პრეზიდენტი ვალერი გაბელია. თანამოხსენებები წაიკითხეს “ჭყონდიდელის” ცხუმ-აფხაზეთის თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ და “ჭყონდიდელის” მწიგნობართა კარის უხუცესმა სერგი საჯათაძე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი, გაზეთ “საქართველის სამრეკლოს” რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე, საქართველის უზენაესი საბჭოს წევრები: ბიძინა დანგაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ავთანდილ რცხილაძე, გია მამურია, ზაურ ქობალია, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შექმნილი გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალი ვახტანგ ქობალია, საქართველოს ჰელისინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ავთანდილ დავითაია, ე.პ.მ. “ჭყონდიდელის” გამგეობის წევრი ზურაბ გვარაცხელია, “ჭყონდიდელის” აჭარის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე უჩა ოქროპირიძე, კ. გამსახურდიას საზოგადოების ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე რენე კალანდია და სხვ.

კონფერენციამ ცვლილებები შეიტანა ე.პ.მ. “ჭყონდილელის” წესდებაში, “ჭყონდიდელის” ვიცე-პრეზიდენტად დამტკიცა მწიგნობართა კარის უხუცესი სერგი საჯათაძე.

სათათბიროს ახალ წევრებად არჩეული იქნენ: უჩა ოქროპირიძე, ჯემალ გამახარია, დავით ქობალია, ავთანდილ ჩიტაძე და როლანდ გაგუა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია.” [172]

აჭარის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის შესვენებისას ზუგდიდის კინოთეატრის წინ, მოედანზე გამართულ ხალხმრავალ მიტინგში.

ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჭყონდიდელისა” და კ. გამსახურდიას აჭარის ორგანიზაციებმა ბათუმში თავიანთი პირველი გაერთიანებული აქცია ჩატარეს 1993 წლის 31 მარტს, რომ-

ლის შესახებ საქართველოში პუტჩისტთა ერთ-ერთი რუპორი გა-ზეთი “რეზონანსი” აღნიშნავდა: “31 მარტს ბათუმის თეატრალურ მოედანზე ორგანიზაცია “ჭყონდიდელის” ბათუმის განყოფილებამ ჩაატარა მოტინგი, რომელიც მიეძღვნა 1991 წლის 31 მარტს გა-მართულ რევულენდეუმს და ექსპრეზიდენტის დაბადების დღეს. მი-ტინგს დაახლოებით 30 კაცი დაესწრო (გაზეთის კორესპონდენტი ვინმე გოგავა, აშკარად ტყუის, რაღვან მიტინგს დაესწრო 1500-მდე კაცი – უ.ო.) გამომსვლელებმა კრიტიკის ქარცეცხლი დაატე-ხეს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას. მხარდაჭერა გამო-სატეს აჭარის ხელისუფლების მიმართ. მიტინგს “ჭყონდიდელის” ბათუმის განყოფილების ხელმძღვანელი უჩა ოქროპირიძე უძღვებო-და” [173]. გაზეთი ყველანაირად ცდილობს დააკნინოს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა აღნიშნული აქცია, თუმცა მას საკადრი-სი პასუხი გაეცა იმავე წლის 9 აპრილს გამართულ მიტინგ-მანი-ფესტაციაზე, როდესაც ამ ღონისძიების ორგანიზატორებმა “რეზო-ნანსის” კორესპონდენტ გოგავას შესთავაზეს 2000-მდე დათვლა მაინც ესწავლა, თუ სხვა არაფერი არ იცოდა და არც ანალვლებ-და. აღნიშნული მიტინგი-მანიფესტაცია მნიშვნელოვანი იყო იმი-თაც, რომ ბათუმის თეატრალურ მოედანზე გამართული მიტინგის შემდეგ მისი მონაწილეობი წინასწარ დაგვგმილი სვლა-გეზით მი-ვიდნენ ქ. ბათუმის ბულვარში “9 აპრილის ცრემლი” მემორიალ-თან და იქ განაცხადეს (ტექსტის კითხულობდა ზურა ხომასურიძე – უ.ო.): “მუხლს ვიდრეკო 9 აპრილის უმანკო მსხვერპლთა წინა-შე და გაღიარებთ, რომ იდეალები, რომლებსაც ისინი შეეწირნენ დღესაც ყველა ჩვენთაგანისათვის ძვირფასია. ამიტომაც ვაღიარებთ, რომ დღეს ქართველი ერის ნება, მისი ღირსება შელახულია და შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე თავს ვალდებულად ვთვლი ვიბრძოლო მისი ნებისა და ღირსების აღსაღენად – (ხალხის პა-სუხი) ვაღიარებთ!!!

ვაღიარებთ, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, რომ ქართველი ერის ნებისა და ღირსების აღდგენა ყველა ჩვენთაგანის წმინდათაწმინდა ვაღიარებთ!

ვაღიარებთ ქართველი ერის წინაშე ფაქტიური ხელისუფლე-ბის დანაშაულებრივ ქმედებათ და საქართველოს სახელმწიფოს ინ-ტერესებისადმი მის გამყიდველურ დამოკიდებულებას – ვაღიარებთ!

ვაღიარებთ, პოლიტიკური მეთოდებით კანონიერებისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობას და ვიბროლებთ ამ მიზნის მისაღწევად – ვაღიარებთ!

ვაღიარებთ, რომ კანონიერების აღდგენა არის საქართველოს პოლიტიკური და სულიერი მთლიანობის შენარჩუნების ერთადერთი გარანტია და დღევანდელი ფაქტიური ხელისუფლება უნდა გადადგეს – ვაღიარებთ!

ამ სამართლიან ბრძოლაში ჩვენთან არს ღმერთი!!! – არს და იყოს!!!”

აღნიშნულ მანიფესტაციაში დისონანსის შეტანა სცადეს მილიციის წარმომადგენლებმა, მაგრამ გარკვეულწილად გადამეტებულია გაზეთში “საქართველოს სამრეკლო” გამოქვეყნებული ცნობაც, რომ ბათუმში “ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დაარბიეს მშვიდობიანი ხალხმრავალი მიტინგი.” [174, გვ. 3] ამ ინციდენტის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია 1993 წლის 28 აპრილის ამავე გაზეთში, სადაც ნათქვამია: “1993 წლის 9 აპრილს კ. გამსახურდიას საზოგადოებისა და სრ. საქართველოს ე.პ.მ. “ჭყონდიდელის” აჭარის სამხარეო ორგანიზაციებმა გამართეს 1989 წლის 9 აპრილის ხსოვნისა და 1991 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი და შემდეგ – მანიფესტაცია წინასწარ განცხადებაში მითითებული სვლა-გეზით ქ. ბათუმში 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალისაკენ.

მანიფესტაციის მსვლელობისას კოლონას თავს დაესხნენ ავტომანქანა “ჟიგულში” (სახელმწიფო №35-24 გგ) მსხვილი აჭარის შ/ს ბათუმის განყოფილების მილიციის მუშაკება: იბრაგიმ ქადაგიძე, ჯამბულ დავითაძე და ბიჭიკო ბოლქვაძე. ისინი მანქანიდან გადმოუცივდნენ და ხალხის წინ სასტიკად სცემებს მანიფესტაციის ერთერთი მონაწილე... შემდეგ ძალით ჩასვეს მანქანაში და მიიყვანეს შ/ს ბათუმის განყოფილებაში, სადაც... მილიციის უფროსის მოადგილის ზურაბ დიასამიძის კაბინეტში მას კვლავ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხოვა...

მიტინგის ორგანიზატორებს მიგვაჩნია, რომ მილიციის ამ მუშაკების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებების უხეშად შემლახავი ეს ბინძური პროვოკაცია მიმართულია აჭარის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილიცაზის შენარჩუნების საერთო კურსის

წინააღმდეგ და ემსახურება ზოგიერთთა მცდელობას რამენაირად ახალი ძალები ჩაითრიონ აჭარის ხელისუფლების საწინააღმდევო კამპანიაში.” [175, გვ. 3] ამავე მიტინგის მიერ მიღებული მიმართვის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია: “...გვეყოს გამბედაობა და სიმამაცე, ვაჟქაცურად გავუსწოროთ თვალი სიმართლეს და ვალიაროთ, რომ ქართველი ხალხის ნებისა და ლირსების შელახვას ვერავინ შესძლებდა, თუ არა ბევრი ჩვენგანის დანაშაულებრივი დუმილი და უპასუხისმგებლობა მომავლის წინაშე.

ეს აღარ უნდა განმეორდეს!

შთამომავლობისადმი ჩვენი წმინდათაწმინდა ვალია, ქართველერს აღვუდგინოთ შელახული ლირსება და ჩამოვწმინდოთ ეს დიდი ისტორიული სირცესილი. კანონიერების აღდგენა ქართველი ერის ლირსების საქმეა! გვჯერა, ამ დიდ საქმეში ჩვენს გვერდით დადგება ყველა შეჭმარიტი და ლირსეული მამულიშვილი...” [176]

აღნიშნული აქციები მნიშვნელოვანი ეტაპი იყო აჭარის ეროვნული მოძრაობის ძალთა განვითარება-განმტკიცებისათვის. მისმა ორგანიზატორებმა საქართველოში გამტვებულ საყოველთაო განუკითხაობისა და ტერორის პირობებში შეძლეს ხალხის ორგანიზება, მათში შიშის დაძლევა და ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგნისათვის ხალხის დარაზმა. ბათუმში ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის ყოფილ შენობაში (ახლა ხელოვნების მუზეუმი) გამართულ საკვირაო შეკრებებზე ხდებოდა ადგილებიდან ჩამოტანილი ვიდეო მასალის ჩვენება, რომელშიც ასახული იყო არა მარტო საქართველოს პირველი პრეზიდენტის და ხელისუფლების მხარდამჭერი აქციები, არამედ პრეზიდენტის მიმართვები ქართველი ერისადმი იმ დროის საქართველოსათვის მეტად საჭიროობრო საკითხებზე. აჭარიდან ჩასული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ხშირად საკმაოდ სოლიდური დელეგაციებითურთ, მონაწილეობდნენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით გამართულ ყველა პოლიტიკურ აქციაში. აჭარაში ადგილებზე კი ამ იღების მხარდასაჭერად იმართებოდა საინფორმაციო შეკრებები, მიტინგები და მანიფესტაციები, რომელთაც საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ტერორისა და ძალადობის აშკარა წაქეზების მოუხდავად აჭარის ხელისუფლება თითქმის არ უპირისპირდებოდა და პირიქით,

— ეროვნული მოძრაობის ძალებს ესმოდათ რა იმ პერიოდში აჭარის ხელისუფლების წინაშე მდგარი პრობლემების მთელი სირთულე, ისინი ცდილობდნენ დარჩენილიყვნენ მისდამი ლოიალურ, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ ძალად, რაც გარკვეულ ეტაპზე ამ ზელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. [იქვე, გვ. 4]

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი იყო აჭარის დელგაციის მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდის“ გამსვლელ სხდომაში, რომელიც 1993 1, 2 მაისს ზუგდიდში გაიმართა. მას აჭარიდან ესწრებოდნენ ნინო ნოღაიძელი (როგორც საქ-ოს მრგვალი მაგიდის წევრი), ლამარა კერვალიშვილი და უჩა ოქროპირიძე (როგორც სრ. საქ-ოს ე.პ.მ. „ჭყონდიდელის“ წევრები). სხდომაზე დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს „მრგვალი მაგიდის“ წევრები: ვახტანგ ცაგარეეშვილი, ბიძინა დანგაძე, ვახტანგ ჭითავა, ვალერი გაბელია, მერაბ ჩუხუა, გურამ ისაკაძე, ნინო ნოღაიძელი, ანზორ გვარამია, ზურაბ კვარაცხელია, რობერტ პეტრიაშვილი და სხვები... გამსვლელ სხდომას პირველ დღეს თავმჯდომარეობდა ზაურ ქობალია, მეორე დღეს თენგიზ კიკაჩეშვილი. [172, გვ. 8-9]

ამავე სხდომებზე მიიღეს „საქართველოს პოლიტ. ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდის“ მიმართვა ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგრომარეობის შესახებ“, „მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით“, „მიმართვა კავკასიელი ხალხებისადმი“, „მიმართვა საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ფორმირებებისა და პოლიციისადმი“. აგრეთვე ორი განცხადება. [იქვე]

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული მოძრაობის ძალები მონაწილეობდნენ აჭარიდან საქართველოს სხვა რეგიონებში ჩასახლებული მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაშიც. რაღაც ძლიერ გააქტიურდა აჭარაში მოქმედ ეროვნულ ძალთა სამეცნიეროსთან ურთიერთობა, განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება ამ რეგიონში, სადაც, როგორც ჩანდა, ფაქტობრივი დანაშაულებრივი ხელისუფლება ხელოვნურად ცდილობდა სიტუაციის დაძაბვას ადგილობრივ მოსახლეობასა და აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან ზუგდიდის

რაიონის სოფელ ნარაზენსა (იქედან ერთი ოჯახის გარდა ყველა ჩასახლებული უკვე წამოსული იყო) და ხეცერაში ჩასახლებულ ოჯახებს შორის. ინფორმაციის მიღებისთანავე “ჰყონდიდელის” აჭარის სამხარეო ორგანიზაციამ ადგილზე ჩასვლითა და ზუგდიდში კანონიერი ხელისუფლების ძალთა თანადგომით, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიღო ეროვნული მოძრაობის ცნობილმა წარმომადგენელმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრმა ზაურ ქობალიამ (კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ფორმირების 12 კაციანი ჯგუფი ჩააყენეს იმ სოფელების დასაცავად, რომელთა აჭარიდან ჩასახლებულ ოჯახებს სპეციალურად თავს ესხმოდნენ ხუნტის ბანდფორმირების წარმომადგენლები). ეს ფაქტია ასახული სრულიად საქართველოს ე.პ.მ. “ჰყონდიდელის” აჭარის სამხარეო ორგანიზაციის ღოკუმენტში, სადაც წერია: “მიმდინარე წლის 20 მაისს სრულიად საქართველოს ე.პ.მ. “ჰყონდიდელის” და ჰელინკის ჯგუფის ინციატივით ზუგდიდის რაიონის სოფ. ხეცერაში აჭარიდან ჩასახლებული ოჯახებისათვის ჩატანილი იქნა ჰუმანიტარული დახმარება (საკვები პროდუქტები), რომელიც ადრესატთა ინიციატივით მთელ დასახლებაზე გადანაწილდა. მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშოთ, რომ პრობლემები, რომელთა შექმნის მცდელობასაც აშკარად კომუნისტური რეჟიმისდროიმდელი ხელწერა, ხოლო მისი ხელოვნურად გაღვივების მსურველებს პროკომუნისტური პროვოკატორული საქმიანობის დიდი გამოცდილება ეტყობოდათ, ეროვნულ ძალთა თანადგომითა და ერთიანი ძალისხმევით უკვე დაძლევულია.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ხელი გაგვიძირთა ჰუმანიტარული დახმარების შეგროვებასა და მისი დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირებაში. ესენია ქ. ბათუმის სრულუფლებიანი წარმომადგენლის პირველი მოადგილე ბატონი თეიმურაზ კომახიძე, თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი ვახტანგ მეჩეშიძე, ციტრუსკომბინატის დირექტორი ბატონი პეტრე არძნაძე, რძის კომბინატის დირექტორი ბატონი როლანდ ჩანტლაძე და სხვები.” [177, გვ. 8]

ამავე პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება სხვა საკითხებთან ერთად 1993 წლის 26 მაისს ბათუმში გამართულ მიტინგზე.

რომელმაც მასთან დაკავშირებით მიიღო ორი მიმართვა, “აჭარის მოსახლეობას!” და “თანამემამულებრი!”

მიმართვაში “აჭარის მოსახლეობას!” ნათქვამია: “საქართველოში უმძიმესი სიტუაციაა. რაც ადრე ვერ მოახერხა კომუნისტურმა რეჟიმმა, დღეს მისი მემკვიდრეები ცდილობენ განახორციელონ. მათ მაშინ ვერ შესძლეს ის, რომ აჭარის მოსახლეობა გამოეყენებინათ თავიანთი შაგბრელი ზრახვების განხორციელების იარაღად, საერთო ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ. ჩაშლილი იქნა კომუნისტური აგენტურის ყველა მცდელობა აჭარაშიც მიეღწიათ სიტუაციის ისეთნაირი სცენარით წარმართვისათვის, როგორც ეს სწვა ავტონომიურ ფორმირებებში მოხდა. მაგრამ მაშინ აჭარის მოსახლეობას აღმოაჩნდა საჭირო სიბრძნე, მიმდინარე მოვლენებში საღად გარკვევის უნარი და მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, არ წამოევო პროვოკაციას, არ გაყვა მტრის მიერ დაგეგმილი ავანტიურის გზას და პირნათელი დარჩა საერთო ქართული საქმის წინაშე. ყველაფერ ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის აჭარის მოსახლეობას, რომელმაც დროულად შეძლო ყურისგდება გონიერების ხმისათვის და თავი დააღწია გამოცდილი ხელით დაგებულ მახს.

რაც შეუძლებელი აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობის საერთო აღმავლობის დროს, მის განხორციელებას ამ მოძრაობის დროებითი, იძულებითი უკანდახევის პერიოდში ცდილობს ძალმომრეობის გზით საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსული ხუნტა. მისი აგენტურა ყველა ღინებს ხმარობს, რათა მიაღწიოს აჭარის მოსახლეობის უარყოფით განწყობილებას, აქედან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩასახლებული აჭარის მქვიდრთა მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულების ხელოვნურად გაღვივების გზით და ამის საფუძველზე ნიადაგი მოუმზადონ არარსებული “აჭარული სეპარატიზმის” ფარსის გათამაშებას, ხელოვნურად დააპირისპირონ იგი ცალკეულ კუთხეებთან და მით სრულიად საქართველოსთანაც.

...მოგიწოდებთ, არ აპყვეთ საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული პროკომუნისტური ხუნტის ამ პროვოკაციებს, გამოიჩინოთ მაღალი ეროვნული თვითშეგნება და ჩვენი ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ მტრული ძალების ქმედებას ისევ დავუპირისპიროთ გონიერება და მოთმინება.” [176, გვ. 4] მიმართვა-

ში როგორც ვხედავთ, მოკლედ და კონკრეტულად მხილებულია საქართველოში ხუნტის მიერ წარმოებული მოღალატური პოლიტიკის თითქმის სრული სახე და გაკეთებულია მოწოდება მისი თავიდან აცილების მიზნით. ხოლო მიმართვაში “თანამემამულენო!” ზემოთ აღნიშნული მამხილებელი პოზიციის შემდევ აღნიშნულია: “...ერმა, რომელსაც გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება, სიბრძნე და გონიერება, ბოლოსდაბოლოს ზღვარი უნდა დაუდოს პროკომუნისტი ვანდალების არნახულ თავხედობასა და უგუნურ თარეშს, არ მისცეს მათ იმის ხელყოფის საშუალება, რასაც მთელი ქართული ეროვნული ენერგია საუკუნეობით აღუდაბებდა.

ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, გამოვიჩინოთ მაღალი ეროვნული თვითშეგნება და არ ვიქცეთ ხუნტის მიერ ჩაფიქრებული პროგრაციების იარაღად. გავუფრთხილდეთ ერთმანეთსა და მით საქართველოს ერთიანობასა და მთლიანობას...” [იქვე, გვ. 4-5]

უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგზე დაფიქსირებული ასეთი მკვეთრი მამხილებელი პოზიციის შემდევ ამ მიმართულებით ხუნტის მცდელობანი საკმაოდ შესუსტდა, თუმცა არ შეწყვეტილა. ხოლო რაც შეეხება აჭარაში მოქმედ ეროვნული მოძრაობის ძალთა დამოკიდებულებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა თუ მისი ოპოზიციისადმი მან ასახვა პპოვა ჩვენს ინტერვიუში, რომელშიც ნათქვამია: “...აჭარაში მოხერხდა თითქმის ყველა ბუტაფორიული თუ ნამდვილი ძალის გაერთიანება სიმშვიდისა და სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად, რაც თავისთავად არ არის ცუდი. რაც შეეხება ბრალდებებს ხელისუფლების მიმართ, დღევანდელ ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში მისი წაყვენება არც თუ დიდ სირთულეს წარმოადგენს; მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა პოლიტიკური ძალის თუ პიროვნების უპირველესი მოვალეობაა ასეთ უმძიმეს პირობებში არ იქცეს დესტაბილიზაციის წყაროდ, რათა ადგილზე, ამ რეგიონშიც არ წამოიწყოს იგივე ავანტიურა, რისი საერთო ქართული საქმის სასარგებლოდ წარმართვა და დაბოლოება ადრე მან ვერ შეძლო...” [178]

თუ ხელისუფლების რა ფორმასთან ჰქონდა საქმე საქართველოში ზვიად გამსახურდიას მომხრე ეროვნული მოძრაობის ძალებს, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სამხედრო-კრიმინალური

გადატრიალების ერთერთი ძირითადი შემმხადებელი იდეოლოგის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ცნობილი წევრის ივლიანე ხაინდრავას წერილიდან – “ხელისუფლების გენეზისი საქართველოში.”, – შეფასებებს:

“...შარშან ახალი წლის მოსვლას დაემთხვა ხელისუფლების სათავეში ახალი ძალების მოსვლაც. 2 იანვარს გამოცხადდა შექმნა სახელმწიფო საბჭოსი, რომელმაც ონგიზ სიგუას დავალა დაეკომპლექტებინა დროებითი მთავრობა... ოდნავ მოგვიანებით – იანვრის მიწურულს ჩამოყალიბდა საკონსულტაციო საბჭო. თავდაპირველად მასში მიწვეული იყო სულ 39 კაცი, რა პრინციპით, იცის, აღბათ, თენგიზ სიგუამ და შესაძლოა, რამდენიმე მრჩეველმა, რომელებიც კადრს მიღმა დარჩნენ... საკონსულტაციო საბჭოს როლი მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველოში დაბრუნდა შევარდნაძე... 10 მარტს საკუთარი გადაწყვეტილებით საკონსულტაციო საბჭო გარდაიქნა სახელმწიფო საბჭოდ, შევარდნაძე დამტკიცდა მის თავმჯდომარედ, ხოლო... პრეზიდიუმში, მის გარდა შევიღნენ სიგუა, კიტოგანი და ოსელიანი... (ე.ი. პარტიული ნომენკლატურის ელიტარი, წითელი პროფესორი, ბატია დურაჩოგი და კანონიერი ქურდი – ასეთ ნახავს, აღბათ, მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ ჰყოლია ბალთაზარ კოსას შემდეგ, და არც გამოუჩნდება საუკუნეთა განმავლობაშიც კი – უ.ო.) შევარდნაძის გამოჩენამ ძლიერ გაზარდა სახელმწიფო საბჭოში მოხვედრის მსურველთა რიცხვი და შედეგმაც არ დააყოვნა – მისი შემადგენლობა საბოლოოდ გასამაგდა,” – აღნიშნავს ავტორი და იქვე ცდილობს აღნუსხოს სახელმწიფო საბჭოს მოღვაწეობის შედეგად მიღწეული “წარმატებანი” თუ ნაკლოვანებანი. პირველ მათგანში მოხსენიებულია “11 ოქტომბრის არჩევნების მომზადება და, ავად თუ კარგად ჩატარება.” მაგრამ იქვე მიუთითებს საარჩევნო დებულებების შემუშავებისას გამოვლენილ სრულ თვითნებობასა და განუკითხაბეჭე და ამბობს: “რესპუბლიკელთა და დასელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, უკვე დამტკიცებული საარჩევნო დებულება ძირფესვიანად შეიცვალა, ხოლო კიდევ რამდენიმე დამატების შემდეგ მან საერთოდ უპრეცედენტო სახე მიიღო... ყოველივე ამან მოგვცა პარლამენტი, რომელშიც მეტნაკლებად გამოკვეთილი პოლიტიკური სა-

ხის მქონე პარტიებთან ერთად, თითო-ოროლა კაცით არიან წარ-მოდგენილი მცირე პარტიები და ადგილობრივი დეპუტატები...”

აი, ე.წ. კონგრესმენთა და “ოპოზიციონერთა” ნამდვილი სა-ხე, მათი ბრძოლის მთავარი მიზეზიც და მიზანიც, რომელიც ასე-თი მახინჯი ფორმით იქნა დაკმაყოფილებული შევარდნაძის მიერ, და აი, მათი პასუხისმგებლობის ხარისხიც ქვეყნის წინაშე, რომ-ლის უკეთესი მომავლისათვის თოქოსდა იბრძოდნენ.

ამავე წერილში მითითებულია, რომ აღნიშნული “პარლამენ-ტის” მუშაობის დაწყებისთანავე ე. შევარდნაძე დახუნძლული იქნა ახალ-ახალი უფლებამოსილებებით: “სახელმწიფოს მეთაური – აღ-მასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი – მთავარისარდალი – თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე. მისი ერთპი-როვნული კომპეტენციის სფერო გახდა აგრეთვე ადგილობრივ ხე-ლისუფალთა – გამგებელთა, ხოლო სამხედრო მდგრმარეობის გა-მოცხადების შემთხვევაში – ადგილებზე სამხედრო აღმინისტრაცი-ის მეთაურთა დანიშვნაც.” ავტორი აქვე აღნიშნავს: “ნიშანდობლი-ვია, რომ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება სისტემა-ტიურად ხდება არა პარლამენტისა ან მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, არამედ თავდაცვისა და უშიშროების საბჭოში, რომე-ლიც ფაქტობრივად იქცევა ქვეყნის მართვა-გამგებლობის განმსაზ-ღვრელ ორგანიზ... პარლამენტი უახლოეს ხანში რეალურად ვერ განახორციელებს მაკონტროლებელ ფუნქციას, მით უმეტეს, რომ დეპუტატთა საკმაო ნაწილს ამის მოთხოვნილება არც კი გააჩნია. დადგენილების გამოცემის უფლება, რითაც სარგებლობს თავდაცვი-სა და უშიშროების საბჭო, სხვა არაფერია თუ არა საკანონმდებ-ლო ფუნქციების ნაწილის მის ხელში თავმოყრა... თავისთავად ის ფაქტი, რომ შევარდნაძის ხელში ამჟამად თავმოყრილია პრაქტი-კულად მთელი შესაძლო ძალაუფლება, სულაც არ ნიშნავს, რომ რაიმე ცუდი მოხდა. საქმე ის გახლავთ, თუ რისთვის იქნება ეს ძალაუფლება გამოყენებული...” [179, გვ. 1-2] და ამას ამბობს ის ხალხი, ვინც ათასი სიყალბე მოიგონა ზვიად გაშახურდიას დიქ-ტატორად შესარაცხავად, პრეფექტურის ინსტიტუტთან მათი თავ-გამოდებული ბრძოლის ჩათვლით, – აქ კი სახეზე გვაქვს მთელი სახელმწიფო ხელისუფლების აშკარა უზურპაცია, რაშიც, რო-გორც ვნახეთ, რესპუბლიკელები ცუდს ვერაფერს ხედავთ. აი,

ასეთია, სამწუხაროდ, ამ ძალთა მიერ გამოყენებული ორმაგი სტანდარტი. თუმცა ბატონი ივლიანე აქ აღიარებს, რომ “სახელმწიფობრივი სტრუქტურები ისევ მისადაგებულია ერთ კაცს, ერთ ხელმძღვანელს, რომლის უნარსა და შეძლებაზე ლამის ყველაფერი არის დამოკიდებული.” [იქვე] ამგვარ ფონზე კი აჭარის ეწ. ოპოზიციონერ მესვეურთა მიერ ყურადღების ცენტრის აჭარის პრობლემებზე გადატანა და ზემოთ მოტანილ ამბებთან შედარებით ბანალური კითხვის დასმაც კი – “არის თუ არა აჭარის დღვევანდელი ხელისუფლების კურსი სეპარატისტული?”, [179 ა] – რბილად რომ ვთქვათ, ტენდენციურია, რადგან საქართველოში ხუნტისტური მმართველობის ერთპიროვნული დიქტატურისაგან აჭარის მმართველობა დიდად არაფრით განსხვავდებოდა, და თუ მისი ძალადობრივი ზეწოლისაგან თავის დაცვას ახერხებდა, ეს მის ღირსებად უნდა ჩაითვალოს და არა ნაკლად, რადგან ამ ძალადობის შედეგები საყოველთაოდ ცნობილია (დღეს მაინც) საქართველოში.

სადამდე მიიყვანა ქართული საზოგადოება საქართველოში ხუნტის მოღვაწეობის შედეგად შექმნილმა ატმოსფერომ, ამის ადექტურ სურათს გვაძლევს პროფესორ გივი გაჩეჩილაძის სტატია – “ზნეობისა და კანონიერების შესაბამისობა”, – რომელშიც ავტორი აღნიშნავს: “დღევნდელი პარლამენტის ყველაზე გავლენიანი ნაწილი, რომელიც გუშინ სახელმწიფო საბჭოსთან აქტიურად თანამშრომლობდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კრინტს არ ძრავდა ადამიანის ძირითად უფლებათა უკიდურესად უხეშ დარღვევებზე, რაც მიტინგების სისხლიანი დარბევით, უდინაშაულო მომიტინგეთა არც თუ მცირე რაოდენობის დაღუპვითა და მრავალი მათგანის რეპრესიებით აღინიშნა. აი, ასეთი ამბების მოწმე, თავისი დუშილითა და პასიური პოზიციით გარკვეულწილად ხელისუფლების უკიდურესად რეპრესიული პოლიტიკის წამაქეზებლები, დღეს გამოდიან კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს უმძიმესი დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოში შემოგზავნილი დაქირავებული ბანდიტების სკივდილით დასჯას. როგორი ალტერნატივა?”, – კითხულობს ავტორი და განაგრძობს, – “დაუნდობელი ანგარიშსწორება თვისტომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებთან და ლმობიერება და მიმტევებლობა არაადამიანური სისასტიკით და ველური სადიზმით მებრძოლ გარეშე მტერთან? იქნებ ჩვენ

ისეთ ერად გადავიქეცით, რომელსაც თვითლიკვიდაცია „უფრო ეხერხება, ვიღრე თავდაცვა გარეშე მტრისაგან?” [180] – ავტორის ეს პასაჟი ყველაზე მეტყველი დადასტურებაა შევარდნაძის რეზი-მის მიერ საქართველოში გაბატონებული მაზობისტური ზნეობრივი ატმოსფეროს დასახასიათებლად – დაუნდობელი ბრძოლა შიგა ეროვნული ძალებისა და განსხვავებული აზრის წინააღმდეგ და გაუგონარი მიმტევებლობა ჩვენი ქვეყნის აშკარა მტრებისადმი.

1993 წლის 5, 14 და 28 აპრილს ქალაქ თბილისში, ასევე 28 აპრილს ქ. სამტრედიაში დარბეული მშენდობიანი მიტინგების შესახებ, რომლებიც მოითხოვდნენ შევარდნაძის ხელისუფლების გადადგომას და კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, განცხადება გააკეთა მრგვალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, [181] ასევე პოლტესტით გამოეხმაურა კონსტიტუციური გამსახურდის აჭა-რის ორგანიზაციის გამგეობაც. მასში ნათქვამია “1. შეწყდეს “დე-მოკრატი” ხელისუფალთა მიერ საკუთარ ხალხთან ძალისმიერი მე-თოდებით ლაპარაკი, მათი ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული ქმედებები, 2. შეწყდეს განსხვავებულად მოაზროვნეთა დევნა-რეპ-რესიები... 3. ბოლო მოელოს პოლიტიკურმა მიმებს და დაუ-ყოვნებლივ განთავისუფლდნენ ისინი. 4. ...გადადგეს ფაქტიური ხე-ლისუფლება. 5. საქართველოს დაუბრუნდეს დევნილი პრეზიდენტი და აღდგეს კანონიერი ხელისუფლება.” [182, გვ. 14]

კანონიერების აღდგენის მოთხოვნით გაიშალა აქტიური მუ-შაობა მთელი საქართველოს მასშტაბით. თბილისის ივ. ჯავახიშვი-ლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 თანამშრომ-ლის მიმართვისადმი მხარდაჭერამ საქართველოში საყოველთაო ხა-სიათი მიიღო, რამაც ფაქტობრივი ხელისუფლება დიდ საგონებელ-ში ჩააგდო და ამ მიმართვაზე ასეულ თასობით მხარდამჭერთა ხელმოწერების შეჩერება მან მხოლოდ იმით მოახერხა, რომ გაზე-თი “იბერია-სპექტრის” გამოცემა, სადაც ეს ხელმოწერები ქვეყ-ნდებოდა, კარგა ხნით აკრძალა. [183] საქართველოში აღნიშნულ მიმართვას ერთერთი პირველი გამოეხმაურა აჭარაც. სრულიად სა-ქართველოს ე.პ.მ. “ჭყონდიდელის” აჭარის სამხარეო ორგანიზაციის მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერდნენ უჩა ოქროპირიძე, ნი-ნო ნოღადელი, ლევან დუმბაძე, გ. სვანიძე, გელა დუნდუა, თემურ ბერიძე, მ. ქვილითათა, მანანა ჩხიგვაძე, ლამარა კერვალიშვილი,

ანზორ გვარამია, გიორგი ჯიჯავაძე და სხვები, აღნიშნულია: “სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჭყონდიდელის” აჭარის სამხარეო ორგანიზაცია მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 მეცნიერისა და თანამშრომლის მიმართვას ედუარდ შევარდნაძისადმი.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ მის გადადგომას მოჰყვება ყველა დაპირისპირებულ ძალთა შერიგება და ურთიერთნდობის აღდგენა.

თუ ბატონი ედუარდი მართლა ფიქრობს საქართველოს გადარჩენაზე, ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიმოქმედებს.” [იქვე, გვ. 2]

ანალოგიური განცხადებით მიმართა ედ. შევარდნაძეს კ. გამ-სახურიდის საზოგადოების აჭარის ორგანიზაციამაც. მასში აღნიშნულია, რომ “სამხარეო ორგანიზაციის წევრები ვთვლით, რომ მიმართვაში დაყენებული მოთხოვნა ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შესახებ იხსნის საქართველოს და მის ერს გადაშენებისაგან. მხოლოდ კანონიერების აღდგენა საფუძველია თავისუფალი, დემოკრატიული და ეროვნული სახელმწიფოს აღმზენებლობისათვის.” – ქ. ბათუმიდან მიმართვას ხელს აწერნ რეგაზ ნაკაშიძე, ნოდარ შარაძე, ნუგზარ ჩხაიძე, ნათელა ასკურავა, ანგელინა გაბრიაშვილი, ნათელა სულავა და სხვა, ხოლო ქობულეთიძან მაყვალა ბუკა, მანანა ანთაძე, თაიგულ გვასალია, ლამზირა და გულიკო ოქროპირიძები, იასგულ მუგანაძე, ჯონი კუტალაძე, ნოდარ მამისაიშვილი, ნაილა ჩელებაძე, ნანა ოქროპირიძე, ოთარ ნაკანი, გივი ცივაძე, ნოდარ მამულაძე და სხვები. [184, გვ. 2]

ამავე პერიოდში უნდა აღნიშნოს, რომ ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა აჭარიდან გაგზავნილი მამხილებელი წერილები, რომლებშიც ასახვას პოულობდა საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ განვითარებული მოვლენები; 1993 წლის 18-24 მაისის გაზეთში “იბერია-სპექტრი” რუბრიკის ქვეშ – “წერილი ბათუმიდან” – გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც საქართველოში ხუნტის მიერ ჩადენილი თითქმის ყველა დანაშაულთა მხილების შემდეგ საუბარია აჭარის გარშემო შექმნილ ვითარებაზე. კერძოდ, მასში ნათქვამია: “...კარგად ვხედავთ, რომ პუტჩისტური მმართველობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა საბოლოოდ გათიშოს და ერთმანეთს დაუბირისპიროს საქართველოს

ცალკეული რეგიონები და მათ შორის აჭარაც... დღეს აჭარაში შედარებით სიმშვიდეა (თუ შეიძლება დღევანდველ საქართველოში საერთოდ სიმშვიდესა და მშვიდობაზე ლაპარაკი), რომელსაც ზოგიერთები “შეიარაღებულ მშვიდობას” უწოდებენ. მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ მაშინ, როდესაც მთელი საქართველოს მასტებით შეიარაღებული კრიმინალური ბანდები დათარუშობენ... სიმშვიდისა და მშვიდობის დაცვა-შენარჩუნების სხვა რა გზა ესახებათ, ან თვითონ რა ძალებს დაუპირისპირებდნენ ქვეყნის საძარცვავად აღმდგარ შეიარაღებულ ბრძოებს, რომელთაც უკვე რამდენიმე გზის გადაჭამეს და მოიალაფეს თითქმის მთელი საქართველო. თუ აქაოდა, აჭარა “განსაკუთრებული” რეგიონია და ზელი არ ვახლოოთ, — ამგვარად ნაშესზე შეგდებით მოულბობინენ გულს ძარცვა-გლეჯის დაკანონებით გაქსუებულ და სხვისი ქონების განუკითხავ მიტაცებაზე კბილებდალესილ არამზადებს??!!

არა ბატონებო! ისინი, ვინც თუნდაც ერთხელ დაუშესახურებლად შეურაცხყო თანამომე და არ მოინანია, ან მას ძალადობით წაგლივა თუნდაც ერთი გროში, საქართველოს და ქართველების ინტერესების დამცველებად არსად გამოდგებიან... ამიტომაც ისინი, ვინც საქართველოს საზღვრებში მათი შეუფერხებელი გადაადგილების აუცილებლობის მომიზეზებით, მათი აჭარაში შემოყვანის აუცილებლობაზე ყელდობენ, საერთო ქართული საქმის კეთილმოსურნებად არ შეიძლება ჩაითვალონ...

...უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ბევრ რამეს გაურკველობის ბურუსი აბუნდოვნებდა და მასზე დაფუძნებული დემაგოგისა და დეზინფორმაციის გზით დეზორიენტაციის შეტანა შეძელით საერთო ქართულ ეროვნულ საქმეში... საქმაოდ ცნობილია თქვენი “მზრუნველობა” და მის გამო ატენილი ფაციუუცი აჭარის გარშემოც და რადგანაც თქვენი ამ “მზრუნველობის” შედეგები მთელს საქართველოში სახეზეა, ამიტომაც გაფრთხილებთ, რომ ყოველი თქვენი ნაბიჯი, რომელიც აჭარაშიც გამოიწვევს დესტაბილიზაციისა და ქაოსის სტიმულირებას, შეფასდება როგორც ამ რეგიონის მოსახლეობისა და საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული გამყიდველური ქმედება, რომლის ავტორებიც დაუყოვნებლივ მიიღებენ საქადრის პასუხს.

ჩვენ მაინც გვინდა გვჯეროდეს... ახალი ავანტიურებისაგან თავს შეიკავებთ, სულ მალე დაიწყებთ ჭეშმარიტი ტაძრისაკენ და-საბრუნებელი გზების ძიებას... და თქვენს თავთან ერთად გადაარჩენთ საქართველოსაც..." [183, გვ. 11] – ნათქვამია წერილში.

ეროვნული მოძრაობის ძალთა ერთიანი ძალისხმევით სოლი-დარული მიტინგი-მანიფესტაციით აღინიშნა ბათუმში 1993 წლის 26 მაისი. აღნიშნულ აქციაზე მიღებულ რეზოლუციაზე ხელი უნდა მოეწერათ სრულიად საქართველოს ე.პ.მ. "ჭყონდიდელის", პელისინის კავშირის, ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების აჭარის ორგანიზაციებს; მაგრამ პირველი ორი ორგანიზაციის გარდა, დანარჩენებმა აღრევე შეთანხმებულ მიტინგზე მიღებულ რეზოლუციის ტექსტს ხელი არ მოაწერა, რაც ამ ძალთა ურთიერთობაში უკვე შექრილი არავანსაღი იმპულსების შედეგს წარმოადგენდა. რეზოლუციაში აღნიშნულია:

1. ვიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის 103 მეცნიერისა და თანამშრომლის მიმართვის ყველა პუნქტს ე. შევარდნაძისადმი და მოვითხოვთ მის დაუყოვნებლივ გადადგომას.

2. მოვითხოვთ საქართველოს ფაქტიური ხელისუფლების მიერ ანტიეროვნული საქმიანობის შეწყვეტის და ე.წ. პარლამენტის უპირობო დაშლას.

3. დაუყოვნებლივ აღდგეს საქართველოს კანონიერი ხელი-სუფლებისა და მისი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უფლება-მოსილებანი.

4. შეწყდეს მშვიდობიანი მიტინგების დარბევა-დაწვრეტები და პოლიტიკური მოტივებით ადამიანთა დევნა-შევიწროება. ქართველ ხალხს მიუცეს მისი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

5. შეწყდეს საპატიმროებში პოლიტპატიმართა წამება, მათი ღირსების შელახვა და დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს ყველა მათგანი.

6. შეწყდეს მმათამქვლელი ომი აფხაზეთში.

7. ქ. ბათუმის ერთ-ერთ მაგისტრალურ ქუჩას ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელი.

8. გამოვაცხადეთ რა კანონიერების აღდგენა ქართველი ერის ლირსების საქმედ, მოვუწოდებთ მას გაააქტიუროს მშვიდობიანი მე- თოდებით ბრძოლა ამ მიზნის მისაღწევად.

სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჰყონდიდელისა” და კ. გამსახურდიას საზოგადოების აჭარის სამ- ხარეო ორგანიზაციებმა დაიწყეს თავითო ფილიალების ჩამოყალი- ბება აჭარის რაიონებში. ქობულეთის რაიონში ამ საქმეს “ჰყონდი- დელის” ორგანიზაციიდან ხელმძღვანელობდა რეზო ტაკიძე, რო- მელსაც მხარში ედგნენ ადგილობრივი პატრიოტები – ნოდარ მა- მისაიშვილი, სულიკო ვერულიძე, გივი ცივაძე და სხვა, ხოლო ხულოს რაიონში ამავე ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული მოძრაობის ცნობილმა წარმომადგე- ნელმა ვალერი რიუვაძემ, რომელმაც ამ საქმეში მხარში ამოიყენა ბადრი შანთაძე (შემდგომში ხულოს ორგანიზაციის თავ-რე), თამაზ კოჩალიძე და სხვები.

კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე ძალები ამ დროისათვის აჭარაში საქმაოდ მომძლავრდნენ და საქართველოში მათი საყოველთაო დევნის პირობებში ბათუმში შესაძლებელი გახდა კონსტანტინე გამსახურდიას 100 წლისთაგი- სადმი მიძღვნილი სოლიდური საიუბილეო ღონისძიების ჩატარება. ამის შეახებ გაზეთში “საქართველოს სამრეკლო” ნათქვამია: “14 ივნისს ბათუმში ჩატარდა კონსტანტინე გამსახურდიას 100 წლის- თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია.

კონფერენცია შესაგვალი სიტყვით გახსნა კ. გამსახურდიას საზოგადოების აჭარის სამხარეო ორგანიზაციის გამგეობის თავ- მჯდომარებ რევაზ ნაკაშიძემ... კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვ- რებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა ოთარ გოგოლიშვილმა... სიტყვით გამოვიდა... ნოდარ შარაძე.

დარბაზი ფეხზე ადგომით, ოვაციებით შეეგება სრულიად სა- ქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზი- დენტს ბატონ მუხრან მაჭაგარიანს, ვიცე-პრეზიდენტებს ბატონებს: ელიზბარ ჯაველიძეს, თამაზ ვაშაძეს, სოსო სიგუას...” კონფერენ- ციაზე სიტყვით გამოვიდნენ მუხრან მაჭაგარიანი, ელიზბარ ჯავე- ლიძე, სოსო სიგუა, მოძრაობა “ჰყონდიდელის” პრეზიდენტი ვალე-

რი გაბელია, პოეტი ნოდარ ჯალალონია, თამაზ ვაშაძე, ბადრი მელაძე და სხვები.

აქვე ნათქვამია, რომ – “ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტმა გელა ნიკურაძემ მოუწოდა აჭარის სტუდენტ-ახალგაზრდობას – გაწურიანდეს კ. გამსახურდიას საზოგადოებაში, რათა აქტიური მონაწილეობა მიღლოს საქართველოში კანონიერების, სამართლიანობის აღდგენისათვის უკომპრომისო ბრძოლაში.

დიდმა დარბაზმა ხალხი ვერ დაიტია” [185, გვ. 4] – აღნიშნულია გაზეთში. ამ ლონისძიების ჩატარების საქმაოდ მაღალი დონე განსაზღვრა აჭარის ხელისუფლების პოზიციამაც, რომელიც ლოიადლურ დამოკიდებულებას იჩენდა პრეზიდენტ გამსახურდიას მოშხრე პოლიტიკური მაღლების მიმართ, რაც შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების მიერ საქართველოში შექმნილი აუტანელი ვითარების გამო, ადვილი არ იყო. აი, როგორ ახასიათებს ამ ვითარებას უცხოური პრესა:

“საქართველოში შევარდნაძის არჩევამ პარლამენტის თავმჯდომარედ და სახელმწიფოს მეთაურად ვერ შეაჩერა ამ ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზაცია ავტორიტეტის დაცემა. დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილი ძალისმიერი პუტჩის შემდეგ ქვეყანაში ბატონობენ შეიარაღებული ბანდები. იმავდროულად შევარდნაძე აქტიურად ეწევა ყოფილი კომუნისტური აპარატის აღდგენას... გამოყენებულია ექს-საბჭოთა კავშირისათვის ტიპიური პროკომუნისტური შერევა სახელმწიფო მონაბალიისა და მაფოზური ბანდების ბაზაზე, სადაც ძლიერი პიროვნებები ნადავლს ერთმანეთში ინაწილებენ...”, [183, რას წერენ ჩვენზე ეპროპაში, გვ. 12] – აღნიშნულია გაზეთ “ნოიე ციურიხერ ცაიტუნგის” 1993 წლის 8-9 აპრილის ნომერში. ხოლო ამავე ვაზეთის 13 მაისის ნომერში ნათქვამია: “234 ნომინაციურ დეპუტატთა შორის, რომელიც 26 პარტიად და მოძრაობად არიან დაჯგუფებულნი, არის ოთხი ყოფილი კომპარტიის ცპ-ის მდივანი, ყოფილი ცპ-ის რამდენიმე წევრი, საერთოდ ყოფილ პარტიულ ფუნქციონერთა არაპროპორციულად მაღალი წილია. საქართველოში დღეს ისევ განუყოფელად ბატონობს ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა, თანაც იმდენად, რომ შევარდნაძემ “კგბ”-ც ააღორძინა “დაზვერვისა და ინფორმაციის სამინისტროს” სახით...

მთავრობის მეთაურის მოადგილე რომან გოცირიძე და შე-გარდნაძისადმი მეგობრულად განწყობილი დეპუტატი ირინა სარიშვილი – ედპ-ის ლიდერის გიორგი ჭანტურიას მეუღლე – იძულებული არიან აღიარონ, რომ საქართველოში დღეს განუკითხაობა და ქაოსი ბატონობს. ი. სარიშვილს თუ დავუჯერებთ,“ – აღნიშნავს გაზეთი – “ამას ემატება კონფლიქტი აფხაზეთში, პირველ რიგში ოსელიანის და კოტოვანის შეიარაღებულ ბანდებს რომ აწყობს, რომელნიც მშვიდობიან და სტაბილურ ვითარებაში ძალაუფლების დაკარგვის წინაშე აღმოჩნდებიან. ბ-ნი გოცირიძე და ქ-ნი სარიშვილი იმასაც აღიარებენ, რომ ეკონომიკის მართვაც აგრეთვე მნიშვნელოვანწილად ბანდების ხელშია.

მაშ, რატომ უჭერენ ეს პირნი მხარს შევარდნაძეს?”, – კითხულობს გაზეთი და იქვე პასუხობს, – “ყველაფრის გასაღებია სიტყვა “ფარდობითობა”. სახელმწიფოს მეთაური (ასე თვლის ქ-ნი სარიშვილი) ერთადერთი მასტაბილიზებელი ფაქტორია, უიმისოდ ყველაფრი კიდევ უფრო გაუარესდება. “ის რომ წავიდეს, სხვები გაიმარჯვებენ” – და ის მხოლოდ გამსახურდიას კი არ გულის-ხმობს, არმედ ამ ბანდების მეთაურებს, მათ შორის კიტოვნისა და იოსელიანს,” – აღნიშნავს გაზეთი და ბოლოს აკეთებს ასეთ დასკვნას: “აღბათ შევარდნაძე მართლაც მასტაბილიზებელი ძალაა, მაგრამ ის ასტაბილებს ანარქიას, ნეოკომუნისტურ ოლიგარქიას და – თუნდაც აფხაზეთის მაგალითზე – აშკარა სამხედრო აგრესიას საკუთარი ქვეების მოქალაქეთა წინააღმდეგ.

საქართველოში ამჟამად ბევრად უფრო ნაკლები დემოკრატია, ვიდრე “დიქტატორად” მონათლული გამსახურდიას დროს და ამაზე შევარდნაძე არის პასუხისმგებელი”, [184, რას წერენ ჩვენზე ევროპაში, გვ. 6] – აღნიშნავს გაზეთი.

ასეთ უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში აჭარაში მოქმედმა ეროვნული მოძრაობის ძალებმა საქართველოში კანონიერების აღსადგენად გასაწევი მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურებისათვის საჭიროდ მიიჩნიეს ბათუმში მაშინ არსებული საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის ბაზაზე შეექმნათ პროპაგანდა-აგიტაციის ცენტრი “შავლეგო”, რომლის წესდების პროექტის მუხლში მიზნები და ამოცანები, ნათქვამია:

“ქართული ეროვნული ცნობიერებიდან გამომდინარე კაშშირი მიზნად ისახავს ეროვნული თვითშეგნების ყოველმხრივ აღორძინებას, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების, ტერიტორიული მთლიანობისა და თავისთავადობის დაცვას, მშვიდობიანი ფორმებით სამართლიანობის და კანონიერი ხელისუფლების აღდგენას.” მაგრამ ეროვნული მოძრაობის შიგნით წამოჭრილი წინააღმდეგობის და აჭარის ხელისუფლების მიერ გამოვლენილი პოზიციის გამო, ეს წამოწყება ჩაიშალა.

საქართველოში ფაქტობრივი ხელისუფლების შესახებ მაშინაუბელი წერილები გამოაქვეყნეს უცხოელმა უურნალისტებმა, – იმპან მიქაელ გინტერმა და ფელიქს შულცმა, ვანდა ვანზიდლერმა, ანდრეას ერბერმა, მათიას ვალენტაინმა და სხვებმა. [186, გვ. 8] პირველი ორი თავიანთ უურნალში “Die Drei” წერენ: “...ყოველ ღამეს ავტომატის გამტელი ჯერის ხმა გვესმის. ერთხელ ვიღაც სწორედ ჩვენი ფანჯრების წინ მოკლეს. დღეს თბილისში სხვადსხვა ჯურის შეიარაღებული ბანდები ბატონობენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ურთიერთს ებრძვიან, ყოველი მათგანი ამჟამინდელ ხელისუფალთა დასყრდებს წარმოადგენს...

როდესაც გენშერი პრესკონფერენციაზე ადასტურებდა (თბილისში ყოფნისას – უ.ო.), თითქოს ხუნტამ ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზაზე დააყენა, სასტუმროს წინ თავმოყრილი სტუდენტები ხელკეტებით დაარბიეს... ჯეიმს ბეიკერმა როდესაც თბილისში ე. შევარდნაძე მოინაზულა, მისი გამოსვლის ბოლო სიტყვები: “მე აქ დემოკრატის გზაზე მდგომი ქვეყანა ვპოვ”, ხმამაღლა გადასცეს, რათა ჩაეხშოთ სროლის ხმა, რითაც ხუნტის ბანდები ათიათასიან საპროტესტო დემონსტრაციას არბევდნენ,” – აღნიშნავენ ავტორები და იმავე წერილში ამბობენ, რომ 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის ამბებს “პარიზიდან ე. შევარდნაძემ “დემოკრატიული რევოლუცია” უწოდა... მოგვიანებით “საქვეყნოდ ცნობილი დემოკრატი” შევარდნაძე ქება-დიდებას ასხამდა ბანდების დანაშაულს, როგორც დიდ წვლილს დემოკრატიულ რევოლუციაში”. მათ სწორედ დემოკრატია დაასამარეს საქართველოში” – მართებულად შენიშნავენ ავტორები და იქვე მოგვითხრობენ ხუნტის ზოგიერთი ფუნქციონერის უშედეგო მცდელობაზე რამენაირად გაამართლოს ხუნტის მმართველობა და უარყოს მის მიერ ჩადენი-

ლი დანაშაულობანი, მათ შორის ხალხის მკვლელობანი. ავტორთ მოჰყავთ ასეთი თვალსაჩინოება მათი ტყუილის სამხილებლად, რომ მრავალგზის შეკითხვის მიუხედავად იგი (ვახტანგ გოგუაძე-ზეა საუბარი – უ.ო.) ვერცერთ გვარს ვერ იხსენებს. დაგვპირდა სიას “არამკვდართა” გვარებით, რაც ვერასგზით ვერ მივიღეთ მიუხედავად ყოველდღიური მოთხოვნისა.

“ზაზა წიკლაური მანქანიდან გადმოვარდა”, ირაკლი გოცირიძის ვაჟი ფსიქიურად არამდგრადი იყო, არაფერია ცნობილი დევნილ პარლამენტართა დაპატიმრების შესახებ.” თვით გამსახურდა? – ზის გროზნოში ლენინის ბიუსტის ქვეშ. იგი ქართველი ხალხის წინააღმდეგ იბრძის, როგორც მოსკოვის იმპერიული ცენტრის შავი ძალების არალი. “იგივე გვითხრა მანამდე სანდრო კავშაძემ” [იქვე, გინტერი ი.მ., შულცი, ფ., კავკასიური მოგზაურობის ჩანაწერები] წერენ ავტორები ქართველ ფუნქციონერთა ვირეზმაკული პასუხებით საგონებელში ჩავარდნილნი, რადგან კარგად იცოდნენ რასთან პეტრიდათ საქმე, მაგრამ ამ ხალხის უბასუსის-მგბლობა და თვითნებობის უსაზღვროება, ძალიან აკვირებდათ. აქვე თავიანთ სტატიას რამდენიმე დამხასიათებელი შტრიხით ავსებენ: “...გოგუაძის კაბინეტიდან ერთი, ხოლო შევარდნაძის ბიუროდან სამი სართულით ქვევით დღესაც არსებობს ჯერ კიდევ სტალინისა და ბერიას დროინდელი საპყრობილე... მთავრ როლს ოფიციოზის გაზეთებთან ერთად სრულებით დეგენერირებული ტელევიზია ასრულებს. თვითდაცვის მიზნით თვეების მანძილზედ თავშეუკავებლად იტყუებინ ისე, რომ მოსახლეობა საყოველთაო საინფორმაციო ფსიქოზმა მოიცვა. გამსახურდიას სახელით ტელევიზია თხზავდა მოწოდებებს, სადაც იგი თითქოსდა პროცაგნდას უწევდა შეიარაღებულ ბრძოლას, ქვეწის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, საქართველო-ჩეხნეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და ა.შ... ცნებების აბრუნდი საქართველოში გახშირდა. სიცრუე განსაზღვრავს ყოველდღიურობას...” [იქვე] შემდეგ ავტორები ხაზს უსვამენ თუ ცილისწამების რა ფორმებს მიმართავდნენ გამსახურდიას წინაშე, თუ რა უბედურებები დაატრიალეს ხუნტისტებმა სამეგრელოში და ბოლოს მოგვითხრობენ იმ უდიდესი შთაბეჭდილებების შესახებ, რაც მათზე ზვიად გამსახურდიასთან პირად შეხვედრას მოუხდენია.

“ზვიად გამსახურდია, როგორც პოლიტიკოსი, მეცნიერი და პიროვნება, — მოწყვეტილი იქნა საქართველოდან. კითხვაზე — ლიტერატორ-მეცნიერ გამსახურდიასათვის უკეთესი ხომ არ იქნებოდა უნივერსიტეტში დარჩენა, — მან გვიპასუხა: როგორ შემეძლო ჩვენს საზოგადოებრივ მდგომარეობაში შინ ჯდომა და მხოლოდ ცქერა? ადამიანი ქრისტიანი უნდა იყოს არა მარტო სულიერი თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულადაც,” — ყვებიან ისინი და თავიანთ ძალზე მნიშვნელოვნობა წერილს ასე ამთავრებენ, — “მიწაზე ისე, როგორც გულმოწყალე სამარიტელი ხედავდა ტანჯვას და მოქმედებდა. მებრძოლი ქრისტიანობა თავისი შინაარსით წარმოადგენდა ქართული კულტურის შინაგან არსს, ურჩეულზე გამარჯვებული წმინდა გიორგის თაყვანისცემაში გაცხადებულს.” [იქვე, გვ. 9]

ასეთი ვრცელი ამონაწერების მოტანა ნაშრომში უცხოეთის წარმომადგენელთა წერილებიდან საჭიროდ ვცანით, იმიტომ, რომ დღევანდელმა ახალთაობამ და უბრალოდ საქმეში ნაკლებად ჩახელულმა ხალხმა ნათლად დაინახონ თუ რა ფორმები მიიღო საქართველოში ეშმაკეულისა და სიკეთის, წარმავალისა და მომავლის გასაგნებულმა ბრძოლამ, — რა დონეზე შეიძლება დაიყვანოს ადამიანი აზროვნების “მესამე მდგომარეობაში” ყოფნამ, და საერთოდ, რას ნიშნავს “პომო სოვეტიკების” და სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს მისი შინაარსის სიღრმისეულმა ხვეულებმა ყოველგარი ადამიანური ურთიერთობების გადაგვარებაში. ასეთ ფონზე კი სრულიად ბუნებრივად გამოიყურება ე. შევარდნაძის 1993 წლის 9 ივნისის განცხადება, რომ “რუსეთი ის რუსეთი აღარაა, გამოიცვალა და “სნგ”-ში შესვლასთან დაკავშირებით უნდა მოეწყოს რესპუბლიკური რეფერენდუმი”, რამაც საქართველოში უდიდესი აღმფოთება გამოიწვია. ქართველმა ახალგაზდრობამ პირდაპირ განაცხადა: “რეაგირების გარეშე არ დავტოვოთ ე. შევარდნაძის განცხადება.

მეგობრებო, გაერთიანებული ძალით უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენი პასიურობით არ დაიკარგოს ის, რის მოპოვებასაც ჩვენმა თანატოლებმა სიცოცხლე შესწირეს.” [185, გვ. 15]

აი, ასე ანგრევდა და ანადგურებდა ე. შევარდნაძე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაგარს, და ამიტომაც იბეჭდებოდა უცხოურ პრესაში მის შესახებ სტატიები ასეთი

სათაურებით: “მომაკვდავი დემოკრატია საქართველოში, – შევარდნაძე – ბანდიტური ძალაუფლების მომხვეჭელი”, [187, გვ. 12] “ქართველი ხალხი ვერაგობის და ცინიზმის მსხვერპლია” [184 ა, გვ. 6] და სხვა. ამ უკანასკნელ სტატიაში “სოვიეტ ანელისტის” მიერ გაკეთებულ ანალიზში სხვასთან ერთად აღნიშნულია, რომ “როგორც ჩანს, დასავლეთი, მეტადრე შეერთებული შტატები, თავის დროზე დათანხმდნენ რუსეთის სადაზვერვო სამსახურის სურვილს, რომ საქართველოში შექმნილიყო მარიონეტული რეჟიმი.” – დროა დასავლეთმა აღიაროს “დოკუმენტურად დადასტურებული ეს უდავო ფაქტი, რომ ჩვენ ვერაგულად ვუდალატეთ ამ მამაც ხალხს და მათ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას. დროა, სადაც ჯერ არს, მთელ მსოფლიოში სათანადო ნაბიჯები იქნას გადადგმული ამ შეცდომათა აღიარებისათვის”, – ამბობს უურნალ “სოვიეტ ანალისტის” რედაქტორი, ქრისტოფერ სტორი და დასავლეთის მთავრობებს მოუწოდებს: “მოიკრიბონ მორალური ძალა, გამოავლინონ კეთილგონიერება და აღიარონ, რომ დასავლეთი საქართველოს უსინდისოდ მოექცა და არ დაკარგოს დრო, ამ ვითარების გამოსასწორებლად...” [იქვე]

ამავდროულად საქართველოში ხუნტის მიერ გაღვივებული სამოქალაქო დაპირისპირება თავის პიკს აღწევს და შევარდნაძის კრიმინალური ხელისუფლება ყველაფერს კადრულობს თავის გადასარჩენად, მის საპირისპიროდ კი ფართო გაქნებას ღებულობს ეროვნული დაუმორჩილებლობის მოძრაობა. ამასთან მდგომარეობა ეწ. აფხაზეთის ომში საკმაოდ რთულდება. მოწინააღმდეგე ცდილობს ისარგებლოს საქართველოში შექმნილი ვითარებით და გადამწყვეტი სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვოს ომში. მაგრამ საქართველოს კანონიერი და ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებულ ძალთა ერთობლივი მოქმედების შედეგად მტერი სასტიკ მარცხს განიცდის ტამიშთან და მისი გეგმები იფუშება. [188, გვ. 1] დაიწყო ქართულ ფორმირებათა შორის ურთიერთვაგების და სწრაფი დაახლოების პროცესი. ამ პროცესის ჩასაშლელად შევარდნაძის საინფორმაციო სააგენტო ”მაცნე“ ავრცელებს ცილისმწამებლურ დეზინფორმაციას, რომ თითქოს საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაქტისებინოს ჯილდო აფხაზეთიდან გამოქცეული მეომრებისათვის, [იქვე] რომლის მიზანსაც ამ ორ ბანაკს

შორის ურთიერთუნდობლობის გაღვივება წარმოადგენდა (სრულიად საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის პრესცენტრის მამხილებელი განცხადება, თუ სინამდვილეში რაში იყო საქმე, აღნიშნულმა საგენტომ არ გადასცა). საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება და მისი მიზნები ეწ. აფხაზეთის ოში თავიდან ბოლომდე ამხილა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდამ თავის “მიმართვა ქართველი ერისადმი, აფხაზეთში დისლოცირებული ყველა ქართველი მეომრისადმი” და ბოლოს მასში აღნიშნა: “...მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ქართველ მებრძოლსა და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას: არ დაემორჩილოთ ე. შევარდნაძეს და მისი კომუნისტური ხუნტის ბრძანებებს, არ დათმოთ აფხაზეთის, – ძირძველი ქართული მიწის არც ერთი კოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები. აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის!...” [189] მაგრამ საგმარისი არ იყო საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი მარტო დასავლეთის გამოფხიზლება. აქ კანონიერების აღსადგენად აუცილებელს წარმოადგენდა მთელი ქართული ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობისა და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ძალისწმენათა გაერთიანება და კოორდინაცია საერთო მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ მიმართულებით გაიშალა მძლავრი მუშაობა მთელ საქართველოში 1993 წლის ზაფხულში, რასაც შედეგად მოყავა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია ამავე წლის 8, 9 და 10 ივლისს ქალაქ ზუგდიდში [190, გვ. 1-4] და ამავდროულად აქვე საქართველოს მრგვალი მაგიდის სხდომის ჩატარება. [იქვე, გვ. 5]

8 ივლისს ჩატარდა სესიის მოსამზადებელი სამუშაოები, საბოლოოდ დაიხვეწა დოკუმენტები, რომლებიც სესიაზე უნდა გასულიყო. 9-10 ივლისს ქ. ზუგდიდში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, რომელზედაც დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს დეპუტატებმა გ. ფირცხალააშვილმა, შ. აბზიანიძემ, ვ. ცაგარეიშვილმა, მ. გაბაშვილმა, რ. პეტრიაშვილმა. გ. თაქთაქიშვილმა, ნ. მოლოდინაშვილმა და სხვ.

განხილული იქნა საკითხები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 9 ივნისის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ და სხვა. მეტად მნიშვნელოვანი იყო დეკუტატ ბ. გიორგობიანის განცხადება – საკუთარ მოქალაქეთა წინააღმდეგ გენოციდის პოლიტიკის გატარებისათვის შეგარდნაძის მეთაურობით მოქმედი რეჟიმის საერთაშორისო სამართლის მიერ გასამართლების მიზანშეწონილების შესახებ.

სესიამ მოისმინა და დაამტკიცა შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვები ქართველი ერისადმი, ლტოლვილებისადმი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო პარლამენტებისადმი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში მებრძოლი მეომრებისადმი, კავკასიის ხალხებისადმი, უკანონო ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი გვარდიისა და პოლიციისადმი, საქართველოს პრეზიდენტისადმი. განცხადებები ჩეჩენეთში მიმდინარე მოვლენებისა და ე. შეგარდნაძის საერთაშორისო სამართლის მიერ გასამართლების აუცილებლობის შესახებ.

გაიმართა დებატები, დაისახა საქართველოში შექმნილი უმბიმესი მდგომარეობიდან გამოსვლის საგანგებო ღონისძიებები. [191, გვ. 1]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აღნიშნულ სესიას დეპუტატების სტატუსით ესწრებოდა აჭარიდან ტ. ფუტკარაძე, ხოლო სტუმრად მიწვევულნი იყენებო უ. ოქროპირიძე, ნ. ნიღაოდელი, ლ. კერვალიშვილი, რომლებმაც აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდში ამავდროულად გამართულ სრულიად საქართველოს მრგვალი მაგიდის პარტიებისა და ორგანიზაციების გამსვლელ სხდომაში. მრგვალი მაგიდის გამსვლელ სხდომაზე დღის წესრიგის მთავარ საკითხს წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის განხილვა, მიმდინარე პლებისციტის შედეგები, დაისახა მისი დროულად დამთავრებისათვის კონკრეტული გზები, მოისმინეს ინფორმაცია უზენაესი საბჭოს მუშაობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების ირგვლივ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს: თეგიზ კიკაჩევიშვილმა, ზაურ ქობალიამ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ავთანდილ რცხილაძემ, ბიძინა გიორგობიანმა, ნინო

ნოღაიდელმა, ზაურ კვარაცხელიამ და სხვებმა. სხდომამ მიიღო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ “ხუნტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის გაუქმებამ და 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენამ ხელი შეუწყო იმპერიული ძალებისა და მისი ქართველი ემისრების დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებას. ამდენად სახელმწიფო გადატრიალებით იმთავითვე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას.

ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზაა კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

ამ მიზნის მიღწევის გზაზე თვისობრივად ახალი ეტაპია საქართველოს რესპუბლიკის უზხოანესი საბჭოს მესამე მოწვევის პირველი სესიის ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები მხარს უჭირენ სესიის გადაწყვეტილებებს...” [190, იქვე] და აშ.

როდესაც საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავდა აფხაზეთში ქართული პოზიციების განსამტკიცებლად და სოხუმის გადასარჩენად, ე. შევარდნაძე სოჭში დებს მორიგ კაპიტულანტურ შეთანხმებას, რითაც ფაქტიურად ახდენს მტრის წინაშე მდგომი სოხუმის თავდაცვის პარალიზებას და მისი დამცავი სამხედრო ძალების განიარაღებას. ამ ხელშეკრულების სარგებლიანობას აფხაზური მხარისათვის ცნობილი გუდაუთელი ლიდერი ქ. ოზგანი ასე ახასიათებს: “თითქოსდა ეს არის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება, მაგრამ მინდა გულახდილად გითხრათ და დაგარწმუნოთ ყველა, ვინც მისმენს: ეს არ ნიშნავს იმსა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იქნება – ეს გამორიცხულია – აფხაზეთი არ იქნება საქართველოს შემადგენლობაში. ის თავისუფალი სახელმწიფო იქნება...”

“მე ვიცი, რომ ამ დოკუმეტს – სოჭის ხელშეკრულებას – მხარს არ დაუჭირს საქართველოში ფართო საზოგადოებრიობა, რადგან ეს დოკუმენტი არ არის სასარგებლო საქართველოს სახელმწიფოსათვის, საქართველოს არმიისათვის. ეს დოკუმენტი სასარგებლოა აფხაზი ხალხისათვის, აფხაზეთის სახელმწიფოსათვის. და თუ პერსპექტივაში ამ დოკუმენტს ნორმალურად გამოვიყენებთ,

მჯერა, აფხაზეთი მიაღწევს ყველაფერ იმას, რისი მიღწევაც უნდა. ამ დოკუმენტის მეშვეობით ჩვენ მივალთ მთლიან სამხედრო-პოლიტიკურ გამარჯვებამდე.” [192, გვ. 1] ასეთმა დოკუმენტმა, რა თქმა უნდა, საქართველოში აღმფოთების ახალი ტალღა გამოიწვია და ე. შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით გამართულმა მიტინგებმა და მანიფესტაციებმა მთელს ქვეყანას გადაუარა. აჭარაში მოქმედ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდის მხარდამჭერთა ხალხმრავალ მიტინგზე 1993 წლის 2 აგვისტოს წაკითხულ იქნა მიმართვა “მამულოშვილნო!”, [176, გვ. 5] ხოლო აღნიშნული მიმართვის შინაარსიდან გამომდინარე აჭარაში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განცხადება გაიგზავნა და გამოქვეყნდა გაზეთში” იბერია-საქექტრი”. [193, გვ. 6] მასში ნათქვამია: “...შევარდნაძემ ვერ მოახერხა მის მხარდამჭერ ძალებზე დაყრდნობით ჰეშმარიტი ქართული ეროვნული მოძრაობის განაღვეურება. ამ მიზნითაა გადადგმული მორიგი “საზავო” ნაბიჯიც, ფაქტობრივად წელისუფლებამ რუსეთთან მის მიერ ადრე დადებული შეთანხმებების (1992 წ. 3 სექტემბერი, 1993 წ. 14 მაისი) აშკარა კრახის ფონზე ხელი მოაწერა ქართული მხარისათვის კაპიტულანტურ გარიგებას, რითაც რუსეთს შესაძლებლობა მისცა ამ შეთანხმების ყველა პუნქტი გამოიყენოს საკუთარი მიზნების მისაღწევად. თუ ადრე რუსეთი იძულებული იყო საქართველოს წინააღმდეგ შენიდბულად ემოქმედა, ახლა მას ეს ფორმალობაც მოეხსნა, რადგან ამ შეთანხმებით მას შეექმნა საქართველოს შინაურ საქმეებში აშკარა ჩარევის ახალი სამართლებრივი ბაზისი.

ჩვენ აჭარაში მოქმედი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ შევარდნაძის რეჟიმის კაპიტულანტური პოლიტიკის წინააღმდეგ, ვერობთ ქართველი ერის გენოციდსა და საქართველოს ტერიტორიული მთიანობის დარღვევისაკენ მიმართულ ქმედებებს.

მოვითხოვთ ე. შევარდნაძის დაუყოვნებლივ გადადგომას და კანონიერი ხელისუფლების აღდგენას.” [იქვე] ანალოგიური მოთხოვნით მიმართა ამავე გაზეთს ბათუმელ ინტელიგენტთა ჯგუფმა ნუნუ სკამკოჩაიშვილის, გიორგი არველაძის, ინგა ფაცურიშვილის, თალიკო შეყილაძის, ლია ვანაძის და სხვ. სახით. [იქვე]

საქართველოს დევნილმა უზენაესმა საბჭომ მორიგი ნაბიჯი გადადგა და 1993 წლის 2 სექტემბერს გამართულ თავის სესიაზე მიიღო დადგენილებანი “საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქართველოში ფუნქციონირების აღდგენის შესახებ” და “საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დევნილობიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ”. ამ უკანასკნელში აღნიშნულია, რომ “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: 1) მოთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბრუნდეს დევნილობიდან საქართველოში და განაგრძოს თავისი უფლებამოსილების შესრულება.” [194, გვ. 2] ამ დადგენილებებს მოჰყვა დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერი სტრუქტურების აღდგენისა და მისი მშვიდობიანი დამკიდრების უწყვეტი პროცესი, რასაც შევარდნაძემ აღნიშნული პროცესის ჩასშლელად ხელისუფლების მორიგი პროვოკაციებით უპასუხა. მათ შორის თავისი ხასიათის ყველაზე ორიგინალური იყო დაუმორჩილებელი რეგიონებისაგან ფოთის პორტისა და მისგან მომარაგების მიღების ბლოკირებისათვის რკინგზაზე მის მისადგომებთან ვაგონების დადუღება და ამ ქმედების გამსახურდიას მომხრებზე გადაბრალება. [იქვე, გვ. 1] ამავე მიზნით ე. შევარდნაძემ მორიგი ვოიაჟი დასავლეთ საქართველოში და თავისი პოზიციების განსამტკიცებლად 1993 წლის 5 სექტემბრისათვის შეხვედრები გამართა ქუთაისში, ფოთში, იმავე დღეს ეწვია ბათუმს და შეხვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს. ამავე შეხვედრების დროს იგი შეხვდა სამხედრო ნაწილის მეთაურებს, შ/ს სამინისტროს, თავდაცვისა და საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელებს – გ. ყარყარაშვილს, თ. ხაჩიშვილს, ჯ. იოსელიანს, კ. კობალაძეს [იქვე] და სხვა. გააქტიურდნენ შევარდნაძის მართონებული რეჟიმის მსახური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. როგორც რადიო-სადგურ “ამერიკის ხმის” კორესპონდენტი ამბობს – “ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ...თხოვნით მიმართა ბ-ნ შევარდნაძეს, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს და სასტიკო ზომები მიიღოს იმ სიტუაციის აღმოსაფხრულად, რომელიც დღეს სუვერენიტეტის დასავლეთ საქართველოში...” [194, გვ. 2] ხოლო იმავე რადიო-სადგურისათვის მიცე-

მულ ინტერვიუში გაზეთი “იბერია-სპექტრის” რედაქტორი ბ-ნი ირაკლი გოცირიძე ლაპარაკობს რა საზოგადოება “თბილისელზე” ამბობს: “...ძალიან დიდი შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დღეს ფილარმონიის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ საზოგადოება “თბილისელის” წევრები, რომლებიც მოითხოვენ იმ ადამიანთა დათრგუნვას, თავიანთ ნებას რომ გამოხატვენ. ეს ძალიან შემაშფოთებელია, ეს არის დახლოებით იგივე, რასაც მოითხოვს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უფროსი. შემაშფოთებელია იმით, რომ კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას. იმის მაგივრად, რომ კომპრომისზე წავიდეს ეს ხელისუფლება, რაც მის სისუსტეს კი არ გამოამჟღავნებს, არამედ – კეთილ ნებას, ზოგიერთები კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სახელმწიფოს მეთაური უფრო კომპრომისულ პიროვნებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე მისი ფანატიკურად მხარდამჭერი ზოგიერთი პარტიის ხელმძღვანელი”. [იქვე, 2-4]

კანონიერი ხელისუფლების მომხრეებისადმი დაუნდობელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვენ და სახელმწიფო მეთაურს ეპარქიერებიან ვ. აფრიდონიძე, მარიამ ძაბაძიძე, ვალერი გვარაცხელია, დავით ზეიკიძე და სხვები. [195, გვ. 3] გაზეთი “საქართვლოს რესპუბლიკა” ცდილობს რა ზეწოლას ეროვნულ პოზიციებზე მდგარ პრესაზე, აცხადებს: “...მეტად მარტივად და ცალსახად განაწილდა პოზიციები – ზოგმა დაინახა შექი, ზოგმა არა. აქ მოვიშველიოთ სოციოლოგთა ხერხი: “დრონი”, “ახალგაზრდა ივერიელი”, “სეობილნაია გრუზია”, “საქართველოს რესპუბლიკა” ჩანს, ამჩნევენ შექს გვირაბის ბოლოში, რასაც ვერ ვიტყვით გაზეთებზე: “რეზონანსი”, “ივერია-ექსპრესი”, “საქართველო”, “იბერია-სპექტრი”, “საქართვლოს სამრეკლო”. [იქვე] ეს არის ხუნტისტური მმართველობის პერიოდში მეტად წახალისებული საინფორმაციო საშუალებების მიერ თავიანთ მოწინააღმდეგეთა დასმენის ჩვეულებრივი პრაქტიკა. ხოლო ჭაბუა ამირეჯიბი, რომან მიმინოშვილი და ჯანსულ ჩარკვიანი ასე გამოხატავენ თავიანთი სულიერი ლიდერი-სადმი ხბოს აღტაცებას: “თქვენ დაშლილი საბჭოთა კავშირიდან კი არ მოსულხართ ჩვენთან, კი არ გარდაქმნილხართ, არამედ ჩვენთან იყავით, ჩვენი თაობის წინამღმოლი იყავით (ფერი ფერს, მადლი ღმერთს, – იტყოდა ქართველი – უ.ო.)

მადლობას მოგახსენებთ ბატონო ელუარდ თანადგომისათვის, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ საქართველოს გადარჩენის, თავისუფლებისა და აღორძინებისათვის ბრძოლაში.” [იქვე] – (გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”, 1993 წ. 24 ივლისი)

როდესაც ქართული “ნაღები ინტელიგენციის” ნაწილი ამგვარი საქმიანობით იყო დაკავებული, აჭარის ხელისუფლებამ სცადა ურთიერთდაპირისპირებულ მხარეთა მორის ნდობის აღდგენა და ურთიერთკომპრომისის მიღწევის მიზნით ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა ერთმანეთს ქობულეთის მახლობლად ბობოვგათის სამთავრობო რეზიდენციაში შეხვედროდნენ. აქ მოლაპარაკება გაიმართა 1993 წლის 8 და 9 სექტემბერს. აი, როგორაა მოთხრობილი მის შესახებ გაზეთში “იბერია-სპექტრი”: “...საქართველოს ყველა კეთილი ნების ადმინისტრაციულად ელოდება ამ შეხვედრის შედეგს. და აი ცნობა მოვიდა, მაგრამ სამწუხარო: ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეს!

რატომ მოხდა ეს?” [195. გვ. 1] ამის შესახებ დევნილი ზელისუფლების წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში ბ-ნი თენ-გიზ ჩაჩავა გვიამბობს: “7 სექტემბერს ჩვენი დელეგაცია ჩავიდა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოვგათში. დაგვხვდა მოლაპარაკების მასპინძელი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ასლონ აბაშიძე. სალამოს ჩამოვიდა დელეგაცია თბილისიდან, რომელ-საც ხელმძღვანელობდა ე. შევარდნაძის ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი ბ-ნი ავთანდილ მარგაიანი... მძიმე, მაგრამ კონკრეტული კამათის შეღეგად შევთანხმდით სამ აქტუალურ საკითხზე. თითქმის ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად აღიმართა ბარიერი: თბილისის მხარემ მოითხოვა, რომ მიღებულ დოკუმენტზე ყველას ხელი მოვალეობა არა ოფიციალური დელეგაციების სახელით, არამედ პერსონალურად, პირადად. ეს ყოვლად მიუღებელი მოთხოვნა იყო, რადგან ჩვენც და ისინიც გამოყოფილნი ვიყავით, როგორც ოფიციალური დელეგაციები – ჩვენ დევნილი ხელისუფლების მიერ, ისინი ფაქტობრივ ხელისუფლების მიერ – და არავითარ შემთხვევაში არ წარმოვადგენდით დამოუკიდებელ პიროვნებებს.

ეს ფრიად საეჭვოდ გამიზნული მოთხოვნა იყო, მოთუმეტეს, რომ იმავე დღეს გენერალურმა პროკურორმა თედო ნინიძემ ჩვენ

მხარეს უწოდა ბანდიტთა მხარე და მოითხოვა ჩვენი პასუხისებაში მიცემა სისხლის სამართლის 73-ე მუხლით. ამას დაერთო უზენაესი საბჭოს დეპუტატის შოთა ქიტიაშვილის დემონსტრაციულად დაპატიმრება და ფრიად შემაშფოთებელი აქცია თბილისის ფილარმონიის დარბაზში ბ-ნ ე. შევარდნაძის თანდასწრებით და მისი წაქეზებით (იგულისხმება ზემოთ ჩვენს მიერ ნახსენები საზოგადოება “თბილისელის” შეკრება – უ.ო.) ამ მიზეზების გამო მიღებულ დოკემენტს ხელი არ მოვწერეთ. სხვათა შორის, თბილისელთა მოთხოვნამ პროტესტი გამოიწვია თვით თბილისის დელეგაციის რამდენიმე წევრში” [იქვე] – აღნიშნავს თ. ჩაჩავა.

როგორც ვხედავთ, ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა ხსენებული მოლაპარაკების ჩასაშლელად, რაზეც აჭარის ხელისუფალთ აღრევე ვაფრთხილებდით, რომ შევარდნაძე არ დაუშვებდა იმ პრობლემის ასლან აბაშიძის ხელით მოგვარებას, რომელსაც თვითონ ვერაფერი მოუხერხა. ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ე. შევარდნაძით სათავეში, კვლავ გააგრძელა ქვეყნის ხელოვნურად დაშლა-დანაწევრების მოღალატური კურსი. რის გამოც იმავე დღებში ე.პ.მ. “ჭყონდიდელის” აჭარის სამსარეო ორგანიზაციამ გააკეთა “მიმართვა ქართველი ხალხისადმი”, რომელშიც ე. შევარდნაძის ხელისუფლების ზემოთ აღნიშნული პოზიციის გამო გამოისთვა სასტიკი პროტესტი და დაუწიდობლად ამხილა მოული ეწ. საპარლამენტო ოპოზიციური სპექტრის გამცემლური ხასიათი: “როგორც ადრე გითხარით, თქვენ იქცით საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობასთან მებრძოლი რეაქციული, ანტიერობული – ძალების ნების ყურმოჭრილ აღმსრულებლებად და თანამზრახელებად, – ლოზუნები, რომლითაც ეროვნულ ხელისუფლებას და მის გვერდით მდგომ ძალებს ებრძოდით და ებრძვით, თქვენივე მსგავსი ფუჟე, ყალბი შინაარსის დემაგოგიაა და სხვა არაფერი. მაშინ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილი სცენარით სამსედრო გადატრიალების გზით განდევნილი იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რომ ეს უმსგავსობა “სახალხო აჯანყებად” და “დემოკრატიულ რევოლუციად” გაგესაღებინათ. ხოლო როცა ქართველმა ხალხმა თქვენი არ ირწმუნა, გამოვიდა ქუჩაში და მრავალათასიანი მანიფესტაციებით გამოხატა თავისი

ურყევი ნება საქართველოში კანონიერების აღსადგენად, თქვენ მათ ტყვიერით გაუმასპინძლდით და სისხლი ადინეთ სრულიად საქართველოს. როდესაც საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური განუკითხაობა, ქვეყნის მოსახლეობის უმოწყალო ხოცვა-ქლეტა და ძარცვა-რბევა, ქაოსი და ტერორი იყო გამჭვებული, ზოგიერთი პარლამენტარისათვის, როგორც მათ უყვართ თქმა – “პოზიციების დაფიქსირება”, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ბრძოლით ამოიწურა, რითაც ხელი შეუწყვეს აჭარის საკითხის ხელოვნურად გამოცალკევებას საერთო ქართული პროცესებიდან და ამით ხაზი გაუსვეს იმას, რასაც თითქოსდა ებრძოდნენ – ე.წ. “აჭარულ სეპარატიზმს”, რომლის უკანაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ილანდებოდა მათი შეუნიბლავი კარიერიზმი და ამ კუთხის დაჩქრების მცდელობა...”, [197, გვ. 3] – ნათქავამია მიმართვაში და იქვე აღნიშნულია, რომ “...იმდენად დიდია თქვენში სურვილი პოლიტიკური მოვლენების ზედაპირზე იტივტივოთ, რომ ათასგვარ ონბაზობას მიმართავთ ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივების მიზნით... რაც სადამსჯელო შტაბების შექმნამ და “დემოკრატიის გვირგვინის” ე.წ. “თბილისულის” აქტივის კრების შინაარსმა, რომელიც 10 სექტემბერს დიდი რიხით უჩვენეს ტელევიზით, სრულიად დაადასტურა;” – ბოლოს გაკეთებულია ამ საქმიანობის შეჯამება, როგორც მათი პოლიტიკური მოღვაწეობის ლოგიკური დასასრულისა და იქვე გაპეტებულია შემდეგი საბოლოო დასკვნა: „...მაგრამ საქართველომ წინ უნდა იაროს და ამიტომაც თქვენს ფიქრს განხორციელება არ უწერია. ქართველის ერის წინსვლისა და პროგრესის შეჩერება შეუძლებელია და ვინც ამას ცდილობს, მათ ისტორიისაგან განაჩენი გამოტანილი აქვთ.

ადრეც ბევრჯერ ვცადე შემერხია თქვენი ზნეობის ძარღვი,” – მიუთითებს მიმართვის ავტორი, – “საქართველოსთვის გადამერჩინეთ... ღმერთმა ხომ იცის, დღესაც მენანებით, როგორც სხვა მრავალი, ჩვენი საერთო დედის, უძღები შვილები. მაგრამ როგორც ჩანს, ნამდვილი თავისუფლება წარმავალისა და მომავალის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში იშობა. ამიტომაც ამართლებთ თქვენს არსებობას... მაგრამ ვწუხვარ, რომ ამ ჭიდილში საქართველოს ისტორიული მტრების, – ცრუ იდეოლოგიის, ცრუ რწმენისა და ცრუ მეგობრების გვერდით აღმოჩნდით.

ღმერთმა შეგინდოთ!” [იქვე]

აღნიშნულ მიმართვასა და ბათუმში ადრე გამართულ მანიფესტაცია-მიტინგებზე ეროვნულ ძალთა რადიკალური ფრთის მიერ გამოხატული ასეთი რადიკალური პოზიცია და განსაკუთრებით, მისგან დამოუკიდებლად თავის დაჭერა, გაგვეულ მომენტში მიუღებელი აღმოჩნდა აჭარის მაშინდელი ხელისუფლებისთვისაც და მან გამოიყენა რა აქ ეროვნულ ძალთა შორის არსებული წინააღმდეგობანი, სცადა მისი გავლენისაგან რამდენადმე თავისუფალი ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჟყონდიდელის” აჭარის სამსარეო ორგანიზაციის საქმიანობის პარალიზზება, რაც ამავე ძალთა თანადგომითა და ზოგიერთთა წაყრუების წყალობით მოახერხა კიდეც (ელიზბარ ჯავალიძე, ბადრი მელაძე, ცისანა ანთაძე და სხვები). ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დარტყმის ერთ-ერთი რეალური გამოხატულება იყო ბათუმში საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმისა და მისი კოლექტივისადმი ამავე ხელისუფლების მიერ თავს მოხვეული პროვოკაცია, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ქართული კულტურის იმ უმნიშვნელოვანესი კერის გაუქმება, სადაც 1993 წლის ოქტომბრის თითქმის შუა რიცხებამდე იყო გამოფენილი საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი მიღმვნილი მასალები, და სადაც აღნიშნულ დრომდე ვერაფრით მოახერხეს უზურპატორი ხელისუფლების სულისხამდგმელის ე. შევარდნაძის სურათის შეტანაც კი. ყოველივე ეს არ შეიძლება შეფასდეს სხვაგვარად, თუ არა აჭარაში მოქმედი ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტ ძალთა უდიდესი პრინციპულობის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალებისადმი მათი ერთგულების შედეგი.

ასეთ ვთარებაში, 1993 წლის 24 სექტემბერს საქართველოში დაბრუნდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელსაც ქართველმა ხალხმა გრანდიოზული შეხვედრა მოუწყო. იმავე დღეს ქალაქ ზუგდიდში სახელდახელოდ შეკრებილ მიტინგზე თავი მოიყარა ათეულ ათასობით ადამიანმა, რომელებიც კანონიერი პრეზიდენტის დაბრუნებაში ხედავდნენ საქართველოს ხსნის ერთადერთ გზას. აჭარიდან ამ ისტორიულ შესვედრაზე ჩავიდნენ და მასში მონაწილეობა მიიღეს უჩა ოქროპირიძემ, ნინო ნოღადელმა, ლამარა კერვალიშვილმა (და თუ მეზსიერება არ მღალატობს), ბეჟან

მელუამ და ანზორ გვარამიამ. ჩამოსვლის მეორე დღესვე პრეზი-დენტმა გამსახურდიამ გააკეთა “მიმართვა ქართველი ერისადმი”, რომელშიც ნათქვამია: “ძვირფასო თანამემამულენო! ძმანო და და-ნო!

მე, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი, დავბრუნდი სამ-შობლოში და განვაგრძობ ერის წინაშე ჩემი მოვალეობის შესრუ-ლებას.... მე ჩამოვედი არა მხოლოდ იმიტომ რომ შევასრულო ჩემი თანამდებობრივი მოვალეობა, არამედ იმისათვის, რომ სათავეში ჩა-ვუდგე ეროვნული ხსნის მოძრაობას.

ძმანო და დანო! ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ასეთ დროს დიდი დაფიქრება და პასუხისმგებლობა გვმართებს. მე ჩამოვედი არა იმისათვის, რომ გავაჩალო სამოქალაქო ომი ან დავსაჯო ვინმე, არამედ ჩემი მიზანია ერის გამთლიანება და ეროვ-ნული შერიგება, და თუ მოწინააღმდეგე მხარე შეიგნებს თავის შეცდომებს, შეინანებს თავის დანაშაულს ერის წინაშე, მე მზად ვარ მათაც გავუწოდო ხელი.

თუ უკანონო ხელისუფლება გამოიჩენს კეთილგონიერებას და გადადგება, მე მზადა ვარ უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით დავითმხო ახალი არჩევნები. ყველას მიეცემა ხელშეუხებლობის გა-რანტია...

დღეს საქართველო უნდა დაირაზმოს ერის ხსნისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ჩვენი ეკონომი-კის აღდგენისათვის, ქართული სულის აღორძინებისათვის.

გუმარჯვოს ჩვენს ბრძოლას საქართველოს გადასარჩენად... [198, გვ. 1] – ხაზგასმულია პრეზიდენტის მიმართვაში.

იმავდროულად გაცემდა “საქართველოს რესპუბლიკის უზე-ნაესი საბჭოს პრეზიდენტის განცხადება”, რომელშიც აღნიშნულია: “...საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი აღი-არებს საქართველოს მთელი მოსახლეობის მიერ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით დაკისრებულ პასუხისმგებლობას და აცხა-დებს, რომ ყოველ ღონეს მიმართავს, რათა კანონიერების აღდგენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოხდეს შშვიდობიანი გზით, არ დაუშვებს აფხაზეთის მოწყვეტას საქართველოსაგან... პრეზიდე-უმი მოუწოდებს შევარდნაძის უკანონო რეჟიმსა და მის მომხრე შეიარაღებულ ფორმირებებს, გონის მოეგონ, სრულიად გაიაზრონ

და მოინანიონ ის დანაშაულობანი, რომლებიც მიუძღვით ქართველი ხალხის წინაშე, დროზე გადადგნენ და ნებით, წინააღმდევობის გარეშე დაუთმონ გზა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შეუქცევად პროცესს. ამ შემთხვევაში ქართველი ხალხი, როგორც ქრისტეს გზის მიმდევარი ერი, შეუნდობს მათ...” [იქვე]

1993 წლის 26 სექტემბერს ზუგდიდში გაიმართა გრანდიოზული მიტინგი (200 ათასზე მეტი კაცით), რომელზეც ისევ დეკლარირებული იქნა საქართველოს პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის ზემოთ აღნოშეული პოზიციები. აქციას აქარიდან დაესწრო ზუგდიდში სპეციალურად ჩასული სოლიდური წარმომადგენლობა. მასზე საქართველოში კანონიერების აღდგენისადმი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ნინო ნოღადელი და უწაოქროპირიძე.

პრეზიდენტი გამსახურდია მიტინგიდან პირდაპირ გაემართა ფრონტის ხაზზე, სადაც შეხვდა სამხედრო შეიარაღებულ ფორმირებათა ხელმძღვანელებს ორივე მხრიდან და მათთან ერთად დასახეს შემდგომი ერთობლივი მოქმედების გეგმა. მაგრამ შევარდნადის ფაქტობრივმა ხელისუფლებმ ქვეყნის წინაშე მორიგი ღალატი ჩაიდინა და საკუთარ ხალხთან კონსესუსა და შერიგებას, მტრის დახმარებით მისი დათრგუნვა და ყველანაირი საშუალებით ხელისუფლების შენარჩუნება არჩია, რამაც საქართველო 1993 წლის 27 სექტემბრის მორიგ ტრაგედიამდე მიიყვანა. სოხუმის დაცემამ ხუნტისტური ხელისუფლების მომხრეთა ნაწილი შევარდნადის მმართველობისადმი კრიტიკულად განაწყო; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გ. ჭანტურიამ 1993 წლის 27 სექტემბერს თავის სატელევიზიო გამოსვლაში აღიარა: “...შეიძლება თქვას, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში, ბრძოლაში და არა მარტო ოშში, ჩვენ მარცხი განვიცადეთ (როგორც კონტექსტიდან ჩანს გ. ჭანტურია ეწ. აფხაზეთის კონფლიქტს პოლიტიკური ბრძოლის ნაირსახეობად განიხილავდა, როგორც საშუალებას ხელისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე – უ.ო.)... შევარდნაძემ განაცხადა, – ამბობს გ. ჭანტურია, – თუკი აფხაზეთის პრობლემა მოგვარდებოდა, საქართველოს შეიძლება განეხილა სნგ-ში შესვლის საკითხი, მაგრამ ფაქტიურად ამას სოხუმის დაცემა მოჰყვა. ასე რომ, ვარაუდები იმის თაობაზე, რომ სნგ-ში შესვლა რომელიმე პრობლემას გადაგ-

ვიწყეტს, არასწორია... სნგ-ში შესვლით ჩვენ ყველაფერს დავგარგავთ... სნგ არის დიდი ტყუილი, საუკუნის ტყუილი. ობიგატელის მოტყუება სწორედ ამ დიდი ტყუილით სურთ: თუ სნგ-ში შევალთ, ომი არ იქნება, მოხდება ერთგვარი ეკონომიკური გაუმჯობესება. პირიქით, ყველაფერი გაუარესდება. დღეს თუ ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, სნგ-ში შესვლის შემთხვევაში, ქართველთა ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კომპლექსურ ღალატს აქვს ადგილი..." [199, გვ. 1] მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ მათი გადარჩენისა და წამოწყებული ავანტიურის ბოლომდე მიყვანის ერთადერთ შანსს შევარდნაძე წარმოადგენდა და სწორედ ამან განსაზღვრა მათი შემდგომი პოზიციაც. მათ ისიც კარგად იცოდნენ, თუ რა დონის სიბინძურეში იყვნენ ყელამდე ჩაფლულნი და ამიტომაც, ამ შემთხვევაში მათთვის მთავარი იყო თავის გადარჩენა, ამასთან საკუთარი უდღეური ამბიციების დასაკმაყოფილებლად ყველა საშუალებით ბრძოლის გაგრძელება და არა სამშობლოს ხსნა. და რაკი მათი ეს პოზიცია საბოლოოდ გაშიშვლდა და გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენის შემთხვევაში მისი შეიღება არავითარ პრობლემას აღარ წამოადგენდა (ამ შემთხვევაში სრულიად უნდა მინდობოდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას გულმოწყალებას, რასაც მათ თავისი ქვეყნის საბოლოო დალუპვა არჩიეს), ამიტომაც მათმა დაპირისპირებამ ზვიად გამსახურდიასადმი სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი შეიძინა და მათ წრებში უკვე აშკარად დაიწყეს საუბარი ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურების შესახებ. გვამცნობს რა თავის "ბრძულ" მოსაზრებას სოხუმის დაცემისა და თუ საქართველოს სხვა პრობლემების შესახებ, ფაქტობრივი ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილე გ. ლანჩავა ამბობს: "საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებისათვის, ჩემი აზრით, აუცილებელია ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურება..." [200, გვ. 5] აი, ასეთი იყო "შსოფლიო რანგის პოლიტიკოს" შევარდნაძის გარემოცვის "დემოკრატიული" იმიჯი.

სოხუმის ჩაბარებას მოჰყვა ადმირალ ბალტინის სადამსჯელო ექსპედიცია საქართველოში; შემდეგ კი შევარდნაძის შესაფერისი უმაგალითო ტრაგი-კომედია საქართველოს ისტორიაში, — როცა აფხაზეთიდან სამარცხვინო გამოქცევის, თანამომეთა დათ-

რგუნვის, მათი ლტოლვილებად ქცევისა და საქართველოს განახევ-რებისათვის უმაღლეს “სახელმწიფო” ჯოლოებს არიგებდა სამ-შობლოს გამყიდველი. [201, გვ. 6-7]

გამსახურდიას ხელისუფლების დროინდელი პრემიერ-მინის-ტრი ბესარიონ გუგუშვილი ამ მოვლენების შესახებ ამბობს: “საქართველოსთვის იქნებ ყველაზე საბედისწერო იყო 1993 წლის სექტემბერ-დეკემბრის მოვლენები. სწორედ ამ მოვლენებმა გადაწყვიტეს საქართველოს ბედი, უახლოესი ათწლეულებისთვის მაინც... ამ მოვლენებმა, არსებითად, გადაწყვიტეს საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების ბედიც.” [202, გვ. 8, 12] შემდეგ კი ეყრდნობა რა უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს – “თანამდეროვე სიტუაცია საქართველოში და დასკვნები აშშ პოლიტიკისათვის”, [203] – მასთან საკუთარი მონაცემების შეზავების შედეგად აკეთებს ანალიზს 1993 წლის სექტემბერ-დეკემბრის მოვლენათა შესახებ, აღნიშნავს: “...ხალხი ყველგან სიხარულითა და პატივისცემით ხვდებოდა თავის პრეზიდენტს... ამ დროისათვის საგსებით რეალური გახდა კანონიერი ხელსუფლების მშვიდობიანი, უსისხლო აღდგენა საქართველოში. ...პრეზიდენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით კვლავ განახლდა ეროვნული დაზავების განახლების გზების ძიების პროცესი – ხუნტის ელიტის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ზუგდიდს კვლავ მოაშურეს თბილისიდან სხვადასხვა ორიენტაციის პოლიტიკოსებმა. 1993 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ხუნტის ელიტის დამხობა მშვიდობიანი გზით, ყოველგვარი ვითომ სამოქალაქო ომის გარეშე უკვე გარდაუვალი გახდა,” – მიუთითებს ბ-ნი ბ. გუგუშვილი და იქვე მოჰყავს ზემოთ დასახელებული დოკუმენტიდან ერთ-ერთი მომხსენებლის თომას გოლცის მოსაზრებანი ამ ორი ხელისუფლების შესახებ; 1993 წლის 25 ოქტომბერს გოლცი ამბობს: “ბატონი გამსახურდია უდავოდ ძალზე პრობლემური პირვენებაა. მაგრამ მას გააჩნია ის, რასაც ჩვენ დემოკრატიულ ლეგიტიმურობას ვუწოდებთ... და იგი ხელისუფლებას პუტინს მეშვეობით ჩამოაშორეს... ე. შევარდნაძის უმთავრესი პრობლემა, რომელსაც ის დღეს საქართველოს მართვისას აწყდება, მდგომარეობს იმაში, რომ მისი სახლი ქვიშაზეა აგებული: მისი ხელისუფლება პუტინს გზითაა დამყარებული, ამ ქვეყნის დემოკრატიულად არჩეული ლი-

დერის წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო პუტჩის გზით.” [იქვე, გვ. 7]

შემდეგ ყოფილი პრემიერი გუგუშვილი საუბრობს საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და წინსვლის გამო შევარდნაძის და მისი პატრონებისათვის შექმნილ ვითარებაზე. ის მიუთითებს, რომ “კანონიერი ხელისუფლების წინსვლამ და მთელ საქართველოში მისი გარდაუგალი აღდგენის პერსპექტივამ უკვე შეაშფოთა და შეაშინა არა მხოლოდ შევარდნაძე, არამედ მისი მესვეურებიც, მისი დამსეულები. შევარდნაძე, რომელიც უკვე ვერავითარ, საკუთრივ ქართულ სამხედრო ძალას ვეღარ ფლობს, აღარავის ენდობა და ყველგან ღალატს ხედავს, შველისათვის მიმართავს ამერიკას და საქართველოს მთავარ მტერს – რუსეთს. იმ რუსეთს, რომელმაც საქართველოს წაართვა აფხაზეთი და იქ ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა მოაწყო,” [202, იქვე] – აღნიშნავს ავტორი, შემდეგ კი იქვე განაცრობობს: “შეგახსნებთ ერთ-ერთ სამარცვინო, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ მოვლენას ხუნტის ამ პერიოდის ისტორიიდან. სწორედ ამ დღეებში შევარდნაძემ მოაწყო ხუნტის ქურდულ-ინტელიგენტური ელიტის “აქტივის დიდი შეკრება”, რომელიც ტელევიზით გადაიცემოდა.... ოუროგორი დაბნეული იყო აქტივი, გამოჩნდა იქედან, რომ პირველივე გამოშვლელმა შესძახა: “შევარდნაძემ დაღუპა საქართველო”-ო. შემდეგ კი მთავარმა გამოშვლელმა, ნომენკლატურულმა ინტელიგენტმა, პათეკიტურად მოუწოდა დამსწრებებს: “ახლა ყველამ უნდა ავისხოთ იარაღი და შევებრძოლოთ გამსახურდიას”-ო. კარგად მახსოვს, რომ სამოქალაქო ომის გაჩაღების ამ მოწოდებას დარბაზი სამარისებური სიჩუმით შეხვდა – ხუნტაში საბრძოლო განწყობა აღარ იყო. შევარდნაძეს სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, გარდა რუსეთის დაუფარავი ინტერვენციისა. მოვლენების შენიღბვა უკვე შეუძლებელი გახდა.” [იქვე]

ხუნტის ამ ქმედებაზე ამერიკის კონგრესის ზემოხსენებულ დოკუმენტში ამ კომისიის თავმჯდომარის სამუელ ვაისის ანგარიშში ვკითხულობთ: “შევარდნაძე დამდაბლდა იქამდე, რომ დახმარებისათვის მიმართა რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირს... რათა აღმოუჩინონ დახმარება სტრატეგიული სარკინიგზო ხაზების დაცვაში, რომლებიც აკავშირებდნენ დასავლეთ საქარ-

თველოს ქვეყნის დანარჩენ რეგიონებთან, აგრეთვე სომხეთთან და აზერბაიჯანთან... საქართველოში შევარდნაძის მომხრეებს შორისაც კი რუსეთის ძალების მოწვევაზ მწვავე რეაქცია გამოიწვია და მისი პოლიტიკური მომავალი კიდევ უფრო ბეჭედით მოცული გახადა... პრეზიდენტმა კლინტონმა გასულ კვირას შევარდნაძეს მხარდაჭერის წერილი გაუგზავნა და მოიწვია ვაშინგტონში..." [203, გვ. 1]

ბესარიონ გუგუშვილი შენიშვნავს, რომ ყოველივე ამით "შეფფოთებულმა ვაშინგტონმა სახელმწიფო მდივანი ქრისტოფერი სასწრავიდ და საგანგებოდ აფრინა მოსკოვში, რათა იმის გარანტია მიეღოთ, რომ რუსეთის არმია ნამდვილად დაიცავდა შევარდნაძეს..." [202, იქვე] შეძლევ ექსპრესიერი საუბრობს იმაზე, თუ როგორ მოხდა აშშ-ის მიერ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესის წაქეზება და მისი რეგიონის უანდარმად გამოყენება, პრინციპით – "ძალაყინისთვის წინაღობა არ არსებობს."

და ბოლოს, მის მიერ გაანალიზებული მასალიდან იგი აკეთებს ლოგიკურ დასკვნას: "1993 წლის მიწურულის მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ საქართველოს კანონიერი, ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, საქართველოს წინააღმდეგ – საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გაფორმდა ერთობლივი, რუსეთ-ამერიკის პოლიტიკური და გარკვეული თვალსაზრისით სამხედრო-სტრატეგიული ალიანსი – ფრონტი. ამან დაამკვიდრა საქართველოში ნომენკლატურის რევანში და საქართველოს, ქართველ ხალხს დააკარგვინა კანონიერების, დემოკრატიისა და თავისუფლების აღდგნის უკანასკნელი შესაძლებლობა... ეს ზვიადის სიტყვებია," – რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლო დღეებში ხშირად იქმორებდა, – შენიშვნავს გუგუშვილი და განავრმობს – "გარესამყარომ უკვე მერამდენედ ილიას, მერაბს, ზვიადს – სტალინი, ბერია, შევარდნაძე არჩია..."

...საქართველოს ხელისუფლების ბედი არ გადაუწყვეტია საქართველოს შინაგან ძალებს, ეს არ გადაუწყვეტია ქართველ ხალხს, თუნდაც მის რომელიმე ცალკეულ, მცირე ნაწილს. ეს არ იყო შინაგანი ფაქტორის მოქმედების შედეგი. სავსებით უსაფუძვლოა საქართველოში რაიმე სამოქალაქო ოშე ლაპარაკი.

ისტორიულ-სტრატეგიული თვალსაზრისით, 1989-1993 წლებში ომი იყო საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს იყო ომი დამოუკიდებლობისათვის, სამამულო ომი... 1989 წლის 9 აპრილიც და თვით პუტინიც კი ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შემადგენელი ნაწილები, ეპიზოდები და დეტალები იყო”, [იქვე] – ამბობს ავტორი დ ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც თუ უსაფუძლოდ. ამასთან აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ კომუნისტებმა “გულაგების” გასაკონტროლებლად ე.წ. ქურდული სამყარო ჩამოაყალიბეს, დასავლეთელი “ლიბერალ-დემოკრატები” კი ამავე მიზნით ბოლშევიკ არამზადებს იყენებდნენ, რადგან სსრ კავშირი და პოსტ-საბჭოური სივრცე იმ ხანებში მათვის თავისებური “გულაგის” ნაირსახეობა იყო... მათ გამოიყენეს ამ სივრცეში არსებული ყველა საბჭოური მექანიზმი – სუკ-ის და მისი აგენტურის, კოლაბორაციონისტებისა და აშკარა მოღალატეების ჩათვლით – რათა საქართველოსთვის ამ ჭეშმარიტად ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში მას მარცხი განეცადა და ძალაუფლება აქ ხელთ ეგდოთ აშშ-რუსეთის ალიანსის მარიონეტებს. ამან შვა ქვეყნის მოღალატე, ანტიქართული, მარიონეტული დიქტატურა ძალდობით, გარყენილებით, ყველაფრის კადრების უნარით, კორუფციით, ეკონომიკური და სოციალური უსამართლობის გაუგონარი წახალისებით, ძარცვა-გლეჯით და ა.შ. ეს დღესაც და სამომავლოდაც ყველას უნდა ასოვდეს და როცა სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნვის ტვირთს თავზე ვიღებთ, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ.

განხილული მასალის ფონზე ძალიან საინტერესოდ გამოიყურება 1993 წლის 24 ოქტომბრის “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიტემის მიმართვა ბატონ ზვიად გამასახურდისადმი”, რომელშიც ნათლად არის დახატული საქართველოში შექმნილი უსამინლესი ვითარება, შემდეგ კი ნათქვამია: “...პრინციპულად ვგმობთ და ვემიჯნებით ძალისმიერ პოლიტიკურ კურსს. ჩვენ პირველებმა ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობა დანაშაულია.

დღეს კიდევ დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ დანაშაულია იარაღის ძალით პოლიტიკური მიზნების მიღწევა, რადგან ასეთი გზა დამღუპველია საქართველოს მომავლისათვის. მას პერსპექტივა არა აქვს... მოგმართავთ თქვენ და თქვენს მხარდამჭერ პოლიტიკურ ძა-

ლებს, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა შეწყდეს სისხლისღვრა, ყველაფერი გადაწყდეს პოლიტიკური დიალოგით, მშვიდობიანი გზით. ამას მოითხოვს ერის გადარჩენისა და საქართველოს ერთიანობის ინტერესები... მხოლოდ ახალი არჩევნები და მასში ჯანსაღი, ერის ღირსეული, პარტიოტული ძალების მონაწილეობა, არჩევნების სრული დემოკრატიული პრინციპებით მოწყობა და ჩატარება განსაზღვრავს ახალი საქართველოს ბედს და მომავალს. ჩვენი სამშობლოს გარეშე, თუ შინაგანი მტრების საბოლოო დამარცხებას.

ახლა კი საჭიროა გამოვიჩინოთ სიბრძე და გამჭრიახობა, სულგრძელობა და კეთილშობილება, მსგავსად ერის იმ ღირსეული შვილებისა, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ, ოღონდ კი გადაერჩინათ ერი.

საქართველო უქართველებოდ მტერთა ოცნებაა! ნუ გავახარებთ მათ! [204, გვ. 1] – აღნიშნულია მიმართვაში.

ეს იყო უწნიშვნელოვანები განცხადება, რომელიც გააკეთა საქართველოში შემორჩენილმა იმ ერთადერთმა ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ, რომელიც სრულიად აკონტროლებდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და ქედს არ უწრიდა ხუნტის მმართველობას საქართველოში. თუმცა ისიც უნდა აღნიშნოს, რომ აღნიშნული რეგიონის პუტჩისტების შემოსევისაგან დასაზღვევად და აქ თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად აჭარის ხელისუფალთ ბევრი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა უხდებოდათ (ადგილობრივი რეაქციისადმი დროებითი დათმობა, რელიგიური მომენტების ხელოვნურად წინ წამოწევა, ხუნტის საწინააღმდეგოდ რუსეთის არმიის ადგილზე დისლოცირებულ შენაერთებთან აღიანსი, “მოწინააღმდეგეთა” დაშინება და სხვა.).

ეხება რა საქართველოში ამ დროს მიმდინარე მოვლენებს უცხოური “ტამ კოლონისტი” წერს: “ახლახან ამ ქვეყნის მეთაურმა, მისი ძლიერ ნაციონალისტური ერი, რუსეთით დომინირებულ თანამეგობრობაში შეიყვანა, მას შემდეგ რაც ორი წელი ცდილობდა დამოუკიდებლად ევლო. “ჩვენი ჯარი დაიშალა და მთელ იმდებს რუსებზე ვამყარებ” – უთხრა მან უურნალისტებს 18 ოქტომბერს.

და იმავე კვირას თითქმის წაგებული ომის ბედი დრამატულად შეიცვალა მის სასარგებლოდ. თუმცა კი ყველა იმას ამტკი-

ცებდა, რომ რუსული ტანკების ეკიპაჟები, მოულოდნელად რომ გამოჩინენ შევარდნაძის დასახმარებლად, მოხალისეთაგან შედგებოდა,” – ამბობს კორესპონდენტი და შემდეგ ირონიით შენიშნავს, – “და აი შევარდნაძემ, რომელიც წინათ აფხაზეთში დამარცხებას რუსებს აბრალებდა, რუსებისავე დახმარება ითხოვა და თანამეგობრობაში შევიდა, რის შემდეგაც მოხდა საოცრება, მისი გაჭირვებაც მაშინვე გაქრა. თითქოს ციდან ჩამოვიდნენ რუსულად მოლაპარაკე მოხალისეები, რომლებსაც საკუთარი ტანკებიც აღმოაჩნდათ, შეუერთდნენ შევარდნაძის დაქსაქსულ, დემორალიზებულ ჯარს და ამბოხებულები (ზოთაც გამსახურდიას მომხრეები – უ.ო.) უკუაქციეს...” [207, გვ. 2]

საქართველოში ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ე. შევარდნაძის მიერ რუსეთის არმიის მოპატიუებას, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოჰყვა ზოგიერთი პუტჩისტურ აღიანსში მყოფი ძალის პროტესტი და ამასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. 1993 წლის ნოემბრის დასაწყისში ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ მიიღო დადგენილებები, რომლებშიც დაგმობილია შევარდნაძის ანტიდემოკრატიული რეჟიმი, გამოხატუალი მკეთრად უარყოფითი პოზიცია დასთ-ში შესვლისა და მისი ჯარების საქართველოს შიდა კონფლიქტებში გამოყენების მიმართ. “დასთ-ში შესვლა რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიაში დაპრუნებას ნიშნავს” [205, გვ. 2] – აღნიშნავს ირაკლი წერეთელი. მაგრამ ეტყობა მან ის ჯერ კიდევ არ იცის, რომ ამ ორგანოში შესვლაც სახვეწარი გაუხდა საქართველოს ხუნტისტურ ხელისუფლებას შევარდნაძის ხელში. [იქვე, გვ. 1] ამიტომაც, გამწარებულს, ერთი თვის შემდეგ ყველა მოღატალედ მიაჩნია, ვინც ხელი მოაწერა დასთ-ში შესვლას, [206, გვ. 1] ამასთან იქვე შეუასებას აძლევს ახლადშექმნილ საქართველოს მოქალაქეთა კავშირს და შენიშნავს: “მოქალაქეთა კავშირში გაერთიანებულ პარტიებს მხოლოდ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი ამოძრავებთ და ამისთვის იყენებენ შევარდნაძის ავტორიტეტს.” [იქვე]

მაგრამ ზოგიერთებისათვის, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ვითარებათა გამო, დაპირისპირებულობამ სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი შეიძინა და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი კანონიერი პრეზიდენტი ამ უთანასწორო ბრძოლას შეეწირა,

სიმართლის აღიარება შეუძლებელი აღმოჩნდა და ისევ წარმოუდგენელი ცილისწამების ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას, შევარდნაძესთან თავიანთი აღიანსის და საკუთარი მოღალატური პოზიციის გამართლებას, თანაც საერთაშორისო მასშტაბით აწარმოებენ ამ მუშაობას. აი, რა განაცხადა ჩილეში გამართულ ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის (ქდი) კონფერენციაზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარებ გ. ჭანტურიამ: “...ჩვენი მამაცი ერი მაინც არ ტყდებოდა და არ იჩოქებდა რუსეთის წინაშე, მაგრამ მას შემდეგ, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან რუსივე ინსტრუქტორების თანხლებით, რუსული იმპერიალიზმის მარიონეტი, საქართველოს ექს-დიქტატორი გამსახურდია საქართველოში დაბრუნეს და ქვეყანას, არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არმედ დედაქალაქ თბილისის დაკარგვის საფრთხე შეექმნა, მაშინ სახელმწიფოს მეთაურმა ველარ გაძლი და რუსეთს დახმარება სთხოვა – კომპენსაცია საქართველოს სწავლი შესვლა იყო,” [207, გვ. 1] – ამბობს გ. ჭანტურია და კანონიერი ხელისუფლების მიმართ ამ უსინდისო ცილიწამების შემთხველს ყოფნის ურცხვობა და იქვე ასეთ განცხადებას აკეთებს: “ჩვენ ერთად უნდა ვიხსნათ კაცობრიობა და სანამ დედამიწაზე ყველაზე პატარა ერიც კი იჩაგრება, მანამ ჩვენი ქრისტიანული სინდისი არ უნდა დამშვიდდეს...” [იქვე] ამას ამბობს პიროვნება, რომელმაც თავის უდღეულ ამბიციებს, მართლაც კინაღამ შესწირა ჩვენი პატარა ქვეყანა და მისი ერი, – აღარაფერს ვამბობ მის გაუგონარ დაჩაგვისა და ხალხის ნების ტყვიერით ჩახშობაზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ ხომ ამგვარად ასმენს საკუთარ ქვეყანასა და მის კანონიერ ხელისუფლებას, არც აქ არის “შშვიდად” და აქტიურად განაგრძობს ანალოგიურ საქმიანობას – 1994 წლის 26 იანვარს გაზეთში “ახალგაზრდა ივერიელი” ვკითხულობთ: “ედპ-ის თავმჯდომარებ განაცხადა, რომ გაზაფხულის დადგომის-თანავე სახელმწიფო მეთაურის მოწინააღმდეგე ძალები გეგმავნ მასობრივ ანტისამთავრობო აქციებს. გ. ჭანტურიას თქმით, ედპ ყოველგვარი დესტაბილიზაციის წინააღმდეგია და სხვა პარტიები-საგან განსხვავებით ე. შევარდნაძის გადადგომას არ მოითხოვს...” [208, გვ. 1]

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ასეთი მბიმე ფსიქოლოგიური ატ-მოსფეროსა და გაბატონებული უზნეობის ფონზე ე. შევარდნაძის (რომელიც პირდაპირ აცხადებდა, რომ მას ცოცხალი ზვიად გამსახურდია არ სჭირდებოდა) უსუსური სიხარული ქართველი ერის უღირსშესანიშნავეს შეილის დაღუპვის გამო ასე გამოიხატა: “ყოველი ადამიანის გარდაცვალება ჩემში სერიოზულ სინაწელს იწვევს,” – ნიანგის ცრემლებს აფრქვევს ეს, მართლაც. მსოფლიო რანგის ფარისეველი და არამზადა, და განაგრძობს, – “მით უმეტეს, რომ ექსპრეზიდენტი დღევანდელ საქართველოში რაიმე სერიოზულ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენდა იმ მოვლენების შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოში მოხდა. მისი იდეოლოგია, მისი მსოფლმხედველობა, და მისი მომხრეებიც ყოველმხრივ, ყველა თვალსაზრისით დამარცხდნენ ყველა მოქმედი კანონის შესაბამისად”, [209, გვ. 1] – ამ სიტყვებით მასხრად იგდებს ქართველ ხალხს, ეს რუსული ტანკებით საქართველოს ხელისუფლებაში გოღრით დადგმული არაკაცი და, იცოდეს ყველამ, – სანამ ე. შევარდნაძე არ გასამართლდება ყველა იმ ბოროტების და დანაშაულისათვის, რაც მას ჩვენი სამშობლოსა და ხალხის წინაშე ჩაუდენია, მანამდე ჩვენც მასთან ერთად ვართ ამ ცოდვათა თანაზიარნი და საქართველოსაც არაფერი ეშველება.

ზემოთ აღნიშნულ ატმოსფეროსა და პოლიტიკურ ვითარებაში ე. შევარდნაძე გამალებით მიწვეს თავისი მიზნისაკენ და დგამს მორიგ ნაბიჯებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეობრობაში ოფიციალურად გაწევრიანებისაკენ. ამ გზის შემადგრელ ნაწილს წარმოადგენდა 1993 წლის 3 თებერვალს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, რომლის ერთობლივ კომუნიკაციი ვკითხულობთ: “...აღნიშნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეობრობაში საქართველოს შესვლის, კოლექტური უშიშროების ხელშეკრულებასთან მისი შეერთების მნიშვნელობა... ბ. ელცინმა და ე. შევარდნაძემ ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სრულმასშტაბიან ხელშეკრულებას მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ... ბ. ელცინმა დაადასტურა, რომ რუსეთი უცვლელად უჭერს მხარს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, აფხაზეთი-

სა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი საშუალებებით სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებას აფხაზეთი-სა და სამხრეთ ოსეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესების სრული უზრუნველყოფის პირობებში...” [210, გვ. 1]

აღნიშნული ვიზიტის შესახებ გაზეთი “სარანგი” ოუწყება: “3 თებერვალს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ბორის ელცინი. საქართველო-რუსეთის ლიდერთა შეხვედრაზე ხელმოწერილი იქნა ხელშექრულებათა პაკეტი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესახებ. ამ ფაქტს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ხელისუფლების ოპოზიცია უქმაყოფილებით შეხვდა” – მიუთითებს გაზეთი და შენდეგ მოჰყავს რამდენიმე კომენტარი ამ ფაქტზე უცხოური პრესიდან.

“ვაშინგტონ პოსტი” 4 თებერვლის ნომერში კომენტარს უკეთებს რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ხელშექრულებას... სტატიის ავტორი ფ. ჰაიატი აღნიშნავს: “რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრობისა და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. პატარა, გახლეჩილი ერი დაბრუნდა უკან, მოსკოვის გავლენის სფეროში. შეთანხმება საშუალებას აძლევს რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე იქნიოს სამი სამსედრო ბაზა და თვალისწინებს რუსეთის დახმარებას ქართული არმიის მომზადებასა და შეიარაღებაში... საქართველოს ოპოზიციურმა ძალებმა ბრალი დასდეს ე. შევარდნაძეს ახალშობილი, დამოუკიდებელი ერის “გაყიდვაში”. თუმცა, შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს სხვა არჩევანის საშუალება არ ჰქონდა...” [211, გვ. 1] “ფრანკფურტერ ალგემაინგ” მიერ გაკეთებული კომენტარი ასეთია: “...ეს უძველესი ქრისტიანული ქვეყნა, რომელსაც დღეს რესპუბლიკის კომპარტიის ყოფილი შეფი ე. შევარდნაძე ხელმძღვანელობს, სრული ქაოსისა და უსამართლობის კერად იქცა.

ოდესლაც ამაყი საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ იმპერიის დაშლამდე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი გამოეყო მოსკოვს, ხოლო უკანასკნელი შევიდა სნგ-ში, დღეს პირველი სახელმწიფო ქვეშევრდომია, რომელიც კრემლმა შეიძლება მიაკუთვნოს თავის პირდაპირი გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებს...” [იქ-

ვე, გვ. 1-2] იგივე გაზეთი შენიშნავს, რომ “შევარდნაძემ საზღაური გაიღო რუსეთის დახმარებისათვის გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში... კრემლის იმპერიალისტური ძალები მიუახლოვდნენ თავის მიზანს, კავკასიაზე კონტროლის აღდგენას...”, [იქვე, გვ. 2] – წერს გაზეთი, – ჩვენის მხრით დაგამატებდით, რომ ზუსტად ამისთვის გადმოისროლა ე. შევარდნაძე აშშ-რუსეთის ალანსმა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში.

საქართველოს სახალხო ფრონტმა შევარდნაძის ზელისუფლების ეს ნაბიჯი შეაფასა როგორც “უპირობო კაპიტულაციის პოლიტიკა, რასაც საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდი ატარებს...” აქვე აღნიშნულია, რომ “...დღევანდელ ეკონომიკურ და სამხედრო კატასტროფას საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის ხელოვნურ მოვლენად, რომელიც გამოწვეულია არა მხოლოდ ობიექტური პირობებით, არამედ აგრეთვე ქართველის ერის დაუძლურებისა და დესტაბილიზაციის წინასწარდასახული გეგმით, რომლის მიზანიცაა ერის დაყოლიება რუსეთის წინაშე კაპიტულაციაზე და თავისუფლების დათმობაზე. საქართველოს სახალხო ფრონტი უნდობლობას უკადებს ამ გუნდს...” [212, გვ. 2] მაგრამ უკვე ყველაფერი ძალიან გვიან იყო და ე. შევარდნაძემ შეასრულა რა თავისი მისია, ალბათ, გამარჯვებულის ირონიული ღიმილით გადმოხედა მისგან იავარქმნილ ქვეყნასა და მის იმ პოლიტიკურ “მოკავშირებს”, რომელთა გამოყენება ამ მისის შესრულებისას ვირტუოზული ხელოვნებით შეძლო, – ისინი ზომ მისთვის მიზნის მიღწევისათვის უბრალო, მაგრამ უცილებელი ჭანჭიკები იყვნენ, რომელთაც საკუთარი ხელით გააყრევინა სამშობლოს გულში მის-გან ნალესი ლახვარი.

1994 წლის 1 მარტს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა იმით, რომ სამშობლოზე შეორგულებულ კონდოტიერთა კასტამ, რომელსაც მითვისებული ჰქონდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა უფლებამოსილება – 125 ხმით, 69-ს წინააღმდეგ რატიფიცირება გაუკეთა საკუთარ სამშობლოზე მონობის უდლის ხელახლა დადგმას. მათ შორის ამ აქტს დადებითი ხმა მისცა აჭარიდან დეპუტატებმა – დავით ციგაძემ, თამაზ ცინცაძემ, როსტომ დოლიძემ, ვიქტორ ლორთქიფანიძემ, ბადრი ნაკაშიძემ, ხოლო უარ-

ყოფილი დამოკიდებულება გამოავლინეს ამავე კუთხიდან – დავით ბერძენიშვილმა, თამაზ დიასამიძემ და ასლან ფალავამ. [213, გვ. 1-2] მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ისინი ამ საქმეში თანასწორი არიან, რადგან მათ ყველამ ერთად მიიყვანეს აქამდე საქმე. და თუ არა თავის დროზე საქართველოში მომხდარ უკანონობაზე მათ მიერ თვალის დახუჭვა, მისი მხარდაჭერა და აშკარა წახალი-სება, რამაც მათ საბოლოოდ იმ არალეგიტიმურ ორგანოში მოუყარა თავი, რომელსაც მათ საქართველოს პარლამენტი თვითნებურად უწოდეს, – შეუძლებელი იქნებოდა შევარდნაძეს მარტო მოეხერხებინა ჩვენი ქვეყნის ამ მოღალატურ აქტამდე მიყვანა. აღარც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის 1994 წლის 2 მარტს ატეხილი გოდება და ამავე პარტიისა და საპარლამენტო ფრაქცია ეროვნულ-დემოკრატის განცხადებანი ცვლიან რაიმეს, თუმცა საინტერესოა იმ მხრივ, რომ უკანასკნელში გ. ჭანტურია იყენებს ადრე მისგან განქიქებულ და სარკაზმით აღსავსე ირონიის ადრესატ დოკუმენტებს საკუთარ პიზიციათა დასასაბუთებლად, ამიტომაც სრულიად მოვიყვანთ მას. მიმართავს რა აშშ ხელისუფალთ განცხადებაში აღნიშნულია:

“ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი საპარლამენტო ფრაქცია გაყენებთ საქმის კურსში, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში 1994 წლის 1 მარტს ადგილი ჰქონდა სნგ-ს წესდებასთან საქართველოს შეერთების მცდელობას და მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საკითხს უმარტივებელად თვლის, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს მიღებულად შემდეგი მიზეზების გამო:

1. ვინაიდან, საკითხი არ ეხებოდა მხოლოდ რიგითი ხელ-შეკრულების რატიფიკაციას, არამედ საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურისა და მდგომარეობის შეცვლას, არსებული კანონის თანახმად გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ხმების 2/3-ით და არა უბრალო უმრავლესობით, როგორც ეს მოხდა;

2. გადაწყვეტილების მიღებისას კუნჭისყრაში მონაწილეობ-დნენ ის პირები, რომელიც არსებული კანონის თანახმად აღარ

ითვლებიან პარლამენტის წევრებად და უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო კენჭისყრაში.

3. საპარლამენტო უმრავლესობის უკანონო გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში იმყოფება 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებთან, აგრეთვე, 1991 წლის 9 აპრილის აქტთან საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე (რომელსაც “კონგრესმენებმა” ბათუმში ბოიკოტი გამოუცხადეს – უ.ო.).

4. ამას გარდა, უკანონო გადაწყვეტილების მიღება მიმდინარეობდა ქვეყანაში გამეფებული პოლიტიკური ტერორის ფონზე და პარლამენტის შენობის წინ შეგროვილ ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეთა ჯგუფების სასტიკი დარბევით პოლიციის, ომონისა და მოქალაქეთა კავშირის მიერ.

ქართველი ხალხი მხარს უჭერდა და მიუხედავად რუსეთის დაწოლისა, თუ საქართველოს ხელისუფლების პოზიციისა, დღესაც მხარს უჭერს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, ხოლო სხვ ჩვენს მიერ განიხილება როგორც პირველი ეტაპი რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციისაგან. ამიტომაც ჩვენ საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებას ვთვლით უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ.

პარტიისა და ფრაქციის სახელით – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გ. ჭავალტურია.

თბილისი, 2 მარტი, 1994 წელი.” [214, გვ. 1]

როგორც ვხედავთ, გ. ჭავალტურიამ ყველაფერი თავიდანვე კარგად იცოდა, მაგრამ, სანამ, მოქალაქეთა კავშირის შექმნისა და მისი საქმიანობის გაშლის შემდეგ არ მიხვდა, რომ მის მიერ “თავშეწირულ” ე. შევარდნაძეს მისი სამომავლო ალტერნატივა და საპირწონე უკვე გამონახული ჰყავდა და მის ოცნებას, გამხდარიყო სახელმწიფო მეთაურის ფავორიტი მომავალ სახელისუფლებო ბრძოლებში, ახდენა არ ეწერა, მანამ ერთგულება უმტკიცა და ემსახურა მას. ხოლო როდესაც ყველაფერს მიხვდა, ისევ თავგანწირვით გადაეშვა იმავე შევარდნაძის წინააღმდეგ სახელისუფლებო ომში, რასაც შეეწირა კიდეც. ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მსხვერპლი გახდა იმ სისტემისა, უზნეობისა და სახელმწიფოებრივი ტერორის წევისა, რომელსაც ე. შევარდნაძესა და მის გუნდთან ერთად თავგამოდებით ნერგავდა (როდესაც

საქართველოს პარლამენტის მაშინდელ დეპუტატს თამაზ დიასამიძეს შევეკითხე – თქვენი ერთ-ერთი ლიდერი თავზე დაგაკლეს და რას წარმოადგენთ, რომ საქმის გამოძიებაც ვერ მოახერხეთ-მეთქი?, – მან მიპასუხა – გამოძიება დავიწყეთ, მაგრამ თავი გავანებეთ, რადგან ბოლომდე რომ მივყოლოდით ამ საქმეს გ. ჭანტურია-საგან, როგორც პოლიტიკური მოღვაწისაგან აღარაფერი დარჩებოდა).

საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად შემქნილ ვითარებას, მის ლოგიკურ შედეგებს, 1994 წლის 1 მარტის საქართველოს პარლამენტის აღნიშნულ გადაწყვეტილებასა და მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების მიერ მათ მიმართ გამოვლენილი წაყრუების პოლიტიკას კიდევ ერთხელ სათანადო შეფასება მისცა აჭარაში მოქმედმა ეროვნულ-პოლიტიკურმა მოძრაობამ “ჭყონდიდელი”, რომელმაც ამ მოვლენებისადმი მიძღვნილ თავის 1994 წლის 25 მარტის განცხადებაში აღნიშნა: “ვინაიდან საქართველოს დღვანდელმა ხელისუფლებამ რესპუბლიკაში აღადგინა პროკომუნისტური – ტოტალიტარული ტირანია;

ვინაიდან სასტიკ დეკან-შევიწროებას განიცდიან ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრის მქონენი, შეწყვეტილია ოპოზიციური უურნალ-გაზეთების გამოცემა, საპატიმროებში ჩაყრილი, ფიზიკურად განადგურებულია და ასევე განადგურების ყოველდღიური საფრთხის ქვეშ იმყოფება ქართული ეროვნული მოძრაობის დიდი ნაწილი, რის შედეგადაც დატერორებულია საზოგადოებრივი აზრი, შექმნილია საყოველთაო განუყითხობის, ფსიქოლოგიური დეპრესიისა და უიმედობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს საერთო ნიკილიზმის დამკვიდრებას და ქართველ ხალხს მსოფლიოს წინაშე წარადგენს, როგორც პრინციპების არმქონე, მუდამჟამ სხვისი ხელის შექმურე არასრულფასოვან ეროვნულ-სახელმწიფო-ებრივ ერთეულს;

ვინაიდან საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მესვეურთა მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროში) გადადგმული ყველა ნაბიჯის უშუალო შედეგს წარმოადგენს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის დამღუპველი დამარცხებებისა და განადგურების კასკადი;

ვინაიდან იმავე ხელისუფლების მთელი მოღვაწეობა ემსახურებოდა და ა ემსახურება ქართველი ერის წინაარმდევ მიმართული ამ მზაკვრული შეთქმულების გეგმაზომიერ განხორციელებას;

ვინაიდან ყოველივე ამის ლოგიკური შედეგია 1994 წლის 1 მარტის მორიგი სახელმწიფო გადატრიალება და საქართველოს რესპუბლიკის დსთ-ში ყოველგვარი კანონის უგულვებელყოფით გაწევირანება, რითაც, თავი რომ დავანებოთ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით ქართველი ხალხის მიერ გამოხატულ ნებას და მის საფუძველზე გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის ფეხქვეშ გათელვას, მან იგნორირება გაუქეთა მის მიერვე მიღებულ კანონებს და ერის წინაშე საყოველთაოდ გამოცხადებულ ვალდებულებებს, ამიტომაც:

მივმართავთ რა მსიფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობას, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს და დემოკრატიული ქეყნების მთავრობებს ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს და მოვითხოვთ:

1. საქართველოს მმართველი ელიტის მიერ მომხდარი 1994 წლის 1 მარტის სახელმწიფო გადატრიალება შეფასდეს, როგორც რესპუბლიკაში პროკომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის რეანიმაცია და მისი საბოლოო დაბრუნება რუსეთის იმპერიის ხელში. მის ორგანიზატორებს დაეკისროთ მთელი პასუხისმგებლობა ამ უკანონო, ანტისახალხო და ანტიეროვნული აქტისათვის;

2. 1991 წლის 31 მარტს ქართველმა ხალხმა საყოველთაო რეფერენდუმზე გამოხატა თავისი ურუევი ნება – ჰქონდა თავისი ადგილი მსოფლიოს თავისუფალ ერთა შორის, შეწყდეს მისი ამ ნების იგნორირება და ბოლო მიეღოს მის სუვერენულ უფლებებზე შეტევას;

3. ქართველ ხალხს მიეცეს თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება, შეწყდეს მშვიდობიანი მანიფესტაციებისა და მიტინგების დარბევა, დევნა-შევიწროებისა და რეპრესიების გზით საზოგადოებრივი აზრის დატერორება და საქართველოს მოსახლეობის შენებული გენოციდი;

4. შეწყდეს პოლიკიტურ ნიადაგზე რეპრესიები და გათავისუფლდეს ყველა პოლიტატიმარი;

5. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მსოფლიოს დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა, ყველა ქვეყნის ნების ადამიანმა, ვისთვი-საც ძვირფასია საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დროულად აღიმაღლოს ხმა საქართველოში ამ უფლებებისა და სხვა საერთაშორისო დეკლარაციებით განცხადებული პრინციპების დასაცავად და თავისი წვლილი შეიტანოს ქარ-თველი ხალხის ნებისა და უფლებების დაცვის წინდათაწმინდა საქმეში;

6. შეწყდეს ქართველი ხალხის ნების იგნორირება და მისი დრტვინვისადმი საერთაშორისო წაყრუების პოლიტიკა. საერთაშო-რისო სამართლიდან გამომდინარე მართებული შეფასებანი მიუცეს ფაქტობრივი ხელისუფლების ანტისახალხო, ანტიეროვნეულ მოღვა-წეობას და გამოცხადდეს იგი კანონგარეშე (ბოლო მოედოს XXI საუკუნის მიჯნაზე ამ უმაგალითო ტირანიას).” [176, გვ. 5-6]

ასეთია ეროვნული მოძრაობის აჭარაში მოქმედი ამ ორგანი-ზაციის მიერ დაფიქსირებული პოზიცია საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგების გამო, მაგრამ ამასთანავე ძალიან საინტერესოა ის ემოციური მუხტი, როგორ აღიქვეს ეს მოღალატური აქტი მისი წინმსწრები მოვლენებითურთ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე მისმა რიგით-მა წევრებმა. ამის მაგალითად გამოდგება ერთ-ერთი მათგანის, ჩვენს მიერ წიგნში ადრე მოხსენიებული, ქალბატონი ნუნუ ქაჯაი-ას მიერ 1994 წლის 9 აპრილს მიტინგზე წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ნათქვამია:

“ჩემო შვილებო! ალბათ ზოგიერთებს კიდეც გიკვირთ, ამ მოხუცებულ ქალს რა ემიტინგება... სახლში ვერ დაჯდებაო, – მაგრამ ზოგიერთებს რომ ჰეონია არც ისეა საქმე, – ვინც მიც-ნობს, კარგად იცის, რომ ნუნუ დეიდას ბევრი ქარტეხილი გამო-უვლია, ბევრი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა აუტანია. ...მინდა ვიბრძოლო თქვენთან ერთად და გავინაწილო ის ყველა ტკივილი, რასაც საქართველოს გარეშე თუ შინაური მტრები გვაყენებენ.

დღეს მითუმეტეს სახლში რა გამაჩერებს. დიახ, დღეს 9 აპ-რილს, როდესაც ამ დღეს დაიღვარა საქართველოს თავისუფლები-სათვის მებრძოლი გოგო-ბიჭების უმანკო სისხლი,

სისხლი, საქართველოს ჭეშმარიტი შვილების...

სისხლი, რომელსაც ვერ ჩამორეცხს საუკუნეები...
სისხლი, რომელმაც შავი ჩააცვა ჩემისთანა დედებს...
სისხლი, რომელმაც შავი ჩააცვა მთელ საქართველოს...

ჩემო შვილები! თქვენ კარგად მოგეხსენებათ როგორ დააფასა ქართველმა ხალხმა იმ პატრიოტების თავდადება, როდესაც 31 მარტის რეფერენდუმით ერთსულოვნად ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, და როგორი სიმბოლური იყო მათი სულების უკვდავსაყოფად, როდესაც საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზეიად გამსახურდიამ, ამ ტრაგედიის 2 წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აქტი გამოაცხადა და ამით კიდევ ერთხელ სული შთაბერა გამოღვიძებულ ქართველ ერს და საქართველო აღმავლობის გზაზე დააყენა! მაგრამ... ვათ სირცხვილო, შემდევ რაც მოხდა ყველამ კარგად ვიცით... მე არ მყოფნის სიტყვები და ძალა ამის აღსაწერად...

საქართველოს შინაურმა მტრებმა, გარეშე ძალის ხელშეწყობით იარაღის ძალით დაამხეს ეროვნული ხელისუფლება და მისი პრეზიდენტი, თბილისი გადაწვეს, სამეცნიერო დაარბიეს, სამაჩაბლო გააჩუქეს, აფხაზეთი გაყიდეს, მაფიას ხელ-ფეხი გაუხსნეს... და ყველაფერი ისე გააკეთეს, რომ დაქცეული და დამშეული საქართველო სნგ-ში შეეყვანათ და კიდეც შეიყვანეს.

აი, შვილებო როგორ გადაუხადა და უხდის დღევანდელი მთავრობა 9 აპრილს დაღუპულ პატრიოტებს მათი თავდადების საფასურს... და მთლიანად სრულიად საქართველოს ხალხს და მათ ნებას, რომელიც 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატეს.

არა!!! შვილებო, ფარ-ხმლის დაყრა არ გამოგვადგება. საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაა საჭირო, მე ღრმად მწამს თქვენი. თქვენ, საქართველოს ჭეშმარიტი შვილები მუდამ იბრძოდით და იბრძოლებთ საქართველოს თავისუფლებისათვის.

მეც თქვენთან ვარ და სანამ შემიძლია ჩემი მანდილის ტარება თქვენთან ვიქნები.

დაგიფარავთ ამ შავი მანდილით და ოეთრი თმებით.

შვილებო!! იბრძოლეთ, რომ უკვდავყოთ 9 აპრილს დაღუპულები. პატივი ეცით მათ სულებს... პატივი ეცით მერაბ კოსტავასა და ზეიად გამსახურდიას სულებს.

გლოცავთ ქართველი დედის სახელით. გფარავდეს ღმერთი. ამინ!” [215]

ქართველი პატრიოტის, ეროვნული მოძრაობის მიერვე აჭარის ეროვნული მოძრაობის დედად შერაცხული ქალბატონის ამ სიტყვებით მსურდა საუბრის დამთავრება თანამედროვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღნიშნულ ეტაპზე, — მაგრამ სანამ მას დაგასრულებდეთ, მინდა გაგაცნოთ 1990 წლის ოქტომბერში “დემოკრატიჩესკაია რასიას” მეოთხე ნომერში დაბეჭდილი საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც უნდა ემოქმედა სოციალისტური ქვეყნების ხელისუფლებას და რომელიც გამოყენებული აქვს ცოტნე ქართველიშვილს მის მიერ გაზრდით საქართველოს სამრეკლო” დაბეჭდილ სტატიაში, — პასუხი “მოწინავე ინტელიგენციას”. [185, გვ. 10] აგტორი მიგვითოთებს, რომ აღნიშნული ინსტრუქციის მე-8 მუხლში წერია: “შედგელობიდან არ უნდა გავუშვათ უნარიანი, ორგანიზატორული ნიჭისა და ხალხში ავტორიტეტის მქონე ადამიანები, საჭიროა ზრუნვა მათ გადმობირებაზე. მაგრამ თუ უარს აცხადებენ, მაშინ უნდა აღიკვეთოს მათი მაღალ პოსტებზე მოხვედრაა...”

მე-10 მუხლში მითითებულია, რომ “მართვის ორგანოებში და უმეტეს წარმოებაში ყველა პოსტზე (ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე) აუცილებელია დაინიშნონ ადამიანები, რომლებიც ჩვენს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ...”

მუხლი 22. “აუცილებელია მუდმივი მეთვალყურეობა დაუწესდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს...”

მუხლი 27. “ადგილობრივი წარმოშობის ხელმძღვანელთა საჯარო გამოსვლებს, დასაშვებია, ჰქონდეს ნაციონალური შეფერილობა (ფორმა), მაგრამ ისინი ხელს არ უნდა უწყობდეს ნაციონალური ერთსულოვნების ზრდას”. ე.ი. კომუნისტური ხელისუფლების მიერ დაწინაურებულ ინტელიგენციას შეეძლო ფორმით ყოფილიყო ეროვნული და არა შინაარსით, მხოლოდ სიტყვით ყოფილიყო პატრიოტი და არა საქმით...” [იქვე] და ა.შ. აი, ჰომოსოციელიკუსის “მესამე მდგომარეობის” განმსაზღვრელი იმიჯი, ანუ როგორ უნდა იმოქმედოს მან ინსტრუქციის მიხედვით.

აღნიშნული ინსტრუქცია (და მისი მსგავსი მრავალი სხვა რამ) არ იყო მხოლოდ ქაღალდზე ფიქსირებული რაღაც მითითებათა კრებული, – იგი საბჭოთა ტოტალიტარულ-კომუნისტური სისტემის ცხოვრების წესის განმსაზღვრულს, მისი არსებობის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენდა. ამ სისტემაში მოხვედრილი ადამიანი განწირული იყო, რომ აღნიშნული წესებით ცხოვრების მსხვერპლი გამხდარიყო. ამიტომაც უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ვაკეთებთ უმწვავეს შეფასებებს, ჩვენ ამ ადამიანებს დამნაშავეებად კი არ განვიხილავთ, არამედ არაადამიანურად მანკიერი სისტემის პროდუქტად, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებს სისტემის მომსახურების სფეროდ აქცევდა და იქ, სადაც არსებობდა ეს სისტემა, ადამიანისათვის ადგილს აღარ ტოვებდა, ხოლო მისგან სასწაულებრივად თავდაღწეული პიროვნებები ამავე სისტემის მიერ შექმნილი საყოველთაო გამასების ფონზე მოჩანდნენ როგორც “თეორი ყვავები”, რომელთაც ეს გამანქურთობული სოციუმი მთელი სისასტერით უპირისპირდებოდა. ამიტომაც ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ამ სისტემიდან გამოსულ ადამიანებს (თვით ე. შევარდნაძესაც კი) შეძლონ საკუთარი შინაგანი არსისათვის, სინდისის ქწნვნის გარეშე თვალის გასწორება, – უკუგდონ აღნიშნული სისტემის მიერ თავსმოხვეული ადამიანურობის წინააღმდევ მიმართული განწყობილებანი და თუ სურთ იქნიონ თავისუფალი სამშობლო, თავდაპირველად თვითონ განთავისუფლებინენ ტოტალიტარული სისტემის მიერ მათში ჩანარგილი ამ ანტიკუმანური ფსიქოზისაგან. ამაში, ჩვენი ღრმა რწმენით, მათ უდიდეს დახმარებას გაუწევს საქართველოში ლუსტრაციის კანონის ცხოვრებაში გატარება, – ეს სამოქალაქო მონანიების ნამდვილი აქტი.

თანამედროვე მსოფლიოს, კაცობრიობის წინაშე მდგარ ურთულეს პრობლემებს შეეხო ჯერ კიდევ XX საუკუნის სამოცდაათან წლებში ზვიად გამსახურდია თავის უნიკალურ ნააზრევში – ”დილემა კაცობრიობის წინაშე”, სადაც ავტორი საუბრობს რა საკაცობრიო პრობლემებზე, ეხება მსოფლიოში იმ ღროისთვის გაბატონებული ორი სისტემის, – ტოტალიტარულ-კომუნისტური და ლიბერალურ-ბურჟუაზიული დემოკრატიის, – განვითარების გზებს, შესაშური სიზუსტით მუთითობებს ორივეს ნაკლოვანებებზე და ადამიანის ადგილზე ამ სისტემებში. და ბოლოს, ეხმიანება, რა ჩვენს

მიერ ზემოთ წამოწეულ თემას, ზვიად გამსახურდია მსჯელობს საბჭოთა ინტელიგენციის მიერ საკუთარი პოზიციის “კეთილგონიერებით”, “შორსმჭვრეტელობით”, თუ სხვაგვარად გამართლებისა და ოპორტუნისტულად განწყობილთა “გონივრული ოპოზიციის” ნიღბით შენიღბვის შესახებ, მიუთითებს, რომ “ამიტომ გამრავლდა ჩვენში “მინიშნებითი აწმყოფითი ლიტერატურა”, ყველასათვის უჩინარი და შეუმჩნეველი დაპირისპირება რეჟიმის უსამართლობასთან” და ა.შ. – აღნიშნავს, რომ “ამგვარ პოლიტიკას, ე.წ. ორთქლის გამოშვების მიზნით, სახელმწიფოც უწყობდა ხელს, “რათა ხალხში აღძრას სურვილი ოპოზიციური ჟინის მოკვლისა იმგვარად ნათქვამი და უმისამართო გამოხტომებით, რომელიც ვიღაცვილაცების მიხედვით რეჟიმის წინააღმდევ არიან მიმართულნი. ეს უფრო უვექტური საშუალებაა დისიდენტურ გამოსვლებთან ბრძოლისა, ვიღრე უხეში აღმინისტრობება, ან პირდაპირ რეპრესირება ნამდვილი ოპოზიციონერისა; დისიდენტის დისკრედიტაცია, როგორც “უტაქტო”, “დიპლომატიას მოკლებული ადამიანისა”, ან ფრთხილი შეფასება, როგორც “ოდნავ ჭკუაზე გადამცდარი ხალხისა”, ზემოხსენებულ “ბრძენ ოპოზიციონერთაგან” განსხვავებით, იგი რეჟიმის მიზნებს საუკეთესოდ ემსახურება, ვინაიდან რეჟიმი კვლავ განაგრძობს გამგებლობას, ხოლო ოპოზიციური ვნებები, რომელიც უფრო და უფრო იზრდება ხალხში, ამგვარი სათამაშო თოვების სროლით კმაყოფილდებიან. ბოლოს იქმნება ილუზია დემოკრატიული საზოგადოებისა, სადაც დისიდენტები რეალობის გრძნობას მოწყვეტილი ხორცმეტნი, ან “დემოგრაფი, ავის მჩჩრეებლი, ნაძირალები” არიან, ხოლო სუკის აგენტები – “ჭეშმარიტი ინტელიგენციას” წარმოადგინენ...” [216]

ზვიად გამსახურდიას ეს თვალსაზრისი ისე თვალნათლივ არის ილუსტრირებული მთელი საბჭოური ცხოვრების წესით, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე დგას და სრულიადაც არ არის საკირველი, რომ სწორედ ამ წერილის დაწერისა (1977 წლის აპრილი) და მისი დაპატიმრების შემდეგ გააქტიურდა დღესაც პრეტენზიების მქონე ზოგიერთი პოლიტ-მოლვაწე, რომელთა შემდგომმა ქმედებებ-მაც სრულიად დაამტკიცა ბატონი ზვიადის მიერ ზემოთმოყვანილ დებულებათა სრული საფუძვლიანობა; [217, გვ. 36] და ალბათ, ზვიადისეულ ამ სიტყვაშიც ბევრი თავის თავს შეიცნობს: “შენ

დაბრძანდები დიდი ქალაქის ქუჩებში, სარგებლობ კომფორტით, მსახურობ, საზღვარგარეთ დაბრძანდები, მეგობართა ვიწრო წრეში ოპოზიციურად ყბედობ. სიტყვით გმირი ხარ, საქმით კი, ყოველნაირად თავს არიდებ სიმართლისათვის ომს, რომელსაც აწარმოებენ შენი მოყვასნი, ნიადაგ ციხისა და საფრთხის ქვეშ მდგომი. შენ არად გენალვლება ციხეებსა და ბანაკებში ჩაყრილი ადამიანების ბედი, რომელთაც წამებით კლავენ, აავადებენ, შენ მათზე ფიქრსაც კი თავს არიდებ, შენ განდევნე ისინი შენი ცნობიერების ველიდან. შენთვის ისინი “არაპიროვნებანი” არიან... ამით კი თავად შენ ხდები “არაპიროვნება”, ამით შენ ხდები ფიტული კაცისა, სწობი სწობთა შორის ყბედობის სენით დაავადებული, თანდათან შენი ცხოვრების წესი მიგიყვანს დევრადაციამდე, ამორალიზმამდე, ბოლოს შენ შესაძლოა შეიძულო შენი მოყვასი, რომელიც თავს სწორავს სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლაში. შენ მისთვის იწყებ ათასგარი ატრიბუტის გამოგონებასაც: “უცნაური”, “დონგიხოტი”, “პოზიორი”. მისი წვრილმანი ნაკლის ქექვას, მის კრიტიკას, მოკლედ გსურს დაასაბუთო შენი გზის ისწორე, რომელსაც დაღუპვისაკენ მიყავსარ...” [216, გვ. 25-26]

აი, ასეთია ზეიადისეული ყოვლისშემმუსვრელი, გამანადგურებელი სიმართლე და მისი ეს ნაწარმოები რომ ბევრს ადრევე გაეცნო, ვფიქრობ არასდროს დაადგეონდა თვითგანადგურებისაკენ მიმავალ დამტუპველ გზას, რადგან სიმართლეს აქვს ერთი საოცარი თვისება – შენდა უნებურად შინაგანად გაგაცისკროვნოს. და ჩვენი მიზანიც სხვა არაფერია თუ არა ის, რომ ჩვენს ცოდვილ მომმეთ ხელი შევაშველოთ ამ გზაზე, საბოლოოდ ვიზსნათ ისინი პირქუში წარსულისაგან საქართველოს მომავლისათვის...

ქართველმა ერმა და, უპირველეს ყოვლისა, ქართველმა პოლიტიკოსებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ საქართველოს ირგვლივ აღნიშნულ პერიოდში დატრიალებული ტრაგედიდან. თუ გადავხედავთ ამ ტრაგედის უშუალო ქრონიკას და ჯანსაღი, ემოციისაგან თავისუფალი თვალთახედვით გავაანალიზებთ მომხდარს, დავინახავთ, რომ დიდი ხნის განმავლობაში რა მიზანმიმართულად მზადებოდა ყველაფერი. ამასთან შეუძნეველი არ დაგვრჩება საკუთარი უპასუხისმგებლობა და სიბრიყვე, ისევ ქართული ელემენტის მიერ შესრულებული როლი ყველაფერი მომხდარის შემზადე-

ბასა და განხორციელებაში. აქედან სწორი ანალიზი უნდა გავუკეთოთომ მომხდარის და დავსახოთ გზა მომავალში მსგავსი მოვლენების დროულად აღსაკვეთად.

იმჟამად, როგორც ჩანს, მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველმა ძალებმა საერთაშორისო გლობალური პოლიტიკის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს და საჭიროდ არ ჩათვალეს ქართველი ხალხის ნებისა და მისი სამართლიანი ბრძოლისათვის მხარდაჭერა. ამიტომაც ქვეყანა ისევ აღმოჩნდა იმ სივრცეში, საიდანაც თავდაღწევას თავგანწირვით ცდილობდა. მსოფლიო პოლიტიკურმა ელიტამ ედუარდ შევარდნაძეს და K°-ს შეასრულებინა საკუთარი დაკვეთა და კავკასიის “სტაბილიზაციას შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობა.” [218]

თავის მოტყუება იქნებოდა ის, რომ ასეთ პირობებში ერთეულმა პიროვნებებმა რაიმეს გადაწყვეტა შესძლონ, რადგან აქ, როგორც ჩანს, ყველაფერი გადაწყვეტა საერთაშორისო გლობალურ პოლიტიკასთან იმჟამინდელი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანთა შეუსაბამობამ. მათვის მთავარი იყო საბჭოთა კავშირის დაშლა და მის ადგილზე ახალი, მათი ინტერესების შესაბამისად რეფორმირებული, აღნიშნული სივრცის მაკონტროლებელი სტრუქტურის, ისევ რუსეთით სათავეში, ჩამოყალიბება, რადაც მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მიაჩნდათ. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ქართული საზოგადოების ძირითადი მამოძრავებელი ინტერესების დაქასებულობაც და პირველ ყოვლისა, აქედან გამომდინარე რეალური თავისუფლების მისაღწევად, მისი მომზადების ხარისხი, რაც არც თუ მაღალი აღმოჩნდა.

ასე, რომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თუ ამჯერადაც მარცხით დამთავრდა, აქ დამარცხდა არა რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე ან პოლიტიკოსთა ესა თუ დასი, არამედ სრულიად საქართველოს მომავლისა და პროგრესისაგან წამყვანი იდეა. ამასთან ქვეყნის მომავალი რეალური დამოუკიდებლობისათვის მიღწევაზე ორიენტირებული ერი, აუცილებლად აგრძელებს ბრძოლას საბოლოო მიზნის მისაღწევად, – და მან ამ მიზნის სამსახურში უნდა ჩააყენოს თავისი ყველა პოტენციური შესაძლებლობანი, – ქვეყნის შიდა თუ საგარეო ურთიერთობების მოწესრიგებისას ისარგებლოს საერთაშორისო, გლობალური პოლი-

ტიკის რეალურ ანალიზზე გათვლილი შორსმჭვრეტელური დიპ-ლომატით.

ცნობილია, რომ დიდი პოლიტიკის მკეთებელი გლობალისტებისათვის საყოველთაო სიკეთისა და თანასწორობა-დემოკრატის ქადაგება, მხოლოდ თავიანთი უმთავრესი მიზნის შესანიღბად მომარჯვებული ლოზუნგებია და ისინი თავიანთ საქმიანობაში ყოველთვის პრიორიტეტს ანიჭებენ მათვის სასარგებლოსა და პრაგმატულს; – ჩვენისთანა პატარა ქვეყნებს კი, ასეთ პირობებში ხშირ შემთხვევებში არ ასცდებათ “შესაწირი პაიკის” როლი... ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და მისი გათვალისწინებით, ფრთხილად უნდა გადავდგათ ყველა მოძღვნო პოლიტიკური ნაბიჯი.

მაშინ კი, თუ რა დონეზე იყო პოლიტიკური აზროვნება სამშობლოს პატრიოტობაზე მოპრეტენზიე ელიტარებში, ამის მაგალითად მოვიყვანთ, მართლაც შესანიშნავი მებრძოლის, მაგრამ ამდენადვე წარმოუდგენლად არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკანის, გია ყარყარაშვილის მოსაზრებას: “უქსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულმა ძალებმა ფართო ფრონტით აიღეს ხონი, მარტვილი, სენაკი, ფოთი, ხონი, სამტრედია. ზოგიერთ რაოთნში მოსახლეობა აღფრთვანებით ხვდებოდა გამარჯვებულებს, შეიარაღებულ ძალებს აძლიერებდნენ კიდეც. მოიერიშები ქუთაისს მიადგნენ. საქართველოს აშკარა საფრთხე დაემუქრა – საქართველო ლიხს იქთ და ლიხს აქეთ!” [218, გვ. 11] – პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრებს რაიმე ძალით კი არ აუღიათ, როგორც ამ ტერმინის გამოყენებაში დახელოებული “მთავრსარდალი” აღნიშნავს, არამედ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შეუქცევადი პროცესი დაიწყო, რასაც ე. შევარდნაძემ მისი მარიონეტებითურთ, რუსეთის საოკუპაციო ძალების გარდა, ვერაფერი დაუპირისპირა და რაზედაც იქვე მიუთითებს გ. ყარყარაშვილი, როდესაც აღნიშნავს: “ამ დროს პრეზიდენტსა (ე. შევარდნაძეს გულისხმობს, – და მათი უბედურებაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ კანონიერ პრეზიდენტს ექსპრეზიდენტად მოიხსენიებდნენ, ხოლო თვითმარქვია უზურპატორს, – პრეზიდენტად. – უ.ო.) და რუსეთის რეაქციულ ძალებს შორის (პროგრესულებიც იგულება რუსეთში, რომლებიც დღემდე ვერავინ აღმოაჩინა – უ.ო.) პოლიტიკური გაჭრობა მიმდინარეობს. საქართველო შედის სნგ-ში, ინიშნებიან მინისტრები მოს-

კოვის შეკვეთით... ქვეყანა გაივსო ტალეირანებით, უოზეფ ფუშეებითა (შიც! – უ.ო.) და ყვარყვარებით.” [იქვე] (პირველ ორზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ყვარყვარებით რომ გაივსო ქვეყნა, ეს ნამდვილად იყო – უ.ო.) გრა ჭანტურია კი, რომელიც ზვიად გამსახურდიას უკიუნებდა რუსეთთან ალიანსს, ამაზე ხმასაც არ იღებს და პირიქით, ადვოკატად უდგება შევარდნაძის ხელისუფლებას, რაც საერთოდ ამ ძალის უპირველესი მახასიათებელია, – ყველაფერი იკადროს მისთვის არასასურველი პიროვნებების დისკრედიტაციისათვის და ასევე მოიქცეს დროებით პოლიტიკურ მოკავშირედ მიჩნეულთა დასაცავად, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა, როდესაც საქმე დაიჭირა მისივე ზნეობის ბადალ “მსოფლიო დონის პოლიტიკოსთან”.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის საქართველოს დაუღალაგი ქრისტესმიერი ქადაგის, ზვიად გამსახურდიას უარმყოფელი, მისი მიშურნე და ამ ნიადაგზე მომტერენი, – ეს ჩვენი თანამედროვე კაიაფები, რომელთაც ვერაფერი შესმინა ბიძლია-სახარებისულმა ისტორიამაც კი, საკუთარ თავსა და შთამომავლობასაც კიდევ ერთხელ წირავენ მარადიული წყევლისათვის. სწორედ ამ კაიაფათა ურწმუნოებამ და სისახტიკემ არჩია ბარაბას გზა და მით ებრაული მოდგმა ათასწლოვანი ტანჯვისათვის გასწირა.

ეპოქალური გზის გასაყარზე ზვად გამსახურდიამაც მიმართა ქართველ ერს: “თქვენს წინაშეა ორი გზა – გზა ქრისტესი და გზა ბარაბასი. ქართველო ერო, ამოირჩიე რომელი გინდა!” – მაშინ ქართველი ერის საუკუნოვანი მონობიდან ამონთხეულმა ბარაბას მიმდევრებმა, რომელთაც ვერც კი შენიშნეს მათ გამოსაფხიზლებლად მიმართული ქართველი მამულიშვილის, გრა აბესაძის მოწამეობრივი თვითშეწირვა, კიდევ ერთხელ აზეიმეს კაიაფა, რომელმაც მიიღო ხელისუფლება და სატანის კვერთხით მართვის უფლება საქართველოში; და მრავალნი დღესაც უფასო ვექილებად უდგანან მის ცოდვათა არა მარტო სადღეისო, არამედ სამომავლოდ გამართლების საქმეს.

ყველა ჭეშმარიტი მშვიდობისმყოფელისა და კეთილმოქმედის გასაგონად უნდა ითქვას, რომ სანამ საბოლოოდ არ მხილებულა კაიაფა და მის მიმდევარ-მორჩილთა დასი, მანამ ჩვენც მის საქმეთა თანამოზიარედ და თანაზიარად ვთოვლებით ყველა. კაიაფას მხილე-

ბა, ეს ღვთის ნებაა და მისი აღსრულებით დაიწყება ჩვენი სამშობლოს გაბრწყინება (მისთვის მეორედ მოსვლა), უფლის დაბრუნება ადამის მოდგმაში. იყავი გაბედული – ეზიარე უფალს!

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

თავი I. აჭარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობიდან მრავალპარტიულ არჩევნებამდე (1989.X-1990.X)

1. მორის ალლე, მღელგარე ცვლილებანი აღმოსავლეთში, ჟურნ. “ივერია”, №34, პარიზი, 1990, გვ. 28-38
2. პეტრე იბერი, შენიშვნები, ჟურნ. “ივერია”, №35, პარიზი, 1990, გვ. 48-61
3. გამოცხადება ოთანე ღვთისმეტყველისა, ა. 3, 15-18
4. А. Фстафьев, Место действия, рассказы, журн. Наш современник, №5, Москва, 1986, стр. 100-141
5. Солженицин А., Как нам обустроить Россию?, Париж, YMCA-PRESS, 1990, стр. 3-4
6. კაშა ჯ., ზოგიერთი რამ საქართველოს რესეთთან შეერთებაზე, ჟურნ. “თავისუფლების ტრიბუნა”, №39, პარიზი, 1983, გვ. 18
7. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №58, 1990 (იანვარი)
8. ფუკიამა ფრ., ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბილისი, 1999.
9. Dokumente zu Hegels Entwicklung, ed. S. Hoffmeister, Stuttgart, 1936. (p. 352)
10. კვესელავა ი., ადეაშვილი ეკ., “გლობალურობა და ეროვნული იდეა”, საისტორიო ვერტიკალები, №10, თბილისი, 2006, გვ. 108-111
11. არენდეტი ჰანნა, ტოტალიტარიზმის წარმოშობა, ჰაიდელბერგი, 1951
12. ჟურნ. “გუშაგი”, №15, პარიზი, 1988, მარტი
13. ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტ. საბჭოების აღმას. კომიტეტის №07/09/848, 1987 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება
14. იქვე, №4/480, 1988 წლის 18 ივლისის დადგენილება
15. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №7, 1988, ივლისი
16. გაზ. “ბათუმის ხმა”, №2, 1988, 11.10

17. გამსახურდია ზვიად, მონანიება, — მოუნანიებლობა სჯობდა, ჟურნ. “გუშაგი”, №16, პარიზი, 1988, ივლისი. გვ. 48-50
18. გაზ. “ ე ონდ”, 1988.12.03
19. სსრ კავშირის ხალხთა პატრიოტული მოძრაობის საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა, ჟურნ. “გუშაგი”, №16, პარიზი, 1988, გვ. 25-29
20. გუდავა თ., ღია წერილი, ჟურნ. “გუშაგი”, №17, 1988.X
21. კოსტავა მერაბ, ბერლინის კედელი საქართველოში, ო. ჭავჭავაძის საზ-ბის “მოამბე”, №4-5, 1988, მარტი-აპრილი
22. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №3, 1988
23. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №45 (65), 1991
24. ნადირაძე რ., ტრაფარეტი (კრებული), საწყისი თარიღის შესახებ, ბათუმი, 2001, გვ. 184-185
25. ჟურნ. “ლაზარეს აღდგინება”, №2, 1989
26. 1988 წლის 21 ოქტომბერი, ბათუმი, საქმე 21, ამონაწერი სამსჯავრო სხდომის ოქმიდან
27. მალაშვილი ნ., გვჭირდება თუ არა ავტონომია, გაზ. “აჭარა”, 2004, 1 ივლისი
28. ჟორდანია ნ., ჯერ კიდევ უთქმელი სათქმელი, ანუ დოკუმენტებში ასახული სინამდვილე, გაზ. “აჭარა”, №71, 2005, 20 აპრილი
29. ჟურნ. “გუშაგი”, №18, 1989, თებერვალი
30. მიქელაძე ნაზი, მოგონებები, გაზ. “უამთააღმწერელი”, №1, 2005, 17 მაისი
31. ცისკარიშვილი ე., სად გაჩერდნენ თქვენი მამები, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1989, 27 იანვარი
32. ჯაფარიძე რ., რა გვიმძიმს, რა გვიხარია, გაზ. “კომუნისტი”, 1988.8.12
33. გაზ. “კომუნისტი”, 1988.1.12
34. მიმართვა აშშ კონგრესის პელსინკის კომისიის თავ-რეს ბ-ნ სტენი პოიერსა და შეერთ. შტატების სახელმწიფო მდიგნის თანაშემწეს ბ-ნ რ. შიფტერს საქართველოს პელსინკის ჯგუფის, ო. ჭავჭავაძის საზოგადოების IV დასისა და საქონე-საგან, ჟურნ. “გუშაგი”, №18, 1989, გვ. 19-22

35. გუდავა თ., რეპრესიების განახლება, ჟურნ. “გუშაგი”, №18, 1989, გვ. 22-25
36. გაზ. “ბათუმის ხმა”, №3, 2005, აპრილი
37. ოქროპირიძე უ., საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუციის აღ-დგენა და აჭარის ავტონომიის პრობლემა, ბათუმი, გამომც. “ბათუმის უნივერსიტეტი”, 2005
38. ოქროპირიძე უ., აჭარა საქართველოს ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი ბრძოლის საწყის ეტაპზე (1988.X – 1989.9.04) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, III, ბათუმი, 2008, გვ. 191-206
39. ვილნიუსის თათბირი, ჟურნ. “გუშაგი”, №18, 1989, გვ. 30-32
40. ლაშქარაშვილი ზ., სულ უკანასკნელი ამბები, ჟურნ. “გუშა-გი”, №18, 1989, გვ. 94-99
41. ლიგაჩოვ-შევარდნაძის უცნაური შეკამათება, ჟურნ. “გუშაგი”, №21, 1990, გვ. 74-76 (გადმობეჭდილია 1990 წლის 9 თე-ბერვლის გაზ. “კომუნისტიდან”)
42. ჩვენი კომეტარი (გ. წერეთელი), ჟურნ. “გუშაგი”, №21, 1989, გვ. 77
43. ილა მეორის მიმართვა გორბაჩოვისა და დეპუტატებისადმი, ჟურნ. “გუშაგი”, №20, 1989, ნოემბერი, გვ. 5-6
44. ბერძნიშვილი დ., აჭარის ავტონომიის შექმნის წანამდღვრე-ბი, გაზ. “თბილისის უნივერსიტეტი”, 1989, 26 მაისი
45. ზოიძე ო., კიდევ ერთხელ “მომე აჭარელი ხალხის” შესა-ხებ, ჟრნ. “ცისკარი”, 1989, №8
46. მახარაძე მ., სტერეოტიპების ტყვეობაში თუ შეგნებული დე-ზინფორმაცია?, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1990.2.03
47. ფუტკარაძე ტ., თავისუფლების შოვნაი, სკობს საშოვნელსა ყველასა, ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია?, გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, №30, 1990, 17 მარტი
48. ფუტკარაძე თ., ავტონომიის სინდრომი, გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”, №33, 1990, 27 მარტი

49. გორგილაძე მ., დიასამიძე ბ., ქედელიძე ნ., ზოგჯერ თქმა სჯობს... გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1990, №9, 2.III
50. მახარაძე მ., ლია წერილი აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რეს ბატონ გურამ ჩიგოგიძეს, გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, №143, 1989.30.11
51. ჯიჯაგაძე მ., აგალიანი თ., ცეცხლაძე ო., მგელაძე მ., კოდვე ერთხელ აჭარული სეპარატიზმის შესახებ, გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, №149, 1989, 9.12
52. სინამდვილეში კი ეს ასე იყო, გაზ. “საბჭოთა აჭარა”, №92, 1990, 16 მაისი
53. ჯურნ. «Огонек», №31, 1989, июль, стр. 27
54. გამსახურდია ზვად, ლია წერილი ანდრეი სახაროვისადმი, ჟურნ. “გუშაგი”, №20, 1989, ნოემბრი, გვ. 16-23
55. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, ჟურნ. “ივერია”, №34, პარიზი, 1990, გვ. 25-28
56. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღ-დგენის მოთხოვნით, გაზ. “ქართული ქრონიკა”, №1 (58), 1990, იანვარი
57. დამოუკიდებლობა: ზეიმი და რეალობა, ჟურნ. “გუშაგი”, №22, გვ. 4-9
58. გაზ. “კომუნისტი”, №57 (20703), 1990, 10 მარტი
59. მითაიშვილი მ., გზა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ, გაზ. “აჭარა”, №50, 1990
60. ნათაძე ნ., საქართველოს სახალხო ფრონტის უშუალო ამო-ცანები, გაზ. “საქართველო”, №1, 1989
61. გაზ. “კომუნისტი”, №66, 1990,22.03
62. გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1990,2.06
63. სია შედგენილია ტარიელ მახარაძის მიერ ჩვენთვის გადმო-ცემული მოგონებისა და დოკუმენტების საფუძველზე
64. სახუტაიშვილი დავით, რა მისცა ავტონომიამ აჭარას?, სა-ქართველოს მეცნ. აკად. ჟურნ. “მაცნე”, ისტორიის, ეთნოგ-რაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3,1991

**თავი II. აჭარა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლება
(1990.28.X-1992.6.I)**

65. დემოკრატიული არჩევნები შემოდგომაზე, ჟურნ. “მებრძოლი საქართველო”, №8, 1990, პარიზი, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, გვ. 8
66. მრგვალი მაგიდის შეხვედრები, გაზ. “თბილისი”, №211, 1990.14.09
67. ხახუტაიშვილი დ., რა მისცა ავტონომიამ აჭარას?, საქართველოს მეცნ. აკადემიის ჟურნ. “მაცნე”, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 1991
68. გაზ. “სახალხო განათლება”, №44, 1990.1.11
69. ოქროპირიძე უ., საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენა და აჭარის ავტონომიის პრობლემა, ბათუმი, 2005
70. მიმართვა აჭარის მოსახლეობას, გაზ. “აღდგომა”, №6 (103), 1996, თებერვალი
71. ჟურნ. “გუშაგი”, №23, პარიზი, 1990, ნოემბერი
72. საქ. ეროვნული კონგრესის წევრ ტარიელ მახარაძის მიერ გადმოცემული დოკუმენტაცია
73. კვესელავა ი., ადგიშვილი ეკ., გლობალური და ეროვნული იდეა, ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალება”, №10, გვ. 206
74. კვესელავა ი., ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური პორტრეტი, ჟურნ. “საისტ. ვერტილაკები”, №6, 2004
75. საქ. სსრ, აჭარის ასსრ, კულტურის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმი, 27.10.1990 წ.
76. გაზ. “აჭარა”, №23. 1991.7.02
77. ხაბაზი კ., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, გაზ. “ბათუმი”, №4, 1991, მარტი
78. ბაგრატიონი ნ., ჩვენი პოზიცია, გაზ. “ბათუმი”, №4, 1991, მარტი
79. მესხიძე ზ., ხაბაზი კ., რატომ ვამბობთ უარს ხელისუფლებაზე?, გაზ/ “ბათუმი”, №4, 1991, მარტი

80. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ბათუ-
მის ორგანიზაციის სამხედრო საქმეთა კომისიის მიმართვა,
გაზ. “ბათუმი”, №4, 1991, მარტი
81. მიმდინარე მოვლენები, იქვე, გვ. 5
82. წმ. ილია მართლის საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის
წევრ ნუნუ ქაჯაიას მასალები
83. გაზ. “ბათუმის ხმა”, №3 (15), 1991, აპრილი
84. ჟურნ. “გუშაგი”. №24, პარიზი, 1991, თებერვალი
85. Обращение Партии национальнои независимости к
населению Грузии по поводу референдума 31 марта 1991
года, «Вестник Грузии», 23 марта, 1991 г.
86. ჟურნ. “გუშაგი”, №25, პარიზი, 1991, აგვისტო
87. ერთი ამბავი ორი პოზიცია, გაზ. “უამთააღმწერელი”, №1,
2005, 17.05
88. გაზ. “აჭარა”, №6 (18.719), 1991, 10.04
89. გაზ. “აღდგომა”, №6 (103), 1996, თებერვალი
90. არა მეფები, ანუ პერის პარპაში, გაზ. “მსგეფსი”, №15,
1994
91. სრ. საქართველოს წმ. ილია მართლის საზოგადოების აჭა-
რის რეგიონალური ორგანიზაციის 1990 წლის №2, №3,
№4 და 1991 წლის №1, №2, №3, №4, №5 და ა.შ. ოქტები
92. ოქტომბერი №6, სრ. საქ. წმ. ილია მართლის საზ-ბის ბათუმის
ფილიალი, 26.06.91 წ.
93. 1991 წლის 28 აგვისტო, მრგვალი მაგიდა – თავისუფალი
საქართველოს აჭარის ორგანიზაცია (ჰელსინკის კავშირი,
წმ. ილია მართლის საზ-ბა) კონფერენციის ოქტომბერი
94. Масалкин Г. Единство, согласие, сплоченность, газ.
«Аджария», №94, 1991, 28.05
95. Окропиридзе У. Письмо другу, газ. «Аджария», 112,
1991, 26.06
96. Масалкин Г. Истина рождается в споре, газ. «Аджария»,
№121, 1991, 11.07
97. Окропиридзе У. На разных языках, газ. «Аджария», №135,
1991, 30.07
98. ჟურნ. “გუშაგი”, №25, პარიზი, 1991, აგვისტო
99. ჟურნ. “გუშაგი”, №26, პარიზი, 1991, დეკემბერი

100. მიმართვა ქართველი ერისადმი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვად გამსახურდია, 18/02.1992 წ. შურნ. “გუ-შაგი”, №27, 1992 წ.
101. სურმანიძე რ., ყველა ჩვენთაგანი ვალდებულია, გაზ. “აჭა-რა”, №162, 1991,10.09
102. ოქროპირიძე უ., სულიც და სხულიც ქართული, გაზ. “აჭა-რა”, იქვე
103. გაზ. “თავისუფალი საქართველო”, 1994, 9-16 ივნისი
104. ყორანიშვილი გ., ისევ რევოლუციისა და კონტრევოლუციის თაობაზე, გაზ. “დრონი”, №42, 1991,1.11
105. ჭანტურია გ., წერილი პრეზიდენტ ბუშს, გაზ. “დრონი”, №42, 1991,1.11
- 105*. კლიმიაშვილი რ., ნაციონალიზმი მეოცე საუკუნის ბოლოს, გაზეთი “დრონი”, №42, 1991,1.11
106. გია ჭანტურიას პირადი საქმიდან, გაზ. “თვალთაი”, №27, 1996, 18-24 დეკემბერი
107. კვესელავა ი., ეროვნული იდეა, კრებ. “საისტორიო ვერტიკა-ლები”, №3, 2003
108. მალაყმაძე ნ., გვჭირდება თუ არა აკტონომია, გაზ. “აჭარა”, 2004,1.07
109. მალაყმაძე ნ., ვინ ითხოვდა 13 წლის წინ ავტონომიის გაუქ-მებას, გაზეთი “აჭარა .შ.”, 2004, 24-26 თებერვალი
110. ოქროპირიძე უ., სადღეისო მიზნები, გაზ. “ძლევაი”, №1, 1991,16.09
111. გაზ. “ქართული ქრონიკა”, 1991, მარტი
112. ჭანტურია გ., დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, გაზ. “ქართული ქრონიკა”, 1991, ნოემბერი
113. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 1991,2.10
114. თომაძე მ., ველოდი თქვენს მიერ გამოხატულ პროტესტს, გაზ. “დრონი”, №12, 1 ნოემბერი
115. გოგიჩაიშვილი ც., შურნალისტები ბარიკადების ორიგე მხა-რეს უნდა იდგნენ, გაზ. “დრონი”, №41, 1991,25.10
116. გრიგოლია თ., სამხრეთ კავკასიაში არსებული გაყინული კონფლიქტების ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები, შურნ. “საისტორიო ვერტიკალები”, №9, 2005

117. ბრალს ვდებ რუსულ იმპერიალიზმს, ჟურნ. “გუშაგი”, №27, 1992

თავი III. აჭარა საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების პერიოდში (1991.XII.22 – 1992.X.11)

118. დემოკრატიული აღორძინების კავშირის (შემდგომში დაკ) არქივი, აღწ. 1, საქმე 1, 1991 წ.
119. დაკ-ის არქივი, აღწ. 1. საქმე 2, 1992 წ.
120. დაკ-ის არქივი, აღწ. 1. საქმე 17, 1997 წ.
121. გაზ. “მაჭახელა”, №2 (18), აპნისი, 1992 წ.
122. გაზ. “მაჭახელა”, №6 (22), მირკანი, 1992 წ.
123. რა მოვიტანა გადატრიალებამ?, გაზ. “იბერია-სპექტრი”, №155, 1995 წ. 21 დეკემბერი
124. მთავრი გაზეთი კვირას, 5-12 იანვარი, 2003 წ.
125. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №1 (11), 1992 წ., 7 იანვარი
126. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №2 (12), 1992 წ., 5 ოქტომბერი
127. გაზ. “მაჭახელა”, №1 (17), 1992 წ., აპნისი (იანვარი)
128. გაზ. “მაჭახელა”, №2 (18), 1992 წ., აპნისი
129. გაზ. “მაჭახელა”, №4-5 (21), 1992 წ., მირკანი
130. გაზ. “მაჭახელა”, №3 (19), 1992 წ., სურწყუნისი
131. გაზ. “მაჭახელა”, №11 (27), 1992 წ., მკათათვე (ივნისი)
132. გაზ. “საჩინო”, №1, 1991 წ., აპრილი
133. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №110, 1994 წ., 7-14 დეკემბერი
134. მრევლიშვილი გ., უამი უმბიმესი გამოცდისა, გაზ. “იბერია-სპექტრი”, №110
135. გაზ. “ქართული აზრი”, №1, 1992 წ., იანვარი
136. გაზ. “ქართული აზრი”, №2, 1992 წ., 1 ოქტომბერი
137. გაზ. “ქართული აზრი”, №3, 1992 წ., 6 ოქტომბერი
138. გაზ. “ქართული აზრი”, №5, 1992 წ., 16 ოქტომბერი
139. გაზ. “ქართული აზრი”, №6, 1992 წ., 26 ოქტომბერი
140. გამსახურდია ზვიად, ღია წერილი მის აღმატებულებას, რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს, გაზ. “ქართული აზრი”, №6

141. გაზ. “ქართული აზრი”, №10, 1992 წ., 28 მარტი
142. გამსახურდა ზვად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს, გაზეთი “ქართული ქრონიკა”, №6
143. წერეთელი გ., ბრალს ვდებთ რუსულ იმპერიალიზმს, ჟურნ. “გუშაგი”, №27, 1992 წ., გაზაფხული
144. წერეთელი გ., ლა წერილი საქართველოს ამბებზე, ჟურნ. “გუშაგი”, №27
145. აშშ-ის სიყვარული ქართველი დიქტატორისადმი, გაზ. “კოლხური კოშკი”, №1, 1994 წ., 26 სექტემბერი
146. მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი, გაზ. “უამთააღმწერელი”, №2, 2205 წ., (ივნისი)
147. გაზ. “საჩინო”, №2 (11), 1992 წ., ივლისი
148. გაზ. “მაჭახელა”, №10 (26), 1992 წ., თიბათვე (ივნისი)
149. გაზ. “დრონი”, 1992 წ., 16 მაისი
150. ვნებათაღელვანი თეატრალურ მოედანზე, გაზ. “მაჭახელა”, №11 (27)
151. სამშობლოდან მომდინარე ამბები, ჟურნ. “გუშაგი”, №27, 1992, გაზაფხული
152. ჟურნ. “გუშაგი”, №28, 1992 წ., ზაფხული
153. გაზ. “ქართული ქრონიკა”, 1992 წ., 19 აგვისტო
154. გაზ. “მაჭახელა” №15 (31), 1992 წ., ენკენისთვე (სექტემბერი)
155. გაზ. “აჭარა”, №66, 1991, 10 აპრილი
156. გაზ. “მაჭახელა”, №17 (33), 1992 წ., ღვინობისთვე (ოქტომბერი)
157. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №1, 1992 წ., 15 დეკემბერი
158. გაზ., “ქართული ქრონიკა”, 1992 წ., 27 აგვისტო
159. კვესელავა ივ., ეროვნული იდეა, ჟურნ. “საისტორიო ვერტიკალები”, №3, 2003 წ., გვ. 119-135
160. გაზ. “7 დღე”, 1994 წ., 14-20 ივნისი
161. კუპავა თ., ტკივილიანი წელიწადი, გაზ. “იბერია-სპექტრი”, №58, 1992 წ., 15-21 დეკემბერი

162. მრევლიშვილი გ., ნაღვლაანად მოგვიახლოვდა ქრისტეშობისთვე, გაზ. “იბერია-სპექტრი”, იქვე
163. ქორელი ალ., დავითულანი დ., კონტრრევოლუცია, გაზ. “იბერია-სპექტრი”, იქვე
164. მჭედლიშვილი გ., რა მოვიგეთ, გაზ. “იბერია-სპექტრი”, იქვე
165. რედაქცია გაკვირვებულია, გაზ. “იბერია-სპექტრი”, იქვე
166. ოქროპირიძე უ., რა ხდება აჭარაში?, გაზ. “აღდგომა”, №6 (103), 1996 წ., თებერვალი

თავი IV. აჭარა “იმედის” არჩევნებიდან უიმედო არჩევანამდე (1992.XI.10 – 1994.I.03)

167. გაზ. “მაჭახელა”, №19 (36), 1992 წ., ქრისტეშობისთვე: გაზ. “თბილისი”, 1992 წ., 10 ნოემბერი
168. გაზ. “მაჭახელა”, №18 (35), 1993 წ., გიორგობისთვე
169. ოქროპირიძე უ., მბევლები, გაზ. “აღდგომა”, №15 (47), 1992 წ., 4 მაისი
170. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №3 (5), 1993 წ., 2 თებერვალი
171. გაზ. “ქართული აზრი”, №1 (29), 1993 წ., 26 იანვარი
172. გაზ. “ჭყონდიდელი”, №2, 1993 წ., 18 ვარდობისთვე (მაისი)
173. გაზ. “რეზონანსი”, №32 (59), 1993 წ., 7 აპრილი
174. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №13 (15), 1993 წ., 14 აპრილი
175. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №15 (17), 1993 წ., 28 აპრილი
176. გაზ. “აღდგომა”, №6 (103), 1993 წ., თებერვალი
177. გაზ. “უამთააღმწერელი”, №3, 2005, 15 ნოემბერი
178. გაზ. “ბათუმის ხმა”, №2 (20), 1993 წ., მაისი
179. ხაინდრავა ივ., ხელისუფლების გენეზისი საქართველოში. 1992 წელი, გაზ. “საქართველოს კარიბჭე”, №1, 1993 წ., იანვარი
- 179^o. მგელაძე ნ., რელიგია და ეროვნული ფასეულობანი, გაზ. “საქართველოს კარიბჭე”, იქვე

180. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №63, 1993 წ., 17 იანვარი
181. გაზ. “საშუალო ფენა”, №5, 1993 წ., მაისი
182. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №18 (20), 1993 წ., 25 მაისი
183. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №79, 1993 წ., 18-24 მაისი
184. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №80, 1993 წ., 1-7 ივნისი
- 184^o. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №81, 1993 წ., 8-14 ივნისი
185. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №23 (25), 1993 წ., 24 ივნისი
186. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №16 (18), 1993 წ., 5 მაისი
187. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №20 (22), 1993 წ., 3 ივნისი
188. გზ. “აღდგომა”, №22 (54), 1993 წ., 3 ივლისი
189. გზ. “აღდგომა”, №25 (57), 1993 წ., 31 ივლისი
190. გზ. “საქართველოს სამრეკლო”, №25 (27), 1993 წ., 16 ივლისი
191. გაზ. “ეგრისი”, №1, 1993 წ., 28 ივლისი
192. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №86, 1993 წ., 18-24 აგვისტო
193. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №85, 1993 წ., 11-17 აგვისტო
194. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №89, 1993 წ., 8-14 სექტემბერი
195. გაზ. “იბერია-სპექტრი”, №90, 1993 წ., 15-21 სექტემბერი
- 195^o. გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”, 1993, 24.07
196. გაზ. “საქართველოს სამრეკლო”, №28 (30), 1993 წ., 14 აგვისტო
197. გაზ. “თავისუფლება”, №2, 2005 წ., 3 ნოემბერი
198. გაზ. “აღდგომა”, №32 (63), 1993 წ., 26 სექტემბერი
199. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №27 (117), 1993 წ., 29 სექტემბერი
200. გაზ. “ფაქტი, აზრი, კომენტარი”, №15 (26), 1993 წ. 8 ოქტომბერი
201. ოქროპირიძე უ., რასპუტინიდან პუტინამდე, გაზ. “ბათუმის ხმა”, №3, 2004 წ., აპრილი

202. გუგუშვილი ბ., დღემდე უცნობი დოკუმენტები საქართველოს სამოქალაქო ომის შესახებ, გაზ. “ალა”, №144 (943), 2000 წ., 12-13 სექტემბერი
203. რიეფინგ ონ ჩურრენტი ინ ეორგია ანდ იმპლიცატიონს ფორ შ პოლიცყ, ჩომმისსიონ ონ შეცურიტყ ანდ ჩოოპერატიონ ინ უროპე, ონდაყ, ცტობერ 25, 1993, ჭასპინ-გტონ, ჩ.
204. გაზ. “აღორძინება”, №22, 1993 წ., 28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი
205. გაზ. “ახალი თაობა”, №14, 1993 წ., 4 ნოემბერი
206. გაზ. “რეზონანსი”, №121, 1993 წ., 4 დეკემბერი
207. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №40 (127), 1994 წ., 13 იანვარი
208. გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”, №3 (11906), 1994 წ., 26 იანვარი
209. გაზ. “საქართველოს რესაუბლიკა”, №6 (809), 1994 წ., 11 იანვარი
210. გაზ. “პჭარა”, №21 (19333), 1994 წ., 8 ოქტემბერი
211. გაზ. “სარანგი”, №2 (58), 1994 წ., 19 ოქტემბერი
212. გაზ. “საქართველო”, №3 (1377), 1994 წ., 19-25 ოქტემბერი
213. გაზ. “ქართველი ერი”, №5 (59), 1994 წ., 22 მარტი
214. გაზ. “ქართული ქრონიკა”, №21 (130), 1994 წ., 2 მარტი
215. ნ. ქაჯაიას პირადი აქრივი
216. გამსახურდია ზ., დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ., 1991 წ.
217. ოქტოპირიძე უ., ოცნების შემუცნება, ანუ საკრალური პოეზია, ბათუმი, 2008
218. გაზ. “ბათუმის ხმა”, №1 (21), 1994 წ., აპრილი
219. დილის გაზეთი, №198 (433), 1997, 22 სექტემბერი, გვ. 11

Современный период национально-освободительного
движения

Грузии и Аджария (последние годы 80-ых и начало 90-ых годов
XX века)

Труд содержит предисловие и четыре главы. В работе проанализированы те предпосылки, учет которых необходим для правдивого понимания проблем современного национально-освободительного движения Грузии. Отмечено, что первая попытка издания в Батуми журнала национального направления с названием «батуми», было еще в 1987 году, а осенью 1988 года начали издать оппозиционную газету «Батумис хма» («Голось Батуми»). В тот же период активизируются местные силы национального движения Грузии. Представлены данные Батумских акциях и о создание в Аджарии организаций национального направления, о повышение их активности после 9 апреля 1989 года, несмотря на произошедшую в национальном движении раздроблени и противостоянии, проведении многопартийных выборов 28 октября 1990 года и победе в них.

Исследованно позиция коммунистического правительства автономной республики Аджарии после этих

выборов и его неудачная попытка противостояния новому грузинскому правлению в регионе. Представлены проблемы связанные с переменой власти в Аджарии и мероприятия национальных сил сглаживанию этих проблем а также процессы протекающие в Грузии и их влияние на локальную жизнь, предпосылки военно-криминального переворота в Грузии (22 декабря 1991 г. -6 января 1992 г.).

В монографии рассказано о создавшем положении с представленном регионе после военно-криминального переворота в Грузии. Отмечено, что правительства автономной республики смогло не допустить распространение насилия и беспредела на административной территории Аджарской автономии, но также вынуждено было принять участие в т.н. «выборах надежды»; Лояльное отношение правительства автономии к поддерживающим законное правительство Грузии и к национальному движению. В труде представлен анализ развития тех событий, которые произошли после этих выборов в Грузии и которые имели самые негативные результаты для нашей страны. Рассказано, о большом стремлении национальных сил для ликвидации этих негативных явлений, отмечено в этом деле роль и активность Аджарии и здешних национальных организаций. Указывается на полную незаконность введения Грузии в состав т.н. Союз независимых

государств (1 марта 1994 г.) и представлен позиция грузинских национальных сил по этому вопросу. Здесь же указано о большой воспитательной значений труда и возможности расширения кругозора молодёжи и всех заинтересованных в этом читателей.



gamomcemloba 'universal'

Tbilisi, 0179, i. WavWavaŽis gamz. 19, **телефон:** 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

